

გიორგი რუსიაშვილი  
მონის შალიკაშვილი

# აკადემიური ჯერა იურისცეზიასთვის



თბილისის უნივერსიტეტის  
სახელმწიფო და  
საპარტიო ინსტიტუტი



BIGVAVA  
BATIASHVILI

# აკადემიური წერა იურისტებისათვის

გიორგი რუსიაშვილი

მორის ხალიკაშვილი



**Aleph**

თბილისი, 2020



ISBN 978-9941-9525-8-6

© გიორგი რუსიაშვილი, 2020

© მორის შალიკაშვილი, 2020

რედაქტორი დავით მაისურაძე



თინათინ ჟებელის სახელობის  
სახელმწიფო და  
საპარტოლის ინსტიტუტი







## სარჩევი

შესავალი .....	1
<b>§ 1 აკადემიური ნაშრომი, აკადემიური მუშაობის თავისებურებები და ნაირსახეობები.....</b>	<b>4</b>
I. მეცნიერული მუშაობის კრიტერიუმები .....	4
II. იურიდიული ნაშრომის ცალკეული სახეები .....	9
1. საშინაო დავალეზა – კაზუსის ამოხსნა .....	9
2. სასამართლო გადანყვეტილეზა – შეჯამეზა და კომენტირეზა .....	11
3. სასემინარო თემის პრეზენტაცია.....	12
4. სამაგისტრო ნაშრომი, სტატია .....	14
5. დისერტაცია .....	15
III. სამეცნიერო ნაშრომის შეფასეზის კრიტერიუმები .....	17
<b>§ 2 მცირე აკადემიური ნაშრომი – საშინაო დავალეზა .....</b>	<b>19</b>
I. შესავალი .....	19
II. საშინაო დავალეზის ფორმა.....	21
1. სტრუქტურა.....	21
2. ციტირეზის ნესეები.....	30
III. ამოხსნის ტექსტი (შინაარსი) .....	34
1. სუბსუმციის მეთოდი.....	34
2. კამათის გაშლა.....	35
IV. მუშაობის ტექნიკა .....	37
1. კაზუსის ამოხსნა, როგორც საშინაო დავალეზის პირველი მონახაზი .....	37
2. ლიტერატურის მოძიეზა.....	39
3. ჩახარეზის სტადია .....	40
საშინაო დავალეზა სამოქალაქო სამართალში .....	41
<b>§ 3 სასამართლოს გადანყვეტილეზებთან მუშაობა და მისი ანალიზი .....</b>	<b>77</b>
I. შესავალი .....	78
I. ქართული სასამართლოს გადანყვეტილეზები .....	78

II. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილება .....	82
III. სასამართლო გადანყვეტილების ანალიზი .....	98
IV. გადანყვეტილების ანალიზის აგებულება .....	104
V. გადანყვეტილების ანალიზის მაგალითები გერმანული პრაქტიკიდან.....	105

#### **§ 4 სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა..... 112**

I. შესავალი .....	112
II. თემის აღწერა.....	116
1. კაზუისტური ნაშრომი.....	117
2. თემატური ნაშრომი.....	120
III. შესავალი ნაწილი .....	121
1. პრობლემის მონახაზი.....	122
2. კვლევის აგებულება და მეთოდი .....	129
3. თემის შემოსაზღვრა.....	130
IV. მთავარი ნაწილის აგებულება .....	131
1. აღწერილობითი ნაწილი .....	131
2. პოზიცია და დასაბუთება .....	133
V. შეჯამება .....	159
1. მიღებული შედეგების გადმოცემა.....	159
2. პერსპექტივა .....	160
VI. მითითებები სტატიის შესრულებასთან დაკავშირებით	161
1. სტატიის შესრულების მიზანი.....	161
2. სტატიის სტრუქტურა .....	162

#### **§ 5 მეცნიერული მეთოდი და არგუმენტაციის სტრუქტურა 169**

I. განმარტების წესები, როგორც დამხმარე არგუმენტაცია .....	171
1. გრამატიკული განმარტება (ნორმის სიტყვასიტყვითი გაგება) .....	175
2. სისტემურ-ლოგიკური განმარტება .....	180
3. ისტორიულ-გენეტიკური განმარტება.....	186
4. ტელეოლოგიური განმარტება .....	189
5. კონსტიტუციის შესატყვისი განმარტება.....	191

6. ურთიერთმიმართება განმარტების მეთოდებს შორის .....	192
II. ანალოგია და ტელეოლოგიური რედუქცია .....	194
1. ანალოგია .....	194
2. ტელეოლოგიური რედუქცია.....	200
III. გაბატონებული მოსაზრება და პრეიუდიცია.....	205
IV. არგუმენტაციის ხერხები .....	206
1. უკუდასკვნა (argumentum e contrario).....	206
2. „მით უფრო“-არგუმენტები (argumentum a fortiori).....	208
V. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი .....	216
1. ინსტიტუციური, სისტემური და გლობალური შედარება .....	217
2. მაკრო და მიკრო შედარება.....	222
3. ფუნქციურობის პრინციპი .....	224
<b>§ 6 იურიდიული სტილი.....</b>	<b>234</b>
I. იურიდიული ენა, როგორც პრობლემა.....	234
II. ცუდი ენობრივი სტილი და მისი საფუძვლები.....	237
1. რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადება....	237
2. ცარიელი ფორმულები და მრავალსიტყვიანი ფორმულირებები.....	241
3. ვნებითი გვარის ხშირი და უადგილო გამოყენება.....	254
4. გადაჭარბებული აბსტრაქცია და მითითებები.....	258
<b>§ 7 სწორი ციტირება და პლაგიატი.....</b>	<b>263</b>
I. ციტირების მნიშვნელობა .....	264
1. პლაგიატი .....	264
2. გამართული ციტირება.....	267
II. ციტირების სავალდებულო წესები .....	269
1. ბრმად ციტირება .....	270
2. სიზუსტე.....	271
3. ერთგვარი ციტირება.....	275
III. ციტირების არასავალდებულო წესები .....	285
1. სქოლიოების განლაგება .....	286
2. მითითებული წყაროს სრული რეკვიზიტები.....	287
3. მითითებული წყაროს შინაარსის გადმოცემა.....	289

4. კანონის ციტირება .....	293
5. სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირება .....	298
6. სამეცნიერო ლიტერატურა .....	304
7. არაიურიდიული ჟურნალ-გაზეთები და რუსი ლიტერატურა.....	308
IV. ციტირება ინტერნეტწყაროებიდან .....	310
1. რეპროდუციირების პრობლემა .....	311
2. ინტერნეტწყაროს მითითების არასავალდებულობა .....	313
3. ინტერნეტმისამართის დასახელება .....	314

## შესავალი

იურიდიულ ფაკულტეტის სავალდებულო თუ არჩევითი სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ძირითადად სამართლის შინაარსობრივ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ცოდნა მიეწოდებათ. ყოველი იურისტისათვის აუცილებელი მუშაობის ტექნიკა და უნარები, როგორც არის: იურიდიული ბიბლიოთეკისა და ონლაინ-ბაზების გამოყენება, სწორი ციტირება, გამართული ქართულით წერა, ზუსტი ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება, კაზუსის ამოხსნის ფორმატისაგან დამოუკიდებლად პრობლემების გამართულად სტრუქტურირება, სამეცნიერო ნაშრომისათვის აუცილებელი სიღრმე და ა. შ., ისწავლება მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურზე შემოთავაზებული „აკადემიური წერის“ ფარგლებში. საკმაოდ გვიან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული უნარები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს პირველივე სემესტრიდან სჭირდება და ის წარმატებული სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამის გარეშე კი, უკვე ნორმად იქცა ის ფაქტი, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამწყების კურსის სტუდენტების ნაშრომები გაფერებულია შეცდომებით, რომლებიც სამეცნიერო იურიდიული მუშაობის ელემენტარული ტექნიკის არცოდნაზე მეტყველებს. ლექტორი ამ შემთხვევაში იძულებულია უბრალოდ ყურადღების მიღმა დატოვოს ამ ტიპის ტექნიკური შეცდომები, რომლებიც ხშირად სრულიად უკარგავს

ფასს ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს. არ აქვს რა ლექტორს ლექციაზე ნაშრომის ფორმალური მხარის ფართოდ მიმოხილვის საშუალება, მოკლებულია შესაძლებლობას მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდაზე მისი მკაცრი დაცვა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცოდნა მას არც სხვა დისციპლინის ფარგლებში მიუღია და არც დამოუკიდებლად შეეძლო აეთვისებინა. აქ მივდივართ იმ პრობლემასთან, რომელიც, საბოლოო ჯამში, ეჭვქვეშ აყენებს მაგისტრატურის სავალდებულო კურსის ფარგლებშიც კი სტუდენტისათვის აკადემიური უნარ-ჩვევებისა და ყოველი იურისტისათვის აუცილებელი მუშაობის ტექნიკის განვითარების შესაძლებლობას. იურისტებისთვის (და არა მხოლოდ) არ არსებობს არც ერთი სპეციალური სახელმძღვანელო აკადემიურ წერაში. ლექციის შეზღუდული ფორმატი კი არ იძლევა სტუდენტისათვის ვრცელი ცოდნის გადაცემის, სამეცნიერო ნაშრომისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკის, სტილისტიკის, შინაარსობრივი თუ სხვა ფორმალური კრიტერიუმების ვრცლად დემონსტრირების საშუალებას, რის გარეშეც შეუძლებელია მისთვის დამოუკიდებლად დასამუშავებელი დავალებების მიცემა და სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული საბოლოო მიზნის მიღწევა – სტუდენტისათვის მეცნიერული მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მაშინ, როდესაც ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტებზე აკადემიური (მეცნიერული) მუშაობის სტილი ცალკე მიმართულებად არის ჩამოყალიბებული (**Legal Research, Legal Writing etc.**), რომელიც, ჩვეულებრივ, რამდენიმე პროფესორს აქვს ჩაბარებული და ასევე თავის გამორჩეულ ნიშას იმკვიდრებს გერმანულ უნივერსიტეტში – იურიდიული დიდა-

ქტიკის, როგორც მეთოდოლოგიის მომიჯნავე დარგის, სახით – ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ეს საგანი სრულებით უგულვებელყოფილია.

იურიდიული განათლების ეს ნაკლი დაუყოვნებლივ აღმოფხვრას საჭიროებს. სტუდენტისაგან, რომელიც ვერ ფლობს სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის უნარჩვევებს, ვიღებთ პრაქტიკოს იურისტს, რომელსაც არ შესწევს უნარი მეცნიერულად დაამუშაოს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემები, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის სასამართლო და საადვოკატო პრაქტიკის საუნივერსიტეტო სწავლებაში ინტეგრირებას და ქმნის მანკიერ წრეს, რომლის გარღვევაც მხოლოდ მის პირველ (საუნივერსიტეტო) ეტაპზეა შესაძლებელი.

წინამდებარე ნაშრომი, როგორც მოცემული მომენტისათვის ერთადერთი სახელმძღვანელო ამ სფეროში, მიზნად ისახავს გააცნოს დამწყებ იურისტ სტუდენტებს აკადემიური მუშაობის ტექნიკა და თავისებურებები. იმედია, ის გახდება არა მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურა მაგისტრანტთათვის შეთავაზებული სავალდებულო კურსისათვის, არამედ დამატებითი ლიტერატურა და გზამკვლევი მეცნიერული მუშაობის ტექნიკისათვის საუნივერსიტეტო სწავლების ყველა საფეხურზე.



## § 1 აკადემიური ნაშრომი, აკადემიური მუშაობის თავისებურებები და ნაირსახეობები

ლიტერატურა: *Bussmann H.*, Routledge dictionary of language and linguistics. Translated and edited by G. P. Trauth and K. Kazzazi, London/New York 1996; *Crystal D.*, A Dictionary of Linguistics and Phonetics, 6th ed., Oxford 2008; *Kerschner F.*, Wissenschaftliche Arbeitstechnik und Methodenlehre für Juristen, 5. Aufl., Wien 2006; *Mann Th.*, Einführung in die juristische Arbeitstechnik, 5. Aufl., München 2015; *Messing B./Huber K. P.*, Die Doktorarbeit, 4. Aufl., Berlin 2007; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *ეკო უ.*, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბილისი 2014; *კოჭენი ლ., ლოურენს მ., მორისონი ქ.*, კვლევის მეთოდები განათლებაში, მე-6 გამოცემა, თბილისი 2014.

### I. მეცნიერული მუშაობის კრიტერიუმები

ლიტერატურის თეორიაში ტექსტი განმარტებულია, როგორც გამიჯნული, ურთიერთდაკავშირებული, ჩვეულებრივ, წერილობითი (მაგრამ ფართო გაგებით ასევე ზეპირი) ენობრივი ინფორმაცია.<sup>1</sup> ამ გაგებით ტექსტად ჩაითვლება, როგორც მარტივი ყოფითი ფრაზები, ასევე ჰომეროსის ილიადა. თუმცა აკადემიური ტექსტი განსხვავდება, როგორც უბრალო ყოფითი საკომუნიკაციო, ისე – მხატვრული ტექსტისაგან. ამ შემთხვევაში მუშაობის პროცესი და მიღწეული შედეგი თანაბრად მნიშვნელოვანია. მაშინ, როდესაც უმნიშვნელოა, თუ როგორ შექმნის პოეტი

---

<sup>1</sup> *Crystal*, A Dictionary of Linguistics and Phonetics, 481; *Bussmann*, Routledge dictionary of language and linguistics, 1187.

გენიალურ რითმას, წამიერი შთაგონებით, თუ მრავალწლიანი მუშაობის შედეგად; აკადემიური ტექსტის შექმნა, ჩვეულებრივ, ერთ ღამეში შეუძლებელია. მას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესი, რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: ეს არის მეთოდურ-სისტემატური სამუშაო, რომლის ფარგლებში ავტორი ეცნობა სხვა ავტორთა ნაშრომებს ან სხვა ობიექტურად ვერიფიცირებად მონაცემებს, კრიტიკულად აანალიზებს მათ, გადმოცემს გასაგები ფორმით და ადგილს უჩენს მათ საკუთარი ნააზრევების ფარგლებში.<sup>2</sup> მკითხველისათვის უნდა იყოს შეცნობადი, თუ რა ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მიდის ავტორი შესაბამის დასკვნამდე. სხვა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის რა შედეგებს იყენებს (ციტატა) და რა არის უშუალოდ მის მიერ შემოთავაზებული სიახლე.

იურიდიული სწავლების მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მატერიალური სამართლის ცოდნის გადაცემა მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის, არამედ, ასევე, მეცნიერული მეთოდისა, მისი კრიტიკული გააზრებისათვის. მეცნიერული მუშაობა იურისტისათვის გულისხმობს გარკვეული სისტემის მქონე ნაშრომის შექმნას, სადაც თითოეული თეზისი ობიექტურად დასაბუთებულია.<sup>3</sup> ავტორი უნდა ფლობდეს არგუმენტაციის ტექნიკას, რაც მას, საბოლოო ჯამში, ახალი ცოდნის მოპოვების საშუალებას მისცემს.

---

<sup>2</sup> Mann, Einführung in die juristische Arbeitstechnik, 1.

<sup>3</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 3.

- **„გარკვეული სისტემის“** მქონე ნაშრომი გულისხმობს ნაშრომს, რომელიც ზუსტად აღწერს კვლევის საგანს და ზედმინწევნით მიყვება ცალსახა აზრობრივ სტრუქტურას.
- მეცნიერული სამუშაო მოითხოვს **ობიექტურ დასაბუთებას**. ის არ გულისხმობს უზადოს და საბოლოო ჯამში არც სწორს. მცდარი მეცნიერული მოსაზრებაც მეცნიერული მოსაზრებაა და პირიქით – სწორი მოსაზრება, მოწოდებული ყოველგვარი მეთოდოლოგიურ-არგუმენტატიული „შეფუთვის“ გარეშე, ვერ ჩაითვლება მეცნიერულად.
- ობიექტურად დასაბუთებული გულისხმობს მხოლოდ შესაბამისი მეთოდის გამოყენებით მიღწეულს. იურისტებისათვის ეს, პირველ რიგში, ნიშნავს კანონის ნორმებთან მუშაობას. ხოლო, როდესაც შემთხვევა სამართლის ნორმით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული, აუცილებელია განზოგადებაუნარიანი პრინციპების გამოკვეთა და დასკვნის დედუქცია ამ პრინციპებიდან. ნაშრომი უნდა ემყარებოდეს შესაბამისი ლიტერატურის ანალიზს და იძლეოდეს საშუალებას გავიგოთ და რაც მთავარია, გადავამოწმოთ კონკრეტული მოსაზრებები. როგორც ამას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>4</sup>:

*„განმარტება, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სამართალში, დისკურსის ხასიათს ატარებს, როდესაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნაკლოდ შეს-*

---

<sup>4</sup> BVerfGE 82, 30, 38.

*რულებულ ნაშრომშიც არ არის წამოყენებული აბსოლუტურად ჭეშმარიტი მოსაზრებები, არამედ წარმოჩენილია მისი გამამართლებელი არგუმენტები და შეპირისპირებულია სხვა არგუმენტებთან, რა დროსაც ძლიერი არგუმენტი გადანონის შედარებით სუსტს.“*

- იურიდიული ნაშრომი, ჩვეულებრივ, ეხება მთელ რიგ სამართლებრივ პრობლემებსა და აზრთა სხვადასხვაობას. გამომდინარე აქიდან ავტორი უნდა ფლობდეს გარკვეული ტიპის **არგუმენტაციის ტექნიკას**, რათა მოახერხოს მათი ჯეროვანი დამუშავება და მკითხველისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა.
- მეცნიერული ნაშრომის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მასში გაცხადებული შემეცნებითი სიახლე. კარგ იურისტს უნდა ესმოდეს სამართალი, იყენებდეს მას, შეეძლოს მისი შეფასება, ანალიზი და კრიტიკა. უნდა შეეძლოს აქამდე უცნობი შემთხვევების გადანყვეტა და მზად იყოს წამოაყენოს ახალი იდეები ღია დისკუსიაში, შეაფასოს მათი მნიშვნელობა და თუ საჭიროა, უარყოს კიდეც. მეცნიერული ნაშრომი მოითხოვს **კრიტიკულ გააზრებასა** და ახალი იდეების შექმნის უნარს.

*უმბერტო ეკოს* თანახმად, მეცნიერულ ნაშრომთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, თუ ის პასუხობს შემდეგ კრიტერიუმებს:

- 1. „კვლევის საგანი უნდა იყოს გასაგები და ექვემდებარებოდეს ისეთ აღწერას, რომ სათქმელი სხვებისთვისაც გასაგები გახდეს“.<sup>5</sup> არ არის აუცილებელი, რომ საკითხი გასაგები იყოს ყველასათვის. მთავარია, მეცნიერული ნაშრომი გასაგები იყოს იმ სამეცნიერო წრეებისთვის, რომელ სფეროშიც განხორციელდა კვლევა;
- 2. „ნაშრომში რაღაც ისეთი უნდა ითქვას საკვლევი საგნის შესახებ, რაც ჯერ არ თქმულა ან/და ახლებურად უნდა წარმოჩინდეს უკვე გამოთქმული შეხედულებები“.<sup>6</sup> მეცნიერულია ისეთი ნაშრომი, რომელსაც შეუძლია ახალი სიტყვა თქვას მეცნიერებაში. ერთი და იგივე საკითხი შესაძლებელია სხვადასხვა პერსპექტივიდან იქნეს დანახული მეცნიერის მიერ.
- 3. გამოკვლევა სასარგებლო უნდა იყოს სხვებისთვისაც. მეცნიერულია ნაშრომი, თუ რაიმე ახალს მატებს ყოველივე იმას, რაც მანამდე იყო ცნობილი და თუ მისი გათვალისწინება, თუნდაც თეორიულად, მოუწევს ამ სახკითხზე მომუშავე ყველა სხვა ნაშრომის ავტორს“.<sup>7</sup>
- 4. ნაშრომში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნამოჭრილი საკითხის შემოწმება და უარყოფა (ვერიფიციერებადობა), ანუ ის შემდგომი კვლევის საშუალებას უნდა იძლეოდეს. მეცნიერული ნაშრომის ირგვლივ ახალი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა არსებითი მნიშვნელობისაა.<sup>8</sup>

---

<sup>5</sup> ეკო, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, 55.

<sup>6</sup> ეკო, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, 57.

<sup>7</sup> ეკო, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, 58.

## II. იურიდიული ნაშრომის ცალკეული სახეები

### 1. საშინაო დავალება – კაზუსის ამოხსნა

კაზუსის ამოხსნა ყოველი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტისათვის ნაცნობი დავალებაა. სტუდენტთა ცოდნის შემოწმება მთელ რიგ დისციპლინებში კაზუსის ფორმით ხდება, რომლის ამოსახსნელად სტუდენტს რამდენიმე საათი ეძლევა და დამხმარე მასალად მხოლოდ კანონი აქვს. თუმცა ევროპელი კოლეგებისაგან განსხვავებით, ქართველი იურისტი სტუდენტისაგან რთულად წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება კაზუსის დამუშავება გახდეს მეცნიერული სამუშაოს ნაწილი და მის ამოხსნას არა სამი, არამედ 20-25 გვერდი დასჭირდეს, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის ვრცელი მითითებით და ზოგადად სამეცნიერო სამუშაოსათვის დამახასიათებელი მთელი ატრიბუტიკით. საშინაო დავალების კაზუსი მნიშვნელოვანწილად წააგავს საგამოცდო კაზუსს, აქაც მოცემულია დავალების ტექსტი და ბოლოში კაზუსის შეკითხვა, რომელსაც სტუდენტმა სუბსუმციის ფორმით შედგენილი ამოხსნით უნდა გასცეს პასუხი, თუმცა ის განსხვავდება საგამოცდო კაზუსისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტს გაცილებით მეტი დრო აქვს მის დასამუშავებლად და ამასთან ვალდებულებაც – ფართოდ გაითვალისწინოს არსებული სასამართლო პრაქტიკა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურა.

საშინაო დავალების კაზუსის ამოხსნისას თავს იჩენს ისეთი ორგანიზატორული პრობლემები, რომლებიც უცხოა საგამოცდო კაზუსისათვის. ესენია დროის შესაბამისად განაწილება და ლიტერატურის შეგროვება-გამოყენება, რაც სტუდენტს კომპიუტერისა და ინტერნეტის ეპოქაში ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.<sup>9</sup> ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის მიზანმიმართულად გამოყენება ბევრი დამწყები იურისტისათვის გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს. ხშირად სტუდენტი ძალიან ცოტას კითხულობს და ვერ ასწრებს შესაბამისი ლიტერატურის გაცნობას, თუმცა არანაკლებ ხშირია საპირისპირო შემთხვევა: სტუდენტი წაკითხული ვრცელი ლიტერატურიდან ველარ ახერხებს საჭიროს არასაჭიროსაგან გარჩევას. სამართლის წყაროების კრიტიკული და შერჩევითი დამუშავების გარეშე არსებობს საფრთხე, რომ სტუდენტი ჩაეფლობა ყოველად უსაგნო და გამოუსადეგარი ლიტერატურის გროვაში, რომლიდანაც გამოღწევაც უკვე შეუძლებელია. გამომდინარე იქიდან, რომ საშინაო დავალების გვერდების რაოდენობა შეზღუდულია, სტუდენტი არსებითზე უნდა კონცენტრირდეს. არ უნდა მიაინიჭოს ფორმალურ მხარეს შინაარსობრივზე მეტი მნიშვნელობა, თუმცა არც ამ ფორმალური მხარის სრულიად უგულვებელყოფა წაადგება საქმეს, რადგან გამართული იურიდიული სტილის,<sup>10</sup> ციტირების ტექნიკისა<sup>11</sup> და სხვა ფორმალობების<sup>12</sup> გარეშე სტუდენტი უბრალოდ ვერ მიიტანს თავის სათქმელს გამსწორებლამდე და, გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ ეს გამ-

---

<sup>9</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 7.

<sup>10</sup> იხ. § 6.

<sup>11</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით § 7.

<sup>12</sup> მე-15 და მომდევნო გვერდები.

სწორებელი, შინაარსობრივი მხარის სრული უგულვებელყოფით, მხოლოდ ფორმალური ნიშნით დაინუნებს ნაშრომს.

კაზუსი, რომლის ამოსახსნელადაც სტუდენტს ოთხიდან რვა კვირამდე და იურიდიული ბიბლიოთეკის მთლიანი რესურსი აქვს განკარგულებაში, დასავლეთის უნივერსიტეტებში გამოცდის საკმაოდ გავრცელებულ ტიპსა და პრაქტიკოსი იურისტის მიერ დასასაბუთებელი სარჩელისა, თუ სასამართლო გადაწყვეტილების პრეფიგურაციას წარმოადგენს, რომლის დამკვიდრებაც ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეშიც აუცილებლად მიგვაჩნია და რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

## **2. სასამართლო გადაწყვეტილება – შეჯამება და კომენტირება**

სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლის წყაროს, რომელთანაც პრაქტიკოს თუ თეორეტიკოს იურისტს ყველაზე ხშირად აქვს შეხება. ის წარმოადგენს კანონის შემდეგ მთავარ ტექსტს (ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში – ზოგადად მთავარ ტექსტს). გამართული მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელი ნაწილია სასამართლოს ყოველი მნიშვნელოვანი (და ხანდახან უმნიშვნელო) გადაწყვეტილებების საჯარო სამსჯავროზე გამოტანა. ქართული მართლმსაჯულების სისტემა ამ მხრივ ძალზე მოიკოჭლებს, გადაწყვეტილებები ქვეყნდება ვრცელი, დაუნაწევრებელი, ლინგვისტური თუ შინაარსობრივი შეცდომებისა და ხშირი ტავტოლოგიების გამო ხანდახან სრულე-



ბით გაუგებარი ფორმით. გარდა ამისა, ქართული სასამართლოს გადანყვეტილებები ძალიან დიდი მოცულობისაა და მოცულობის გაზრდა ხდება კანონის ნორმების პირდაპირი გადატანით გადანყვეტილებაში, რაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან მხარეებმა თავადაც კარგად იციან კანონის კონკრეტული მუხლის შინაარსი, ხოლო არაიურისტს კი შეუძლია თავად გაეცნოს გადანყვეტილებაში მითითებულ კანონის დანაწესებს. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადანყვეტილებებთან მუშაობას ვერც ერთი იურისტი ვერ აუვლის გვერდს. მოცემული სახელმძღვანელო სთავაზობს სტუდენტებს უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული მოკლე აკადემიური ნაშრომის მაგალითზე, რომელსაც, მაგალითად, გერმანიაში „სასამართლო გადანყვეტილებასთან დაკავშირებულ შენიშვნას“ (Rechtsprechungsbeurteilung) უწოდებენ, აითვისოს ტექნიკა, ქართული სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული ვრცელი და ბუნდოვანი ტექსტების, ლაკონური, მაგრამ ამავდროულად ყოვლისმომცველი შეჯამებისა და მისი მნიშვნელოვან პუნქტებში კრიტიკისა.

### 3. სასემინარო თემის პრეზენტაცია

სასემინარო თემის პრეზენტაცია, იგივე სტუდენტური მოხსენება, წარმოადგენს დამოუკიდებელი სამეცნიერო სამუშაოს ტიპს, რომლის ფარგლებში სტუდენტი ამზადებს ტექსტს, მის ან ლექტორის მიერ, შერჩეულ სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით მოგვიანებით აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის მიზნით. სასემინარო ნაშრომი, ისევე როგორც საშინაო დავალება, მოითხოვს შესაბამისი ლიტერატურის კრიტიკულ გამოყენება-შეფასებას

(იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ). თუმცა, განსხვავებით საშინაო დავალებისაგან, აქ საქმე არ ეხება კაზუსის ამოხსნას, არამედ პრობლემის თეორიულ ქრილში დამუშავებას (მაქსიმალურად ყოვლისმომცველად) და შემდეგ მის პრეზენტაციას, რაზეც ამ დავალების ფარგლებში მთავარი აქცენტი კეთდება. სასემინარო დავალება მოცემულია გაცილებით უფრო ზოგადი და განუსაზღვრელი ფორმით, საშინაო დავალების კაზუსთან შედარებით. სტუდენტს ევალება ამ ზოგადი თემის გასაგებად დამუშავება და მსმენელამდე მიტანა და არა ყველა მოთხოვნის საფუძვლის შემონახვა, როგორც ეს კონკრეტული კაზუსის ამოხსნისას ხდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მდგომარეობს, ჩვეულებრივ, მხოლოდ სათაურის სახით განსაზღვრული თემის დამატებით დაკონკრეტება-შემოსაზღვრაში და მისი დამუშავებისას დროით ჩარჩოებში ჩატევაში. კაზუსის ამოხსნისათვის შესაფერი დანაწევრება მოთხოვნის საფუძვლებისდა მიხედვით აქ გამოუსადეგარია, რის გამოც სტუდენტისათვის გაცილებით რთულია აბსტრაქტულად მოცემული საკითხის სტრუქტურირება და თემის შინაარსის კონკრეტულ თავებსა და ქვეთავებში ჩამოსხმა. კაზუსისაგან განსხვავებით, ამ ტიპის თემის დამოუკიდებლად დამუშავება სავალდებულო (თუ არასავალდებულო) სალექციო კურსის ფარგლებში საერთოდ არ ისწავლება. რის გამოც სტუდენტს თემის დამუშავების საწყის ეტაპზე უწევს ჯერ სტრუქტურული მონახაზის გაკეთების ტექნიკის ათვისება და მხოლოდ შემდეგ ეტაპზე ეძლევა ამ მონახაზის, როგორც ცარიელი ყალიბის, შინაარსით შევსების საშუალება.

გამომდინარე იქიდან, რომ მოხსენების ტექსტის სამეცნიერო ღირებულება, ჩვეულებრივ, პრეზენტაციისაგან დამოუკიდებლად არ ფასდება, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა კეთდება სტუდენტის პრეზენტაციულ-რეტორიკულ უნარ-ჩვევებზე, რასაც დამოუკიდებელი ვარჯიში სჭირდება. მოხსენების წერილობითი ვერსია (რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ ფასდება, მაინც აუცილებლად უნდა მომზადდეს) ხშირად შემოკლებას საჭიროებს, რათა დაემთხვეს იმ დროით ჩარჩოს, რომელიც მოხსენებისთვის არის განსაზღვრული.

#### 4. სამაგისტრო ნაშრომი, სტატია

მოცემულ სახელმძღვანელოში სამაგისტრო ნაშრომისა და სტატიის ნიშან-თვისებების განხილვა მოხდება პარალელურად, რადგან სამაგისტრო ნაშრომიც უნდა აკმაყოფილებდეს სამეცნიერო სტატიისათვის განერილ კრიტერიუმებს.<sup>13</sup>

სამეცნიერო სტატიის ქვეშ მოიაზრება მოკლე სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე სასემინარო ნაშრომი, თუმცა მოცულობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სადოქტოროს. სტატიაში იდეები გამოტანილია საჯარო სამსჯავროზე. ის არა მარტო ზოგადად მიანიშნებს მოცემულ პრობლემაზე, არამედ ეხმარება სხვა

---

<sup>13</sup> იხ. „აკადემიური წერის სტანდარტები დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის“, [https://www.tsu.ge/data/file\\_db/academic\\_orders/acad.%20dadg.38.2010%202.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/acad.%20dadg.38.2010%202.pdf) (09.02.2019).

იურისტებს, რომლებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ. ემსახურება ავტორის იდეების გავრცელებას (სხვები აიტაცებენ ამ იდეებს, კრიტიკული თვალთ უყურებენ, ან აუმჯობესებენ).

სტატიის დაწერა აღარ წარმოადგენს მხოლოდ თეორეტიკოსს იურისტთა ექსკლუზიური კომპეტენციის საგანს, მთელ რიგ პრაქტიკულ სამუშაოზეც დამსაქმებელი ითხოვს, ან დამატებით უპირატესობად აღიქვამს, დასაქმებულის ამ ტიპის მეცნიერულ აქტივობას. მაგალითად, ევროპისა და ამერიკის უზენაესი ინსტანციის მოსამართლეთა შორის რთულად თუ მოიძებნება ისეთი, რომელსაც სხვადასხვა დარგობრივ ჟურნალში სტატია არ ჰქონდეს გამოქვეყნებული.

## 5. დისერტაცია

„დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.“<sup>14</sup> ამგვარად, სადოქტორო ნაშრომს, ანუ დისერტაციას საერთო აქვს საშინაო დავალებასა, სასემინარო და სამაგისტრო ნაშრომთან ის, რომ ნაშრომის შემსრულებელი აქაც სამართლებრივი წყაროები-

---

<sup>14</sup> იხ. დადგენილება დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ – [https://www.tsu.ge/data/file\\_db/academic\\_orders/249d1\\_09.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/249d1_09.pdf).

სა და სამეცნიერო ლიტერატურის შეგროვებით, გამოყენებითა და შეფასებითაა დაკავებული. ის ჰგავს სასემინარო ნაშრომს იმით, რომ დოქტორანტს დასამუშავებელი აქვს ზოგადად და აბსტრაქტულად მოხაზული დავალება, რომელიც ჯერ თავად უნდა დააკონკრეტოს. თუმცა განსხვავებით ზემოთხსენებული ნაშრომებისაგან, სამეცნიერო მუშაობის მასშტაბი და სიღრმე სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში სხვა ხარისხშია აყვანილი. შესაბამისად, დისერტაციის ერთერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიცია შემდეგია<sup>15</sup>: „დისერტაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს, რომლის შემსრულებელსაც შეაქვს ამით თავისი წვლილი სამეცნიერო პროგრესში.“

ამგვარად, განსხვავებით სასემინარო და სხვა სტუდენტური ნაშრომებისაგან, სადოქტორო ნაშრომის თემები და პრობლემატიკა რთული და მასშტაბურია. დოქტორანტს ხშირად უწევს მანამდე სრულებით დაუმუშავებელ საკითხში გარკვევა და აუთვისებელ სფეროში პირველი ნაბიჯების გადადგმა. ამისთვის მას აქვს მეტი დრო და, როგორც წესი, ნაშრომის მოცულობაც არ არის შეზღუდული.<sup>16</sup> ეს თავისუფლება ავტორს უბიძგებს სიღრმისეული კვლევის ჩატარებისაკენ, რის გამოც დოქტორანტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს წინასწარ არჩეული დროით ჩარჩოში ჩატევასთან დაკავშირებით. ამიტომაც, სადოქტორო ნაშრომის შესრულების ვადა საშუალოდ 10-11 თვიდან 4-5 წლამდე მერყეობს.

---

<sup>15</sup> შდრ. მაგალითისათვის აუგსბურგის უნივერსიტეტის სადისერტაციო დადგენილები მე-8 პარაგრაფის მე-2 ნაწილი და მიუნხენი უნივერსიტეტი 11-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი.

<sup>16</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 7.

დისერტაციის, როგორც სამეცნიერო ნაშრომის დეტალურად განხილვა არ წარმოადგენს მოცემული სახელმძღვანელოს საგანს, ვინაიდან ის იურიდიული ფაკულტეტების პირველ და მეორე საფეხურის სტუდენტებზეა ორიენტირებული.

### III. სამეცნიერო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

სამეცნიერო ნაშრომი ფასდება მთელი რიგი საერთო კრიტერიუმებით, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნელოდ მერყეობს ნაშრომის ტიპისდა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულოა ყველა სახის ნაშრომისათვის.<sup>17</sup> ეს კრიტერიუმებია:<sup>18</sup>

- *სამეცნიერო ხარისხი*: არის თუ არა კვლევა გულდასმით ჩატარებული და დოკუმენტირებული? არის თუ არა მნიშვნელოვანი ლიტერატურა განხილული და შესაბამისად ციტირებული? არის თუ არა ცნებები ზუსტად და შინაარსის გამომხატველად გამოყენებული? მსჯელობა შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული?
- *წერის სიცხადე*: არის თუ არა ნაშრომი გასაგებად დაწერილი და დანაწევრებული? ნაშრომის თავები და ქვეთავები ლოგიკურად დალაგებული? გასდევს ნაშრომის სათაური მთლიან ტექსტს „წითელ ხაზად“?

---

<sup>17</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 7.

<sup>18</sup> Messing/Huber, Die Doktorarbeit, 39.

- *მნიშვნელობა:* შესაძლებელია თუ არა ნაშრომისათვის ჟანრობრივი ადგილის მიჩენა? რამდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა შედეგები? ცენტრალურ პრობლემას ეხება საქმე, თუ მარგინალურს? წარმოადგენს თუ არა ნაშრომი მოცემულ სფეროში მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს?

ყველა ამ კრიტერიუმზე დეტალურად საუბარი გვექნება ქვემოთ მოყვანილ თავებში.

## § 2 მცირე აკადემიური ნაშრომი – საშინაო დავალება

ლიტერატურა: *Brinkmann*, Die rechtswissenschaftliche Seminar- und Doktorarbeit, Berlin/Frankfurt 1959; *Hadding W.*, Zur Anfertigung von Hausarbeiten im Zivilrecht – Arbeitsweise und Formalien, JuS 1977, 241; *Canaris C. W./Larenz K.*, Methodenlehre der Rechtswissenschaft (Studienausgabe), 3. Aufl., Heidelberg 1995; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *Stein E.*, Die rechtswissenschaftliche Arbeit, Tübingen 2000; *Valerius B.*, Einführung in den Gutachtenstil, 3. Aufl., Heidelberg 2009; *Zuck H.*, Das Anfertigen von Übungsarbeiten – Praktische Hinweise für Anfänger-, Fortgeschrittenen- und Examensarbeiten, JuS 1990, 905; *დევალიძე ი./თუმანიშვილი გ./გვენეტაძე ნ.*, კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბილისი 2015; *ეკო უ.*, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბილისი 2014; *მაისურაძე დ./დარჯანია თ./პაპუაშვილი შ.*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი 2017; *ჩაჩანიძე ე.*, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, თბილისი 2012; *ჰენშელი ს.*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი 2009.

### I. შესავალი

გერმანულ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კაზუსის ამოხსნა საშინაო დავალების ფორმით, რასაც ანგლო-ამერიკულ საუნივერსიტეტო ტრადიციაში ესე ანაცვლებს. საშინაო დავალება, რომელსაც მცირე აკადემიურ ნაშრომსაც უწოდებენ, ერთი შეხედვით, არის დიდი კაზუსის ამოხსნა; დაახლოებით 20-25 გვერდზე. თუმცა საშინაო დავალება საგამოცდო კაზუსისაგან არა მხოლოდ მოცულობით განსხვავდება, არამედ, პირველ რიგში, მის მი-



მართ ნაყენებული ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნებით. განსხვავებული კრიტერიუმებით ფასდება ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი ასრულებს 2 საათის განმავლობაში ყოველგვარი მეორადი ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობის გარეშე და ნაშრომი, რომელსაც ის სამი ან ოთხი კვირის განმავლობაში ამზადებს, რაც აპრიორი გულისხმობს სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის ფართოდ გაცნობის შესაძლებლობასა და მათზე ზუსტ მითითებას. არასწორი, მაგრამ კარგად დასაბუთებული მოსაზრება საგამოცდო კაზუსის ამოხსნისას შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს, იგულისხმება რა, რომ სტუდენტს კაზუსის ფაბულის ყველა შესაძლო ვარიაციისათვის სასამართლო პრაქტიკით გამყარებული პასუხი ვერ ექნება. სხვაგვარად არის საქმე საშინაო დავალების კაზუსის შემთხვევებში.

ჩვეულებრივ, საშინაო დავალების კაზუსი მოცემულია მასთან დაკავშირებულ შეკითხვასთან ერთად და სუბსუმციის მეთოდის გამოყენებით უნდა ამოიხსნას. მთავარი თავისებურება მდგომარეობს საშინაო დავალების კაზუსის ამოხსნისათვის აუცილებელ (მინიმალურ) სამეცნიერო სტანდარტში, თუმცა სამეცნიერო სტანდარტი ამ შემთხვევაში, განსხვავებით, დისერტაციისგან, არ გულისხმობს ახალი სიტყვის თქმას მეცნიერებაში. აქ მთავარია მეთოდური სრულყოფილება და შინაარსის სიღრმე – თუ გამოცდაზე საკმარისია, მეცნიერული კამათის ორი წინადადებით გადმოცემა, აქ ამ კამათის ფართოდ გაშლაა აუცილებელი შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით, მისი საფუძვლიანი ანალიზი და მასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის ცალსახად დაფიქსირება. სამეცნიერო სამუშაო ამ შემთხვევაში გულისხმობს მეორადი

ლიტერატურის კორექტულ და კრიტიკულ შეფასებას და მოიცავს საჭირო ნყაროების მოძიების, გულისხმიერი ანალიზისა და კორექტული ციტირების სტადიებს.

## II. საშინაო დავალების ფორმა

საშინაო დავალების შემთხვევაში არაუმნიშვნელო როლს თამაშობს ფორმალური კრიტერიუმების დაცვა, რომელთაგან გადახვევაც ქულების დაკლებას იწვევს.

### 1. სტრუქტურა

ჩვეულებრივ, კაზუსის ამოხსნას აქვს შემდეგი სტრუქტურა: თავფურცელი, კაზუსის ფაბულა, ბიბლიოგრაფია, სარჩევი, ამოხსნის ტექსტი.

ფაბულის, ბიბლიოგრაფიისა და სარჩევის გვერდები ინომრება რომაული ციფრებით. თავფურცელს გვერდის ნომერი არ ეთითება. ამოხსნის ტექსტის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით.

#### *ა) თავფურცელი*

საშინაო დავალების თავფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მარჯვენა ზედა კუთხეში – სტუდენტის სახელი და გვარი, სწავლების საფეხური და სემესტრი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საცხოვრებელი მისამართი; მარცხენა ზედა კუთხეში – უნივერსიტე-

ტის სრული დასახელება; თავფურცლის შუა ნაწილში – საშინაო დავალების დასახელება, სასაწავლო დისციპლინა და მისი ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სემესტრი, რომლის განმავლობაშიც სრულდება დავალება; მარცხენა ქვედა კუთხეში – დავალების ჩაბარების ზუსტი თარიღი.<sup>19</sup>

### *ბ) კაზუსის ფაბულა და შეკითხვა*

საშინაო დავალებაში თავფურცლის მომდევნო გვერდზე უცვლელად უნდა იყოს გადმოცემული კაზუსის ფაბულა. სასურველია, სტუდენტმა კაზუსის ფაბულა საკუთარი ხელით გადაბეჭდოს და არა მხოლოდ გადააკოპიროს ელექტრონული დოკუმენტიდან. ეს მას საშუალებას მისცემს კიდევ ერთხელ გაისიგრძეგანოს კაზუსის შინაარსი – იქ მოცემული ფაქტობრივი გარემოების არასწორად აღქმამ შესაძლებელია მთლიანად შეცვალოს და არასწორად აქციოს კაზუსის ამოხსნა.

ფაბულის ბოლოსკენ დასმულ შეკითხვას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან კაზუსის ამოხსნა მხოლოდ ამ ერთადერთ (ან რამდენიმე) შეკითხვაზე პასუხს წარმოადგენს, ყოველგვარი განვრცობა-შემოკლებების გარეშე. ამგვარად, აუცილებელია ავტორს ყოველთვის თვალწინ ედგას ეს შეკითხვა და ამოხსნის თითოეული ნაწილი მას შესაბამის.

---

<sup>19</sup> მოცემული განლაგება მხოლოდ პირობითი ხასიათისაა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გადამწყვეტია კაზუსისათვის თანდართული ინსტრუქცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### კ) ბიბლიოგრაფია

კაზუსის ფაბულას მოსდევს ბიბლიოგრაფია. ისევე როგორც კაზუსის ამოხსნის ფარგლებში ციტირებისას, ბიბლიოგრაფიაში მიეთითება მხოლოდ რეალურად გამოყენებული წყაროები. ის არ წარმოადგენს მოცემულ საკითხთან დაკავშირებული საინტერესო ლიტერატურის ჩამონათვალს, არამედ მხოლოდ იმ წყაროებზე მითითებას, რომლითაც ისარგებლა ავტორმა კაზუსის ამოხსნისას.

ბიბლიოგრაფიაში დასაშვებია მისათითებელი ლიტერატურის ორი ფორმით – ბიბლიოგრაფიული ცხრილისა და ბიბლიოგრაფიული სიის სახით – გადმოცემა. პირველ შემთხვევაში ნაშრომის ავტორის ან გამომცემლის მითითება და უშუალოდ ნაშრომის დასახელება ცხრილის ვერტიკალური სვეტის მარცხენა და მარჯვენა უჯრებშია განაწილებული. ბიბლიოგრაფიის აგების ეს ვარიანტი უფრო მარტივად აღქმადს ხდის მითითებულ ლიტერატურას, თუმცა იკავებს ბევრ ადგილს.

### ბიბლიოგრაფიული ცხრილი

*ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ. /რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.*

სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი 2014

*შმიტი შ./რიჭტერი ჰ.*

მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალ-

ში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, თბილისი 2013 (ციტ. შმიტი/რიჰტერი, განწყვეტილების მიღების პროცესი)

*ჭანტურია ლ.*

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011 (ციტ. *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი)

ბიბლიოგრაფიაში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასევე ნაშრომების პირდაპირ, სიის ფორმით გადმოცემა. ბიბლიოგრაფიული სიის შემთხვევაში ავტორები და მათი ნაშრომები მოყვანილია ერთმანეთის თანმიმდევრობით. ავტორის გვარისა და სახელის ინიციალის კურსივი შრიფტით მითითება ცოტათი აუმჯობესებს აღქმადობას.

### ბიბლიოგრაფიული სია

- *ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014

- *შმიტი შ./რიჰტერი ჰ.*, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, თბილისი 2013 (*ციტ. შმიტი/რიჰტერი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი*)
- *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011 (*ციტ. ჭანტურია, ზოგადი ნაწილი*)

ორივე შემთხვევაში მითითებულ ნაშრომთა თანმიმდევრობა განისაზღვრება ანბანის მიხედვით. დაჯგუფება ლიტერატურის ტიპის მიხედვით (სტატიები, კომენტარები, სახელმძღვანელოები) საშინაო დავალების ბიბლიოგრაფიაში სრულებით ზედმეტია. ამ მოცულობის ნაშრომში ის მკითხველს არ ეხმარება შესაბამისი წყაროს მოძებნის პროცესში და მხოლოდ დამატებით ტვირთავს ბიბლიოგრაფიას. კანონები, სხვა ნორმატიული მასალა და სასამართლოს გადაწყვეტილებები ბიბლიოგრაფიაში არ ეთითება.

#### *დ) სარჩევი*

სარჩევში მითითებული უნდა იყოს საშინაო დავალების თითოეული გამოყოფილი და დასათაურებული ნაწილი (მათ შორის თავად სარჩევის, ისევე როგორც ბიბლიოგრაფიისა და კაზუსის ფაბულის გვერდი). დასაშვებია თავებისა და ქვეთავების ნუმერაციის ზოგადად აღიარებული

(რომელსაც იურისპრუდენციის გარდა სხვა მეცნიერებებშიც იყენებენ) ტექნიკის გამოყენება: 1.2, 2., 2.1, 2.1.1, 2.1.2; ისევე როგორც იურისტთათვის ჩვეული სტილი: I., 1., ა), აა), ა).<sup>20</sup>

1.

1.1.

1.2.

1.1.1.

1.1.2.

1.1.3.

1.1.1.1.

1.1.1.2.

1.1.1.1.1.

1.1.1.1.2.

მიუხედავად, მხოლოდ ნუმერატიული დანაწევრების ზოგადი დასაშვებობისა, ის მაინც რთულად აღქმად აღიქვამება და ავტორთა უმრავლესობა შერეულ დანაწევრებას ამჯობინებს,<sup>21</sup> სადაც დასაშვებია ზედა დონის თავების „ნაწილებად“, „განყოფილებად“ ან „თავებად“ მოხსენიება, ხოლო ქვედა დონეზე ქართული, ლათინური და ბერძნული ასოების ერთმანეთში შერევა:

---

<sup>20</sup> თუმცა შდრ. ბერძნული ასოების გამოყენების წინააღმდეგ: *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 69 სქ. 334.

<sup>21</sup> *Brinkmann*, *Die rechtswissenschaftliche Seminar- und Doktorarbeit*, 32.

1. ნაწილი

§ 1 ან 1. თავი ან 1. განყოფილება

§ 2

A.

B.

I.

II.

1.

2.

ა)

ბ)

აა)

ბბ)

(1)

(2)

(ა)

(ბ)

დასაშვებია, მაგალითად, დიდი ლათინური ასოების გამოყენება მხარეთა აღსანიშნავად, რომაული ციფრების – მოტხოვნის მიზნებისათვის, არაბული ციფრების – მოტხოვნის საფუძვლისათვის, ასოები მოტხოვნის წინაპირობებისათვის:

A. ა-ს მოტხოვნები

I. 3000 ლარის მოტხოვნა

1. 3000 ლარის, როგორც სარგებლის მოტხოვნა, 352 I

ა) გასვლის ნამდვილი გაცხადება



## ა) კამათის გადაწყვეტა

საშინაო დავალების შემთხვევაში ხუთ ქვედონეზე მეტად დანაწევრება უკვე დამაბნეველია და არ ხდის ტექსტს უფრო გასაგებს. იდენტური მნიშვნელობის პრობლემები (და ზოგადად შინაარსი) აღნიშნული უნდა იყოს თანაბარ დონეზე. სარჩევი არ უნდა იყოს თვალუწვდენელი; თითოეული პუნქტის ქვეშ რვა ქვეპუნქტზე მეტის გაერთიანება ზედმეტად ტვირთავს ნაშრომს.

დამოუკიდებლად იმისა, თუ ნუმერაციის რომელ სტილს აირჩევს სტუდენტი, აუცილებელია, რომ ა) ქვეპუნქტს მოსდევდეს ბ) ქვეპუნქტი და სარჩევის ერთი ქვედონე, სულ მცირე, ორი ნევრით იყოს წარმოდგენილი. თუ, მაგალითად, რომელიმე მხარის მოთხოვნას მხოლოდ ერთი (მოთხოვნის) საფუძველი შეესატყვისება, არასწორი იქნება ამ მოთხოვნის საფუძვლის ცალკე გამოყოფა:

### *1. არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა*

#### *1. სკ-ის 992-ე, 413 | მუხლი*

ამ შემთხვევაში მოთხოვნა და მისი საფუძველი ერთ ქვესათაურში უნდა გაერთიანდეს:

#### *1. არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე, 413 | მუხლის მიხედვით*

## *ე) კაზუსის ამოხსნა*

კაზუსის ამოხსნით იწყება საშინაო დავალების მთავარი ნაწილი. გვერდების ნუმერაცია ამ შემთხვევაში არაბული ციფრებით უნდა მოხდეს. თუ ავტორი გადაწყვეტს გამოტოვოს ამოხსნის ტექსტში კანონის შემოკლებული დასახელება (სსკ, ზაკ და ა. შ.), აუცილებელია ამ კანონის მუხლის პირველივე ციტირებისას სქოლიოში მიეთითოს, თუ რომელი კანონის ნორმებს განეკუთვნება ამ ფორმით ციტირებული დანაწესები. თუმცა, საბოლოო ჯამში, კანონის შემოკლებული დასახელების გამოტოვების გადაწყვეტილება არასამეცნიერო შთაბეჭდილებას ტოვებს, მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს აღრევას ციტირებული კანონის ნორმებს შორის და სასურველია თუ ავტორი მას თავს აარიდებს.

სქოლიოების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ კაზუსის ამოხსნის ტექსტში. ამოხსნის ტექსტი თავებისა და ქვეთავების მეშვეობით მაქსიმალურად უნდა დანაწევრდეს (რამდენადაც შესაძლებელია თავებისა და ქვეთავების მეშვეობით, თუმცა შდრ. ზემოთ), რაც პირველ რიგში კორექტორისათვის უფრო მარტივად აღქმადს ხდის ტექსტს, თუმცა გამოადგება ასევე თავად ავტორსაც ტექსტში ცვლილებების განხორციელებისას. ამგვარად, საშინაო დავალების ფარგლებში ორ გვერდზე მეტი მოცულობის დაუნაწევრებელი ტექსტი არასასურველია.

ამოხსნის ტექსტის შედგენისას აუცილებელია წინასწარ მოცემული ფორმალური კრიტერიუმების დაცვა. ტიპოგრაფიული მოთხოვნები (რომელიც, ჩვეულებრივ, მოცემულია საშინაო დავალების კაზუსის ტექსტთან ერთად) როგორცაა გვერდითი ველის სიდიდე, აბზაცებსა და ველებს

შორის დაშორება, შრიფტის ზომა და სახეობა და ა. შ., გამონაკლისის გარეშე უნდა იქნეს დაცული. კორექტორი არ ამონებს მხოლოდ ერთ საშინაო დავალებას, ამიტომაც ნებისმიერი ტიპოგრაფიული მოდიფიკაცია მისთვის მართივად შესამჩნევია და აისახება ხოლმე შეფასებაზე.

ავტორი არ უნდა გასცდეს წინასწარ განსაზღვრული გვერდების მაქსიმალურ დასაშვებ რაოდენობას, თუმცა შევსებული გვერდების რაოდენობა ბევრადაც არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ამ მაქსიმალურად დასაშვებს. ჩვეულებრივ, ნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთი ნიშანია შექმნილი ტექსტის შეკვეცის აუცილებლობა და არა პირიქით.

## 2. ციტირების წესები

ყველა ის მოსაზრება, რომელიც არ წარმოადგენს ავტორის ორიგინალურ აზრს ან ზოგადად ცნობილ ინფორმაციას და სხვისგან არის ნასესხები, აუცილებელია იდენტიფიცირდებოდეს ასეთად და თანდართული ჰქონდეს ზუსტი მითითება პირველწყაროზე – სქოლიო, რომელიც ცალსახად უთითებს ბიბლიოგრაფიაში მოხსენიებულ ერთ-ერთ ნაშრომზე და გარდა ამისა, მასში დაკონკრეტებულია სხვისი ნაშრომის გამოყენებული ადგილი (გვერდი, ველი და ა. შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩაითვლება პლაგიატად.<sup>22</sup>

სქოლიოში ცალკე მითითებას არ საჭიროებს კანონის ტექსტში მოყვანილი დებულებები. მაგალითად:

---

<sup>22</sup> იხ. ციტირების წესთან დაკავშირებით დეტალურად § 7.

გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი, სკ-ის 477 I მუხლი.<sup>1</sup>

(სქ. 1: ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 10.09.2017, მუხ. 477 ველი 18)

ის, რომ გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს შეპირებული საგანი, წერია სამოქალაქო კოდექსის სკ-ის 477 I მუხლში და არა კომენტარში.

კაზუსის ამოხსნისას, ზოგადი ხასიათის მითითება იმ წყაროებზე, რომლითაც ავტორი უშუალოდ არ სარგებლობს, თუმცა შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს მოცემული პრობლემით დაინტერესებული მკითხველისათვის, არასწორია და უარყოფითად ფასდება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში ხშირია ამ ტიპის მითითებები – „იხ. დამატებით“, „სხვა არგუმენტებთან დაკავშირებით შდრ.“ და ასე შემდეგ,<sup>23</sup> საშინაო დავალების ფარგლებში ამის გაკეთება დაუშვებელია. ის იურიდიული არგუმენტაცია, რომელიც არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი იმისათვის, რათა ავტორმა ის ამოხსნის ტექსტში გაითვალისწინოს, არ უნდა მიეთითოს არც სქოლიოში.

---

<sup>23</sup> ამ ტიპის მითითებებს განსაკუთრებით უხვად ვხვდებით კომენტარის ტიპის იურიდიულ ლიტერატურაში, რომლის მიზანიცაა იურიდიული ლიტერატურის ფართო სპექტრის მაქსიმალურად კომპაქტურად მოცვა, მაგალითად: „იხ. მოტყუებით დადებული ვარიგებასთან დაკავშირებით ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 376 და შემდგომი; ზოიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ. 81, გვ. 239 და შემდგომი; შედარებით-სამართლებრივი კუთხით მიმოხილვისათვის შდრ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 340-ე და შემდგომი.“

ავტორი მაქსიმალურად უნდა ერიდოს ე. წ. „შეადარე“- მითითებებს („შდრ. ...“). ამ მითითებებს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მკითხველისათვის ღიად ტოვებს საკითხს, ამყარებს თუ უარყოფს სქოლიოში მითითებული ლიტერატურა ავტორის ზემოთ მოყვანილ პოზიციას. საშინაო დავალების კაზუსის ამოხსნისას ამგვარი ორაზროვნება ყოველად დაუშვებელია; თუ ავტორი იყენებს სხვის არგუმენტებს, მაშინ ეს არგუმენტები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სქოლიოს მეშვეობით. მხოლოდ ზოგადი კავშირი ავტორის მიერ კაზუსის ამოხსნისას გამოთქმულ მოსაზრებასა და სხვა ავტორის მოსაზრებას შორის არასაკმარისია.

ციტატა, სხვა ავტორის ტექსტიდან უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი, აუცილებელია გამოიყოს დანარჩენი ტექსტისგან ბრჭყალების მეშვეობით. გარდა ამისა, ციტატის მოყვანა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მოსაზრების კონკრეტულ ფორმულირებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. სხვა შემთხვევაში ავტორმა სხვისი აზრიც საკუთარი სიტყვებით უნდა გადმოსცეს.

ზოგადად, ავტორს შეუძლია შეარჩიოს მისთვის პირადად მოსახერხებელი ციტირების წესი, თუმცა აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. ციტირება უნდა იყოს ყოველთვის ერთგვარი. დაუშვებელია გამოყენებული ნაშრომების ავტორების გვარების ხან კურსივად და ხანაც გამუქებულად მითითება.
2. ციტირება უნდა იძლეოდეს წყაროს ცალსახად იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ამიტომაც არასაკმარისია –

*ჭანტურია*, გვ. 44. პირველ რიგში, მოცემულ ავტორს ერთზე მეტი ნაშრომი აქვს გამოცემული და გარდა ამისა, შესაძლებელია იგივე გვარი ჰქონდეს სხვა ავტორსაც, რაც აღრევას გამოიწვევს. გამონაკლისის სახით, ამ ტიპის შემოკლებული ციტირება დასაშვებია, თუ ბიბლიოგრაფიაში მოცემული ავტორის მხოლოდ ერთადერთი ნაშრომია ნარმოდგენილი, თუმცა ამ შემთხვევაშიც არასასურველია, რადგან აიძულებს მკითხველს თითოეული სქოლიო გადაამოწმოს ბიბლიოგრაფიაში და ართულებს ტექსტთან მუშაობის პროცესს. ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია და ზოგ შემთხვევაში სასურველიც კი არის, სქოლიოში ნაშრომის გრძელი სათაურის შემოკლება, მაგალითად:

*ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი, გვ. 44

თუმცა აუცილებელია შესაბამისი მითითების გაკეთება ბიბლიოგრაფიაში:

*ჭანტურია* ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011 (ციტ. *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი).

ამ შემთხვევაში მითითებული სახელმძღვანელო ცალსახად არის იდენტიფიცირებადი ბიბლიოგრაფიაში ჩახედვის გარეშეც და ამასთან მითითება არ იკავებს დიდ ადგილს.

### III. ამოხსნის ტექსტი (შინაარსი)

#### 1. სუბსუმციის მეთოდი

კაზუსის ამოხსნა უნდა მოხდეს სუბსუმციის მეთოდის გამოყენებით. გამსწორებელი ამ შემთხვევაში ელოდება სტუდენტისგან ამ ტექნიკის თავისუფლად ფლობას და მის გამოყენებას კაზუსის ყოველი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისას.<sup>24</sup> მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ცალსახა არ იყოს ის სარგებელი, რაც ამ მეთოდის გამოყენებას მოაქვს. მთელ რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პრობლემა იმდენად ცალსახად ექცევა შესაბამისი სამართლის ნორმის გამოყენების სფეროში, რომ დეტალური სუბსუმცია მხოლოდ ადგილის ზედმეტ ფლანგვას წარმოადგენს და ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ამ დროს დასაშვებია სუბსუმციის სტილზე უარის თქმა ე. წ. გადანყვეტილების სტილის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სუბსუმცია იძლევა კაზუსის ფაქტობრივი მოცემულობის სამართლებრივი კატეგორიებისათვის ნათლად და ამომწურავად მისადაგების, სწორ

---

<sup>24</sup> იხ. სუბსუმციის მეთოდთან დაკავშირებით: *ჩაჩანიძე*, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალიტები, მე-4 და მომდევნო გვერდები; *ჭენჭელი*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, 48-ე და მომდევნო გვერდები; *მაისურაძე/დარჯანია/პაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), 21-ე და მომდევნო გვერდი; *დეალიძე/თუმანიშვილი/გვენეტაძე*, კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში, 61-ე და მომდევნო გვერდები; *ბერეკაშვილი/თოდუა/ჩაჩავა/ძლიერიშვილი*, კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სამოქალაქო სამართალში, მე-20 და მომდევნო გვერდები; *Canaris/Larenz, Methodenlehre der Rechtswissenschaft (Studienausgabe)*, 91-ე მომდევნო გვერდები; *Valerius, Einführung in den Gutachtenstil*.

გადანყვეტამდე მიმავალი გზის ნაბიჯ-ნაბიჯ გამოკვეთი-  
სა და ამავდროულად შეცდომებისათვის გვერდის ავლის  
შესაძლებლობას. კაზუსის მთავარი პრობლემა შესაძლე-  
ბელია სწორედ იქ იყოს ჩამალული, სადაც სტუდენტი ყვე-  
ლაზე ნაკლებ ელოდება მას და ფაქტობრივ მოცემულობას  
ბანალური და ყველასათვის კარგად ცნობილი პრობლემის  
კიდევ ერთ ვარიანტად აღიქვამს, რომელიც ორი წინადა-  
დებით შეიძლება გადმოიცეს და ამოიწეროს. ამ ტიპის შე-  
ცდომისაგან არავინაა დაზღვეული და მისი თავიდან აცი-  
ლება მხოლოდ, იურიდიულ კატეგორიებთან მისადაგების  
მიზნით, კაზუსის ფაბულის მაქსიმალურად დანაწევრე-  
ბით შეიძლება. ეს პრინციპი ძალაშია როგორც საგამოც-  
დო, ისე საშინაო დავალების კაზუსის ამოხსნის შემთხვე-  
ვაში და მხოლოდ გამონაკლისის სახით არის დასაშვები  
გადანყვეტილების სტილზე გადასვლა კაზუსის ამოხსნის  
იმ ნაწილში, რომელიც ცალსახად არაპრობლემურია. ამ  
დროს, არაპრობლემური ნაწილის მოკლედ დამუშავებით  
სტუდენტი აჩვენებს, რომ აქვს პრობლემური ნაწილის ზუ-  
სტი ხედვა და იტოვებს დროსა და ადგილს ამ პრობლემე-  
ბისათვის. თუმცა შემოკლება არ უნდა მოხდეს იქ, სადაც  
გამსწორებელი ელოდება კამათის გაშლასა და კონკრე-  
ტულ საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის  
გადმოცემას.

## **2. კამათის გაშლა**

საშინაო დავალების ბირთვის წარმოადგენს კაზუსში მოცე-  
მულ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებული კა-  
მათის გაშლა. ამის გაკეთება სასურველია შემდეგი თანმი-  
მდევრობით:



1. კაზუსის იმ მთავარი პრობლემების წარმოჩენა, რომელთა გარშემოც სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა გა-  
მეფებული.

2. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პო-  
ზიციის გადმოცემა და მასთან დაკავშირებული არგუ-  
მენტების მოყვანა. სასურველია არგუმენტების ნაწი-  
ლი მაინც იყოს საკუთარი.

3. ფაბულის სუბსუმცია მოცემული მოსაზრების ქვეშ.

4. მე-2 და მე-3 პუნქტის გამეორება ყოველი მომდევ-  
ნო პრობლემის შემთხვევაში.

5. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განსხვავებუ-  
ლი მოსაზრებები განსხვავებულ შედეგამდე მიდიან,  
არგუმენტების შეპირისპირება და ყველაზე დამაჯე-  
რებლის გაზიარება საკუთარი პოზიციის ჩამოყალი-  
ბებისას. აქ გადამწყვეტია კამათის დამაჯერებლად  
გადანწყვეტა და არა არგუმენტების რაოდენობა.

დასაშვებია ზემოთ მოყვანილი ნაბიჯების შემოკლება, თუ  
განსხვავებული მოსაზრებები კონკრეტულ შემთხვევაში  
ერთი და იმავე შედეგამდე მიდიან. თუ ეს ზოგადად ცნო-  
ბილ ფაქტს წარმოადგენს (რაც აბსოლუტურ გამონაკლი-  
სს შემთხვევებშია სახეზე), საკმარისია მასზე მოკლე მი-  
თითება, იმ აღნიშვნით, რომ ამ კამათს კაზუსის ამოხსნი-  
სათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

კამათის გადამწყვეტისას მითითება „გაბატონებულ“ ან „ა-  
რაგაბატონებულ“ მოსაზრებაზე ვერ ჩაანაცვლებს მათ გა-

მამყარებელ არგუმენტებს შორის ანონ-დანონვისა და კამათის რეალურად გადანყვეტის აუცილებლობას. თუ ავტორი მხოლოდ გაბატონებულ მოსაზრებაზე მითითებით იზიარებს ამ პოზიციას, ან უარყოფს არაგაბატონებულს, მისი მხოლოდ ამგვარი ხასიათის გამო, მკითხველს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ ფლობს რეალურ არგუმენტებს ერთი ან მეორე მოსაზრების გასამყარებლად ან გასაქარწყლებლად.

#### IV. მუშაობის ტექნიკა

##### 1. კაზუსის ამოხსნა, როგორც საშინაო დავალების პირველი მონახაზი

როგორც დასაწყისში იქნა აღნიშნული, საშინაო დავალება წარმოადგენს გრძელ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი, კაზუსის ამოხსნას, რომლის შემთხვევაშიც, მართალია, დამატებით აუცილებელია მისი შესრულებისას აკადემიური ნაშრომისათვის წაყენებული მოთხოვნების დაცვა, თუმცა სასურველია სტუდენტმა დასაწყისისათვის ეს მოთხოვნები გვერდზე გადადოს და შეეცადოს ამოხსნას კაზუსი, როგორც საგამოცდო კაზუსი – სცადოს საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს დასმულ ამოცანას  $2/3$  საათიანი დამოუკიდებელი სამუშაოს ფარგლებში და მხოლოდ ამის შემდეგ აიღოს ხელში სახელმძღვანელო ან კომენტარი.<sup>25</sup> ამ დამოუკიდებელი სამუშაოს ფარგლებში სტუდენტი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს კაზუსის ყველა დიდი თუ მცირე

---

<sup>25</sup> Möllers, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 66; *Hadding*, *JuS* 1977, 241; *Zuck*, *JuS* 1990, 905.

პრობლემის ამოცნობას და მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად დამუშავებას. თუმცა ამგვარ მიდგომას აქვს თავისი დადებითი მხარეები:

- სტუდენტი იძულებულია კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე გაისივრძეგანოს კაზუსის შინაარსი და არ მიენდოს მისი გადაკითხვისას ინერციით გამოყოფილ ცოდნას;
- იძულებულია სანყის სტადიაზევე შეადგინოს სტრუქტურა. ეს ანიჭებს კაზუსის ამოხსნას მის პირველ კონტურებს და სახავს გეგმას პირველი კვირისთვის;
- არ შედის დეტალებში და არ ეფლობა თავიდანვე სტატიების კითხვაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იცის, თუ რას ეძებს ზუსტად;
- დამოუკიდებლად წყვეტს პრობლემებს და ამცირებს საფრთხეს დროზე ადრე გაიზიაროს გაბატონებული მოსაზრება და მოექცეს მისი გავლენის ქვეშ;<sup>26</sup>
- სტუდენტი თავიდან იცილებს მდგომარეობას, როდესაც მთელი დროის განმავლობაში მხოლოდ ლიტერატურას აგროვებს და მიაჩნია, რომ ბოლო ორ დღეში შეძლებს საშინაო დავალების შესრულებას.<sup>27</sup>

ამ პირველი მონახაზის ფარგლებში მისი ზემოთ მოყვანილი დადებითი მხარეების რეალიზებისათვის აუცილებელია, რომ სტუდენტის მიერ მოყვანილი მოსაზრებები არ ატარებდეს მხოლოდ მონიშვნით ხასიათს, იყოს შესაბამისი სტრუქტურის მქონე და დანაწევრებული. სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პირველ მონახაზში აპრიორი ვერ იქნება დაფიქსირებული მთელი რიგი პრობლემები. ის

---

<sup>26</sup> Stein, Die rechtswissenschaftliche Arbeit, 102.

<sup>27</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 66.

წარმოადგენს ამოხსნის მხოლოდ საწყის ვერსიას, რომელიც შესაძლებელია სრულებითაც არ დაემთხვეს საბოლოოს, ამიტომაც სტუდენტი მზად უნდა იყოს შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტა, თუ ეს საჭირო გახდება და არ შეეცადოს მის გამყარებას ნებისმიერ ფასად.<sup>28</sup>

## 2. ლიტერატურის მოძიება<sup>29</sup>

ჩვეულებრივ, ბიბლიოთეკაში ზუსტად ის წიგნი არ დევს თავის ადგილას, რომელიც სტუდენტს კონკრეტულ მომენტში ესაჭიროება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასზე მეტ სტუდენტს ერთი და იმავე დავალება აქვს მიცემული და ერთი და იმავე მეორადი წყაროები სჭირდებათ. ამიტომაც, აუცილებელია სტუდენტმა მაქსიმალურად სწრაფად (როგორც კი ზემოთ ხსენებულ მონახაზს გააკეთებს) მიაკითხოს ბიბლიოთეკას და გადაიღოს ქსეროასლები. თუმცა დახვავებული ქსეროასლები არ ფასდება და არ წარმოადგენს საშინაო დავალების დამოუკიდებელ ნაწილს.<sup>30</sup> სტუდენტმა ამ ეტაპზე თავი არ უნდა მოიტყუოს და არ უნდა ირწმუნოს, რომ ნახევარი სამუშაო უკვე შესრულებულია. უმჯობესია თითოეული ახლად მოპოვებული წყარო დაუყოვნებლივ აქციოს დავალების ტექსტის ნაწილად. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება შესამჩნევი წინსვლა და

---

<sup>28</sup> Möllers, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 67.

<sup>29</sup> ლიტერატურის შეგროვება-გაცხრილვასთან დაკავშირებით იხ. სახელმძღვანელოს მომდევნო თავში.

თავიდან აირიდებს კონკრეტული წყაროს მივიწყება-გამორჩენის საფრთხეს.

### **3. ჩაბარების სტადია**

საშინაო დავალების ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ სტუდენტს რჩება მისი ჩაბარება, როგორც ამ დავალების ფინალური ეტაპი, რომელიც შეიძლება რამდენიმე სტადიად დაიყოს. პირველ რიგში, აუცილებელია შესრულებული ნაშრომის გულდასმით და რამდენჯერმე წაკითხვა. მას შემდეგ რაც ავტორი მორჩება საკუთარი ნაშრომის ორთოგრაფიულად და სტილისტურად გასწორებას, სასურველია, თუ მას იმავე მიზნით ორ ამხანაგს გადააკითხებს, რომელთაგანაც ერთი იურისტი არ იქნება. გარდა ამისა, აუცილებელია ნაშრომის ფორმალური მხარისა და წინასწარმოცემულ ინსტრუქციასთან მისი შესაბამისობის გადამოწმება.

ყველა ამ სამუშაოს ბოლო წუთამდე გადადება არ ღირს, გამომდინარე იქიდან, რომ ამ უკანასკნელ მომენტში წარმოშობილმა გაუთვალისწინებელმა პრობლემამ შეიძლება საერთოდ წყალში ჩაყაროს მთელი წინარე სამუშაო.

## საშინაო დავალება სამოქალაქო სამართალში

იურიდიული ფაკულტეტის  
კერძო სამართლის მიმართულების  
მაგისტრატურის მე-2 კურსის  
მე-3 სემესტრის სტუდენტი  
გიორგი მგელაძე

[g.mgeladze@gmgeladze.com](mailto:g.mgeladze@gmgeladze.com)

გუდამაყრის ქ. 4, 0198 თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

### მე-2 საშინაო დავალება

აკადემიური წერის ფარგლებში  
კერძო სამართლის მიმართულებით

2017 წლის შემოდგომის სემესტრი

ასისტ. პროფესორი გიორგი მელაშვილი

თბილისი, 16.10.2017

## კაზუსი: „ავთო (მატყუარა) სინალაგმა და ნადირობის ტრფიალი გოგი<sup>31</sup>“

ავთო სინალაგმა (ა. ს.), რომელსაც რაც თავი ახსოვს მეორადი მანქანებით ვაჭრობდა, მიყიდის გოგის (გ) მეორად BMW 316i (10.10.2012). მანქანის, რომელიც გარეგნულად საკმაოდ კარგად გამოიყურება, დათვალიერების შემდეგ გოგის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ხომ არ ახასიათებს მას რაიმე ნაკლი, ავთო ჩვეულებისამებრ პასუხობს, რომ „ასეთი შესანიშნავი მანქანა მას ჯერ არ ჰყოლია“ და ის „რამა უნდა, სრულებით უნაკლოა“. სინამდვილეში ავთომაც მხოლოდ ორი დღის წინ შეიძინა ეს მანქანა და მისი ასავალ-დასავლის შესახებ არაფერი იცის. გოგი ამის შემდეგ იყიდის მანქანას 6000 ლარად. ხელშეკრულების ფორმულარში მიუთითებენ: „წინა მესაკუთრის განცხადების თანახმად, უნაკლო“.

2013 წლის თებერვალში კი, ნადირობის სეზონის გახსნასთან ერთად, გოგი თავისი ახალნაყიდი მანქანით გაემართება სანადიროდ. დანიშნულების ადგილზე მისასვლელად საკმაოდ ციცაბო გორაკზე ასვლისას, რომელზეც, წესით, მსუბუქი მანქანით არ უნდა ავიდეს კაცი, თუმცა გოგი, როგორც გამოცდილი მძღოლი, თავისი ყოფილი მანქანითაც (ფოლკსვაგენ გოლფი) ყოველთვის წარმატებულად ძვრებოდა ხოლმე, ნახევარზე ასული, ჩამოსრიალდება და

---

<sup>31</sup> ძირითადად შედგენილია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (BGH NJW 2006, 2839) საფუძველზე.

მანქანის უკანა ნაწილს მთლიანად გამოანგრევს, რისი გაკეთებაც 3000 ლარი ჯდება და რასაც გოგი მალევე მიივიწყებს.

მხოლოდ 2015 წლის აპრილში ხელოსნის მიერ მანქანის დათვალიერებისას გაირკვევა, რომ ის თავის ყოფილ პატრონს არა ერთხელ, არამედ, სულ მცირე, სამჯერ გადაუტრიალდა და კორპუსი საფუძვლიანად მონჯლრეულია. მიუხედავად ამისა, გოგი მიიჩნევს რა, რომ ნასყიდობის დადებიდან სამი წლის თავზე მას ავთოს მიმართ ყველა უფლება დაკარგული აქვს და არ იწუხებს თავს მასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2016 წლის იანვარში დიდთოვლობის გამო ოთხი კვირით ყაზბეგში, მონადირის ქოხში, სრულებით მოწყვეტილი აღმოჩნდება გარე სამყაროსაგან. თუმცა 2016 წლის აპრილში მას უცხოეთიდან ჩამოსული მეგობარი ისე, სხვათა შორის, მოუყვება, თუ როგორ აგებინა პასუხის ელექტრომადულარის მატყუარა გამყიდველს ნასყიდობის დადებიდან ოთხი წლის გასვლის შემდეგ, რაც გოგის იმავეს გაკეთების სურვილს აღუძრავს. სხვადასხვა ფორუმების გადაქექვის შემდეგ მივა იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია ჯერ ყველაფერი დაკარგული არ იყოს. უკავშირდება ავთოს და აუწყებს მანქანის ნაავარიებობის შესახებ. ავთო შეიცხადებს. ის მზად არის გამოცვალოს მანქანა იმავე მონაცემების მქონე მეორადი მანქანით, თუმცა ეს უკანასკნელი ხასხასა ყვითელი ფერისაა და უფრო მეტი აქვს განარბენი. გოგის არც ერთი მოსწონს და არც მეორე, რის გამოც მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდება.

საბოლოოდ 2016 წლის ივნისში გოგი მანქანის ნაკლოვანების მოტივით ხელშეკრულებას მოშლილად მიიჩნევს და



უკან ითხოვს ნასყიდობის ფასს, ხოლო ავთო კი მიიჩნევს, რომ მას სანადიროდ წასვლამდე უნდა ეფიქრა მოთხოვნების წაყენების შესახებ. იმ შემთხვევაში კი, თუ მას მაინც მოუწევს მანქანის უკან წაღება, ის ითხოვს 3000 ლარს ზიანის ანაზღაურების სახით, და 1000 ლარს, როგორც მანქანიდან მიღებული სარგებლის კომპენსაციას.

## ბიბლიოგრაფია

- ბაჩიაშვილი ვ.* დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 159
- კიკოშვილი ს.* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა (2008), 3
- კროპჭოლერი ი.* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: დარჯანია თ./ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი 2014
- რუსიაშვილი ვ./  
ევნატაშვილი დ.* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2017
- ჭანტურია ლ.  
(რედ.)* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი 2017
- ჭანტურია ლ./  
ახვლედიანი  
ზ./ზოიძე ბ./  
ჯორბენაძე ს.  
(რედ.)* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2001

*ჭანტურია ლ.* (რედ.) სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016

*ჭანტურია ლ.* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011

*ხუბუა გ./*  
*თოთლაძე ლ.* განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი 2012

*ჯორბენაძე ს.* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი № 1/2011, 189

Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, BGB, Band 2: Schuldrecht - Allgemeiner Teil, Band III §§ 241-432, Partnerschaftsgesellschaftsgesetz, Produkthaftungsgesetz, 7. Aufl., München 2016 (ციტ. MüKo/ავტორი).

*Staudinger J. v.* Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: Staudinger BGB - Buch 2: Recht der Schuldverhältnisse §§ 346-361 (Rücktritt und Widerruf), 15. Aufl., Berlin 2012 (ციტ. Staudinger/ავტორი).

## სარჩევი

კაზუსის ამოხსნა: .....	49
I. ნაწილი: გ-ს მოთხოვნები.....	49
1. კონდიქციური მოთხოვნა.....	49
1.1. რაიმეს მოპოვება.....	49
1.2. შესრულებით .....	50
1.3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე .....	50
1.3.1. შეცილება .....	50
ა. შეცილების გაცხადება .....	50
ბ. შეცილების საფუძველი.....	52
აა. შეცდომა თვისებაში .....	52
ბბ. მოტყუება .....	53
1. მცდარი წარმოდგენის შექმნა.....	55
2. მოტყუების განზრახვა.....	56
3. მიზეზ-შედეგობრიობა .....	57
4. შეცილების ვადა.....	58
1.3.2. შუალედური შედეგი.....	61
შედეგი:.....	61
2. გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციული მოთხოვნა.....	61
2.1. გასვლის გაცხადება .....	61
2.2. გასვლის საფუძველი.....	62
2.3. ვალდებულების დარღვევა .....	62
2.4. ვადის დათქმა .....	63
2.4.1. ნაკლის გამოსწორების შეუძლებლობა .....	63
2.4.2. ნაკლოვანის უნაკლოთი ჩანაცვლება.....	64
2.5. გასვლის გამორიცხვა.....	66
2.6. გასვლის არანამდვილობა .....	66
შედეგი:.....	68
II. ნაწილი: ა. ს.-ს მოთხოვნები.....	68
1. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მო- თხოვნა.....	68
1.1. რესტიტუციული ურთიერთობა .....	69
1.2. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 352 II გ) მუხლის მიხედვით .....	69

1.3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გა- მორიცხვა სკ-ის 352 IV გ) მუხლის მიხედვით.....	70
2. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მო- თხოვნა.....	72
2.1. მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა.....	72
2.2. სკ-ის 394 I მუხლის წინაპირობები.....	74
3. გასვლიდან წარმოშობილი სარგებლის ანაზღაურების მოთ- ხოვნა.....	75
3.1. რესტიტუციული ურთიერთობა.....	75
3.2. სკ-ის 352 I, II ა) მუხლის წინაპირობები.....	76
3.3. გამომრიცხავი საფუძვლის არარსებობა.....	76
შედეგი:.....	76

## კაზუსის ამოხსნა:

### I. ნაწილი: გ-ს მოთხოვნები

#### 1. კონდიქციური მოთხოვნა

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ნასყიდობის ფასის, 5 000 ლარის, უკან მოთხოვნის უფლება სკ-ის 976 I ა) მუხლის მიხედვით.

*მართალია, კაზუსის ამოხსნისას ის უნდა დავეინყოთ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებების შემონახვით,<sup>32</sup> თუმცა, თუ შეცილების გაცხადებას ეხება საქმე, მაშინ სკ-ის 59 II და 976 I ა) მუხლებიდან გამომდინარე უკუქცევითი ეფექტის გამო, სწორედ კონდიქციური მოთხოვნა მონშდება პირველ ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში – გასვლის გასვლის წინაპირობებისა და შედეგების შემონახვა შეიძლება ამაო გამხდარიყო, თუ სახეზე გვექნებოდა ნამდვილი შეცილება, რომელიც დადების მომენტიდან გააქარწყლებდა ხელშეკრულებას.*

#### 1.1. რაიმეს მოპოვება

ა. ს.-ს უნდა მოეპოვებინა რაიმე სკ-ის 976 I მუხლის გაგებით. რაიმეს ქვეშ ამ დანაწესის მიხედვით იგულისხმება

---

<sup>32</sup> რუსიაშვილი/ევნათაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 12-ე და შემდგომი გვერდები.

ნებისმიერი სარგებლის მომტანი სამართლებრივი სიკეთე<sup>33</sup>. მოცემულ შემთხვევაში ა. ს.-მ მოიპოვა საკუთრება და მფლობელობა 6 000 ლარზე.

## *1.2. შესრულებით*

ა.ს-ს ფულზე საკუთრება და მფლობელობა უნდა მოეპოვებინა გ-ს შესრულებით. შესრულება არის სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსება<sup>34</sup>.

## *1.3. სამართლებრივის საფუძვლის გარეშე*

საკითხავია, მოხდა თუ არა შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სამართლებრივი საფუძველი აქ შეიძლება ყოფილიყო ა. ს.-სა და გ-ს შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობა.

### *1.3.1. შეცილება*

#### *ა. შეცილების გაცხადება*

თუმცა დადებული ნასყიდობა შეიძლება არანამდვილი გამხდარიყო *ex tunc*-მოქმედებით გ-ს შეცილების შედეგად, სკ-ის 59 II მუხლი. შეცილების გაცხადება არის ცალმხრი-

---

<sup>33</sup> *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 91.

<sup>34</sup> *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 91.

ვი, მიღებასავალდებულო ნების გაცხადება, რომლის განმარტებაც უნდა მოხდეს მიმღების ჰორიზონტიდან (სკ-ის 52-ე მუხლი). შეცილების ნების გამოხატვის დასაშვებად სულაც არ არის აუცილებელი სიტყვა „შეცილების“ გამოყენება; საკმარისია, თუ მიმღებს შეუძლია შეიცნოს, რომ მეორე მხარეს აღარ სურს ხელშეკრულების ნამდვილობა<sup>35</sup>. მოცემულ შემთხვევაში გ-ს განცხადება, რომ არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება, იმის გამო, რომ ა. ს.-მ მას დაუმალა მანქანის კორპუსის დაზიანების ფაქტი.

საკითხავია, ხომ არ უნდა გავიგოთ ა-ს ნების გამოხატვა, უპირატესად, როგორც გასვლის და არა შეცილების გაცხადება. გამომდინარე იქიდან, რომ აქ გ-ს ხელთ ჰქონდა ორივე „გარდაქმნითი უფლების“ (როგორც გასვლის, ისე შეცილების) გამოყენების შესაძლებლობა, მისი განცხადების რეალურად ნასურვები მნიშვნელობა უნდა დადგინდეს განმარტების მეშვეობით. ამ შემთხვევაში გ-ს ნების განმარტება, როგორც გასვლის გაცხადებისა, ერთის მხრივ, მომგებიანია, რადგან მას ამ შემთხვევაში არ უწევს ზიანის ანაზღაურება სკ-ის 79 II 1 მუხლის მიხედვით, განსხვავებით, შეცდომის საფუძველზე გაცხადებული შეცილებისაგან. თუმცა ამის საპირწონედ გასვლის განმცხადებელი ვალდებულია ასევე თავის მხრივ უკან დააბრუნოს მიღებული სკ-ის 352-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, მოტყუების (და არა შეცდომის) საბაზით შეცილებისას მას ზიანის ანაზღაურება არ ეკისრება, ხოლო თუ მიღებული მასთან განადგურდა არ ეკისრება არც ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება (მათ შორის,

---

<sup>35</sup> BGH NJW 1984, 230.



არც სალდოს თეორიის მიხედვით<sup>36</sup>). მოცემულ შემთხვევაში კი ყველაზე სავარაუდოა ნაავარიებობის გაუმჟღავნებლობის, ანუ მოტყუების,<sup>37</sup> საბაბით შეცილების უფლება, რის გამოც გ-სათვის უფრო მომგებიანია, თუ მისი ნების გამოხატვას, როგორც შეცილების გაცხადებას ისე განემარტავთ.

### *ბ. შეცილების საფუძველი*

ნამდვილი შეცილებისათვის აუცილებელია შეცილების საფუძველის არსებობა.

### *აა. შეცდომა თვისებაში*

მოცემულ შემთხვევაში შეცილების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს შეცდომა თვისებაში სკ-ის 74 II მუხლის მიხედვით, ანუ ისეთ თვისებასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში, გავლენას

---

<sup>36</sup> *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 162.

<sup>37</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის დამკვიდრებული კონკრეტული ტერმინი ამ ვალდებულების აღსანიშნავად (*ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 378: „შეტყობინების ვალდებულება“; *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18: „გამხელის ვალდებულება“; *კროპჭოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, § 123 ველი 4: განმარტების ვალდებულება“), თუმცა კანონის ტექსტთან ყველაზე ახლოს (82 1 2) „გამჟღავნების ვალდებულება“ დგას, რისი დამკვიდრებაც სასურველი იქნება სამომავლოდ, *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 14.

ახდენს ფასზე. თუმცა შეცილების უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს ნივთის ნაკლიდან წარმოშობილ მყიდველის მეორად მოთხოვნებთან კონკურენციისას. თუ შეცილების უფლება კონკურირებს მყიდველის მეორად მოთხოვნებთან, მყიდველმა პირდაპირ შეცილების უფლების გამოყენებით არ უნდა წაართვას გამყიდველს ჯეროვანი შესრულების მეორე შანსი (სკ-ის 490 I მუხლი) და ვერ უნდა მოახერხოს ხელშეკრულებიდან თავის დახსნა დაუყოვნებლივ და გვერდი არ აუაროს ნაკლიდან წარმოშობილი მოთხოვნების სამწლიან ხანდაზმულობის ვადას.<sup>38</sup> აქიდან გამომდინარე, თვისებაში შეცდომის მოტივით შეცილების გამოყენება გამორიცხულია.

### *ბბ. მოტყუება*

თუმცა შეცდომის საფუძვლით შეცილების გარდა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხულია, უნდა განვიხილოთ შეცილება მოტყუების საფუძვლით სკ-ის 81 I, II მუხლის მიხედვით.

მოტყუებაზე დაფუძნებული შეცილება, განსხვავებით შეცდომის გამო შეცილებისგან, შეიძლება კონკურირებდეს ასევე ნაკლოვანი შესრულებით გამონვეულ პასუხისმგებლობასთან.<sup>39</sup> მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს გარიგების დადებისას განზრახ უმაღლავს ნივთის ნაკლს, ამ უკანასკნელს აქვს, როგორც მოტყუების გამო შეცილების უფლება, ასევე ნასყიდობიდან წარმომდგარი მეორადი

---

<sup>38</sup> *დარჯანია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 74 ველი 20.

<sup>39</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 27.

მოთხოვნები (სკ-ის 490-ე და შემდგომი მუხლები).<sup>40</sup> გამყიდველი, რომელიც იტყუება, არ იმსახურებს იმას, რომ პასუხი აგოს პრივილეგირებულად, მხოლოდ ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის მიხედვით და შეინარჩუნოს, მაგალითად, შესრულების „მეორე შანსი“.<sup>41</sup>

*ხელშეკრულების დარღვევიდან წარმომდგარი მეორადი მოთხოვნების წაყენება არ ითვლება არც შეცილებაზე უარის თქმად და არც საცილო გარიგების დადასტურებად (სკ-ის 61 III მუხლი). ამიტომაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>42</sup> მოყვანილი მსჯელობა, რომლის მიხედვითაც წინააღმდეგობრივია შეცილებასთან ერთად ხელშეკრულების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა, არასწორია. აქ არაფერი წინააღმდეგობრივი არ არის, მოტყუების საფუძველზე შეცილება კონკურირებს ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან და შესაძლებელია ორივე მოთხოვნის გაერთიანება ალტერნატიული სასარჩელო მოთხოვნის სახით ერთ სარჩელშიც, მაგალითად იმგვარად, რომ თუ სასამართლო გარიგებას ბათილად არ ცნობს მოტყუების საბაბით (იმიტომ რომ არ დგინდება მომტყუებლის განზრახვა გარიგების დადებისას), მაშინ მოსარჩელე აცხადებს გასვლას ნაკლოვანი შესრულების საბაბით.*

---

<sup>40</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 380.

<sup>41</sup> *დარჯანია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 74 ველი 20.

<sup>42</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის № 2ბ/4219-15 გადაწყვეტილება.

თუმცა საპირისპირო შემთხვევაში, შეცილების გაცხადების შემდეგ, რომელიც *ex tunc*-მოქმედებით აქარწყლებს გარიგებას, მოტყუებული, რა თქმა უნდა, ველარ წარადგენს თავის მეორად მოთხოვნებს.<sup>43</sup>

### 1. მცდარი წარმოდგენის შექმნა

მოტყუება შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ორივე მიზნად უნდა ისახავდეს მეორე მხარისათვის მცდარი წარმოდგენის შექმნას, მის გამყარებას, ან უკვე შექმნილი წარმოდგენის უბრალოდ არ გაქარწყლებას და ამასთან მოტყუება უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ და არა მხოლოდ შეფასებით მტკიცებას<sup>44</sup>.

მოცემულ შემთხვევაში ა. ს.-მ დაუდასტურა გ-ს, რომ მანქანა იყო არანაავარიები და თითქმის სრულებით ახალი, მიუხედავად იმისა, რომ ის მნიშვნელოვნად დაზიანდა წინა მფლობელთან. ამგვარად, სახეზე გვაქვს ობიექტურად მცდარი წარმოდგენის შექმნა ა. ს.-ს მხრიდან. თუმცა ეს პირად საუბარში გაცხადებული თავდაპირველი ცნობა ა. ს.-მ ნაწილობრივ შეარბილა ნასყიდობის ფორმულარში, მიუთითა რა, რომ მანქანის ნაავარიებობა გამორიცხული იყო მხოლოდ წინა მფლობელის (ანუ მისი) სუბიექტური მოსაზრების თანახმად. თუმცა ასევე ფორმულარის მეშ-

---

<sup>43</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccg.ge](http://gccg.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 28.

<sup>44</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17, 18; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccg.ge](http://gccg.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 7.

ვეობით დადებული გარიგებების განმარტება უნდა მოხდეს სკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით, რის გამოც, სტანდარტული ფორმულირება არ აუფასურებს ხელშეკრულების დადებამდე მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობას და არ გამოორიცხავს მასზე მითითების შესაძლებლობას<sup>45</sup>.

## 2. მოტყუების განზრახვა

მოტყუების ობიექტური შემადგენლობის გარდა, სკ-ის 81-ე მუხლის წინაპირობების სუბიექტურ დონეზე შესრულებისათვის აუცილებელია მომტყუებლის შეგნებული გადაწყვეტილება, ე. წ. „მოტყუების განზრახვა“<sup>46</sup>. მომტყუებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ მის მიერ მიწოდებული მცდარი ცნობით, ან სწორი ცნობის დამალვით, კონტრაქტს უქმნის არასწორ წარმოდგენას, ან ამყარებს უკვე შექმნილ წარმოდგენას და სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მეორე მხარის ნების გამოხატვას<sup>47</sup>. გარდა ამისა, აუცილებელია ამ არასწორ წარმოდგენასა და გარიგების დადებას შორის კაუზალური ბმის გაცნობიერება, რაც იკითხება ფორმულირებიდან – „გარიგების დადების მიზნით მოტყუება“.

დუმილით მოტყუებისას აუცილებელია, რომ პირმა, რომელსაც ეკისრება გამჟღავნების ვალდებულება იცოდეს, ან,

---

<sup>45</sup> BGH NJW 2006, 2839.

<sup>46</sup> ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი N1/2011, 193, 199; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის № ას-193-180-2015 განჩინება; კროპჭოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 123 ველი 6.

<sup>47</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 81 ველი 18.

სულ მცირე, უშვებდეს, რომ მეორე მხარე მის მიერ დაფარული გარემოებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს<sup>48</sup>. აქ გამყიდველმა არა მხოლოდ დაფარა მანქანის ნაკლი დუმილით, არამედ დაუფარავად განაცხადა, რომ მანქანა არ იყო ნაავარიები. მიუხედავად ამისა, მას შეიძლება მიანც არ შეერაცხებოდეს მოტყუების განზრახვა, რადგან მან თავადაც არ იცოდა ამ ნაკლის შესახებ. თუმცა მოტყუებისათვის საკმარისია, თუ მომტყუებელი, რომელიც აცნობიერებს, რომ მის მიერ მიწოდებული ცნობა შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს, მაინც „ჰაერში ისვრის სიტყვებს“<sup>49</sup>. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ა. ს.-მ არ იცოდა, რომ მანქანა ნაავარიები იყო, თუმცა მაინც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე და გადაჭრით უმტკიცებდა მეორე მხარეს სანინალმდეგოს.

### **3. მიზეზ-შედეგობრიობა**

იმისათვის, რათა მოტყუებულ მხარეს ჰქონდეს სკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება, აუცილებელია, რომ მოტყუება გახდეს გარიგების დადების გადამწყვეტი მოტივი<sup>50</sup>, ანუ აშკარა იყოს, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა<sup>51</sup>. დუმილით

---

<sup>48</sup> BGH NJW-RR 1996, 690.

<sup>49</sup> BGH NJW 2006, 2839.

<sup>50</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 12, 18; *კროპჭოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 123 ველი 5.

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის № ას-1134-1080-2014 განჩინება; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 10.

მოტყუების შემთხვევაში საკმარისია ჰიპოთეტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – ინფორმაციის მინოდების შემთხვევაში მოტყუებული თავს შეიკავებდა გარიგების დადებისაგან – რადგან, განსხვავებით აქტიური ქმედებით მოტყუებისაგან დუმილით მოტყუებისას ყოველთვის აბსოლუტური სიზუსტით ვერ დამტკიცდება, ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში მოტყუებულის მხრიდან გარიგების არდადების ფაქტი<sup>52</sup>.

მოცემულ შემთხვევაში საკმაოდ ცალსახაა, რომ გ არ იყიდდა ნაავარიებ მანქანას. მიზეზ-შედეგობრიობა შექმნილ მცდარ წარმოდგენასა და გარიგების დადებას შორის სახეზეა.

#### **4. შეცილების ვადა**

მიღებასავალდებულო ნების გამოხატვისას მოტყუებულს შეცილების უფლების გამოყენება შეუძლია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც უნდა შეეტყო თავისი ამ უფლების შესახებ. ამგვარად, ამ ვადის დინება იწყება მოტყუებულის მიერ შეცდომისა და იმ გარემოების აღმოჩენის შემდეგ, რომ ეს შეცდომა მეორე მხარის ტყუილით იყო განპირობებული. დანანესი მოითხოვს პოზიტიურ ცოდნას, რასაც გაუფრთხილებლობით არცოდნას ვერ გავუთანაბრებთ. საკმარისი არ არის არც უბრალო ეჭვი მეორე მხარის ტყუილთან დაკავშირებით, ისევე როგორც მხოლოდ ნივთის ნაკლის შესახებ ცოდნა; აუცილებელია, მოტყუების ფაქტის გაცნობიერება, თუმცა, თავის მხრივ,

---

<sup>52</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 13.

არ არის აუცილებელი მისი თითოეული დეტალის ცოდნა<sup>53</sup>.

ამ შემთხვევაში გ-მ მანქანის ნაავარიებობის შესახებ 2015 წლის აპრილში შეიტყო, რასთან ერთადაც მისთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ ა. ს.-მ მას არასწორი ცნობები მიაწოდა და ამგვარად ირიბი განზრახვით მაინც მოატყუა. ის ფაქტი, რომ ნასყიდობის დადებიდან სამი წლის თავზე მას გამყიდველის მიმართ ყველა უფლება დაკარგულად მიაჩნდა, არაფერს არ ცვლის; შეცილების ერთწლიანი ვადის დინება იწყება შეცილების უფლების მომნიჭებელი ფაქტობრივი გარემოებებისა და არა ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი დეტალების გამორკვევის მომენტიდან. ამგვარად, ხსენებული ერთწლიანი ვადა 2016 წლის მაისში ამონურული უნდა იყოს, რაც ამ უფლებას გააქარწყლებდა და 2016 წლის ივნისში მისი გამოყენება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დინება რაიმე მიზეზით იქნებოდა შეჩერებული.

ასეთ მიზეზად შეიძლება გვევლინებოდეს სკ-ის 132 ბ) მუხლით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალა – ვადა ჩერდება, თუ შეცილების გაცხადებას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა. თუმცა ეს დანაწესი პირდაპირ მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ აიგივებს სკ-ის 84-ე მუხლით გათვალისწინებულ

---

<sup>53</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 81 ველი 4.



გამომრიცხავ ვადას ხანდაზმულობის ვადასთან<sup>54</sup>, სინამდვილეში ეს ორი ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავებული ვადაა<sup>55</sup>. განსხვავებით ხანდაზმულობის ვადის გასვლისაგან, გამომრიცხავი ვადის ამონურვა მოთხოვნას არა მხოლოდ განუხორციელებელს ხდის, არამედ სრულებით აქარწყლებს მას, რის გამოც სასამართლომ ეს ვადა უნდა შეამოწმოს, არა მხოლოდ მეორე მხარის შესაგებების საფუძველზე, არამედ საკუთარი ინციატივით. თუმცა გამომრიცხავ ვადაზეც ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ ხანდაზმულობის შესახებ დანაწესები<sup>56</sup>, მათ შორის ასევე სკ-ის 132 ბ) მუხლიც, რომლის თანახმადაც ვადა ჩერდება, თუ შეცილების გაცხადებას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა. დამოუკიდებლად იმისა, წარმოადგენს თუ არა მონადირის ქოხში დიდთოვლობის გამო გამოკეტვა დაუძლეველ ძალას ზემოთ მოყვანილი ნორმის გაგებით, ეს გ-ს მაინც ვერაფერში დაეხმარება, რადგან მან არა სამი კვირა, არამედ მთელი ორი თვე გაუშვა.

2016 წლის ივნისში გაცხადებული შეცილება ამ დროს უკვე მოკლებული იყო შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, რადგან ის უკვე გაქარწყლებული იყო სკ-ის 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის ამონურვის გამო.

---

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 სექტემბრის № ას-886-929-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის № ას-586-551-2010 განჩინება.

<sup>55</sup> *დარჯანია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 79 ველი 20; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 84 ველი 8.

<sup>56</sup> *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი I, მუხ. 84, 245.

**შუალედური შედეგი:** შეცილებებისათვის აუცილებელი ვადის დაუცველობის გამო ნასყიდობა არ არის არანამდვილი სკ-ის 84 I, II მუხლის მიხედვით. ხელშეკრულება რჩება ძალაში.

**შედეგი:** ხელშეკრულების ნამდვილობასთან ერთად სახეზე გვაქვს მიღებული საფასურის შენარჩუნების საფუძველი სკ-ის 976 I ა) მუხლის მიხედვით, რასაც გ კონდიქციით უკან ველარ გამოითხოვს.

## ***2. გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციული მოთხოვნა-***

გ-ს შეიძლება ჰქონდეს ა. ს.-ს მიმართ ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 491 I, 405 II ა), I, 352 I მუხლების მიხედვით. ამისათვის გ-სა და ა. ს.-ს შორის უნდა დადებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მოთხოვნის უფლების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლა.

### ***2.1. გასვლის გაცხადება***

ამისათვის აუცილებელია გასვლის გაცხადება (სკ-ის 355-ე მუხლი). შეცილების გაცხადების მსგავსად გასვლაც წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოხატვას, რომლის განმარტებაც უნდა მოხდეს სკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით. გ-მ ცალსახად ნათელიყო, რომ აღარ სურდა გარიგების ნამდვილობა. იქიდან გამომდინარე კი, რომ ნასყიდობის გაქარწყლება შეცილების მეშვეობით

ვერ მოხერხდა, გ-ს ნების გამოხატვა უნდა გავიგოთ როგორც გასვლის გაცხადება.

## *2.2. გასვლის საფუძველი*

ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აუცილებელია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს სკ-ის 405 I მუხლიდან.

## *2.3. ვალდებულების დარღვევა*

გასვლის პირველ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევა. ა. ს.-ს მიერ გადაცემული ნასყიდობის საგანი რისკის გადასვლის მომენტში (სკ-ის 482-ე მუხლი) არ არის შეთანხმებული თვისების მქონე სკ-ის 488-ე მუხლის შესაბამისად. ვალდებულების დარღვევა სახეზეა. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები შეთანხმებული თვისების არარსებობა სკ-ის 488 I მუხლის მიხედვით. ა. ს.-მ და გ-მ ნასყიდობის ფარგლებში შეათანხმეს, რომ მანქანა იქნებოდა უნაკლო მდგომარეობაში და თითქმის ახალი. გამომდინარე იქიდან, რომ მიყიდული მანქანა სინამდვილეში ნაავარიებია, მას არ ახასიათებს შეთანხმებული თვისებები. ნივთობრივი ნაკლი სკ-ის 488 I მუხლის გაგებით სახეზეა. გ-ს თავისი ვადამოსული ვალდებულება დროულად არ შეუსრულებია.

## *2.4. ვადის დათქმა*

გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს დამატებითი შესრულებისათვის ვადის დანიშვნა (სკ-ის 405 I მუხლი). მართალია, გ 2016 წლის აპრილში დაუკავშირდა ა. ს.-ს და აუნყა მანქანის ნაკლის შესახებ, თუმცა ამ დროს მას ცალსახად და გადაჭრით არ მოუთხოვია მისგან უნაკლო შესრულება, რის გამოც დამატებითი შესრულებისათვის ვადის დაწესება ამ მომენტში ჯერ კიდევ არ გვაქვს სახეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვადის დათქმა არ გვაქვს სახეზე, ის შეიძლება არც იყოს სავალდებულო. მართალია, სკ-ის 405 II ბ)-გ) მუხლის აქ არ გამოგვადგება, თუმცა ვადის დაწესება შეიძლება სკ-ის 405 II ა) მუხლის მიხედვით იყოს არასავალდებულო. მოცემული დანაწესი გამსვლელ მხარეს ათავისუფლებს ვადის დაწესების ვალდებულებისაგან, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება. თუ დამატებითი შესრულება – იქნება ეს ნაკლის გამოსწორება, თუ უნაკლო ნივთის მიწოდება (სკ-ის 490 I მუხლი) – უკვე საერთოდ შეუძლებელია, მაშინ მას ვერც ვადის დაწესება გახდის შესაძლებლად, რაც მის აუცილებლობას აქარწყლებს.

### *2.4.1. ნაკლის გამოსწორების შეუძლებლობა*

ნაკლის („ნაავარიები“) გამოსწორება შეუძლებელია, რის გამოც სკ-ის 490 I მუხლით გათვალისწინებული დამატებითი შესრულების ეს ფორმა იმთავითვე გამოირიცხა.

#### 2.4.2. ნაკლოვანის უნაკლოთი ჩანაცვლება

ინდივიდუალური ნივთის შეცვლა დამატებითი შესრულების ფარგლებში, როგორც წესი, შეუძლებელია. იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება აბსოლუტურად გაბატონებულად გვევლინება<sup>57</sup>. მართალია, მის გასამყარებლად არ გამოგვადგება სკ-ის 381-382-ე მუხლები<sup>58</sup>, რადგან სკ-ის 381-ე მუხლი მხოლოდ გამორიცხავს კრედიტორის დავალდებულების შესაძლებლობას, მიიღოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გარდა სხვა ნივთი და მის მიზანს არ წარმოადგენს მყიდველისათვის ერთი ნაკლოვანი მეორადი ნივთის მაგივრად იმავე მონაცემების მქონე სხვა ნივთის მიღების შანსის წართმევა. ამის გამო, ეს დანაწესი ავტომატურად კი არ აქარნყლებს დამატებითი შესრულების ფარგლებში ნივთის ჩანაცვლების მოთხოვნას, როდესაც მეორად ნივთს ეხება საქმე, არამედ მხოლოდ კრედიტორის შესაბამისი შესაგებლის საფუძველზე. თუმცა მთავარი არგუმენტი მეორადი ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ თავად სკ-ის 490 I მუხლიდან გამომდინარეობს, რომელიც ამ ჩანაცვლების შესაძლებლობას მხოლოდ გვაროვნული ნივთის შემთხვევაში უშვებს<sup>59</sup>.

---

<sup>57</sup> ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 170; ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 490 ველი 18.

<sup>58</sup> როგორც ამაზე ჩაჩავა (სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 490 ველი 18) მიუთითებს.

<sup>59</sup> ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 170.

მიუხედავად კანონის ცალსახა ფორმულირებისა, მაინც არის შესაძლებელი განვიხილოთ ამ დანაწესის ტელეოლოგიური დავინროვება. კერძოდ ნორმის მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ მყიდველის ინტერესების დაცვა – თუ მას ინტერესი ჰქონდა კონკრეტული ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიმართ, არ უნდა მოვთხოვოთ მის სანაცვლოდ მსგავსი ნივთის მიღება, თუმცა ის არ საჭიროებს ამ დაცვას, თუ მას ამგვარი ინტერესი არ ჰქონია. გარდა ამისა, დანაწესი ემსახურება ასევე გამყიდველის დაცვას, რომელსაც შესაძლებელია გაყიდული ნივთი მხოლოდ ერთი ცალი ჰქონდა და მსგავსის შოვნა მისთვის შეუძლებელი სირთულეებთან არის დაკავშირებული (თუ საერთოდ შესაძლებელია). თუ კონკრეტულ შემთხვევაში არც მყიდველი არ საჭიროებს დაცვას და არც გამყიდველისათვის არ წარმოადგენს პრობლემას იმავე მონაცემების ნივთის შოვნა, ტელეოლოგიურად უნდა დავავინროვოთ სკის 490-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების სფერო იმგვარად, რომ დამატებითი შესრულების ფარგლებში ნაკლოვანი ნივთის უნაკლოთი ჩანაცვლების მოთხოვნა გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი<sup>60</sup>.

თუმცა დამატებითი შესრულების ფარგლებში ინდივიდუალური ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობის ზოგადად დაშვებით, არ არის გადანყვეტილი მისი რეალური დასაშვებობა კონკრეტულ შემთხვევაში. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტელეოლოგიური დავინროვება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე მხარის, როგორც

---

<sup>60</sup> შდრ. გერმანულ სამართალში ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით BGH NJW 2006, 2839; ROTH, NJW 2006, 2953.

მყიდველის, ისე გამყიდველის ინტერესებს ეხმიანება. თუ ერთ-ერთი მხარე ზიანდება დამატებითი შესრულების მოთხოვნის ამ სავალდებულო ბარიერის აღმართვით, მაშინ ეს დავინროება გამოირიცხვება. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. ა. ს.-ს შეუძლია გ-ს შესთავაზოს მხოლოდ მისთვის უსიამოვნო ფერის მანქანა და ისიც გაცილებით მაღალი განარბენით. ერთიც და მეორეც გ-სათვის მიუღებელია, რის გამოც აქ ჩანაცვლების შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.

ამგვარად, როგორც ნაკლის გამოსწორება, ისე დამატებითი შესრულება შეუძლებელია, რის გამოც 405 II ა) მუხლის მიხედვით ვადის დაწესება ზედმეტია.

## *2.5. გასვლის გამორიცხვა*

გასვლის გამომრიცხავი გარემოებები (მაგ. 405 III ა)-ბ) პუნქტების შესაბამისად) არ არის სახეზე, რადგან არც ნაკლია არაარსებითი და არც მყიდველი არ არის მხოლოდ ან უმთავრესად პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს.

## *2.6. გასვლის არანამდვილობა*

გასვლის გაცხადება უნდა ყოფილიყო ნამდვილი. ამ ნამდვილობას შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ის ფაქტი, რომ სამ წელზე მეტია გასული ნაკლის აღმოჩენის მომენტიდან. გ-მ ნაკლი აღმოაჩინა 2013 წლის თებერვალში, ხოლო გასვლა მხოლოდ 2016 წლის მარტში განაცხადა.

ნასყიდობიდან წარმოშობილ მეორად მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის ზოგადი წესები (სკ-ის 128-ე და შემდგომი მუხლები). სკ-ის 129 I მუხლის მიხედვით, სახელმეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, რომელიც იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სკ-ის 130-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მყიდველის მიერ ნაკლის შესახებ შეტყობიდან სამ წელზე მეტია გასული.

თუმცა საკითხავია, შეიძლება თუ არა გასვლის უფლება გახდეს ხანდაზმული. სკ-ის 128 I მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობას ექვემდებარება მხოლოდ მოთხოვნები (სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება). ამის საპირისპიროდ, გასვლა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებას, არამედ წარმოადგენს ე. წ. გარდაქმნით უფლებას – უფლებას, რომლის გამოყენების შემდეგაც სამართლებრივი მდგომარეობა ცალმხრივი ნების გამოხატვით ავტომატურად იცვლება. ნამდვილი გასვლა ხელმეკრულებას გარდაქმნის რესტიტუციულ ურთიერთობად.<sup>61</sup> გარდაქმნით უფლებაზე მოთხოვნის უფლების მიმართ მოქმედ დანაწესს პირდაპირ ვერ გავავრცელებთ. მიუხედავად ამისა, დაუშვებელია, რომ ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველს ნაკლის აღმოჩენიდან ნებისმიერი დროის გასვლის შემდეგაც ჰქონდეს ხელმეკრულებაზე უარის თქმის უფლება. გასვლის უფლების გამოყენება შე-

---

<sup>61</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 23/2845-12 გადაწყვეტილება; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 4.



საძლებელი უნდა იყოს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, ზუსტად ისე, როგორც ეს სახელშეკრულებო პირველადი თუ მეორადი უფლებების შემთხვევაში ხდება. ამისათვის ყველაზე მიზანშეწონილი ჩანს, რომ 145-ე მუხლი, რომელიც მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას ასევე დამატებით მოთხოვნაზეც ავრცელებს, გამოვიყენოთ ანალოგიით გასვლის უფლებაზეც, მიუხედავად იმისა, რომ ის საერთოდ არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში გ-ს მიერ ნაკლის შესახებ შეტყობიდან მხოლოდ წელიწადნახევარია გასული და მისი გაცხადება ჯერ კიდევ დროულია.

**შედეგი:** გ-ს აქვს ა. ს.-ს მიმართ ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება 491 I, 405 II ა), I, 352 I მუხლების მიხედვით მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ (სკ-ის 354-ე მუხლი).

## II. ნაწილი: ა. ს.-ს მოთხოვნები

### *1. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა*

ა. ს.-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ ამ უკანასკნელის მიერ მანქანის დაზიანების შედეგად მისი შემცირებული ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 3000 ლარის ოდენობით 352 II გ) მუხლის მიხედვით.

### *1.1. რესტიტუციული ურთიერთობა*

ა. ს.-სა და გ-ს შორის, როგორც ზემოთ ვახსენეთ სახეზეა რესტიტუციული ურთიერთობა. რის საფუძველზეც გ ვალდებულია დააბრუნოს ნაყიდი მანქანა.

### *1.2. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 352 II გ) მუხლის მიხედვით*

რადგან 352 II მუხლის ა)-ბ) ქვეპუნქტებში მოცემული შემთხვევა ცალსახად არ გვაქვს სახეზე, ა. ს. შეიძლება ჰქონდეს მანქანის შემცირებული ღირებულებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მხოლოდ 352 II გ) მუხლის მიხედვით. ეს დანაწესი რესტიტუციის მოვალეს აკისრებს, ნივთის გაფუჭების ან დაღუპვის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურების ბრალისაგან დამოუკიდებელ<sup>62</sup> ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში მანქანის უკანა ნაწილის მონგრევა, რომლის გაკეთებაც 3000 ლარი ღირს, შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი სუბსტანციისა და ფუნქციურობის მხოლოდ ნაწილობრივ დაზიანებად, რის გამოც ის გაფუჭებულად (და არა განადგურებულად) ითვლება<sup>63</sup>. გარდა ამისა აუცილებელია, რომ გაფუჭება არ წარმოადგენდეს სათანადო გამოყენებით გამონვეული ცვეთის შედეგს (სკ-ის 352 II გ) 2. ვარ. მუხლი). თუმცა ეს გამომრიც-

---

<sup>62</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 13.

<sup>63</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 13.

ხავი გარემოება ეხება მხოლოდ საგნის დანიშნულებისა-  
მებრ გამოყენებისას შემცირებულ ღირებულებას, რაც  
კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.

### *1.3. ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლე- ბის გამორიცხვა 352 IV გ) მუხლის მიხედვით*

თუმცა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-  
ბა შეიძლება გამორიცხული იყოს 352 IV გ) მუხლის მიხე-  
დვით, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფ-  
ლების შემთხვევაში<sup>64</sup> საგნის გაფუჭებას ან განადგურებას  
ადგილი ჰქონდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმი-  
სა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც  
იგი ჩვეულებრივ იჩენს საკუთარ საქმეებში (*diligentia  
quam in suis*)<sup>65</sup>. ამ შემთხვევაში 395 I მუხლით გათვალის-  
წინებული პასუხისმგებლობის მასშტაბისაგან განსხვავე-  
ბით მოქმედებს არა ობიექტური, არამედ მოვალის ჩვეუ-  
ლებრივი ქცევის სუბიექტური მასშტაბი. რესტიტუციის  
მოვალე, თუ ისეთივე უგულისყურობით ექცევა დასაბრუ-  
ნებელ ნივთს, როგორც თავის სხვა ნივთებს და ეს ნივთი  
მასთან ნადგურდება, თავისუფლდება ღირებულების ანა-  
ზღაურების ვალდებულებისაგან. თუმცა დაუშვებელია  
რესტიტუციის მოვალის პრივილეგირება განზრახვისა და

---

<sup>64</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge),  
10.09.2016, მუხ. 352 ველი 22, 25.

<sup>65</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge),  
10.09.2016, მუხ. 352 ველი 22.

უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში<sup>66</sup>. როდესაც მოვალე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ანადგურებს საკუთარ ნივთებს, მას მაინც ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარად განადგურებული ნივთისათვის, თუ ეს ნივთი უნდა დაებრუნებინა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. უხეში გაუფრთხილებლობა სახეზე გვაქვს, როდესაც პირი არღვევს ან უგულებელყოფს მითითებას, რომელსაც მოცემულ სიტუაციაში ნებისმიერი სხვა სავალდებულოდ მიიჩნევდა<sup>67</sup>. ამ შემთხვევაშიც არ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ობიექტური მასშტაბი, არამედ გასათვალისწინებელია ასევე სუბიექტური, მოქმედი პირის პიროვნული მახასიათებლებით განპირობებული, გარემოებები.

გოგი შეეცადა მსუბუქი ავტომანქანით ასულიყო გორაკზე, რომლიც საკმაოდ ციცაბო იყო და რასაც წინდახედული მძღოლი არ გააკეთებდა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს გოგისათვის გზის ჩვეული მონაკვეთი იყო, რომელიც მას არაერთხელ გადაულახავს წარმატებით სხვა, მსგავსი ავტომანქანით, მასზე ვრცელდება 352 IV გ) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პრივილეგირებული მასშტაბი. ამასთან, მიუხედავად წინდახედულობის ნორმების გარკვეული, არაუმნიშვნელო, ხარისხით დარღვევისა მას ბრალად მაინც ვერ შეეარაცხება უხეში გაუფრთხილებლობა. გოგი თავისუფლდება გაფუჭებული

---

<sup>66</sup> შდრ. ამ გერმანული სამართლიდან მოპოვებულ არგუმენტთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 22.

<sup>67</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის № 23/1882-14 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის № ას-237-223-2010 განჩინება; განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, S. V. ბრალეულობა, [http://library.court.ge/gil/index.php?term\\_id=183](http://library.court.ge/gil/index.php?term_id=183) (24.09.2016).

საგნის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

**შედეგი:** ა. ს.-ს არ აქვს მანქანის დაზიანების შედეგად შემცირებული ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 352 II გ) მუხლის მიხედვით.

## ***2. გასვლიდან წარმოშობილი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა***

ა. ს. შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მანქანის გაფუჭების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 3000 ლარის ოდენობით 352 V, 394 I მუხლების მიხედვით.

### ***2.1. მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა***

ზოგადად მიიჩნევა, რომ რესტიტუციის ურთიერთობის მოვალემ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უნდა დააბრუნოს ნივთი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი გამოყენების შემთხვევაში. დაბრუნების შეუძლებლობისა და დაყოვნების, ასევე გაუარესებულ მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების დარღვევა<sup>68</sup>.

ჩვეულებრივ, გასვლიდან წარმოშობილი ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა 352 V, 394 I მუხლების მიხედ-

---

<sup>68</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 352 ველი 27.

ვით გამოიყენება ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის (352 II გ) მუხლის) გვერდით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია ის ფაქტი, რომ გ-მ მანქანა გასვლის გაცხადებამდე დააზიანა. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა გასვლის გაცხადებამდე, ანუ რესტიტუციული ურთიერთობის წარმოშობამდე, ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დაზიანება.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად ამგვარი შესაძლებლობა, რესტიტუციული ვალდებულების წინმსწრებად დაზიანებისა, უკუგდებულია იმ არგუმენტით, რომ თავად რესტიტუციული ვალდებულება გასვლის გაცხადების შემდეგ წარმოიშობა<sup>69</sup>. გარდა ამისა, ეს იქნებოდა გვერდის ავლა ზიანისა და ღირებულების ანაზღაურებებს შორის დიქოტომიისა<sup>70</sup>.

თუმცა მოცემულ მოსაზრებას შეიძლება შევავებოთ კონტრარგუმენტი, რომ რესტიტუციული ურთიერთობიდან წარმომდგარი ვალდებულების დარღვევა სახეზეა ყოველთვის, როდესაც უკან დაბრუნების ვალდებულება არ სრულდება<sup>71</sup>. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ნივთი რესტიტუციის მოვალესთან გასვლის გაცხადებამდე განადგურდა. ანუ შესაძლებელია, ნივთის განადგურება ხელშეკრულებიდან გასვლამდე, გასვლის შემდეგ დაკვალიფიცირდეს ვალდებულების დარღვევად, რის გამოც მოვალემ

---

<sup>69</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 30.

<sup>70</sup> *Staudinger/Kaiser*, § 346 Rn. 194.

<sup>71</sup> *MüKo/Gaier*, BGB, § 346, Rn. 60.

უნდა აანაზღაუროს ზიანი<sup>72</sup>. პარალელი შეიძლება გაიგოს ზოგადი ვალდებულებითი სამართლის სხვა ინსტიტუტებთან — ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაც, რომელიც ხელშეკრულების დადებამდეა წარმოშობილი, ხელშეკრულების დადების შემდეგ ითვლება ვალდებულების დარღვევად<sup>73</sup>.

## 2.2. 394 I მუხლის წინაპირობები

352 V მუხლი უთითებს 394 I მუხლზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემული უნდა იყოს ასევე ამ დანაწესის წინაპირობები.

ვალდებულებითი ურთიერთობა რესტიტუციული ურთიერთობის სახით და მისი დარღვევა ნაკლოვანი შესრულებით სახეზეა, რადგან გ-ს ა. ს.-სათვის მხოლოდ დაზიანებული მანქანის უკან დაბრუნება შეუძლია. სკ-ის 352 V მუხლი 394-ე მუხლზე მითითებით ვალდებულების დარღვევის გარდა ზიანის ანაზღაურების წინაპირობად აყენებს მოვალის ბრალს. ისევე როგორც სკ-ის 394 I მუხლით პასუხისგებისას, ამ შემთხვევაშიც ეს ბრალი ივარაუდება<sup>74</sup>.

საკითხავია, მოახერხებს თუ არა გ ამ ვარაუდის გაქარწყლებას. ჩვეულებრივ, მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სკ-ის 395 I მუხლი),

---

<sup>72</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 30.

<sup>73</sup> MüKof/Gaier, § 346, Rn. 61.

<sup>74</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 352 ველი 27.

თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ რესტიტუციულ ურთიერთობას ეხება საქმე, შესაძლებელია პასუხისმგებლობის მასშტაბის მოდიფიცირება. გ-მ მანქანის დაზიანებისას არ იცოდა მისთვის გასვლის უფლების მომნიჭებელი გარემოების არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში კი რესტიტუციის მოვალეს შეუძლია ივარაუდოს, რომ მიღებული საგანი მისი ქონების ნაწილი ხდება, რაც მას ათავისუფლებს საგნის მოვლის ვალდებულებისაგან კრედიტორის მიმართ<sup>75</sup>.

გ-ს არ შეეარაცხება ბრალი, რაც გამორიცხავს მისი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას 394 I მუხლის მიხედვით.

### ***3. გასვლიდან წარმოშობილი სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა***

ა. ს.-ს შეიძლება ჰქონდეს გ-ს მიმართ მანქანიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა, 352 I, II ა) მუხლის მიხედვით, 1000 ლარის ოდენობით.

#### ***3.1. რესტიტუციული ურთიერთობა***

რესტიტუციული ურთიერთობა, რომლის ძალითაც გ ვალდებულია დააბრუნოს მანქანა, სახეზეა (იხ. ზემოთ).

---

<sup>75</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccs.ge, 10.09.2016, მუხ. 352 ველი 22, 30.



### *3.2. 352 I, II ა) მუხლის წინაპირობები*

როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, გ-მ მიიღო სარგებელი მანქანის გამოყენებით 1000 ლარის ოდენობით. ამ სარგებლის დაბრუნება ნატურით, მისი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია; გ ვერ დააბრუნებს მანქანით გარბენილ კილომეტრებს. ამგვარად, გ-მ უნდა აანაზღაუროს მანქანით სარგებლობის ღირებულება 352 I, II ა) მუხლის მიხედვით.

### *3.3. გამომრიცხავი საფუძვლის არარსებობა*

მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება სახეზე არ გვაქვს. მაშინ, როდესაც, დამატებითი შესრულების მოთხოვნისას, ამ დამატებითი შესრულების მოვალისათვის ნაკლოვანი ნივთიდან მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის მინიჭება წინააღმდეგობაში მოდის დამატებითი შესრულების უსასყიდლობის პრინციპთან<sup>76</sup>, ეს პრობლემა გასვლის შემთხვევაში არ დგება.

**შედეგი:** ა. ს. აქვს მანქანით სარგებლობის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 1000 ლარის ოდენობით 352 I, II ა) მუხლის მიხედვით.

---

<sup>76</sup> BGH NJW 2006, 3200.

### § 3 სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მუშაობა და მისი ანალიზი

ლიტერატურა: *Ballansat S.*, „Attendu que“ – französische Gerichtsurteile als Herausforderung für den Übersetzer, in: *La Traduction juridique, histoire, théorie(s) et pratique- Actes/Legal Translation, History, Theory/ies and Practice, Proceedings*. Bern, Genève 2000, 713; *შმიტი შ./რიპტერი ჰ.*, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2013 (<http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2015/05/Relatsiis-treningis-masala.pdf>); *ლუთრინგჰაუსი ჰ.*, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია, მოსამართლეთა სემინარი, ბაკურიანი 18-21.10.2007 (<http://www.library.court.ge/upload/6.1.1..pdf>); *ქოქრაშვილი თ. (რედ.)*, რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, თბილისი 2010 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dasabuteba.pdf>); *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2011 (<http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/203341/1/GermaniisFederaluriSakonstitucioSasamartlosgadacyvetilebebi.pdf>); საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები, თბილისი 2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf>); რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითგებზე, თბილისი 2007 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>).

## I. შესავალი

### I. ქართული სასამართლოს გადანყვეტილებები

გამართული მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელი ნაწილია სასამართლოს ყოველი მნიშვნელოვანი (და ხანდახან უმნიშვნელო) გადანყვეტილებების საჯარო სამსჯავროზე გამოტანა. სასამართლოს გადანყვეტილება წარმოადგენს კანონის შემდეგ მთავარ ტექსტს (ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში ზოგადად მთავარ ტექსტს), რომელთანაც (პრაქტიკოსს, თუ თეორეტიკოსს) იურისტს უნევს მუშაობა.

ქართველ იურისტებს არ გაუმართლათ. შინაარსობრივი მხარე დროებით რომ გვერდით გადავდოთ, ქართული სასამართლოს გადანყვეტილებები სტილისტური გაუმართაობისა და ბუნდოვანების მაგალითია. გადანყვეტილება, ჩვეულებრივ, მრავალ გვერდზეა გადაჭიმული, უსაგნოდ გაბერილია და სავსეა აზრობრივი ტავტოლოგიებით, რის გამოც მხოლოდ ფაქტობრივი მხარის რეკონსტრუირება ხანგრძლივ კირკიტს საჭიროებს. უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში სასამართლოს გადანყვეტილებების მკითხველისათვის მარტივად აღქმადი, ადაპტირებული ფორმით გამოქვეყნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია, იქნება ეს პერიოდული ჟურნალები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, თუ უშუალოდ გადანყვეტილებების კრებულები. პირველ რიგში, ეს არის სასამართლოს გადანყვეტილებების შემოკლებული ფორმით გადმოცემა ე. წ. *ბრიფი*, რომელიც უხვად ქვეყნდება ყველა მეტ-ნაკლებად პრესტიჟულ იურიდიულ ჟურნალებში. ამ მხრივ თავად გე-

რმანული ტრადიციაც კი ვერ მივა ახლოს ანგლო-ამერიკულთან, სადაც, სამართლის პრეცედენტული ხასიათიდან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკის ვრცელი ციტირება თითოეული სახელმძღვანელოს მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს.

თუმცა არა მხოლოდ ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახში, არამედ კონტინენტურევროპულ მართლწესრიგებშიც კი შესაძლებელია, რომ, მთელ რიგ შემთხვევებში, კონკრეტული გადაწყვეტილების ცოდნა ცალკეული ნორმის ცოდნაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს. კანონში შეიძლება ეწეროს ერთი, ხოლო სასამართლო პრაქტიკა მიდიოდეს სულ სხვა მიმართულებით. მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად საკმაოდ დაშორებულია სამოქალაქო კოდექსის ტექსტის სიტყვასიტყვით გაგებას. სამოსამართლო პრაქტიკის ცოდნის გარეშე ფრანგი იურისტი უბრალოდ უუნარო იქნება გააკეთოს რაიმე მეტ-ნაკლებად გამართული სამართლებრივი პროგნოზი. საფრანგეთში თავად კანონის ტექსტებსაც სასამართლო პრაქტიკიდან თანდართული ამონარიდებით გამოსცემენ.

ამ ფონზე ქართული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მოკრძალებულად და არამიმზიდველად გამოიყურება. ხშირად ოცდაათ გვერდიან გადაწყვეტილებაში ოც გვერდზე მეორდება ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, რომელიც გარდა იმისა, რომ რთულად თუ შეიძლება შეიკრას ერთიანი ფაბულის სახით, ამ გაუგებარი და არაფრისმომცემი ტექსტის დაუსრულებელ გამეორებას წარმოადგენს. სინამდვილეში მკითხველისათვის საქმის ფაქტობრივი მხარის ერთიანი და დასრულებული ფაბულის

სახით მიწოდება სასამართლოს ვალდებულებაა. დაუსრულებელი გამეორება იმისა, თუ რა გარემოებები მიიჩნია წინა ინსტანციის სასამართლომ დადგენილად და რა არა, რაზე აპელირებდა მოპასუხე პირველი ინსტანციის წინაშე, როდესაც საქმე უკვე უზენაესის გადაწყვეტილებას ეხება, სრულებით ზედმეტია. რაც შეეხება არსებით სამართლებრივ მსჯელობას, მთავრი პრობლემატიკა აქ, ჩვეულებრივ, ორ აზრს წარმოადგენს: ხოლმე ჩატეული, რაც სრულებით არადაამაკმაყოფილებელია (ხანდახან უბრალოდ არასწორი) და ესეც დაუსრულებლად მეორდება ზედა და ქვედა ინსტანციების ტექსტებში.

მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს ქართულ პრაქტიკაში გადაწყვეტილებისათვის *სახელმძღვანელო წინადადების* (ასევე: *ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადება/პრინციპი*) არწმინდვარება. ამ სახელმძღვანელო წინადადებაში თავმოყრილი უნდა იყოს ყველა ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რითიც იხელმძღვანელა სასამართლომ და წარმოადგენს პირველ დახმარებასა და ორიენტირს მკითხველისათვის მთლიანი ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. მის გარეშე, მკითხველი იძულებულია ძებნის სხვადასხვა მეთოდებისა და გადაწყვეტილების მთლიანი ტექსტის გადაფურცვლა-გადმოფურცვლის მეშვეობით სცადოს ტექსტიდან ამ სამართლებრივი მომენტების გამოცხრილვა, რაც თითქმის არასოდეს იძლევა სასურველ შედეგს. მაგალითად, თუ მკითხველს სურს გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ქართული სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, გადაწყვეტილებების საძებნი სისტემები ამასთან დაკავშირებით დაახლოებით 500 ან, შეიძლება, 1000 გადაწყვეტი-

ლებასაც კი „აგდებდეს“, რომელთა გადაკითხვაც კი სრულებით შეუძლებელია და მითუმეტეს შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა ინიციალებისა და უმნიშვნელო სამართლებრივი მომენტების გროვიდან რაიმე სამართლებრივად მნიშვნელოვანის გამოცხრილვა. ეს ყველაფერი გადაუჭრელ ამოცანად აქცევს სამართლის მეცნიერებაში სასამართლო პრაქტიკის მეტნაკლებად სრულ და ამომწურავ ანალიზს, რაც ყოველი განვითარებული მართლწესრიგის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს.

ამ ფონზე კარგი იქნებოდა, თუ ქართველი მოსამართლეები უფრო აქტიურად გაეცნობოდნენ უცხოური სასამართლოების გადანყვეტილებებს არა მხოლოდ შინაარსობრივი კუთხით, არამედ ასევე მეთოდოლოგიურ-სტილისტური პერსპექტივიდანაც შეეცდებოდნენ მათთვის დამახასიათებელი ფორმის ქართულ რეალობაში დამკვიდრებას. მართალია, ამ კონტექსტში სახსენებელია გერმანული მხარის ორგანიზებით შექმნილი რამდენიმე ინსტრუქციული ხასიათის პუბლიკაცია, მაგალითად, „მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“<sup>77</sup> და „სამოქალაქო საქმეზე გადანყვეტილების მიღების მეთოდიკა“<sup>78</sup>, თუმცა მწირია თავად გერმანული (ან სხვა ქვეყნის) სასამართლოს გადანყვეტილებები ქართულ ენაზე<sup>79</sup>, რის გამოც საჭიროდ მივიჩნით თავად ამ ორიგი-

---

<sup>77</sup> *შმიტი/რიპტერი*, მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში.

<sup>78</sup> *ლუთრინგჰაუსი*, სამოქალაქო საქმეზე გადანყვეტილების მიღების მეთოდიკა.

<sup>79</sup> არსებობს მხოლოდ ერთადერთი კრებული, რომელიც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებს ეძღვნება,

ნალი გადაწყვეტილების მოყვანა მოცემულ კონტექსტში.<sup>80</sup> ქვემოთ მოცემული გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს ერთ რიგით შემთხვევას გერმანული ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან, ამავდროულად არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სამართლის შინაარსობრივად საკმაოდ რთული მასალა იქცეს მწყობრად სტრუქტურირებულ და ცხადად აღქმად ტექსტად, მისი 200 გვერდზე განფენის გარეშე.

## II. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება

უმაღლესი ფედერალური სასამართლო

გადაწყვეტილება 14.07.1995, აქტის ნომერი: V ZR 45/94

---

უსაფუძვლო გამდიდრება; დაკავების უფლება; სალდოს თორია

---

*შვაბე*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

<sup>80</sup> იხ. ასევე რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ; საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები; რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე.

<p><b>სასამართლო:</b> უმაღლესი ფედერალური სასამართლო</p> <p><b>თარიღი:</b> 14.07.1995</p> <p><b>აქტის ნომერი:</b> V ZR 45/94</p>	<p><b>სასამართლოს აქტის ორმა:</b> გადაწყვეტილება</p> <p>გამოქვეყნებულია:</p> <p>JurionRS 1995, 15423</p>
--	--

**სამართლებრივი საფუძველი:**

§ 273 ნაწ. 1 გსკ

§ 818 ნაწ. 1 გსკ

§ 988 გსკ

§ 286 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

**გამოქვეყნებულია:**

BB 1995, 2340-2342 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

DB 1995, 2364-2365 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

DNotZ 1996, 972-976

EWiR 1995, 977-978 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით და სქოლიოებით)

JurBüro 1995, 667 (მოკლე ინფორმაცია)

JuS 1996, 169-170



JZ 1996, 151-153 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით და სქოლიოებით)

MDR 1995, 1007-1008 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

NJ 1996, 88-89 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

NJW 1995, 2627-2628 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

WM 1995, 1846-1848 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

ZIP 1995, 1356-1359 (მთლიანი ტექსტი ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადებებით)

### **ოფიციალური სახელმძღვანელო წინადადება:**

1. თუ მფლობელმა მისთვის გადაცემულ ოთახებზე განია დანახარჯები და გააქირავა ის, მაშინ მან, მესაკუთრის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სარგებლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, უნდა ამტკიცოს იმ დანახარჯებით გაზრდილი ღირებულება, რომლებიც უკან აღარ ბრუნდება.

2. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მფლობელობის უფლების დასრულების შემდეგ, ორმხრივად უკან დასაბრუნებელი შესრულებები, სარგებელი და დანახარჯები, უნდა გაიქვითოს სალდოს თეორიის პრინციპის საფუძველზე. ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილ მფლო-

ბელს მესაკუთრის უკან დაბრუნების მოთხოვნის საწინააღმდეგოდ აქვს დაკავების უფლება მხოლოდ მის სასარგებლოდ დარჩენილი სალდოს ოდენობით.

### **ფაქტობრივი გარემოებები:**

მოსარჩელემ დადო მოპასუხესთან (უფრო ზუსტად პირთან, რომლის უფლებამონაცვლესაც წარმოადგენდნენ მოპასუხეები) შინაურული ხელწერილის ფორმით შეთანხმება, რომელიც თარიღდებოდა 1990 წლის 1 ივლისით. ამის შემდეგ მოპასუხემ მიაწა მოსარჩელეს გამოუხმობადი ოფციის უფლება მის საკუთრებაში მყოფი „უძრავი ქონების“ შესაძენად, ვადით – 1990 წლის 30 ივლისამდე. ოფციის უფლების გამოყენების შემთხვევაში ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას განეხორციელებინა ყველა ის მოქმედება, რომელიც აუცილებელი იყო ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულებისათვის. ნასყიდობის ფასის, 3,2 მილიონი მარკის, გადახდის შემდეგ მოსარჩელეს ენიჭებოდა უფლებამოსილება, უძრავი ქონება გაექირავებინა მის მიერ განსაზღვრულ ფასად. მფლობელობის უფლება უნდა გაქარწყლებულიყო, თუ აუცილებელი გახდებოდა ნასყიდობის ფასის უკან დაბრუნება. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან წარმოიშობა საკუთრების გადაცემის შემაფერხებელი გარემოება.

ნასყიდობის ფასი ჯერ კიდევ 1990 წლის 29 ივლისს, ანუ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ძალაში

შესვლამდე, სრულად იქნა გადახდილი. მოსარჩელემ ააგო ნაგებობები და გააქირავა ისინი. მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის წარმოიშვა დავა, თუ ვის ეკუთვნოდა ბინის ქირა, დამქირავებლებმა ქირის დეპონირება განახორციელეს.

- 3** მოსარჩელე ითხოვს დეპონირებული ქირის მისთვის გადაცემას და წარადგინა განცხადება:
- 4** ა) დაეკისროს მოპასუხეებს, გამოთქვან თანხმობა ფირმა T. Ph. GmbH & Co. KG, F. ..., B.-ს მიერ ადვოკატებთან და ნოტარიუსთან F. A. B., B. M., S. M., M. ..., D.-სთან დეპონირებული დაქირავებული შენობების, (რ.-ს ქუჩა, ქალაქ ბ.-ში,) ქირავნობის თანხის მოსარჩელისათვის გადაცემაზე.
- 5** ბ) დაეკისროს მოპასუხეებს, თანხმობა გამოთქვან მოსარჩელისათვის მთლიანი თანხის გადახდაზე, რომელიც მოსარჩელისა და მოპასუხის სასარგებლოდ არის დეპონირებული ესენ-ბორბეკის პირველი ინსტანციის სასამართლოს დეპოზიტზე.
- 6** გ) დაეკისროს მოპასუხეებს, თანხმობა გამოთქვან მოსარჩელისათვის იმ თანხის გადახდაზე, რომელიც მოსარჩელისა და მოპასუხის სასარგებლოდ არის დეპონირებული მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს დეპოზიტზე.
- 7** ორივე წინარე ინსტანციამ სარჩელი დააკმაყოფილა. საკასაციო საჩივარი შეტანილია მოპასუხეთა მიერ, რომლითაც ისინი ასაჩივრებენ მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას. მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაუკმაყოფილებლად დატოვებას.

## სამოტივაციო ნაწილი:

I. სააპელაციო სასამართლოს მიხედვით, მოპასუხე-ებს არ ჰქონდათ მოთხოვნის უფლება დეპონირებულ ქირავნობის თანხასთან დაკავშირებით გსკ-ის 987-ე და შემდგომი პარაგრაფების მიხედვით. დროის იმ მომენტამდე, როდესაც ნასყიდობის ჩაშლა საბოლოოდ დადგინდა, მოსარჩელეს ჰქონდა 1990 წლის 1 ივლისის შეთანხმების საფუძველზე მფლობელობის უფლება, მაშინაც კი, თუ საკუთრების გადაცემის ვალდებულება ფორმის დაუცველობის გამო არანამდვილი იყო. მფლობელობის უფლების დასრულების შემდეგ, მართალია, მოპასუხეებს შეეძლოთ მოეთხოვათ სარგებლის ღირებულების ანაზღაურება, თუმცა ეს არ იყო იდენტური მათ მიერ მოთხოვნილი ქირავნობის თანხისა. ამგვარად, მოპასუხეთა საქმე იყო დაემტკიცებინათ სარგებელი, მოსარჩელის მიერ გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლად, რაც მათ არ გააკეთეს.

საკასაციო სასამართლო ამ მსჯელობას არ იზიარებს. 9

II. 1. სამართლებრივი კუთხით მართებულია, რომ მოპასუხეს შეუძლია დაუპირისპიროს სასარჩელო მოთხოვნას, დეპონირებული თანხის გადაცემასთან დაკავშირებით, სავარაუდო მოთხოვნა მიღებული სარგებლის ანაზღაურებისა. ეს მოთხოვნა, მართალია, არ გამოდგება გასაქვეთად, არაერთგვაროვნების გამო, თუმცა მან შეიძლება საპირისპირო მოთხოვნა წარმოაჩინოს მოთხოვნად, რომელიც ეწინაა-

10

ღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, რადგან დეპონირებული ქირის გადახდის შემდეგ ეს თანხა სხვა საფუძვლით საბოლოოდ პროცესის მეორე მხარეს უნდა დაუბრუნდეს (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est*, BGHZ 110, 30, 33) [BGH 21.12.1989 - X ZR 30/89].

- 11 2. სწორია ასევე, რომ უმაღლესმა სასამართლომ, 1990 წლის 1 ივლისით დათარიღებული ხელშეკრულების ჩაშლიდან მოყოლებული, შესაბამისი ხელშეკრულების არარსებობის გამო, უნდა მიანიჭოს მოპასუხეს, მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობის დანაწესების შესაბამისად, სარგებლის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა. გსკ-ის შესავალი კანონის 232 I პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც ვალდებულებებზე, რომლებიც გაერთიანებამდე წარმოიშვა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალი უნდა გავრცელდეს, არ გამოიყენება, რადგან მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობა, როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა ამ დანაწესის გაგებით, მხოლოდ გაერთიანების შემდეგ წარმოიშვა.
- 12 3. საბოლოო ჯამში, მართებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი, საჭიროებდა თუ არა ხელშეკრულებით მინიჭებული „ოფცია“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლის მიხედვით, ნოტარიალურ დამოწმებას. მფლობელობის ბედი ამაზე არ იყო დამოკიდებული. ღიად შეიძლება დარჩეს, საერთოდ წარმოიშვა თუ არა და რა

შინაარსით (მდრ. სენატის 1962 წლის 28 სექტემბრის V ZR 8/61 გადაწყვეტილება LM BGB § 433 Nr. 16) ოფციის უფლება. თუ ხელშეკრულება იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ უნდა გაკეთებულიყო ნასყიდობის მბოჭავი ოფერტი, ის საჭიროებდა ნოტარიალურ დამონშემას (გსკ-ის 67-ე და 287-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი). მიუხედავად ოფერტის ფორმის დაუცველობის გამო არანამდვილობისა, მოსარჩელეს ექნებოდა მფლობელობის უფლება, თუ ხელშეკრულებით მინიჭებული მფლობელობა სხვა მიზეზების გამო არ იყო არანამდვილი. ეს გამომდინარეობს ხელშეკრულების განმარტებიდან, რომელიც იმ შემთხვევისათვის, თუ ის უკვე არ იქნებოდა გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, სენატმა თავად შეიძლება განახორციელოს, რადგან ამასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების განმარტება უკვე აღარ არის მოსალოდნელი. ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელე უნდა ყოფილიყო უფლებამოსილი, „ნასყიდობის ფასის გადახდისთანავე მთლიანი უძრავი ქონება გაექირავებინა მის მიერ განსაზღვრულ ფასად“. მას ამგვარად მიენიჭა „ფლობის სრული უფლება“. ის მხოლოდ მაშინ უნდა გაქარწყლებულიყო, როდესაც „– ნებისმიერი მიზეზით – მიზნად დასახული ნოტარიალური ხელშეკრულება არ დაიდებოდა“. რადგან ოფციის ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის საბაბით არანამდვილობა წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რომლის გამოც არ დაიდო ნოტარიალური ხელშეკრულება, მხარეებმა წინასწარ გაითვალისწინეს ეს შესაძლებლობა. თუ ამის მიუხედავად

მოსარჩელეს მაინც ენიჭა მფლობელობის „შეუზღუდავი“ უფლება ამ მომენტამდე, დადებულად უნდა ჩაითვალოს თხოვების მსგავსი სარგებლობის ურთიერთობა, რომლის ნამდვილობის წინაპირობა აღარ არის ნოტარიალური ხელშეკრულების დადება. ამით განსხვავდება ეს შემთხვევა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს III სამოქალაქო სენატის 1976 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების ფაქტობრივი შემადგენლობისაგან (III ZR 186/72 , NJW 1976, 31, 34) [BVerfG 09.06.1975 – 1 BvR 2261/73], რომელზეც მიუთითებს კასატორი. იმ შემთხვევაში მფლობელობის უფლება საბოლოოდ მხოლოდ დასახული სარგებლობის ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა წარმოშობილიყო; მფლობელობის წინასწარი მინიჭება ხდება არა [სამომავლო] ხელშეკრულების მოლოდინით, არამედ ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა მის წინაპირობას. ამ შემთხვევაში კი, მფლობელობა მაშინაც კი უნდა გადასულიყო, როდესაც ნასყიდობა – ნებისმიერი მიზეზით – შემდგომში არ შედგებოდა. მოსარჩელეს მფლობელობა და ნივთის შემდგომი გაქირავების უფლებამოსილება ოფციის ხელშეკრულების ფორმის დაუცველობით არანამდვილობის შემთხვევაშიც უნდა მინიჭებოდა და ამგვარად ხელშეკრულების ეს ორი ნაწილი არ ქმნის სამართლებრივ ერთიანობას. მოსარჩელეს მაშინაც კი უნდა შეძლებოდა მიწის ნაკვეთის გამოყენება, როდესაც მისი გადაცემის ვალდებულება ჯერ კიდევ საერთოდ არ იყო ფორმის დაცვით წარმოშობილი. ამგვარი ხელშეკრულება არ საჭიროებდა გსკ-ის შესავალი კანონის 232 I პარაგრაფის მიხედვით დამოწმებას და არ

საჭიროებდა ამას, არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლის მიხედვით (....). საჭიროებდა თუ არა ის მოწონებას, 1977 წლის 15 დეკემბრის (GBI 1978 I, 73) მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ დადგენილების 1990 წლის 28 ივნისის რედაქციით, საეჭვოა, თუმცა შეიძლება ღიად დარჩეს, რადგან მოწონებასავალდებულობა არ წარმოადგენდა აქ მიღწეული შეთანხმების ნამდვილობისათვის ბარიერს, რადგან ის ეხება მერყევად ბათილობას და წინასწარ ვერ შეეხება ნამდვილად ქცეული გარიგებიდან წარმომდგარი ვალდებულებების საბოლოო შესრულებას (Senatsurt. v. 6. Oktober 1978, V ZR 211/77, WM 1979, 74).

სხვა საკითხია, წარმოადგენს თუ არა მფლობელობის თხოვების მსგავსი ურთიერთობის ფარგლებში გადაცემა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკებს შორის სავალუტო, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შექმნის შესახებ 1990 წლის 18 მაისის (GBGI II S. 518) ხელშეკრულების თანახმად, კანონის გვერდის ავლის გამო არანამდვილ გარიგებას. თუ ეს შემთხვევა გვექნებოდა სახეზე, მაშინ მოსარჩელე დროის არც ერთ მომენტში არ იქნებოდა უფლებამოსილი მფლობელი. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ გარემოებაზე, რის გამოც მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება ძალაში დარჩეს.

4. გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილება არასწორია ასევე იმ მიზეზითაც, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანალიზა ფაქტობრივი გარემოებების

13

14



წარმოდგენისა და მტკიცების ტვირთი, მოითხოვა რა მოპასუხისაგან წარმოედგინა, თუ რა ღირებულება ექნებოდა ფართობის შემდგომ გაქირავებას მოსარჩელის მიერ განეული დანახარჯების გამოკლებით. ჩვეულებრივ, მესაკუთრე, როგორც კონდიქციის კრედიტორი, ატარებს მფლობელობიდან მიღებული სარგებლის მტკიცების ტვირთს. სარგებელი წარმოადგენს გამოყენებით მიღებულ უპირატესობას (გსკ-ის მე-100 პარაგრაფი), რომელიც უნდა განისაზღვროს ქირის ობიექტური ღირებულებით. მფლობელის დანახარჯები, რომლებიც ზრდის ღირებულებას არ უნდა გავითვალისწინოთ (სენატის 1991 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, V ZR 160/90, NJW 1992, 892). იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მესაკუთრეს არ ეკუთვნის დანახარჯების შედეგად გაზრდილი ღირებულება, არ გამომდინარეობს, რომ მან უნდა ამტკიცოს მფლობელის მიერ განეული დანახარჯების ოდენობა. ამ დროსაც იგივე პრინციპები უნდა მოქმედებდეს, რაც განვითარებულია კონდიქციის-მიერი უკუქცევისას სალდირების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მტკიცების ტვირთს ის მხარე ატარებს, რომელიც მასზე მიუთითებს (BGH, Urt. v. 25. Oktober 1989, VIII ZR 105/88, BB 1990, 18, 20 m.w.N.). ამის გამო არ არსებობს მიზეზი, მფლობელს, რომელიც ვალდებულია უკან დააბრუნოს ნივთის მოვხსნათ მის მიერ განეული დანახარჯებით გაზრდილი ღირებულების მტკიცების ვალდებულება.

5. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო შეცდა მხარის (მისი მოთხოვნის გამამყარებელი გარემოებების) წარმოდგენის ვალდებულებასთან წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. მხარე ასრულებს თავის წარმოდგენის ვალდებულებას, თუ უთითებს გარემოებებზე, რომლებიც, სამართლის შესაბამის ნორმასთან ურთიერთკავშირში, გამოსადეგი და აუცილებელია, რათა ის მივიჩნიოთ სადავო უფლების მფლობელად. დეტალურობის ის ხარისხი, რაც უნდა ახასიათებდეს ახსნა-განმარტებაში კონკრეტული გარემოებები აღწერილი დამოკიდებულია იმაზე, იძლევა თუ არა მეორე მხარის ახსნა-განმარტება გარემოებათა დანაწევრებისა და შევსების საფუძველს. ამასთან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფი დაზარალებულს უმსუბუქებს მტკიცების ტვირთს (BGH, Urt. v. 15. Februar 1990, III ZR 87/88, BGHR ZPO § 138 Abs. 1 - Darlegungslast 1). სააპელაციო სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მოპასუხებმა სააპელაციო საჩივარში, ცალსახად მათი მხრიდან წარმოდგენისა და მტკიცების საგნად ქცეულ ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით, მიუთითეს პარალელურად მიმდინარე პროცესზე 8 U 2/93, რომლის ფარგლებშიც მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ გაქირავებული ნაგებობებისა და კონსტრუქციების ფართობი შეადგენდა 40.000 კვ. მ.-ს, ხოლო ქირის ფასი იყო 2 მარკა კვ. მ.-ზე. ამას იშველიებდნენ ისინი თავიანთ 1991 წლის 26 ივლისის წინა საპროცესო განცხადებაშიც, როდესაც მათ სამეწარმეო ნაგებობებისა და ობიექტების ქირავნობისა და სარგებლობის

ღირებულების შესახებ 1990 წლის 23 აგვისტოს დადგენილებაზე მიუთითეს.

**16** გარდა ამისა, სააპელაციო ყურადღების მიღმა ტოვებს ქირავნობის ხელშეკრულების მხარის ახსნა-განმარტებით მოცულ შინაარსს, როდესაც მიიჩნევს, რომ ნაგებობების მიღმა დარჩენილი თავისუფალი ტერიტორიით მოსარჩელე არ სარგებლობდა. ამის შემდეგ მოსარჩელემ, უფრო ზუსტად კი, მისმა შვილობილმა კომპანიებმა, ფ. ვ.-მ და შპს ა.-მ, 2.160 კვ. მ. საწყობის ფართობთან ერთად გააქირავეს ასევე 2.500 კვ. მ. თავისუფალი ტერიტორია. გარდა ამისა ასევე გადაამზიდველ ტ.-ს მიაქირავეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში თანდართული ინსტრუქციით წითლად შემოხაზული თავისუფალი ტერიტორია 1992 წლის იანვრიდან კვ. მ. 1,50 გერმანულ მარკად. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რათა ობიექტური ქირის დადგენა მომხდარიყო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. სულ მცირე, აუცილებელი იყო, როგორც ეს საკასაციო საჩივარში იყო მართებულად მითითებული, რომ სააპელაციო სასამართლოს თავად უნდა მიეთითებინა მოპასუხეებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ახსნა-განმარტებას, თითქოს მოსარჩელემ თავის დროზე თვიურად 3.200 გერმანული მარკა და ამჟამად კი 93.000 გერმანული მარკა მიიღო, დაუსაბუთებლად მიიჩნევდა.

**17** 6. გადანყვეტილება ვერც სხვა მიზეზებიდან გამომდინარე ჩაითვლება მართებულად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 563-ე პარაგრაფი). თუ მოსარჩელეს, ხელშეკრულების საბოლოოდ ჩაშლის – სადავო

– მომენტიდან, აღარ ჰქონდა სადავო მფლობელობის უფლება, ის ვალდებული იყო დაებრუნებინა მიღებული სარგებელი, გსკ-ის 990-ე, 987-ე, ან 988-ე, 818 I პარაგრაფების მიხედვით, დაბრუნების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის მომენტიდან (1991 წლის 30 აგვისტოდან), გსკ-ის 987-ე პარაგრაფის მიხედვით. ეს მოთხოვნა არ ქარწყლდება იმის გამო, რომ მოპასუხეს ნასყიდობის ფასი ჯერ არ დაუბრუნებია. მართალია – აქ არ წაყენებული – შესაგებელის (სენატის 1966 წლის 1 ივლისის V ZR 167/65, WM 1966, 1086, 1088 გადაწყვეტილება) ფორმით გაცხადებული დაკავების უფლება, მყარი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მფლობელობის უფლების (სენატის 1966 1 ივლისის V ZR 167/65 იხ. ზემოთ; 1970 წლის 2 ოქტომბრის V ZR 125/68, WM 1970, 1366, 1367; BGHZ 64, 122, 127; გერმანიის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის 25 სექტემბრის VIII ZR 270/84, WM 1985, 1421, 1422 გადაწყვეტილებები) მომნიჭებელია, თუმცა სენატმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 987-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული გამორიცხვა არ მოქმედებს გამოწაკლისის გარეშე. თუ ის ვალდებულებითი ურთიერთობა, საიდანაც წარმოსდგება მფლობელობის უფლება, არ შეიცავს სარგებლის ანაზღაურების წესს, შესაძლებელია და აუცილებელიც კია უფლებამოსილი მფლობელის მიმართ შემავსებლად გამოვიყენოთ გსკ-ის 987-ე და შემდგომი პარაგრაფები. უკვე აქიდან გამომდინარეობს თავისთავად, რომ მოსარჩელე ვალდებულია დააბრუნოს ხელშეკრულების საბოლოოდ ჩაშლის შემდეგ მიღებული სარგებელი. ეს

საკითხი არ საჭიროებს შემდგომ ჩაღრმავებას, რადგან მოსარჩელეს ცალსახად არ აქვს ცალკეული საპირისპირო შესრულებების გამო დაკავების უფლება და ამგვარად მფლობელობის უფლება გსკ-ის 986-ე პარაგრაფის მიხედვით. მხარეებს შორის თხოვების მაგვარი სარგებლობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ არსებობს უკან დაბრუნების ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ორმხრივი შესრულებები, სარგებელი და დანახარჯები, უნდა გაიქვითოს ერთმანეთის მიმართ კონდიქციისმიერი სალდოს თეორიის მიხედვით. ამის შედეგად მფლობელს აქვს, მესაკუთრის უკან მოთხოვნის საპირისპიროდ, დაკავების უფლება და ამგვარად, მფლობელობის უფლება მხოლოდ მის სასარგებლოდ დარჩენილი სალდოს ოდენობით.

- 18** სალდოს თეორიის ანალოგიით გამოყენება იმისათვის არის საჭირო, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთმანეთს ასცდებოდა კონდიქციისმიერი და ვინდიკაციისმიერი გადანყვეტა, რადგან უსაფუძვლო მფლობელი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე უსაფუძვლო მესაკუთრე (მდრ. MünchKomm-BGB/Medicus, 2. Aufl., § 988 Rdn. 7). ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ არა მხოლოდ ერთმანეთს გაუთანაბრა უსაფუძვლოდ მომპოვებელი და მოვალე, რომელმაც უნდა დააბრუნოს ნივთი მფლობელობის უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, გსკ-ის 988-ე მუხლის მიხედვით (BGHZ 32, 76, 94 f; 71, 216, 225 f; 120, 204, 215),

[BGH 12.11.1992 - V ZR 230/91], არამედ ასევე დაადგინა, რომ, მფლობელობის უსაფუძვლოდ მოპოვების შემთხვევაში, მფლობელის უფლება ნასყიდობის ფასის დაბრუნებასთან დაკავშირებით და მესაკუთრის სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთის მიმართ უნდა გაიქვითოს სარგებლის ღირებულების ოდენობით (სენატის 1994 წლის 11 ნოემბრის V ZR 116/93 გადანყვეტილება, NJW 1995, 454). იგივე წესი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც მფლობელი არ აბრუნებს ნივთს მფლობელობის უფლების მომნიჭებელი ხელშეკრულების დასრულების შემდეგ და ეს ხელშეკრულება არ აწესრიგებს – როგორც მოცემულ შემთხვევაში – მისი არდაბრუნების შედეგებს. ეს უფრო გასაგები ხდება, თუ სასამართლო პრაქტიკის კვალდაკვალ აქ გსკ-ის 987-ე და მომდევნო პარაგრაფების გვერდით გსკ-ის 812-ე და მომდევნო პარაგრაფების პირდაპირ გამოყენებას დაუშვებთ (BGHZ 44, 241, 243; გერმანიის უმაღლესი სასამართლოს 1967 წლის 28 ივნისის VIII ZR 59/65 გადანყვეტილება, NJW 1968, 197).

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სარგებლის დაბრუნების მოთხოვა, შესაბამისი გაქვითვისას, არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა მხოლოდ იმის გამო, რადგან ნასყიდობის ფასი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. უნდა მოხდეს ორმხრივი შესრულებების, სარგებლისა და დაბრუნებაუნარიანი დანახარჯების სალდირება და მოსარჩელეს მხოლოდ მის სასარგებლოდ დარჩენილი სალდოს ოდენობით აქვს [დეპონირებული თანხის] გადმოცემის მოთხოვნისა და ნაგებობის დაბრუნებაზე უარის თქმის უფლება.

19

ამგვარად, საქმე, თხოვნების მაგვარი სარგებლობის ურთიერთობის ნამდვილობასთან დაკავშირებული შემდგომი გარემოებების გამორკვევისა და მისი საბოლოოდ ჩაშლის მომენტისათვის სალდირებაუნარიანი პოზიციების მოცულობისა და ოდენობის დასადგენად, უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

### III. სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი/კრიტიკა წარმოადგენს მცირე ზომის აკადემიურ ნაშრომს, რომლის ფარგლებშიც ავტორი ანალიზს უკეთებს ერთ ან რამდენიმე გადაწყვეტილებას, აკრიტიკებს მას, ადგენს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მწყობრი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ან უკვე ჩამოყალიბებული პრაქტიკის განვითარებისათვის. ამგვარად, მოცემული ტიპის ნაშრომისათვის სავალდებულოა უშუალოდ გადაწყვეტილების ანალიზი, მისი წინარე ისტორიისა და სამომავლო სავარაუდო შედეგების მიმოხილვა. ამ ელემენტების თანმიმდევრობა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია თავად გადაწყვეტილების შინაარსზე. არასასურველია: კონკრეტული გადაწყვეტილებისაგან მოწყვეტილი, ზოგადი (სახელმძღვანელოს სტილის) მსჯელობა – *დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებას ორიათასწლიანი ისტორია აქვს, იღებს რა სათავეს რომის სამართლიდან*. ამ ტიპის ცოდნა ივარაუდება. ნაშრომი უნდა იყოს დასამუშავებელ გადაწყვეტილებაზე კონცენტრირებული.

ამიტომაც, განმარტებითი ხასიათის მსჯელობა – დამატებითი შესრულების მოთხოვნის პრიმატი ემსახურება მოვალის დაცვას, უნარჩუნებს რა მას მეორე შანსს – დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების კონტექსტში, თუ ეს აადვილებს მის გაგებას. ავტორის მიზანია არა მკითხველის ზოგადი განათლება (ეს იგულისხმება, რადგან ამ გადაწყვეტილების ანალიზის კითხვამდე მივიდა), არამედ მისთვის გადაწყვეტილების გასაგებად ქცევა.

#### *ა) მეთოდოლოგიური საკითხი*

სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი და კრიტიკა შესაძლებელია სხვადასხვა პერსპექტივიდან და სხვადასხვა მიზნით. ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან მიჯნავენ გადაწყვეტილების კრიტიკას დოგმატური, სამართლის პოლიტიკის, სტილისტური და ლინგვისტური კუთხით. არ არის აუცილებელი, რომ ერთ ცალკეულ ანალიზში მოცემული იყოს გადაწყვეტილების კრიტიკა ამ ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

#### *აა) დოგმატური კრიტიკა*

პოზიტიურ სამართალს აქვს თავისი დოგმატიკა – სამართლის არსებული ნორმები ქმნიან ერთიან სისტემას, რომელსაც აქვს თავისი ამოსავალი წერტილები, პრინციპები, ანუ განზოგადებული წესები. ეს წესები შეიძლება იკითხებოდეს ცალკეული ნორმებიდანაც, იკითხებოდეს მხოლოდ ამ ნორმათა ერთობლიობიდან, ან რამდენიმე სამარ-



თლის დარგის ერთმანეთთან შეპირისპირებიდან. დოგმატური კუთხით ანალიზისას ავტორი მიზნად ისახავს სასამართლოს მსჯელობის შეფასებას სწორედ ამ პრიზმაში:

მაგალითად, ქართული სასამართლოს მიერ განავითარებული თავისებური „ფორმულა“, რომელსაც ის უკლებლივ ყველა კონდიქციურ ურთიერთობას არგებს – *1. მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; 2. მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი; 3. მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება*<sup>81</sup> – საერთოდ არც ერთ კონდიქციურ ურთიერთობას არ მიესადაგება და პირდაპირ წინააღმდეგობაშია კანონში დაფიქსირებულ კონდიქციათა ტიპოლოგიასთან.<sup>82</sup> ამ ტიპის კრიტიკა დოგმატური ანალიზის ნაწილში უნდა განხორციელდეს.

### *ბბ) კრიტიკა სამართლის პოლიტიკის კუთხით*

სამართლის პოლიტიკის კუთხით კრიტიკის მიზანია იმ ასპექტების გათვალისწინება, რაც სამართლის დოგმატიკის

---

<sup>81</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება, საქმე № ას-3-3-2013, 25/02/2013; განჩინება, საქმე № ას-1515-1430-2012, 24/12/2012; განჩინება, საქმე № ას-1055-989-2012, 02/10/2012; განჩინება, საქმე № ას-1245-1265-2011, 31/01/2012; საქმე № ას-649-610-2011, 04/10/2011 და კიდევ რამდენიმე ათეული გადაწყვეტილება.

<sup>82</sup> *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I, 102-ე და მომდევნო გვერდები.

მიღმაა. აქ ავტორმა უნდა გაარკვიოს სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა სამომავლო პერსპექტივაში – რა შედეგები მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას სამომავლოდ, ხომ არ გამოინვევს რაიმე გაუთვალისწინებელ შედეგებს სხვა კონტექსტში; შედეგები პოლიტიკისათვის (ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევაში); გავლენა ეკონომიკურ ცხოვრებაზე და საკანონმდებლო თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე.

### *გვ) სტილისტური კრიტიკა*

სტილისტური ანალიზის დროს ავტორი დაკავებულია იმ საკითხის შეფასებით, იცავს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილების აგების წესს (თუ, რა თქმა უნდა, ეს წესი არსებობს), ასევე სასამართლოს ფორმალური ენის ნიშან-მახასიათებლებს.<sup>83</sup>

მაგალითად, მხარეთა აღსანიშნავად ქართული სასამართლოები დაუსრულებლად იყენებენ ინიციალებს, რაც, ჩვეულებრივ, მარტივ პასაჟსაც კი სრულებით გაუგებარს ხდის:

*შპს მ. „თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ო-ს, მ., ნუგ. და ნ. ნ-ისა და ბ. ჟ-ის მიმართ და მოითხოვა ბ. ჟ-სათვის 58951.2 აშშ დოლარის (სესხის ძირითადი თანხა – 33000 აშშ დოლარი, სარგებელი – 6600 აშშ დოლარი), პირგასამტეხლოს – ხელშეკრულების*

---

<sup>83</sup> შდრ. ამ ნიშნით ფრანგული და შვეიცარული სასამართლო გადაწყვეტილებების გამიჯვნასთან დაკავშირებით: *Ballansat, La Traduction juridique*, 718-ე და მომდევნო გვერდებზე.

*შესრულების ვადის გადაცილებიდან 2009 წლის 30 აპრილიდან სარჩელის აღძვრის დღემდე, 2011 წლის 13 მაისამდე, 19351.20 აშშ დოლარისა და სარჩელის აღძვრის დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე 39600 აშშ დოლარის წლიური 24 %-ის ანაზღაურება, ასევე თანხის ამოღების მიზნით იპოთეკით დატვირთული მოპასუხეების უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა შემდეგი საფუძვლებით ...*

გაცილებით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, თუ, პირობითად, დამკვიდრდებოდა –1-ლი მოსარჩელე, მე-2 მოსარჩელე და ა. შ., ან რაიმე ალტერნატიული აღნიშვნა.

*დე) ლინგვისტური კრიტიკა*

მოცემული პუნქტი საკუთარ თავში მოიაზრებს არა მხოლოდ იმის დადგენას, იცავს თუ არა მოსამართლე გრამატიკის წესებს (თუმცა ამასაც), არამედ სწორად იყენებს თუ არა შესაბამის ტერმინოლოგიურ აპარატს – ტექნიკურ ტერმინოლოგიას. ხომ არ შემოაქვს რაიმე ახალი ტერმინი და ა. შ.

*„საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე მოპასუხის იმ შედაგებას, რომელიც ხანდაზმულობას შეეხება და იმდენად არსებითია, რომ დამტკიცების შემთხვევაში სარჩელის წარმატებას აფერხებს.“*

„სარჩელის წარმატების შეფერხება“, რაც სავარაუდოდ გერმანული სიტყვათშეთანხმების კალკს წარმოადგენს,<sup>84</sup> არ არის შინაარსობრივი თვალსაზრისით უფრო გამომხატველი, ვიდრე უკვე დამკვიდრებული ტერმინები და კარგი იქნებოდა, თუ სასამართლო მის გამოყენებას თავს აარიდებდა. ამ ტიპის კრიტიკა გადაწყვეტილების ლინგვისტური ანალიზის ფარგლებში უნდა გაჟღერდეს.

### *ბ) შინაარსობრივი საკითხი*

გადაწყვეტილების ანალიზი შინაარსობრივად (ძირითადად დოგმატური კრიტიკის ნაწილში) შემდეგ პუნქტებს უნდა მოიცავდეს:

1. სიახლე – ამბობს თუ არა ეს გადაწყვეტილება რაიმე ახალს წინარე პრაქტიკასთან შედარებით და რაში მდგომარეობს ეს სიახლე.
2. სასამართლოს არგუმენტაცია – იყენებს თუ არა მოსამართლე საერთოდ რაიმე არგუმენტებს თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად და რაში მდგომარეობს ეს არგუმენტები.
3. დამაჯერებლობა – აქარწყლებს თუ არა მოსამართლე საპირისპირო პოზიციის არგუმენტებს.
4. განმარტების მეთოდის როლი – რამდენად ცდილობს სასამართლო არა მხოლოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, არამედ გახადოს ის მკითხველისათვის მარტივად აღსაქმელი.

---

<sup>84</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით 143-ე და მომდევნო გვერდები.

5. წინააღმდეგობრიობა და ბუნდოვანება.
6. ღიად დარჩენილი და დატოვებული საკითხები.
7. ლიტერატურის კრიტიკა, სხვა გადაწყვეტილებების კომენტირება.
8. გავლენა: სამართლის მოძღვრებაზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკურ ცხოვრებაზე.
9. ავტორის საკუთარი მოსაზრება.

სასამართლოს მოსაზრებები სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით ავტორმა შეიძლება გამოტოვოს, ისევე, როგორც ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მართალია ნახსენებია აღწერილობით ნაწილში, მაგრამ არ წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიღებისათვის არსებით გარემოებას. ამისგან განსხვავებით, წინარე ისტორია, ანუ წინმსწრები გადაწყვეტილები, მსგავსი გადაწყვეტილებები, მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა ლიტერატურაში და ა. შ., ჩვეულებრივ, სავალდებულოა.

#### IV. გადაწყვეტილების ანალიზის აგებულება

გადაწყვეტილების კრიტიკის აგება შეიძლება შემდეგი ნაწილების მიხედვით:

##### I. შესავალი

*პრობლემის მოკლე მიმოხილვა*

##### II. გადაწყვეტილება

**1. გადანყვეტილების რეკვიზიტები:** *სასამართლო, თარიღი, სააქტო ნომერი, საძებნი საკვანძო სიტყვები, გამოქვეყნების ადგილი*

**2. ფაბულა**

*(წინა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების გათვალისწინებით)*

**3. პროცესის მიმდინარეობის ისტორია**

**4. სამართლებრივი პრობლემა:**

*(სამართლებრივი პრობლემის გამოკვეთა უნდა მოხდეს მაქსიმალურად ზუსტად და მოთავსდეს სამართლებრივ კონტექსტში)*

**5. სასამართლოს გადანყვეტა**

### **III. ანალიზი**

**1. პრობლემის გადანყვეტის შემოთავაზებული გზები**

*(მოკლე, მაგრამ შეძლებისდაგვარად სრული გადმოცემა ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებისა)*

**2. გადანყვეტილების ანალიზი და მისი ადგილი**

**3. გადანყვეტილების შეფასება და კრიტიკა**

**4. საკუთარი მოსაზრება**

**5. განვითარების პერსპექტივა**

### **IV. შეჯამება**

## **V. გადანყვეტილების ანალიზის მაგალითები გერმანული პრაქტიკიდან**

ქვემოთ მოყვანილია გერმანელი მეცნიერის *მახელ მარტინეკის* მიერ ზემოთ წარმოდგენილი გადანყვეტილების

კრიტიკა, რაც ამ ტიპის ნაშრომის კარგ მაგალითს წარმოადგენს და კონტექსტიდან გამომდინარე მეტნაკლებად სრულად მოიცავს აღწერილ ასპექტებს.

მესაკუთრე-მფლობელს  
შორის ურთიერთობა, მფ-  
ლობელობის უფლება, სარ-  
გებლის ანაზღაურება, სა-  
ლდოს თეორია, უსაფუძვ-  
ლო გამდიდრება

§ 986 BGB  
1/95

გსკ § 986 ნაწ. 1 §§ 100, 988, 818 აზ. 1

---

BGH EWIR § 986 BGB 1/95,977 (*Martinek*)

ოფიციალური სახელმძღვანელო პრინციპები:

1. თუ მფლობელმა მისთვის გადაცემულ ოთახებზე გასწია დანახარჯები და გააქირავა ის, მაშინ მან მესაკუთრის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სარგებლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უნდა ამტკიცოს იმ დანახარჯებით გაზრდილი ღირებულება, რომლებიც უკან აღარ ბრუნდება.

2. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მფლობელობის უფლების დასრულების შემდეგ ორმხრივად უკან დასაბრუნებელი შესრულებები, სარგებელი და დანახარჯები უნდა გაიქვითოს სალდოს თეორიის პრინციპის საფუძველზე. ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილ მფლო-

ბელს, მესაკუთრის უკან დაბრუნების მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, აქვს დაკავების უფლება მხოლოდ მის სასარგებლოდ დარჩენილი სალდოს ოდენობით.

BGH, Urt. v. 14.7.1995 - V ZR 45/94, ZIP 1995, 1352 = NJW 1995,2627 (OLG Dresden)

### მოკლე კომენტარი:

*მიხაელ მარტინეკი, სამართლის დოქტორი, საჯარო მეცნიერებათა დოქტორი, შედარებითი სამართალმცოდნეობის მაგისტრი, უნივერსიტეტის პროფესორი ზაარბრუკენში*

**1.** ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილის მხრივ სიტყვაძუნწი და ჩახლართული გადანყვეტილება რამდენჯერმე უნდა წავიკითხოთ, რათა მისი სახელმძღვანელო სიტყვების შინაარსი და მათი დოგმატური ქვესარჩული გავიგოთ. მოსარჩელემ მოპასუხისაგან მიიღო შინაურული ხელწერილის ფორმით შედგენილი „გამოუხმობადი ოფციის უფლება“, მოპასუხეების კუთვნილი მიწის ნაკვეთების მოპოვებასთან დაკავშირებით. ოფციის უფლების გამოყენების შემდეგ მხარეებს უნდა დაედოთ და შეესრულებინათ ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასის წინასწარი გადახდის შემდეგ მოპასუხეს უნდა ჩაბარებოდა მფლობელობა და ენიჭებოდა უფლებამოსილება მიწის ნაკვეთების გაქირავებისა. იმ შემთხვევაში, თუ ნას-



ყიდობა არ დაიდებოდა ან საკუთრების უფლების მოპოვებისათვის ხელის შემშლელი გარემოება წარმოიშობოდა, მოპასუხის მფლობელობის უფლება უნდა დასრულებულიყო და ნასყიდობის ფასი უკან უნდა დაბრუნებულიყო. ჯერ კიდევ ამ ოფციის ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელემ მიწის ნაკვეთების ფასი სრულად გადაიხადა. მან წამომართა მიწის ნაკვეთზე შენობები და გააქირავა ისინი. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისაგან დეპონირებული ქირავნობის თანხის დაბრუნება. მოპასუხეებმა ამის საპირისპიროდ განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის ქირავნობის თანხიდან დაკმაყოფილების უფლება.

**2.** გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ საქმე უკან დაუბრუნა სააპელაციო ინსტანციას, რომელმაც მანამდე მოპასუხის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ნასყიდობის სრულ ჩაშლამდე და ნასყიდობის სრული ჩაშლის შემდეგ დროის მონაკვეთები. ნასყიდობის ჩაშლამდე ქირის თანხა ეკუთვნოდა მოსარჩელეს. თუ ოფციის ხელშეკრულება – რაც ჯერ კიდევ დასაუდგენი იყო – არ წარმოადგენდა კანონის გვერდის ავლის გამო არანამდვილ გარიგებას, რაც მოსარჩელეს ყოველგვარ მფლობელობის უფლებას ართმევდა, მაშინ მას ჰქონდა მფლობელობის უფლება, დამოუკიდებლად ოფციის გარიგების, რომელიც ნოტარიალურ დამოწმებას საჭიროებდა, ფორმის დაუცველობის საბაბით არანამდვილობისა. სენატმა განვრცობითი განმარტების მეშვეობით მხარეებს შორის შეთანხმება მიიჩნია „თხოვების მსგავსს სარგებლობის ურთიერთობად“, რომელიც, როგორც ასეთი, არ საჭიროებდა ფორმის დაცვას. განსხვავებულად იყო საქმე ნასყიდობის საბოლოოდ ჩაშლის შემდეგ. ამ დროს, ყოველ

მიზეზ გარეშე, სახეზე გვექონდა მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობა და ამგვარად, ასევე მოპასუხეების სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გსკ-ის 990-ე, 987-ე ან 988-ე, 818 I პარაგრაფების, ხოლო სარჩელის აღძვრის შემდეგ კი გსკ-ის 987-ე პარაგრაფის მიხედვით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების სანინააღმდეგოდ მოპასუხეებს დეტალურად არ უნდა ემტკიცებინათ განეული დანახარჯებით გამოწვეული სარგებლის ღირებულება. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში შეესატყვისებოდა სალდირების მეშვეობით კონდიქციისმიერი უკუქცევისათვის განვითარებულ პრინციპებს. ამ პრინციპების მიხედვით, მოსარჩელე, რომელსაც აწევდა უკან დაბრუნების ვალდებულება, ატარებდა მტკიცების ტვირთს მის მიერ განეული დანახარჯებით გაზრდილი ღირებულებისათვის, რომელიც უნდა გამოქვითულიყო ასანაზღაურებელი სარგებლიდან.

**3.** გადაწყვეტილება თანმიმდევრულად ჯდება გერმანიის ფედერალური სასამართლოს კონდიქციურ სამართალთან დაკავშირებულ პრაქტიკაში. მის ქვაკუთხედს წარმოადგენს სალდოს თეორიის ანალოგიით გამოყენება მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობაში. სენატმა თხოვების მსგავსი სარგებლობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის წარმოიშვა უკუქცევის ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ორმხრივი შესრულებების, სარგებელისა და დანახარჯების ურთიერთგაქვეთა უნდა მომხდარიყო უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი სალდოს თეორიის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარად იყო შესაძლებელი კონდიქციისმიერი და ვინდიკაციისმიერი გადაწყვეტების ურთიერთაცდენის თავიდან აცილება, რადგან უსაფუძვლო მფლობელი არ უნდა იყოს უკეთეს

მდგომარეობაში, ვიდრე უსაფუძვლო მესაკუთრე. ეს მიყვება გერმანიის ფედერალური სასამართლოს დოგმატურ ხაზს, რომლის მიხედვითაც, უსაფუძვლოდ მომპოვებელი რესტიტუციის მოვალის მდგომარეობა, მფლობელობის მინიჭების ურთიერთობის დასრულების შემდეგ, უნდა გავუთანაბროთ უსასყიდლო მფლობელის მდგომარეობას, გსკ-ის 988-ე პარაგრაფი (BGHZ 32, 76, 94-ე და მომდევნო; BGHZ 71, 216, 225 f; BGHZ 120, 204, 215 = ZIP 1993, 70, ამასთან დაკავშირებით EWIR §3 VermG 1/93, 189 (ბრიზე-მაისტერი)). სასამართლო პრაქტიკის დამაბნეველი ხასიათის განმაპირობებელია მის მიერ არჩეული არასწორი „ამომწურაობის თეორია“, რომლის მიხედვითაც გსკ-ის 987-ე და მომდევნო პარაგრაფებს ზოგადად უნდა მიენიჭოთ უპირატესობა შესრულების კონდიქციის დამატებით მოთხოვნებთან მიმართებით. სალდოს თეორიის გადმოღება მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობაში უნდა გავიგოთ, როგორც „ამომწურაობის“ თეორიის ბანკროტი. ეს ამჯერადაც ადასტურებს, რომ ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია ყველაზე უკეთ კონდიქციისათვის უპირატესობის მინიჭებით შეიძლება გადაიჭრას. ეს გადანყვეტა უკვე კარგა ხანია რაც შემოთავაზებულია, (შდრ. *Reuter/Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung*, 1983, S. 667-ე და მომდევნო გვერდები, 673-ე და მომდევნო გვერდი, 681-ე და მომდევნო გვერდი). შესრულების კონდიქციის სამართალი და მისი თანმდევი მოთხოვნები წარმოადგენენ *lex specialis* ნეიტრალურსაფუძვლიან ვინდიკაციასთან და გსკ-ის 987-ე და შემდგომ პარაგრაფებთან შედარებით. სწორი მოსაზრების თანახმად, კაზუსი მთლიანად კონდიქციური სამართლის მიხედვით

უნდა გადანყვეტილიყო – სალდოს თეორიის პირდაპირი გამოყენებით.

## § 4 სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

ლიტერატურა: *Gast W.*, Juristische Rhetorik, , 4. Aufl., Hedelberg 2006; *Brinkmann K.*, Die rechtswissenschaftliche Seminar- und Doktorarbeit, München 119; *Mann Th.*, Einführung in die juristische Arbeitstechnik, Klausuten-Hausarbeiten-Seminararbeiten-Dissertationen, 5. Aufl., München 2015; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *ცვაიგერტი კ./კოტცი შ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ნაწილი I, თბილისი 2000; *ეკო უ.*, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბილისი 2014; *კალჭუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს.*, სოციოლოგია, თბილისი 2007; *კაჭარავა ლ./ მარწყვიშვილი ხ./ხეჩუაშვილი ლ.*, აკადემიური წერა დამწყებთათვის. თბილისი 2007; *ეკო უ.*, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბილისი 2014.

### I. შესავალი

თუ *კოლრიჯის* მიხედვით პოეტის მიზანს წარმოადგენს „მკითხველის გულის მოღობობა და მგრძნობიარედ ქცევა“, მკითხველის გაკეთილშობილება,<sup>85</sup> იურისტის მიზანი გაცილებით უფრო მოკრძალებული და ბანალურია. მას სურს მხოლოდ დაარწმუნოს მკითხველი საკუთარი პოზიციის სისწორეში და ყველა იმ მოსაზრების სიმცდარეში, რომელსაც ის არ იზიარებს. ეს მიზანი უცვლელი რჩება ყველა ტიპის სამართლებრივი ნაშრომის შემთხვევაში, იქნება ეს კაზუსის ამოხსნა, სასემინარო ნაშრომი, სტატია, დისერტაცია თუ სხვა. თუმცა ნაშრომის ტიპისდა მიხედ-

---

<sup>85</sup> *Wellek*, Geschichte der Literaturkritik, 420.

ვით იცვლება ამ მიზნის მიღწევის გზა, კერძოდ კი – ნაშრომის სტრუქტურა. სამართლებრივი ნაშრომების ზოგადი კლასიფიკაციის მცდელობის შემთხვევაში, ცალკე ჯგუფში მოხვდება კაზუსის დამუშავება, რომელიც განსხვავდება სხვა აკადემიური ოპუსისაგან შინაარსით, ფორმითა და აგებულებით. ყველა სხვა ნაშრომი ამ ზოგადი კლასიფიკაციისას სხვა ჯგუფში მოექცევა. გამომდინარე იქიდან, რომ კაზუსის ამოხსნის შესახებ ამ სახელმძღვანელოს მე-2 პარაგრაფში გვქონდა საუბარი, მოცემული პარაგრაფი დაეთმობა ამ „ყველა სხვა“ ნაშრომის სტრუქტურას, რადგან ისინი აგებულების მხრივ მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

უკვე კლასიკურ რიტორიკაში გამოიკვეთა ორატორის სიტყვის აგების წესები, რათა მისი აზრთა წყობა და არგუმენტაცია მსმენელთათვის მაქსიმალურად გასაგები ყოფილიყო.<sup>86</sup> ეს წესები დღესდღეობით საზოგადოდ აღიარებულად შეიძლება ჩაითვალოს და გამოიყენება სამართლებრივი აკადემიური ნაშრომის შემთხვევაშიც, დამოუკიდებლად იმისა, კაზუსტური აგებულება აქვს ავტორს არჩეული თუ თემატური (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ). ამგვარად, თითქმის ყველა აკადემიური ნაშრომი, შედგება შესავლისაგან, მთავარი ნაწილისა (მტკიცება და დასაბუთება) და დასკვნისაგან. ამ სტრუქტურის მიხედვით არის აგებული სასემინარო ნაშრომები, დისერტაციები, სამეცნიერო კვლევები და ა. შ. სასამართლო გადაწყვეტილებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მიხედვით, საბოლოო ჯამში, ამ სქემის მიხედვით იგება. გადაწყ-

---

<sup>86</sup> *არისტოტელე*, რიტორიკა, 1414b; *Cicero*, *De oratore*, II, 315-332.

ვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. აღწერილობით ნაწილში მიეთითება მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია სასამართლოს მიერ დადგენილი უტყუარი გარემოებანი, მათი გამამყარებელი მტკიცებულებანი.

	<i>სამოქალაქო საპროცესო კოდექსი</i>
<p>1. შესავალი</p> <p>2. მთავარი ნაწილი</p> <p>ა) ფაქტები: რას ეხება საქმე</p> <p>ბ) საკუთარი პოზიცია და მისი დასაბუთება</p> <p>გ) საწინააღმდეგო არგუმენტების გაქარწყლება</p> <p>3. ბოლო ნაწილი = შეჯამება/დასკვნა</p>	<p><b>მუხლი 249. გადაწყვეტილების შინაარსი.</b> 1. გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. 2. გადაწყვეტილების <b>შესავალ</b> ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი. 3. გადაწყვეტილების <b>აღწერილობით</b> ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს</p>

	<p>მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. 4. გადანყვეტილების <b>სამოტივაციო</b> ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. 5. გადანყვეტილების <b>სარეზოლუციო</b> ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, .....</p>
--	---

ზემოთ მოყვანილი სქემატური მონახაზის საპირისპიროდ, კაზუსის ამოხსნის შესავალი და დასკვნა მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგება. ავტორი ამ ერთწინადადებიანი მოკლე შესავლის შემდეგ იწყებს პირდაპირ შესაბამისი მოთხოვნის უფლების წინაპირობების ან სარჩელის დასაშვებობის, ან ცალკეული ქმედებების სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობის შემონმებას. თუმცა, თუ ავტორს დასამუშავებელი აქვს არა კაზუსის ფაბულა, არამედ აბსტ-



რაქტული საკითხი, სასურველია დასახელებული სტრუქტურული ტრიქოტომიის – შესავალი, მთავარი ნაწილი, დასკვნა – მკაცრად დაცვა, რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

## II. თემის აღწერა

სასურველია, თუ აკადემიური ნაშრომის შესრულების მსურველს უკვე თემაზე მუშაობის დანყებამდე ეცოდინება, თუ რას ეხება საქმე. სასემინარო ნაშრომის შემთხვევაში, თემას სტუდენტებს, ჩვეულებრივ, ლექტორი აცნობს ხოლმე. მართალია, ხანდახან მისი მითითებები დეტალურია, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ეს მითითებები რამდენიმე ზოგადი რეკომენდაციით ამოიწურება და სტუდენტს დამოუკიდებლად უნევს თემაში გარკვევა. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო პროცესთან დაკავშირებულ მითითებებზე – ძალზე იშვიათია ხოლმე შემთხვევა, როდესაც ლექტორი სტუდენტს კონკრეტულ წასაკითხ მასალას ამომწურავად უთითებს. ყველა სხვა შემთხვევაში სტუდენტს დამოუკიდებლად უნევს მოცემულ თემაში გარკვევა, ამ თემიდან გამომდინარე პრობლემური საკითხების არაპრობლემურისაგან გამიჯვნა, მისი შინაარსობრივად შემოსაზღვრა და შემდეგ კი საკუთარი ტექსტის დანაწევრება. თუ სასემინარო ნაშრომის შემთხვევაში შესაბამისი ლექტორის მითითებებმა შესაძლებელია ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს სტუდენტს თემაში გარკვევის მტანჯველი პროცესი, სადოქტორო ნაშრომის შემთხვევაში, როგორც წესი, დოქტორანტს ყველა ზემოთ ხსენებული სტადია დამოუკიდებლად აქვს გასავლელი.

გამომდინარე იქიდან, რომ იურისტებს საუნივერსიტეტო სწავლების განმავლობაში ძირითადად მხოლოდ კაზუსების ამოხსნა უწევთ, ბევრ მათგანს უყალიბდება წარმოდგენა, რომ აკადემიური ნაშრომისთვის კაზუსის ამოხსნაზე ორიენტირებული სტრუქტურა – კაზუსისტური აგებულება – ერთადერთი და უალტერნატივოა. თუმცა პირველივე თემატური დავალების შესრულებისთანავე სტუდენტი აღმოაჩენს, რომ მოთხოვნის უფლებების მიხედვით დაყოფა ყოველთვის ვერ იქნება ოპტიმალური გადაწყვეტა და ხანდახან მისი გამოყენება საერთოდ შეუძლებელია. სამართლებრივი ნაშრომების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ორი ტიპის აგებულება – კაზუსისტური და თემატური აგებულება – გამოიყენება. დასაშვებია მათი შერევაც, როდესაც ნაშრომის ნაწილი კაზუსისტური და ნაწილი კი თემატური აგებულებისაა.<sup>87</sup>

## 1. კაზუსისტური ნაშრომი

კაზუსისტური აგებულება გულისხმობს მისი თითოეული ნაწილის კონკრეტული კაზუს(ებ)ის გარშემო კონსტრუირებას, როდესაც ავტორის გააზრებათა ცენტრში კონკრეტული შემთხვევა დგას. გამონაკლისის სახით მისი გამოყენება შესაძლებელია მოცულობით სამეცნიერო ნაშრომშიც, კერძოდ: 1. ახალ და ჯერ კიდევ დაუმუშავებელ პრობლემას ეხება საქმე, რომლის მომწესრიგებელი კანონი არ არსებობს; 2. ასევე გენერალური დათქმის ფორმით ჩამოყალიბებული ნორმის დახასიათებისას (მაგ. 54-ე მუხლი);

---

<sup>87</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 74.

3. განსაკუთრებით, სასამართლო პრაქტიკის მიერ შექმნილი ინსტიტუტის შემთხვევაში. ამ უკანასკნელი შემთხვევის მაგალითად გამოდგება „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“, რომელიც გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა.<sup>88</sup> მაგალითად, ერთ-ერთ გერმანულ კომენტარში<sup>89</sup> მოცემული საკითხისადმი მიძღვნილი თავი შემდეგნაირად არის დანაწევრებული:

....

### 3. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

ა) ზოგადი

ბ) ცალკეული შემთხვევები

აა) არაპირდაპირი წარმომადგენლობა

ბბ) რისკის გადაკისრების ვალდებულები-სამართლებრივი წესები

გგ) ზრუნვის ვალდებულებები

დდ) საკუთრების მინდობის ურთიერთობები

ეე) გარიგებისმიერი შეთანხმება

<sup>88</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccg.ge](http://gccg.ge), 3.12.2017, მუხ. 408 ველი 25-ე და მომდევნო ველები.

<sup>89</sup> *Oetker*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 289f308.

მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის თავი შეიძლება ამ ინსტიტუტის წინაპირობების მიხედვითაც ყოფილიყო დანაწევრებული, მაგალითად:

....

**3. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია**

- ა) კრედიტორის მოთხოვნა ზიანის გარეშე
- ბ) მესამე პირის ზიანი მოთხოვნის გარეშე
- გ) ზიანისა და მოთხოვნის უფლების შემთხვევითი ურთიერთაცდენა

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული სამართლებრივი ფიგურა სასამართლოს მიერ შექმნილ კონსტრუქციას წარმოადგენს იმ რეგულატორული ვაკუუმის ამოსავსებად, რომლის აღმოფხვრაც სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით შეუძლებელია და ამგვარად, მისი ამოსავალი წერტილი სწორედ კონკრეტული შემთხვევებია, კაზუისტური დამუშავება უფრო გამართლებული ჩანს.

მიუხედავად კაზუისტური აგებულების არჩევისა, ავტორი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მშრალი კაზუისტიკით, ანუ კონკრეტული შემთხვევების წარმოჩენითა და მათთვის შესაბამისი გადაწყვეტის მოძებნით, აუცილებელია ზოგადი პრინციპების გამოკვეთა და სასამართლო პრაქ-

ტიკის, რაც კაზუსების მთავარ წყაროს უნდა წარმოადგენდეს, სტრუქტურირება და სისტემატიზირება.<sup>90</sup> მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის ზემოთ მოყვანილ (პირველ) მაგალითში, მართალია, კაზუსისტური აგებულებაა არჩეული, თუმცა ეს შემთხვევები უკვე ჩასმულია სამართლებრივ კატეგორიებში და არ წარმოადგენს კაზუსების მხოლოდ შემთხვევითი ნიშნით დაჯგუფებულ გროვას.

## 2. თემატური ნაშრომი

თუ კაზუსისტური აგებულება გამონაკლისს წარმოადგენს, წესად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. თემატური აგებულება, როდესაც ნაშრომის ცალკეული ნაწილების კონსტრუირება კონკრეტული თემის და არა მხოლოდ ფაქტობრივი შემთხვევების გარშემო ხდება. ამ შემთხვევაში, პრობლემის დახასიათება უნდა მოხდეს ნორმათა კომპლექსის მოშველიებით.<sup>91</sup> სამართლის ინსტიტუტისა და პრინციპების დახასიათება რთულად თუ შეიძლება მხოლოდ ერთი ნორმის საფუძველზე. აქ, ავტორმა უნდა გამოკვეთოს სამართლებრივი პრობლემის არსი, ნორმატიული საფუძვლები „დაშალოს“ ცალკეულ წინაპირობებად, გამოააშკარაოს ის პრინციპები რომლებიც განსაზღვრავენ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

---

<sup>90</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 74.

<sup>91</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 75.

ვინრო თემატიკის მქონე ნაშრომი ორიენტირებულია კანონის ნორმებზე და ნორმების წინაპირობებზე.<sup>92</sup> ჩვეულებრივ, ეს მიდგომა გამართლებულია ახლად შექმნილი ნორმების შემთხვევაში. ამგვარი ნორმაზე ორიენტირებული ნაშრომი სარგებლობს იმ უპირატესობით, რომ ავტორს შეუძლია სრულად გამოიყენოს განმარტების შესაბამისი მეთოდები.<sup>93</sup>

### III. შესავალი ნაწილი

ნაშრომის შესავალი და დასკვნითი ნაწილის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ავტორი დაასრულებს მთავარ ნაწილზე მუშაობას. დასკვნითი ნაწილი წარმოადგენს მთლიანი სამუშაოს შეჯამებას, ამიტომაც ის მხოლოდ მაშინ იქნება ამომწურავი, როდესაც ავტორს ეს სამუშაო უკვე რეალურად აქვს შესრულებული და ის არა მხოლოდ პროექტის სახით არსებობს მის გონებაში. შესავალი, მართალია, წარმოადგენს მხოლოდ ზოგად და არაამომწურავ დახასიათებას შემდგომში განსახილველი პრობლემატიკისა, თუმცა ის ამ თავის ფუნქციას მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ დაწერილი იქნება რეტროსპექტიული პოზიციიდან; ავტორის მიერ, რომელმაც უკვე იცის, თუ ზუსტად რაზეა საუბარი მთავარ ნაწილში და რისი აქ-

---

<sup>92</sup> შდრ. მაგალითისათვის, *ამირანაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის I ნაწილი – კანონისმიერი განმარტება თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მართლმსაჯულება და კანონი, #1, 2013; *ბევიაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის არსი და თავისებურებანი, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012.

<sup>93</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით ქვევით.

ცენტირება და „გამხელა“ ღირს პროლოგში. სხვა შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომზე მუშაობისას ავტორს არაერთხელ უნევს ხოლმე არჩეული კურსიდან გადახვევა და თავდაპირველ განზრახვაზე უარის თქმა, თავიდან დაწერილი შესავალი შეიძლება სრულებით ასცდეს მთავარი ნაწილის საბოლოო ვერსიას.

## 1. პრობლემის მონახაზი

შესავალი წარმოადგენს გარკვეული გაგებით „ჭუჭრუტანას“, რომლის მეშვეობითაც მკითხველი იხედება ნაშრომის შიგთავსში. ის უნდა ანიჭებდეს მას სრულ სურათს შორი პერსპექტივიდან და არ ამძიმებდეს მას კონკრეტული დეტალებით, მიუხედავად ამისა, მკითხველს უცნობი თემატიკის ათვისება უფრო გაუმარტივდება, თუ ავტორი მას შესავალში, ზოგადი განაზრებების გარდა, ასევე კონკრეტული პრობლემის მონახაზსაც შესთავაზებს.

### *ა) მიზანი – დარწმუნება*

იურისტების მიზანს, როგორც ქემოთ იქნა აღნიშნული, დარწმუნება წარმოადგენს. ამ დარწმუნების პროცესში შესავალი, იქნება ეს სასემინარო, სამაგისტრო, თუ სადოქტორო ნაშრომი, სავიზიტო ბარათის ფუნქციას ასრულებს. შესავალი წარმოადგენს აკადემიური ნაშრომის იმ ნაწილს, რომელსაც მკითხველი აუცილებლად გადააფლავებს თვალს, მას შემდეგ რაც ხელში აიღებს ამ ნაშრომს. თუ ავტორი უკვე აქ მოაწყენს თავს მკითხველს არაფრის-მთქმელი ან ბუნდოვანი ფრაზებით, დიდი ალბათობით ეს

უკანასკნელი დანარჩენ ნაწილს საერთოდ აღარ წაიკითხავს. ამიტომაც, ავტორმა შესავალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, არაერთხელ გადაამუშაოს ის, მოაშოროს ზედმეტი დეტალები და უსაგნო მსჯელობა.

*ბ) ცნობისმოყვარეობის გაღვიძება*

შესავალ ნაწილს აქვს ასევე „ანკესის“ ფუნქცია, რომელზეც უნდა წამოეგოს მკითხველი, თანაც ისე, რომ ეს პირველი ინტერესი ნაშრომის ბოლომდე არ ჩაუცხრეს. მკითხველის ცნობისმოყვარეობის გაღვიძება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული – ნაშრომის თემაზე, ტიპსა და მოცულობაზე, მკითხველის წინასწარ მომზადებაზე და ა. შ. ამიტომაც თითქმის შეუძლებელია ერთიანი რეცეპტის შეთავაზება, თუ როგორ შეიძლება შესავლის უინტერესოდ ან საინტერესოდ აგება. უფრო მარტივია კონკრეტულ მაგალითებზე მითითება:

<p><b>ბიზნესმენის გაყვლეფაში «საქართველოს ბანკიც» გა- რიეს</b></p>	<p><b>გაყვლეფა ქართულად</b></p>
<p><i>დღეს მსოფლიოში მძვინვარე ეკონომიკური კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიას და საბანკო სექტორს შეეხო, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოში მოქმედ საბანკო სექტორზე, რადგან მის დასახმარებლად მსოფლიო ბანკმა, დონორმა ორგანიზაციებმა და ჩვენი</i></p>	<p><i>საქართველოში იპოთეკური კრედიტებზე დანესებული საპროცენტო განაკვეთი 12-დან 24%-მდე მერყეობს, თუმცა, რეალური მაჩვენებელი სულ სხვაა. სპეციალისტების გათვლებით, მსესხებელს, საბოლოო ჯამში, საშუალოდ 40-42%-ის გადახდა უწევს. მაღა-</i></p>



<p>ქვეყნისადმი კეთილად განწყობილმა სახელმწიფოებმა ათობით მილიონი დოლარი შეაშველეს აქაურ მსხვილ თუ წვრილ ბანკებს და ფიქრობენ, რომ უკიდურეს სილატაკეში ჩაგარდნილ საქართველოს ამით დიდი საქმე გაუკეთეს! არახალია, რომ ნახევარ საქართველოს ამა თუ იმ ბანკიდან სესხის სახით ფულადი კრედიტები აქვს გამოტანილი, რომელსაც, ძირითადად, წვრილი ბიზნესისათვის იყენებს. არის შემთხვევები, როცა კერძო პირებს სასწრაფო და გადაუდებელი საქმეებისთვის უცებ სჭირდებათ დიდი თანხა და ბანკიდან ფულის უპრობლემოდ გამოტანის მიზნით საჭირო თანხის საფასურად გარკვეულ ქონებას «დებენ» გარანტიად!<sup>94</sup></p> <p>...</p>	<p>ლი პროცენტები, ხშირად ბიზნესის წარუმატებლობისა და გაკოტრების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ამასთან, საბანკო კრედიტების გადაუხდელობის გამო, ათასობით ოჯახი, ბინის გარეშე დარჩა. თუმცა, ოფიციალურად მევალეებისთვის ჩამორთმეული უძრავი ქონების ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია. ეროვნული ბანკი და აღსრულების ეროვნული ბიურო აღნიშნულ ინფორმაციას არ გასცემს.<sup>95</sup></p> <p>....</p>
---	---

ორივე ამონარიდი ბულვარული ინტერნეტპრესიდან არის მოყვანილი და იდენტურ თემას ეხება – ქართული ბანკე-

<sup>94</sup><http://geworld.ge/View.php?ArtId=1785&lang=ge&Title=biznesmenis+gayvlefaSi+%C2%ABsaqarTvelos+bankic%C2%BB+garies>.  
<sup>95</sup> <http://www.tspress.ge/ka/site/articles/12563/>.

ბის გამყვლეფ პრაქტიკას. თუმცა მეორე სტატიის დასაწყისი გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე პირველი სტატიის ავტორის ზოგადი განაზრებები. პირველი სტატიის შესავალი სხვა კონტექსტში შეიძლება გამართლებულიც კი ყოფილო, თუმცა მოცემული ტიპის ნახევარგვერდიანი ინტერნეტსტატიების მკითხველს სურს მაქსიმალურად სწრაფად და მარტივად აღქმადი ფორმით მიიღოს უკვე დაკონკრეტებული ინფორმაცია, ისტორიული რეალიებისა და მსოფლიოში არსებული სიტუაციის მიმოხილვის გარეშე.

რომანის დასაწყისიც შეიძლება იყოს შთამბეჭდავი, ისეთი, რომ მკითხველმა პირველი ორი ფრაზის შემდეგ მონუსხულივით გააგრძელოს კითხვა და შეიძლება იყოს მეტნაკლებად უდიდამო. ეს კარგად ჩანს „იატაკქვეშეთიდან ჩანანერებისა“ და „მადამ ბოვარის“ შეპირისპირებისას:

*მე სნეული ვარ... ანჩხლი ვარ. თვალგულმიუსვლელი ვარ. მგონი ღვიძლი მტკივა. თუმცალა, ჩემი სენისა არაფერი გამეგება და არ ვიცი, ნამდვილად რა მჭირს. არ ვმკურნალობ და არც არასოდეს მიმკურნალია, თუმცა მედიცინასა და ექიმებს პატივის ვცემ. ამასთანავე, უკიდურესად ცრუმორწმუნე ვარ, იმდენად მაინც, რომ მედიცინის პატივისმცემელი ვიყო (საკმაოდ განათლებული გახლავართ და ცრუმორწმუნე არ უნდა ვიყო, მაგრამ*

*გაკვეთილზე ვიყავით, როცა დირექტორი შემოვიდა; მას შემოჰყვა ქალაქურად ჩაცმული ერთი ახალბედა და კლასის მსახური, რომელსაც დიდი მერხი მოჰქონდა. ვინც თვლემდა, მყის გამოფხიზლდა და ისე წამოხტა, თითქოს მუშაობაში ხელი შეუშალესო. დირექტორმა გვანიშნა, დასხედითო; მერე კლასის დამრიგებელს მიუბრუნდა: – ბატონო როჟე, – მიმართა დირექტორმა დაბალი ხმით, – აი, წარმომიდგენია თქვენთვის ეს მოწაფე. მეხუთეში*

ცრუმორნმუნე ვარ). მკურნალობა გულღრძობის გამო არ მსურს. თქვენ ალბათ არ ინებებთ, რომ მიმიხედეთ. გასაგებია. რა თქმა უნდა, ვერ მოგახსენებთ, ჩემი სიანჩხლით ვინ შეიძლება გავანანყენო, ძალიან კარგად ვუნცი, რომ ექიმებს ვერაფერს დავაკლებ იმით, რომ მათთან არ ვიმკურნალებ. ყველაზე უკეთ თავად ვიცი, რომ ამით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებ. დიას, გულღრძობის გამო არ ვმკურნალობ. ღვიძლი მტკივა, მაშ, დაე, უფრო მაგრად ამტკივდეს. დიდი ხანია, რაც ასე ვცხოვრობ - ოცი წელი. ადრე ვმსახურობდი, ახლა აღარ ვმსახურობ. ავეგული მოხელე ვიყავი, ვუხეშობდი და ეს სიამოვნებას მანიჭებდა. ქრთამს არ ვიღებდი და თავი ამით ხომ მაინც უნდა დამეჯილდოებინა.

შემოდის, უკეთუ მეცადინეობითა და ყოფაქცევით დაიმსახურებს, უფროს კლასში გადავა, რაც მის ასაკს კიდევაც შეეფერება.

ახალბედა კუთხეში იდგა, კარს უკან, ისე, რომ ძლივს ჩანდა; სოფლის ბიჭი იყო, თხუთმეტიოდე წლისა, ტანადობით ყოველ ჩვენგანზე უფრო მაღალი. თმა, ვით სოფლის მგალობელს, შუბლზე სწორად ჰქონდა შეკრეჭილი; სახე - გონივრული და ძალზე დარცხვენილი. თუმცა მხარბეჭიანი არ იყო, მაგრამ მწვანე მაუდის შავილებიანი საცმელი, ალბათ, იღლიეობში უჭერდა, რის გამოც სახელოებიდან სიშიშვლეს ნაჩვევი დანითლებული ხელები გამოეყო. საბჭურით ძალზე აჭიმულ, მოყვითალო ფერის შარვალში ლურჯი წინდები უჩანდა; ფეხთ ეცვა მაგარი, ლურსმნით მოჭედილი და ცუდად განმენდილი ფეხსაცმელი.

ამ ორი პასაჟის შეპირისპირების შემდეგ რთულია არ დაეთანხმო სხვა მწერალს, კერძოდ კი, აკუტაგავას, რომ ერთადერთი რაც მას ფლობერმა ასწავლა, ეს „ლამაზად მო-

წყენა“ იყო. რა თქმა უნდა, იურისტს არ მოეთხოვება კალმის ის ოსტატობა და შინაარსის ის ეგზისტენციალური სიღრმე, რითიც *დოსტოევსკი* პირველივე სტრიქონებიდან ატყვევებს თავის მკითხველს, თუმცა პრინციპი უცვლელია: შესავლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მკითხველის დაინტერესება და ავტორმა ამისთვის ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს.

*გ) არადამაკმაყოფილებელი სამართლებრივი მდგომარეობა – კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე*

მთელ რიგ შემთხვევებში, ავტორმა პრობლემის დახასიათება უნდა დაიწყოს კონკრეტული შემთხვევით სასამართლო პრაქტიკიდან და გამოიყენოს ის არადამაკმაყოფილებელი სამართლებრივი მდგომარეობის ნათელსაყოფად.<sup>96</sup> ამით იგი მყისიერად ცხადყოფს სამართლებრივ პრობლემებს და მკითხველს ინტერესს უღვიძებს. ამავედროულად იცილებს ნაშრომისათვის ძალზე თეორიული სახის მინიჭების საფრთხეს. ამისათვის მაგალითად გამოდგება სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ავტორის პოზიციიდან არასწორია:

*მიუხედავად ცალსახა მიჯნისა (პირდაპირ) წარმომადგენლობასა და საკუთრების მინდობას შორის, ქართული სასამართლოების პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არათანმიმდევრულია. ერთი მხრივ, უზენაესი სასამართლო<sup>97</sup> უფლებამოსილებას, რომელსაც*

---

<sup>96</sup> Möllers, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 96.

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის № ას-194-181-2015 განჩინება.

მარნმუნებელი ანიჭებდა რწმუნებულს, მარნმუნებლის ქონების მისივე სახელით განკარგვასთან დაკავშირებით, მოიხსენიებს საკუთრების მინდობად. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო უშუალოდ 724-729-ე მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით არ მსჯელობს, ტერმინ „საკუთრების მინდობის“ ამ კონტექსტში მოხსენიება მაინც დამაბნეველი და არასწორია. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირი წარმომადგენლობა გვექონდა სახეზე გარე ურთიერთობაში (სკ-ის 103-114-ე მუხლები), ხოლო შიდა ურთიერთობაში დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 209-723-ე მუხლები). მართალია, თავის ერთ-ერთ სხვა გადანყვეტილებაში<sup>98</sup> სასამართლო სწორად ასხვავებს პირდაპირ წარმომადგენლობასა და საკუთრების მინდობას შორის, მაგრამ გამიჯვნისათვის გამოყენებული პირველი კრიტერიუმი, რომ „გარიგების ფორმისა და შინაარსის ვათვალისწინებით იგი შეფასებული უნდა იქნეს არა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად (ორმხრივ გარიგებად), არამედ რწმუნებულებად (ცალმხრივ გარიგებად)“, საბოლოო ჯამში არასწორია. მართალია, რწმუნებულების გაცემა ცალმხრივი გარიგებაა, მაგრამ ის წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოდგენილსა და წარმომადგენელს შორის დადებული დავალების ხელშეკრულებისა, რომელიც, რა თქმა უნდა, ორმხრივი გარიგებაა.

---

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის № ას-788-745-2015 განჩინება.

## *დ) საკუთარი თეზისები ნაშრომის დასაწყისში*

თუ პოეტისათვის მნიშვნელოვანია შექმნას ახალი პოეტური სახე, მხატვრისათვის – ესთეტიურად გამართული ნახატი, მეცნიერული ნაშრომისათვის აუცილებელია, მასში რაღაც ახალი თეზისი იყოს ჩამოყალიბებული. ავტორმა ეს ორიგინალური თეზისი არ უნდა მიჩქმალოს 27-ე გვერდზე, ერთ-ერთ სქოლიოში, არამედ უნდა წარმოაჩინოს ის ნაშრომის რაც შეიძლება თვალსაჩინო ადგილას და გარდა ამისა, ხაზი გაუსვას მას უკვე შესავალში. თუ ნაშრომის მოცულობა შეზღუდულია (მაგ. სტატია, რომლის მოცულობაც რედაქტორის მოთხოვნით მაქსიმუმ 10 გვერდი უნდა იყოს) და ავტორს სურს მიიპყროს მკითხველის ყურადღება, მაშინ საკუთარი თეზისი ნაშრომის დასაწყისშივე უნდა გამოკვეთოს. ამ შემთხვევაში მკითხველმა უკვე იცის, თუ რა სურს ავტორს და რა წარმოადგენს მის საბოლოო მიზანს.

## **2. კვლევის აგებულება და მეთოდი**

შესავალში აუცილებელია კვლევის აგებულების გადმოცემა. ამით მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ როგორ არის კვლევა სტრუქტურირებული, რათა შემდეგ თავისუფლად შეძლოს მასში ორიენტირება – ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ მისთვის საინტერესო ნაწილებზე, დანარჩენი კი გამოტოვოს; აღიქვას ნაშრომი როგორც ერთი მთლიანობა, რომლის თითოეული ნაწილი საერთო კონტექსტით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მართალია, ამ ფუნქციის შესრულება სარჩევსაც შეუძლია, თუმცა ყველა აკადემიურ ნაშრომს არ აქვს თანდართული სარჩევი (მაგ.

ჟურნალის სტატიას) და გარდა ამისა იქ მოცემული მშრალი სათაურები ყოველთვის მეტყველი არ არის.

შესავლის ერთ-ერთ, არც თუ უმნიშვნელო, მიზანს იმ ცალკეული მეთოდების წარმოჩენა წარმოადგენს, რომელსაც იყენებს ავტორი მთელი კვლევის განმავლობაში.<sup>99</sup>

გარდა ამისა, დასაშვებია საბოლოო შედეგის ნაწილობრივ წინასწარ გამხელა. მართალია, ეს ხერხი გარკვეულწილად აკარგვინებს ნაშრომს „ინტრიგას“, თუმცა, ამის საპირიპონოდ, ანიჭებს მკითხველს შესაძლებლობას ამ საბოლოო შედეგის პერსპექტივიდან სრულებით კონცენტრირდეს არგუმენტაციაზე. არც თუ ისე უსაფუძვლოდ ავლებენ პარალელს ამ „წინასწარგამხელასა“ და სასამართლო გადაწყვეტილების აგებულებას შორის.<sup>100</sup>

### 3. თემის შემოსაზღვრა

გარდა ზემოთ ხსენებულისა, შესავლის ფუნქციებს შორის აუცილებელია თემის შემოსაზღვრის ფუნქციის ხსენება, უფრო ზუსტად კი, ამ შემოსაზღვრის კრიტერიუმებისა: თუ რის გამო ეხება ავტორი მხოლოდ მყიდველისა და შემკვეთის (ნარდობის შემთხვევაში) მეორად მოთხოვნებს და ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა ხელშეკრულებებს, რომ ეს არ არის მხოლოდ ადგილისა და დროის სიმცირით ნაკარნახევი გადაწყვეტა, არამედ განპირობებულია ამ საკითხებს შორის სტრუქტურული მსგავსებით. ადგილისა და

---

<sup>99</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად ქვევით.

<sup>100</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 76.

დროის სიმცირის არგუმენტი მკითხველის გონებაში, ჩვეულებრივ, ავტორის სიზარმაცესთან ასოცირდება. მაშინაც კი, როდესაც ნაშრომის მოცულობა რეალურად შეზღუდულია (მაგ. სამეცნიერო სტატია), ამ დათქმის გაკეთება, სულ მცირე, ავტორის არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს – მან უნდა იზრუნოს ისეთი თემის შერჩევაზე, რომლის ამომწურავად დახასიათებასაც შეძლებს რედაქტორის მიერ განერილ ჩარჩოებში და მხოლოდ ამ ჩარჩოებიდან გამომდინარე არ უნდა დააქუცმაცოს ერთიანი ვრცელი თემა.

#### **IV. მთავარი ნაწილის აგებულება**

##### **1. აღწერილობითი ნაწილი**

სამეცნიერო ნაშრომის მთავარი ნაწილი უნდა დაიწყოს იმ პრობლემატიკის აღწერით, რომელიც წარმოადგენს მის მთავარ თემას. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადი წინ უნდა უსწრებდეს კონკრეტულს, ავტორმა მკითხველს, რომელსაც, ჩვეულებრივ, არა აქვს ხოლმე ზუსტი და სიღრმისეული წარმოდგენა ნაშრომის თემატიკის შესახებ, ჯერ უნდა გააცნოს ამ თემის კონტურები და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაებას კონკრეტულ საგნობრივ კამათში. ამგვარად, აღწერილობითი ნაწილი მოიცავს ცნებების განმარტებას, არსებული მდგომარეობის მიმოხილვას, ამჟამინდელი საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს პრობლემის დახასიათება ისტორიულ ქრილში, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც



არსებობს ერთიანი ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ინსტიტუტი. ამ გაგებით ქართულ სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე ან საკუთრების უფლებაზე საუბრისას უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს რომის სამართალსა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, ვიდრე საბჭოთა პერიოდის სამართალს.<sup>101</sup> მხოლოდ მშრალ ქრონოლოგიას, ჩვეულებრივ, არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. მთელი რიგი თემების მიმოხილვა შეუძლებელია ევროპული კონტექსტის გარეშე (მაგ. სამომხმარებლო სამართალი, საკონკურენციო სამართალი, პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, და ა. შ.). შედარებით-სამართლებრივი კვლევების შემთხვევაში, ძირითადად, მიღებულია მისი დანაწევრება სხვადასხვა შესაძარებელი მართლწესრიგების მიხედვით.<sup>102</sup> ამას უწოდებენ ასევე „კლასიკურ“ აგებულებასაც, როდესაც, მაგალითად, საქართველოში სამართლებრივი მდგომარეობის დახასიათებას მოსდევს იმავე პრობლემის მიმოხილვა გერმანული, ინგლისური ან რომელიმე სხვა მართლწესრიგის მიხედვით.<sup>103</sup> თუმცა შესაძლებელია შედარებით-სამართლებრივი კვლევის პრობლემაზე ორიენტირებულად აგება და ცალკეული მართლწესრიგების მიერ შემოთავაზებული გადანყვეტის მასში ინტეგრირება:

---

<sup>101</sup> შდრ. *ჯორბენაძე*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 34-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>102</sup> *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, I, 44-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>103</sup> შდრ. მაგალითისათვის *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I.

*„ ... ამ ანგლო-ამერიკული სამართლებრივი ფიგურის სანიანალმდეგოდ შეგვიძლია მივუთითოთ გერმანულ მართლწესრიგში აღიარებულ არგუმენტზე. ...“*

ეს უკანასკნელი გზა, მართალია, უფრო რთულია, მაგრამ, ამავედროულად, უფრო დახვეწილ შთაბეჭდილებას ტოვებს<sup>104</sup> და, საბოლოო ჯამში, უფრო ინტენსიურად ილექება მკითხველის მეხსიერებაში, ვიდრე ერთმანეთისაგან იზოლირებულად მონოდებული ცნობა სხვადასხვა მართლწესრიგის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა იყოს მაქსიმალურად ლაკონური და შემოიფარგლოს მხოლოდ არსებითი პუნქტებით. სიმოკლის მიუხედავად, ფაქტობრივი გარემოებების აღწერა უნდა იყოს გასაგები და ამომწურავად გადმოსცემდეს დავის არსს ან მის იმ ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანია დასამუშავებელი პრობლემის კონტექსტში. ჩვეულებრივ, ავტორი უცვლელად იღებს ხოლმე ქართული სასამართლოების მიერ არჩეულ ბუნდოვან და მშრალ სტილს,<sup>105</sup> რაც ნამდვილად არ განაწყოებს მკითხველს ამგვარი ტექსტისადმი.

## **2. პოზიცია და დასაბუთება**

მხოლოდ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის დახასიათება არ ქმნის სამეცნიერო ნაშრომს.<sup>106</sup> ავტორმა

---

<sup>104</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 76.

<sup>105</sup> იხ. ამ სტილის კრიტიკასთან დაკავშირებით § 6.

<sup>106</sup> შდრ. ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, I, 44.

ამისა გარდა კრიტიკულად უნდა გადაიაზროს სასამართლო პრაქტიკასა თუ სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში გამოთქმული დებულებები და დაიკავოს მათთან დაკავშირებით გარკვეული პოზიცია. ამასთან, ერთმანეთისაგან გასამიჯნია კამათის წარმოჩენა და საკუთარი პოზიციის დაკავება.<sup>107</sup>

#### *ა) თეზისები და არგუმენტები*

ხშირ შემთხვევაში ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ თეზისის წამოყენებით უკვე მთავარი საქმე გაკეთებულია. გინდ ეს თეზისი აბსოლუტურად ჭეშმარიტი იყოს, მოცემული მიდგომა მაინც არასწორია. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს წანამძღვრები და არგუმენტები. თეზისი წარმოადგენს მხოლოდ მტკიცებით წანამძღვარს. თუ ავტორი მხოლოდ ამტკიცებს, მაგრამ არაფერს ასაბუთებს, რთულად თუ შეძლებს მკითხველის დარწმუნებას. ამგვარად, აუცილებელია ყოველი თეზისის შესაბამისი არგუმენტებით გამყარება.

*მაგალითად, თუ სტუდენტს მშობლები უცხოეთში გაცარებული სემესტრის დადებით და უარყოფითი მხარეებთან დაკავშირებით უსვამენ შეკითხვებს, დასაბუთებული და დაუსაბუთებელი პასუხი შემდეგნაირად გამოიყურება:<sup>108</sup>*

---

<sup>107</sup> *Brinkmann*, Die rechtswissenschaftliche Seminar- und Doktorarbeit, 119.

<sup>108</sup> მაგალითი აღებულია: *Möllers*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 77.

<p><b>მსჯელობა I: აქვს ბევრი დადებითი, მაგრამ ასევე რამდენიმე უარყოფითი მხარე.</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დადებითი მხარე – ენობრივი კომპეტენციის სრულყოფა.</li> <li>• ენის ცოდნას, ჩვეულებრივ, ყველა დამსაქმებელი მოითხოვს.</li> <li>• უცხოური სამართლის სისტემის გაცნობა.</li> <li>• მოთხოვნადია დიდი საადვოკატო კანტორებისათვის.</li> <li>• გვეხმარება საკუთარი სამართლის უკეთ გაგებისათვის.</li> <li>• თუმცა წარსულში უცხო მართლწესრიგი მხოლოდ სამეცნიერო ინტერესის საგანს წარმოადგენდა.</li> <li>• ამასთან ახანგრძლივებს სამშობლოში სწავლის პერიოდს.</li> </ul> <p><b>ჩემი აზრით დადებითი მხარეები გადანონიან უარყოფითს.</b></p>	<p><b>მსჯელობა II: სემესტრი უცხოეთში ღირს ნებისმიერ ფასად</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაქვს ბევრი შესაძლებლობა გაეცნოთ ენას და იქაურ კულტურას.</li> <li>• დღეს ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.</li> <li>• მაგრამ უცხოეთში მოპოვებული ცოდნა საქართველოში დიდად არ გამოგადგება.</li> <li>• თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში უცხოეთში გატარებული პერიოდი ძალიან სასიამოვნოა.</li> </ul>
--	---

მეორე მსჯელობა შეიცავს ორ დაუსაბუთებელ თეზისს – „დღეს ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“ და „ნებისმიერ შემთხვევაში უცხოეთში გატარებული პერიოდი ძალიან სასიამოვნოა“ – რის გამოც ის გაცილებით ნაკლებ დამაჯერებელია, ვიდრე თავდაპირველად ჩამოყალიბებული პოზიცია.

სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებული არგუმენტირებული და არაარგუმენტირებული მსჯელობის მაგალითად შესაძლებელია შემდეგი ორი პასაჟის მოყვანა. ქართულ სამოქალაქო სამართალში კამათის საგანს წარმოადგენს ძალადობის (ფიზიკური იძულების) იძულების ცალკე (მუქარისაგან განსხვავებულ) შემადგენლობად მიჩნევა და მისი საცილობის დამოუკიდებელ საფუძვლად აღიარება სკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით.<sup>109</sup> ერთი მოსაზრების თანახმად, არსებობს მხოლოდ ფსიქიკური იძულება – მუქრა, რომელიც სრულებით შთანთქავს ყველა სხვა ზემოქმედებას ნების ჩამოყალიბებისა და გამოხატვის პროცესზე. ამის საწინააღმდეგო (დასაბუთებული და დაუსაბუთებელი) პოზიციის ჩამოყალიბება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

*მსჯელობა I:* არასწორია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც 85-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული იძულების ქვეშ მხოლოდ ფსიქიკური იძულება, ანუ მუქარა, უნდა გავიგოთ.

---

<sup>109</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), მუხ. 85 მე-10 და მომდევნო ველები.

ამ მოსაზრების თანახმად, ცემისას მნიშვნელოვანია არა უკვე განხორციელებული დარტყმა, არამედ ყოველი შემდგომი დარტყმის შიში. ნების მხოლოდ მოდრეკა შესაძლებელია ფიზიკური იძულების გამოყენებითაც და არა მხოლოდ სამომავლო საფრთხით დამუქრებით (ფსიქიკური იძულება) და ეს იძულების დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს. მაგალითად, პირის ჩაკეტვა გარიგებაზე ხელის მონერის მიზნით, ან უნარშეზღუდულისათვის ეტლის გამოცლა, ეს არ არის მხოლოდ სამომავლო საფრთხით დამუქრება, არამედ უკვე რეალიზებულია საფრთხე, სულ მცირე, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა.

საზღვრის ნაშლა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას შორის, როგორც ამას ზემოთ ხსენებული მოსაზრება გვთავაზობს, არასასურველია, ძალადობის დროს პირი უშუალოდ იმყოფება ექსტრემალურ სიტუაციაში და მისთვის გაცილებით რთულია იძულების რეალური ხასიათის შეცნობა 86-ე მუხლის მიხედვით, ვიდრე ამ ძალადობით მხოლოდ დამუქრების შემთხვევაში. ცემით მუქარა სხვაა და რეალური ცემა კიდევ სხვა, რადგან ნება ითრგუნება არა მხოლოდ შემდეგი დარტყმის შიშით, არამედ უკვე განხორციელებული დარტყმითაც.

გარდა ამისა, ძალადობის მართლზომიერების განსაზღვრა, 88-ე მუხლის მიხედვით სულ სხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს, ვიდრე იძულების. მაგალითად, თუ ცოლი ცემის მუქარით აიძულებს ქმარს გაიღოს ფული საერთო შვილის გადაუდებელი ოპერაციისათვის,

რადგან ეს ბავშვის გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს, ეს ჩაითვლება უკიდურეს აუცილებლობად (სკ-ის 117 I მუხლი) და ამგვარად გამოირიცხება მართლწინააღმდეგობა. სხვაგვარად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ფულის გაღებისაკენ იძულების მიზნით პირდაპირ მიმართავს ქმრის ცემას. აქ უკვე შეუძლებელია მართლწინააღმდეგობის გამოირიცხვა.

*მსჯელობა II:* არასწორია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც 85-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული იძულების ქვეშ მხოლოდ ფსიქიკური იძულება, ანუ მუქარა, უნდა გავიგოთ.

გარდა იმისა, რომ ეს პოზიცია პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონის ტექსტს, ის, საბოლოო ჯამში, ნების მომდრეკი იძულების ფსიქიკურ იძულებასთან არასწორ გაიგივებას ემყარება.

ის ფაქტი, რომ გსკ-ის 123 I პარაგრაფი მხოლოდ ფსიქიკურ ძალადობას ეხება, ქართულ სამართალში ამ გადაწყვეტის ავტომატურ კოპირებას არ გვავალდებულებს. განსხვავებულია, მაგალითად, შესაბამისი დანაწესი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში (1112 მუხლი), რომელიც ზოგადად ძალადობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა დღესდღეობით, წარსულში გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ, საფრანგეთშიც იძულების ერთადერთ ფორმად მხოლოდ ფსიქიკური ძალადობაა აღიარებული. მიუხედავად ქართული დანაწესების თვალშისაცემი მსგავსებისა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებთან (1111-

1115 მუხლები), არც ამ გადაწყვეტის გაზიარებაა სავალდებულო ქართულ სამართალში.

საზღვრის ნაშლა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას შორის, როგორც ამას ზემოთ ხსენებული მოსაზრება გვთავაზობს, არასასურველია, პირიქით, უნდა მოხდეს ძალადობისა და მუქარის შემთხვევების მაქსიმალურად დამოუკიდებლად გამოკვეთა და ორივესთვის ცალ-ცალკე დოგმატიკის შემუშავება, რადგან იძულების სიმძაფრე და ნების თავისუფლების ხელყოფის ინტენსივობა ამ ორივე შემთხვევაში განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილ ორივე მსჯელობაში იდენტური თეზისებია განვითარებული, მეორე მსჯელობაში არც ერთი თეზისი არ არის დასაბუთებული და დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაკლებსავარაუდოა ამ ნაწყვეტის ნაკითხვის შემდეგ მკითხველი დარწმუნდეს ავტორის პოზიციის მართებულობაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიცია მართლაც მართებულია.

### *ბ) კამათის წარმოჩენა*

კამათი მხოლოდ მაშინ საჭიროებს წარმოჩენასა და გადაწყვეტას, თუ განსხვავებული მოსაზრებები განსხვავებულ შედეგამდე მიდიან. სხვა შემთხვევაში, კამათის ფართოდ გაშლა და „პრო და კონტრა» არგუმენტების დეტალურად დახასიათება, თუ ისინი ერთიან შედეგამდე მიდიან, ჩვეულებრივ, სრულებით ზედმეტია.<sup>110</sup>

---

<sup>110</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 78.



ადვოკატს სარჩელის შედგენისას, ან სტუდენტს საგამოცდო კაზუსის ამოხსნისას არ მოეთხოვება საკუთარი პოზიციის განვითარება და დასაბუთება. აქ საკმარისია, თუ ის სასამართლო პრაქტიკასა, თუ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ მოსაზრებას გაიზიარებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია დასაბუთებული იყოს, თუ რატომ იზიარებს ავტორი ამ და არა სხვა მოსაზრებას. „ეს უკანასკნელი მოსაზრება სწორია, შესაბამისად გასაზიარებელია“ – არგუმენტად არ გამოდგება.<sup>111</sup> დისერტაციაში, სტატიაში და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში აუცილებელია ავტორმა არა მხოლოდ გაიზიაროს სხვისი მოსაზრებები, არამედ განავითაროს საკუთარი დამოუკიდებელი მსჯელობა. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს ყოველ პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის ქონას, თუმცა ცენტრალურ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ნაშრომის გულის გულს წარმოადგენს, აუცილებელია ავტორი რაიმეს არსობრივად ახალს ამბობდეს და ალტერნატიული გადაწყვეტებით, ან, სულ მცირე, ახალი არგუმენტებით ამდიდრებდეს არსებულ მეცნიერულ კამათს.

პირველ რიგში, ამისათვის აუცილებელია თავად ამ აზრთა სხვადასხვაობის წარმოჩენა, რაც თავისთავად გულისხმობს ორი, ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრების არსებობას, რომელთაც, ჩვეულებრივ, ემატება ასევე მესამე ე. წ. „მომრიგებლური მოსაზრება“, რომელიც ცდილობს კომპრომისის მონახვას საპირისპირო პოლუსებს შორის.

---

<sup>111</sup> ამგვარი „დასაბუთება“ ასოცირდება *ლენინის* ცნობილ გამონათქვამთან: „მარქსის მოძღვრება ყოვლისშემძლეა, იმიტომ რომ სწორია“, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც უკვე ჩუმი ქილიკის საგანს წარმოადგენდა.

თუ დაპირისპირებული ბანაკის ფარგლებშიც არ არსებობს აზრთა ერთიანობა, ანუ საწინააღმდეგო მოსაზრება თავის მხრივ ურთიერთდაპირისპირებულ მოსაზრებებად იტოტება, აუცილებელია მათი დაჯგუფება, მაგალითად:

*მოსაზრებები, რომლებიც ორმხრივი არანამდვილი ხელშეკრულების უკუსაქცევად „ორი კონდიქციის თეორიის“ გამოყენებას გამოორიცხავენ, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთნი მის საპირისპიროდ იყენებენ საღდოს თეორიას, ხოლო მეორენი – „მოდიფიცირებული ორი კონდიქციის თეორიას“.<sup>112</sup>*

ეს განსხვავებული ქვემოსაზრებები ავტორმა ჯერ ზოგადად ერთმანეთს უნდა შეუპირისპიროს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს კონკრეტული არგუმენტების მოყვანაზე.

საკუთარი პოზიციის განვითარებამდე, სასურველია, თუ ავტორი **advocatus diaboli**-ს, ანუ ე. წ. „ემმაკის ადვოკატი-ს“, როლს გაითამაშებს, ანუ შეძვრება მოწინააღმდეგის ტყავში და თავიდან ბოლომდე გაისიგრძეგანებს მის პოზიციასა და არგუმენტებს. გარდა ამისა, ავტორმა საკუთარი პოზიციის გამამყარებელი არგუმენტები უნდა დააწყოს მათი დამაჯერებლობისდა მიხედვით.<sup>113</sup> თუ ის საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას დაიწყებს ყველაზე ძლიერი არგუმენტით და დაასრულებს სუსტით, ამით მკითხვე-

---

<sup>112</sup> შდრ. *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, 152-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>113</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 78.

ლი, თავიდან, მართალია, ავტორის პოზიციისკენ გადაიხრება, თუმცა ბოლოში მხოლოდ იმედგაცრუებული დარჩება:

*მაგალითად, ვინდიკაციასა და შესრულების კონდიქციას შორის კონკურენციასთან დაკავშირებული კამათისას, სუსტ არგუმენტად ჩაითვლება შემდეგი მტკიცება: „რადგან კანონმდებელმა უფრო დეტალურად მოაწესრიგა კონდიქციის დამატებითი მოთხოვნები, ვიდრე ვინდიკაციის, ამიტომაც, პირველს უნდა მიენიჭოს კონკურენციისას უპირატესობა“. შესაძლებელია ამ დეტალური მოწესრიგების უკან საერთოდ არ იდგეს კანონმდებლის გამიზნული გადანყვეტილება ზუსტად ამ კონკურენციის ქრილში. ამის საპირისპიროდ, ძლიერ არგუმენტად ჩაითვლება: „ვინდიკაციასთან კონკურენციისას შესრულების კონდიქციისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე მისი გამოყენების სფერო ნულის ტოლფასი იქნებოდა“. ეს არგუმენტი უფრო წონადია, რადგან ნაკლებსავარაუდოა კანონმდებელს შეექმნა ინსტიტუტი, ყოველგვარი გამოყენების სფეროს გარეშე.*

არასწორია ასევე საპირისპირო მიდგომაც – სუსტი არგუმენტით დაწყება და ძლიერით დამთავრება, რადგან ამით ავტორი მკითხველს უბრალოდ თავს აწყენს და ამ უკანასკნელმა შეიძლება საერთოდ აღარც კი გააგრძელოს კითხვა ძლიერ არგუმენტამდე. ამიტომაც, ყველაზე გამართლებულია მსჯელობის ძლიერი არგუმენტით დაწყება და ძლიერი არგუმენტითვე დამთავრება, ხოლო მათ შორის ყველა სხვა ნაკლებდამაჯერებელი არგუმენტის თავმოყ-

რა.<sup>114</sup> ნაკლებწონიანი არგუმენტებისაგან უნდა გაიმიჯნოს არაფრისმთქმელი არგუმენტები, რომლებიც რთულად თუ ჩაითვლება საერთოდ არგუმენტად.

*მაგალითად, ქართულ სამართალს გერმანული სამართლისაგან მემკვიდრეობით ერგო თვისებაში შეცდომისა (სკ-ის 74-ე მუხლი) და ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების (სკ-ის 398-ე მუხლი) კონკურენციის პრობლემა.<sup>115</sup> ერთი მოსაზრების მიხედვით, ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ 398-ე მუხლი, ხოლო სანინაალმდეგო მოსაზრება ამ დროს 74-ე მუხლის გამოყენებისაკენ იხრება. ამ კამათისას პირველი მოსაზრების გასამყარებლად იმ არგუმენტის მოყვანა, რომ 398-ე მუხლი ამ კონტექსტში სპეციალურია, რადგან მხოლოდ ორმხრივი წარმოდგენის გაცუდებას ეხება, განსხვავებით 74-ე მუხლისაგან, რომელიც ეხება როგორც ორმხრივ, ისე ცალმხრივ შეცდომას, არადაამაჯერებელია. ეს „სპეციალურობის არგუმენტი“ ძალზე მარტივად ტრიალდება თავად ამ მოსაზრების სანინაალმდეგოდ და საპირისპირო მოსაზრების გასამყარებლად: „სინამდვილეში სწორედ 74-ე მუხლია სპეციალური, რადგან, ეხება არა ნებისმიერი, არამედ სპეციალური წარმოდგენის გაცუდებას, ისეთი წარმოდგენისა, რომელიც არის ამავდროულად მნიშვნელოვანი შეცდომა თვისებაში.“ ეს არგუმენტი და კონტრარგუმენტი სარკისებურად ირეკლავს ერთმანეთს და საბოლოო ჯამში, როგორც ერთი, ისე მეორე არაფრისმთქმელია და*

---

<sup>114</sup> *Gast, Juristische Rhetorik, Rn. 864.*

<sup>115</sup> იხ. *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 214-ე და მომდევნო გვერდები.

*მათი გამოყენება საერთოდ არ ღირს სამეცნიერო დისკუსიაში.*

ყველაზე ძლიერია ხოლმე არგუმენტი, რომელსაც საწინააღმდეგო მოსაზრებას დაუშვებლად წარმოაჩენს, რადგან, მაგალითად, ნორმის წინაპირობები ან სამართლებრივი შედეგები ამ შემთხვევას არ შეესაბამება. ამ ტიპის არგუმენტებს განეკუთვნება ე. წ. აბსურდის არგუმენტი (*argumentum ad absurdum*)<sup>116</sup> – ოპონენტის მსჯელობის თანმიმდევრულად განვითარების შემთხვევაში რაღაც ეტაპზე მივალთ შედეგამდე, რომელიც ყოველგვარ საღ აზრს ეწინააღმდეგება.

გარდა ძლიერი არგუმენტით დაწყება-დამთავრებისა, აუცილებელია საწინააღმდეგო პოზიციის არგუმენტებისა და მათი გამაქარწყლებელი კონტრარგუმენტების ერთად მოყვანა – არგუმენტს უნდა მოსდევდეს კონტრარგუმენტი – და მათი არა მხოლოდ ერთმანეთისაგან იზოლირებულად ჩამოწერა, რადგან მკითხველმა შეიძლება საერთოდ ვერ დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან და მისთვის გაუგებარი დარჩეს, თუ რას ეხებოდა საქმე.

### *გ) პოზიციის დაკავება*

ავტორმა საკუთარი მოსაზრება უნდა გამიჯნოს სხვა მეცნიერთა მიერ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული კამათის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებებისაგან და ჩამოაყალიბოს ის მკაფიო პოზიციის სახით. ამგვარად კა-

---

<sup>116</sup> იხ. დეტალურად გვ. 213 .

მათის დახასიათებისას აუცილებელია: პრობლემის აღწერა (1), დაპირისპირებული მოსაზრებების გადმოცემა (2), საკუთარი პოზიციის გამოკვეთა (3).

*ორმხრივი შეცდომა თვისებაში:* კარლ ბიდერმაიერი ვაჭრობს საკოლექციო მარკებით. ერთ დღესაც ის უგზავნის თავის კლიენტ ჰანსს სერიიდან “გერმანული კოლონიები” მარკას, “კაროლინის კუნძულები”, თანდართული ფასით – 1500 ლარი. მეორე დღეს კ ერთერთი რიგითი კატალოგის დათვალიერებისას აღმოაჩინს, რომ მის მიერ ჰ-სათვის გაგზავნილი მარკა წარმოადგენს ძალზე იშვიათ ცთომილ მარკას, მასზე გამოსახულ გერმანულ გემს ორი ანძის მაგივრად აქვს სამი, რის გამოც მისი ფასი ბაზარზე 15000 ევროა. კ სალამოსვე უკავშირდება ჰ-ს, აუნყებს შეცდომის შესახებ და უცხადებს შეცილებას. აქვს თუ არა მას ამის უფლება?<sup>117</sup>

თვისებაში ორმხრივი შეცდომის შემთხვევის გადაწყვეტა საკამათოა. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად,<sup>118</sup> შეცილების უფლება გამორიცხული უნდა იყოს გარიგების საფუძვლის დარღვევის ინსტიტუტთან (გსკ-ის 313-ე პარაგრაფი, სკ-ის 398-ე მუხლი) კონკურენციის გამო. თუმცა, საპირისპირო პოზიციის მიხედვით, ამ შემთხვევის გადაწყვეტაც შეცილების მეშვეობით უნდა მოხდეს, რომლის საფუძველსაც თვისებაში შეცდომა

---

<sup>117</sup> იხ. ამ კაზუსის ამოხსნისათვის *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 208-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>118</sup> მაგალითისათვის იხ. *Rüthers/Stadler*, BGB AT, § 25 Rn. 96; *Boemke/Ulrici*, BGB AT, § 12 Rn. 77; *Rösler*, JuS 2005, 122.

(გსკ-ის 119 II პარაგრაფი, სკ-ის 74 II მუხლი) წარმოადგენს.<sup>119</sup> გაბატონებული მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

გარიგების საფუძვლის დარღვევა წარმოადგენს სპეციალურ ინსტრუმენტს, რომელიც მონესრიგებულია ვალდებულებით სამართალში, განსხვავებით გსკ-ის ზოგად ნაწილში მონესრიგებული შეცილებებისაგან. საფუძვლის დარღვევა სპეციალურია ასევე იმიტომაც, რომ ეხება მხოლოდ ორმხრივ შეცდომას, როგორც ორმხრივი წარმოდგენების გაცუდებას, განსხვავებით შეცილებებისაგან, რომლის გამოყენებაც შეიძლება როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი შეცდომის შემთხვევაში. ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში საფუძვლის მოშლა მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს უფრო სპეციალური ვიდრე შეცილება. მართალია, ის ეხება მხოლოდ ორმხრივ და არა ცალმხრივ შეცდომას, მაგრამ ასევე შეცილება ეხება არა ნებისმიერი წარმოდგენის გაცუდებას, ანუ უბრალო შეცდომას, არამედ მხოლოდ არსებით შეცდომას თვისებაში, რის გამოც სწორედ შეცილება წარმოადგენს თვისებაში (თუნდაც ორმხრივი) შეცდომის შედეგების აღმოფხვრის მექანიზმს.

გარდა მოცემული არგუმენტისა, გაბატონებული მოსაზრების მიმდევრები უთითებენ იმ გარემოებაზე,

---

<sup>119</sup> *Finkenauer*, in MüKo BGB, § 313 Rn. 146; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, Rn. 162; *Wertenbruch*, BGB AT, § 12 Rn. 34; *Huber*, Irrtumsanfechtung, 13; *Hübner*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, Rn. 1101; *Wolf*, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 491.

რომ გარიგების საფუძვლის დარღვევა უფრო მოქნილია, ვიდრე შეცილება. საფუძვლის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს წარმოადგენს ხელშეკრულების მისადაგება ან გასვლა *ex nunc*-მოქმედებით. ორივე შემთხვევაში გარიგება არ ხდება არანამდვილი დადების მომენტიდან, რაც, საბოლოო ჯამში, პრინციპის – *pacta sunt servanda* – გამოვლინებას წარმოადგენს და ირიბად სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება. ამის საპირისპიროდ, შეცილება გარიგებას არანამდვილად აქცევს დადების მომენტიდანვე და ამგვარად, გაცილებით უფრო ხისტი მექანიზმია, ვიდრე საფუძვლის დარღვევა. საინანაღმდეგო პოზიცია აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სიხისტე-მოქნილობა ამ კონტექსტში სრულებით არაფრისმთქმელია. თუ კანონი გარკვეული ტიპის შეცდომებისას შემცდარ მხარეს აღჭურვავს უფლებით, აქციოს გარიგება დადების მომენტიდანვე არანამდვილად, ეს უფლება მას არ უნდა წაერთვას მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე მხარესაც შეეშალა. შეცილების ხისტი შედეგები თვისებაში შეცდომისას წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას და მას ვერ გააჩივრებულ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს შეცდომა ორმხრივია. ხელშეკრულების „გადარჩენის“ ინტერესს ამ შემთხვევაში გადანონის შემცდარი მხარის დაცვის აუცილებლობა.



თუმცა მთავარი გარემოება, რომელზეც გაბატონებული მოსაზრება აფუძნებს საკუთარ პოზიციას, შემდეგია:<sup>120</sup> ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში შეცილები-სა და შეცილებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების (გსკ-ის 122-ე პარაგრაფი, სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოყენებისას აბსურდულ შედეგამდე მივდივართ: შემცილებელი უნაზღაურებს მეორე მხარეს ზიანს (გსკ-ის 122-ე პარაგრაფი), რაც ემსახურება მეორე მხარის დაცვას, რომელიც მიენდო გამოვლენილი ნების უშეცდომობას, რის გარეშეც მასთან არ დადებდა გარიგებას – ე. წ. ნდობის ზიანი. თუმცა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აზრს კარგავს, თუ ორივე მხარეს ეშლება. ამ დროს ორივე მხარეს აქვს შეცილების უფლება და მხოლოდ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, თუ რომელი გამოიყენებს მას პირველი და აანაზღაურებს ზიანს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იცავს მეორე მხარის ნდობას ხელშეკრულების შედგომასთან დაკავშირებით, რომელიც არ იმსახურებს დაცვას, თუ ეს შეცდომა ორმხრივია. ამ აბსურდულობაში ბრალის დადების საპასუხოდ არაგაბატონებული მოსაზრება<sup>121</sup> უთითებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად ორმხრივი შეცდომისა, შეცილების უფლებას გამოიყენებს მხოლოდ ის მხარე, რომლის ინტერესებშიცაა გარიგების *ex tunc*-მოქმედებით არანამდვილობა და, შესაბამისად, მხოლოდ ის იქნება ვალდებული აანაზღაუროს ზიანი. ამიტომაც, სრულებით არააბსურდულია, რომ მხარემ, რომლის

---

<sup>120</sup> *Boemke/Ulrici*, BGB AT, § 12 Rn. 77; *Rösler*, JuS 2005, 122.

<sup>121</sup> *Finkenauer*, in MüKo BGB, § 313 Rn. 146; *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, Rn. 162.


ინტერესებშიცაა გარიგების არანამდვილობა, მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ არანამდვილობით გამოწვეული ზიანი.

*შეჯამება:* საბოლოო ჯამში გაბატონებული მოსაზრების თითოეულ არგუმენტს საწინააღმდეგო პოზიცია უფრო დამაჯერებელ კონტრარგუმენტებს უპირისპირებს. განსაკუთრებით მიზანს აცდენილია უკანასკნელი, ე. წ. აბსურდის-არგუმენტი, რომელიც თავად პირველი მოსაზრების საპირისპიროდ ტრიალდება. საქართველოში მეორე (არაგაბატონებული) მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც მთავარი არგუმენტი ორმხრივი შეცდომის შემთხვევაში შეცილების უფლების წინააღმდეგ, სკ-ის 79 II 2 მუხლის მიხედვით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება. მხოლოდ ის მხარეა ვალდებული აანაზღაუროს ზიანი, რომელსაც შეცდომა დაუდევრობით მოსდის. თუ პირს დაუდევრობით მოსდის შეცდომა, მაშინ გამართლებულია, რომ მან მეორე მხარეს აუნაზღაუროს კიდევ აქიდან წარმოშობილი ზიანი. გერმანიაში გსკ-ის 122-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ნეგატიურ ინტერესზეც, ანუ შემცდარმა მხარემ მეორე მხარე, რომელმაც დაიჯერა გარიგების არასაცილობა, უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, გარიგება საერთოდ რომ არ დაედო. მეორე მხარის ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება, შეცდომის მიუხედავად დარჩენილიყო ნამდვილი (პოზიტიური ინტერესი), დაცული არ არის. განსხვავებით გერმანიისაგან, საქართველოში კონტრარგუმენტს, რომ ყოველთვის

ის მხარე გამოიყენებს შეცდომების უფლებას, რომლისათვისაც ეს მომგებიანია, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. ქართველი კანონმდებელი იცავს არა მხარის ნეგატიურ ინტერესს, ანუ ნდობას გარიგების არდადებასთან დაკავშირებით, არამედ პოზიტიურ ინტერესს, ანუ გარიგების ნამდვილობის ნდობას – “გარიგების ბათილობით გამონვეული ზიანი” (სკ-ის 79 II 1 მუხლი). ეს ნდობა მოიცავს შეცდომის უფლების არგამოყენებასთან დაკავშირებულ ნდობასაც, ანუ ნდობას, რომ, მიუხედავად შეცდომისა, გარიგება მაინც დარჩება ნამდვილი – ანაზღაურდება არა შეცდომის შედეგები, არამედ გარიგების ბათილობის შედეგები და გადამწყვეტი არ არის, დაიდებოდა თუ არა გარიგება შეცდომის გარეშე. შესაბამისად, გამართლებულია, რომ მხარემ, რომელიც გარიგებას არანამდვილად აქცევს, მეორე მხარეს აუნაზღაუროს პოზიტიური ინტერესი. მეორე მხარის ნდობა გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით, მიუხედავად ორმხრივი შეცდომისა, მაინც იმსახურებს დაცვას. შეცდომების უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული გარიგების საფუძვლის დარღვევის ინსტიტუტის უპირატესი გამოყენების გამო.

კამათის არსისა და მის ფარგლებში მოყვანილი ცალკეული არგუმენტების უკეთ გაგებისათვის, სასურველია მათი ვიზუალიზება მანამ, სანამ ავტორი მოახდენდეს მის რეპროდუცირებას საკუთარი ნაშრომის ფურცლებზე. ზემოთ მოყვანილი კამათის მონახაზის გაკეთება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

**ორმხრივი შეცდომა თვისებაში**



*დ) ცხადი და მწყობრი მსჯელობა*

პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი დასაბუთებისას ყველა ეტაპზე ავტორი უნდა ეცადოს მსჯელობის ცხადად და მწყობრად გამართვას. ამისათვის აუცილებელია, რომ ავტორს წერის ყოველ მომენტში თვალწინ ედგას ის მიზანი, რის მიღწევასაც ცდილობს – მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორმა იცის, თუ რა უნდა, მიაღწევს მას. ამიტომაც, სასურველია უკვე სამუშაოს დასაწყისშივე მოინიშნოს შედეგები. უადგილოა მსჯელობა რომლის დროსაც მკითხველი იკითხავს „ეს რაღა საჭიროა“; „რა უნდოდა ეთქვა ამით“ და ა. შ. ავტორი სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში არ ყვება ამბავს. ამიტომაც, ჩეულებრივ, ყოველი თავის დასაწყისში უნდა იყოს გაცხადებული თეზისი, რომელიც უნდა დასაბუთდეს. თითოეული ნაბიჯი, თითოეული თეზისი უნდა იყოს ისე ცალსახად და გონივრულად ფორმულირებული, რომ მკითხველმა ყოველთვის მოახერხოს თვალის მიდევნება. მკითხველს საბოლოო ჯამში არ უნდა დარჩეს არჩევანი გარდა დათანხმებისა. არც თუ ისე დამაჯერებელი მსჯელობის მაგალითად შესაძლებელია შემდეგი პასაჟის მოყვანა:

*ავტორი თავის ერთ-ერთ სტატიაში აკრიტიკებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან სასამართლომ ვინდიკაციური მოთხოვნის მინიჭების მაგივრად, (მისი მოსაზრებით) არასწორად მოიშველია კონდიქციური სამართლის დანაწესები. იშვიათად არის ხოლმე ამგვარი პრეტენზიულობით გაცხადებული მოსაზრება ასე დაუსაბუთებელი. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხე-*

ბოდა ფორმის დაუცველად დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის საფუძველზე გადახდილ ბეს. სასამართლომ ამ თანხის უკან დასაბრუნებლად, სწორი გადანყვეტილების საფუძველზე, შესრულების კონდიქცია (სკ-ის 976 I ა) მუხლის მიხედვით) მიიჩნია გამოსაყენებელ სარჩელად. იგივე წესი მოქმედებს გერმანიაშიც, სადაც ხელშეკრულების არანამდვილობა ასევე ბეს შეთანხმებაზეც ვრცელდება და ბეს სახით გადახდილი თანხის დაბრუნება გსკ-ის 812-ე და შემდგომი პარაგრაფების მიხედვითაა შესაძლებელი. მართალია, ქართულმა სასამართლომ გადამწყვეტად ბეს შეთანხმების გაქარწყლებისათვის არა მის საფუძველში მდებარე ხელშეკრულების არანამდვილობა, არამედ ბეს ფორმის დაუცველობა მიიჩნია, თუმცა ეს მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელოა. არადამაჯერებელია ამ გადანყვეტილების ავტორისეული კრიტიკა. გაურკვეველია, თუ რად მიიჩნევს ის ბეს სამართლებრივ ბუნებას, როდესაც მასზე ფორმის თავისუფლების პრინციპის გამოყენებას ცდილობს. ბე არ წარმოადგენს მთავარი ხელშეკრულებისაგან გამოცალკევებად „ბეს ხელშეკრულებას“, რაზეც ნების გამოხატვის პრინციპების გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი, ის არის მხოლოდ და მხოლოდ „ერთი მხარის მიერ განხორციელებული ცალმხრივი შეთანხმება, მხარეთა ფაქტობრივი და არა სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მიმართულია ნამდვილი მთავარი ხელშეკრულების შედეგის გამონწვევისაკენ.“


ავტორის კრიტიკის მთავარ საგანს მაინც უკუმოთხოვნის საშუალებად შესრულების კონდიქციის მიჩნევა წარმოადგენს. ბეს უკუქცევა ვინდიკაციის მეშვეობით (სკ-ის 172 I მუხლი) უნდა მომხდარიყო. მისი არგუმენტაცია ემყარება დაშვებას, რომ ვინდიკაციამ, როგორც „ძლიერმა“ მოთხოვნის უფლებამ უნდა განდევნოს კონდიქცია. ცალკე აღებული მფლობელობა ავტორს არ მიაჩნია კონდიცირებად „რაიმედ“ სკ-ის 976 I მუხლის გაგებით, რა თქმა უნდა, ყოველგვარი შემდგომი დასაბუთების გარეშე. გადახდილი ბეს დაბრუნებასთან დაკავშირებით ის მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ამ თანხის ვინდიცირება და არა კონდიცირება და ყურადღების მიღმა ტოვებს ამის პრაქტიკულ შეუძლებლობას, მიმღების მიერ მიღებული თანხის საკუთარ ფულთან შერევის გამო. გინდ არ გავიზიაროთ ის რადიკალური მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფულის, აბსტრაქტული ღირებულებისა და გაცვლითი ფუნქციიდან გამომდინარე, მისი მხოლოდ კონდიცირებაა შესაძლებელი. ფულადი შესრულების საგანი არა კონკრეტული მონეტების, არამედ აბსტრაქტული ღირებულების მატარებლის გადაცემა, ფულის კონდიქცია კაუზალური სანივთო გარიგების ქვეყნებისათვისაც კი, მისი მიმღების საკუთრებაში მყოფ ფულთან შერევის გამო, კონდიქციური მოთხოვნის მთავარ გამოყენების სფეროდ რჩება.

თუ ავტორს აბსოლუტურად არაგაბატონებული მოსაზრების გაზიარება სურდა, რომლის მიხედვითაც ფულადი შესრულებისას ვინდიკაცია მიმარ-


თუღია არა კონკრეტული კუპიურებისა და მონეტების, არამედ მათში განსხეულებული ღირებულების გამომხმობისაკენ და ამრიგად „ფუღლის ღირებულების ვინდიკაციაზე“ უნდა ვისაუბროთ, ეს მოსაზრება დეტალურ დასაბუთებას საჭიროებდა, რათა გაფანტულიყო ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი კონკრეტული კუპიურებისა და მონეტების დაბრუნებას გულისხმობდა, რაც მოცემულ შემთხვევაში სრულებით შეუძლებელი იყო. *ავტორის* მოსაზრება ამის გამო ცალსახად უკუუსაგდება.

თუ მკითხველი შეეცდება ამ პასაჟიდან გამოყოს მთავარი თეზისები, ქვეთეზისები, არგუმენტები, რაც უთუოდ სასარგებლო სავარჯიშოა. მკითხველს რაც უფრო გაენაფება თვალი, თუ რა არის თეზისი რა არის არგუმენტი, რა არის ქვეთეზისი, რისი გადმოლება ღირს და რისი არა მის სამომავლო ნაშრომში, მით უკეთესია. თუ ტექსტი ოდნავ რთულად აღსაქმელია, ამ თეზისებისა და ქვეთეზისების გამოცხრილვა და დახარისხება სასურველია სქემის მეშვეობით:





ეს სქემა შესაძლებელია შემდეგ ეტაპზე, შემდგომ სამახ-  
სოვრო ბარათზე თვალსაჩინოებისათვის უფრო შემოკლ-  
დეს:



ამ თავისებურ სქემატურ დიაგრამაში ნათლად ჩანს, თუ სად მოიკოჭლებს მოცემული პასაჟის ავტორის კრიტიკა. ამ პასაჟში არაფერია ნათქვამი კონდიქციისა და ვინდიკაციის კონკურენციის შესახებ ზოგადად, მხოლოდ სანინაალმდეგო პოზიციის შეცდომებზეა მითითებული, რაც საბოლოო ჯამში არაფერს ნიშნავს – მეორე მხარის ყველა არგუმენტიც კი რომ არასწორი იყოს, ეს ავტომატურად არ გულისხმობს სანინაალმდეგო პოზიციის სისწორეს. რაც შეეხება ბეს სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებულ მსჯელობას, აქ გამოთქმული კრიტიკისას, საბოლოო ჯამში, უფრო „სახელის გამტეხი“ არგუმენტია მოყვანილი. არავინ დაობს, რომ ბეს თანხა უნდა დაბრუნდეს, თუმცა, თუ გაკრიტიკებული ავტორი არასწორად განსაზღვრავს ბეს სამართლებრივ ბუნებას, მაშინ მას სხვა ბევრი არაფერი დაეჯერება. ამ უკანასკნელი ტიპის არგუმენტებისაგან და კრიტიკისაგან უმჯობესია თავის შეკავება, პირველ რიგში, იმის გამო, რომ ის, ჩვეულებრივ, დისკუსიას არაფერს მატებს და ოპონენტზე შეურაცხმყოფლად მოქმედებს და გარდა ამისა, ზოგჯერ ელემენტარულად აღქმული სხვისი შეცდომები საბოლოო ჯამში სწორი მოსაზრებებია, მხოლოდ კონკრეტული ავტორისათვის „უცნაური“ ფორმით ფორმულირებული და მათი, როგორც მიუტყევებელი, შეცდომის გაკრიტიკება თავად ავტორს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

## V. შეჯამება

შეჯამება (სხვაგვარად ასევე: *დასკვნა, შედეგების მიმოხილვა, ბოლოსიტყვა*; უფრო იშვიათად: *რეზიუმე*) ყოველი აკადემიური ნაშრომის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც კრავს ყველა სხვა ნაწილს ერთ წერტილში, ხსნის საბოლოო კვანძს (თუ ეს ჯერ კიდევ აუცილებელია), უფრო სწორად კი, მოპოვებული შედეგების ერთიან და ზოგად დასკვნაში გაერთიანების გზით სძენს ამ ცალკეულ ნაწილებსა და ზოგადად მთლიან ნაშრომს აზრსა და ლეგიტიმაციას ან, სულ მცირე, კიდევ ერთხელ უსვამს მათ ხაზს.

### 1. მიღებული შედეგების გადმოცემა

სასამართლო გადანყვევტილებისა თუ კაზუსის ამოხსნის შემთხვევაში შეჯამება შესაძლოა ერთ წინადადებაში ჩაეტიოს: *ა-ს აქვს ბ-საგან მოთხოვნის უფლება ან ა დასჯადია ამა თუ იმ ქმედებისათვის*. ასევე მცირე ზომის სტატიის თუ სხვა მცირე ნაშრომის შემთხვევაში საკმარისია ოდნავ უფრო განვრცობილი, თუმცა საერთო ჯამში მაინც მოკლე დასკვნა. გამონაკლისის სახით ამ უკანასკნელ შემთხვევაში დასაშვებია მისი საერთოდ გამოტოვება. ყველა სხვა ტიპის ნაშრომისათვის აუცილებელია უფრო დეტალური და მოცულობითი საბოლოო ნაწილი.

თუმცა შეჯამების ფარგლებში ავტორმა უნდა გადმოსცეს მხოლოდ საკუთარი კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგები და არა – უკვე ცნობილი და ზოგადად აღიარებული არასაკამათო ინფორმაცია. ამით ის კიდევ ერთხელ

ხდის თვალსაჩინოს ნაშრომის ბოლოს მნიშვნელოვან შედეგებს, რაც, ზემოთ ხსენებული კვანძის გახსნისა და შედეგების ამ ერთ პუნქტში თავმოყრის გარდა, მიზნად ისახავს თავად ამ მნიშვნელოვანი კონკრეტული შედეგების კიდევ ერთხელ შეხსენებას მკითხველისათვის. ამგვარად, ის წარმოადგენს თავისებურ ანგარიშს მკითხველის წინაშე. კვლევის შედეგები ავტორმა შემაჯამებელ ნაწილში უნდა გადმოსცეს თეზისებისა ან ერთიანი ტექსტის ფორმით ერთ ან ორ გვერდზე. მოცულობითი ნაშრომის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დასაშვებია უფრო დიდი ზომის შეჯამებაც. სასურველია, თუ შეჯამებისას ავტორი სქოლიოში ან თავად ტექსტში მიუთითებს ნაშრომის იმ გვერდებზე სადაც მოცემულ თეზისებთან დაკავშირებული არგუმენტაცია ფართოდ არის გაშლილი, თუმცა ეს არ უნდა ატარებდეს მასიურ ხასიათს, შეჯამება არ უნდა იქცეს მეორე სარჩევად და მკითხველი არ უნდა გადაიღალოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაკეთებული მითითებებით ნაშრომის სხვა ნაწილებზე და შესაბამისად, უკანფურცვლით.

## 2. პერსპექტივა

იურიდიულ ნაშრომებში არც თუ ის იშვიათია შეჯამებასთან ერთად ასევე მის ფურცლებზე მოცემული დისკუსიის განვითარების სამომავლო პერსპექტივისა და მიმართულების მონიშვნა. ამავე კონტექსტს განეკუთვნება ე. წ. **de lege ferenda**-რეკომენდაციები, ანუ სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით პრობლემის აღმოფხვრის გზებზე მითითება.

## VI. მითითებები სტატიის შესრულებასთან დაკავშირებით

სამეცნიერო ნაშრომთაგან სტატია წარმოადგენს მის ყველაზე გავრცელებულ ტიპს, რადგან ყველა სტუდენტს საუნივერსიტეტო სწავლების განმავლობაში მოუწევს, სულ მცირე, ერთი სტატიის ტიპის ნაშრომის შესრულება, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომის და გარდა ამისა, არც თუ ისე იშვიათად, ვხვდებით ამა თუ იმ იურიდიულ ჟურნალში პრაქტიკოსი იურისტების სტატიებს. სტატიის შესრულების მსურველი, პირველ რიგში, უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რას წარმოადგენს სამეცნიერო სტატია და რატომ არის მისი შესრულება აუცილებელი. თემის შერჩევისა და მისი კონტურების მეტნაკლებად გამოკვეთის შემდეგ, სასურველია, თუ ავტორი უკვე მის სტრუქტურაზე დაიწყებს ფიქრს და წინასწარ მონახაზსაც გააკეთებს. აქვე აუცილებელია, ავტორი წინასწარ გაეცნოს ციტირების ხერხებს ზოგადად (თუ უკვე არ იცნობს) და იმას, თუ რა წესით ითხოვს წყაროების მითითებას იმ სამეცნიერო ჟურნალისა თუ სტატიათა კრებულის რედაქტორი, სადაც გეგმავს ავტორი საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნებას.

### 1. სტატიის შესრულების მიზანი

ზოგადად სტატია წარმოადგენს მოკლე სამეცნიერო ნაშრომს, სადაც იდეები წარმოდგენილია კომპაქტური და (შეძლებისდაგვარად) მარტივად აღქმადი ფორმით, თუმცა ამ უკანასკნელ პირობას სტატიის ავტორნი მხოლოდ

გამონაკლისის სახით თუ იცავენ, რის გამოც ის მხოლოდ ფიქტიურ მოთხოვნად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, რაც ყველა ტიპის სტატიას ახასიათებს, ეს არის ის გარემოება, რომ მასში იდეები გამოტანილია საჯარო სამსჯავროზე. მისი მეშვეობით ავტორი არა მხოლოდ ზოგადად მიანიშნებს კონკრეტულ პრობლემაზე, არამედ გვთავაზობს მისი გადწყვეტის გზებს. სტატია ეხმარება სხვებს, რომელთაც მსგავსი პრობლემები აქვთ და ამ გზით ემსახურება ავტორის იდეების გავრცელებას (სხვები იტაცებენ ამ იდეებს, კრიტიკული თვალთ უყურებენ, ან აუმჯობესებენ).

ქართულ უნივერსიტეტებში სტატია, ჩვეულებრივ, წარმოადგენს დისერტაციის წინაპირობას, თუმცა ამ მიზნის გარეშეც ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს იურისტის სამომავლო კარიერაში. აკადემიური კარიერა პირდაპირ არის დამოკიდებული სამეცნიერო სტატიების რაოდენობასა და ხარისხზე, ხოლო არააკადემიური, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დამოკიდებულია. პრაქტიკოსი იურისტისთვისაც კონკრეტული პრობლემური საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიების გამოქვეყნება წარმოადგენს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების ფართო საზოგადოებისათვის პრეზენტირების საშუალებას და ამგვარად სოციალური და პროფესიული კაპიტალის მოხვეჭის გზას.

## **2. სტატიის სტრუქტურა**

სტატიის სტრუქტურასთან დაკავშირებით ძალაშია ყველა ის პრინციპი რაც ზემოთ სამეცნიერო ნაშრომთან დაკავ-

შირებით იქნა გამოთქმული. ეს სტრუქტურა 15-20 გვერდ-  
დიანი სტატიის შემთხვევაში (პირობითად) შემდეგ პუნქ-  
ტებად შეიძლება დაიყოს:

- აბსტრაქტი (მაქს. 1/2 გვერდი)
- შესავალი (1 ან 2 გვერდი)
- ამოსავალი წერტილი / გამოყენებული ნაშრომები
- მთავარი ნაწილი
- შედეგების განხილვა (სულ მცირე: 1 ან 2 გვერდი)
- შეჯამება და პერსპექტივა (1 გვერდი)
- სარჩევი/დანართი

#### ა) აბსტრაქტი

აბსტრაქტი წარმოადგენს, სათაურის შემდეგ, სტატიის ყვე-  
ლაზე მნიშვნელოვან ნაწილს და, როგორც წესი, გადამწყ-  
ვეტია სტატიის ნაკითხვის გადანყვეტილების მიღებისას.  
მაგალითად, როგორც *პოპერი*<sup>122</sup> ამბობს, “ვისაც არ შეუძ-  
ლია მარტივად გამოთქვას თავისი აზრი უნდა გაჩუმდეს  
და დაიცადოს, სანამ ამის გაკეთება შეეძლება”, ამიტომაც,  
აბსტრაქტი ლაკმუსის ქალღვრის იმის გადასამონმებლად,  
მოვიდა თუ არა ეს დრო. ის უნდა იყოს ამომწურავი და გა-  
საგები უნდა ეხებოდეს შემდეგ ასპექტებს (პირობითად),  
მოცემული თანმიმდევრობით: პრობლემის განმაპირობე-  
ბელი ფაქტორები, მიზნები, მეთოდი, შედეგები, შეფასება  
და დასკვნები. აუცილებელია პუბლიკაციაში მოყვანილ

---

<sup>122</sup> *Popper, auf der Suche nach einer besseren Welt, 99.*



პასაჟებზე ფოკუსირება, ყველა არაფრისმთქმელი და ზოგადი ხასიათის გამონათქვამის გამოტოვება. დასახელებული უნდა იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინები, რადგან აბსტრაქტის ფიქსირება ხდება საძებნი სისტემების მეშვეობით.

*სტატიაში გადმოცემულია გარიგების ფორმის ამერიკული მონესრიგების ძირითადი თავისებურებები, რაც ამ სფეროში კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებული სამართლებრივი სისტემის გამოცდილების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: ფორმალზმის ისტორიული და თანამედროვე გაგება; კანონით დადგენილი და მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის ფუნქციები; 1677 წლის თაღლითობის შესახებ კანონი, როგორც ამ სფეროს მომწესრიგებელი მნიშვნელოვანი აქტი; და ბოლოს, ბეჭდიანი დოკუმენტის თავდაპირველი ისტორიული სახე და ამჟამინდელი ფუნქციური დანიშნულება.*

***საკვანძო სიტყვები:** გარიგების ფორმა, ფორმის ფუნქცია, თაღლითობის შესახებ კანონი, ბეჭდიანი დოკუმენტი.<sup>123</sup>*

## ბ) შესავალი

სტატიის შესავალში, ერთ ან ორ გვერდზე, უნდა მოინიშნოს მისი გამოყენების სფერო, თუ ვინ წარმოადგენს მთავარ ადრესატსა და „მომხმარებელს“ ამ სტატიისა, არის ეს

---

<sup>123</sup> ამირანაშვილი, სამართლის ჟურნალი № 2/2016, 69.

დოგმატური პრობლემისადმი მიძღვნილი კვლევა, თუ ვინაშორ პროცედურული საკითხთან დაკავშირებული – თუ როგორ უნდა მოხდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების წინააღმდეგ საჩივრის დაფიქსირება. გარდა ამისა, შესავალშივე აუცილებელია პრობლემის ზუსტი დახასიათება და საჭიროების შემთხვევაში მისი შემოსაზღვრა. შემდეგ მნიშვნელოვან პუნქტს, რომლის ადგილიც შესავალშია, წარმოადგენს მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოცემულ ოპუსს – მიზნად ისახავს ხანგრძლივი დისკუსიისათვის წერტილის დასმას, სწორედ ამ დისკუსიის გაჩაღებას, სასამართლოს შეცდომაზე ყურადღების გამახვილებას, თუ იმ პროცესის აღწერა, როგორ გააკეთა მე-19 საუკუნის გერმანელმა მეცნიერმა ფილიპ ჰუშკემ ზოოლოგიური აღმოჩენა ისტორიულ-სამართლებრივ კვლევაში.<sup>124</sup>

აბსტრაქტის შემდეგ, ნაშრომის სხვა ნაწილებიდან, მკითხველი ყველაზე მეტად, სავარაუდოდ, შესავალს გაეცნობა და ამგვარად, მასზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გააგრძელებს თუ არა მკითხველი კითხვას. ამიტომაც, ავტორი მის შედგენასაც განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეკიდოს. ამასთან, შესავალმა, როგორ უკვე ზემოთ ნახსენები იყო, დასრულებული სახე მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მიიღოს, რაც ავტორი დაასრულებს ყველა სხვა ნაწილზე მუშაობას.

---

<sup>124</sup> *Huschke.*, Die Verfassung des Königs Servius Tullius, 258-ე და მომდევნო გვერდი.

### *გ) ამოსავალი ნერტილი*

„ამოსავალი ნერტილი“, რის ქვეშაც ნაშრომის ის ნაწილი იგულისხმება, სადაც ავტორი დასმული პრობლემის გადაწყვეტის უკვე არსებულ გზებს მიმოიხილავს, ჩვეულებრივ, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის გადმოცემას წარმოადგენს, თუმცა აქვეა აუცილებელი გამოყენებული მეთოდის გადმოცემაც, თუ საერთოდ შესაძლებელია მისი ცალკე გამოყოფა.

### *დ) მთავარი ნაწილი და შედეგების განხილვა*

მთავარი ნაწილი ეძღვნება დასმული პრობლემატიკის დეტალურ მიმოხილვას. ავტორი წარმოაჩენს ცოდნას, ავითარებს და ასაბუთებს თეზისებს (იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ). მთავარ ნაწილს მოსდევს შედეგების განხილვა, რაც გულისხმობს ცალკეული თეზისების ერთიანი კონკრეტული გადანწყვეტილების ქვეშ გაერთიანებას.

### *ე) შეჯამება*

სტატიის შეჯამება, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოპოვებული შედეგების მიმართების დადგენას არსებულ დისკურსთან და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივის მოხაზვას. ის უნდა პასუხობდეს შესავალში დასმულ საკითხს, ამიტომაც სასურველია დაინეროს მასთან ერთად, რაც ნიშნავს იმას, რომ შესავალიც ბოლოსკენ უნდა დაინეროს. სტატიას ჩვეულებრივ არ აქვს საჩრევი, თუმცა მთელი რიგი პერიოდული გამოცემებისათვის ეს ჩვეულ

ფორმას წარმოადგენს და ამ შემთხვევაში მისი გაკეთებაც აუცილებელია. სტატიას დანართის სახით შეიძლება ახლდეს სხვადასხვა ინფორმაცია თუ დოკუმენტის ასლი, მაგალითად, დასტურლამალის პირველი გამოცემის ფოტოასლი.

### *ვ) ეპიგრაფი*

ეპიგრაფი არის მთლიანი ნაშრომის ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა, აფორიზმი და ა. შ., რამაც უნდა მოამზადოს მკითხველი ტექსტის შინაარსისათვის, ხაზი გაუსვას მის მნიშვნელობას, ზოგადი და აბსტრაქტული ფორმით გადმოსცეს მისი მთავარი არსი, გააკეთოს ეს ალეგორიული ენით და ა. შ. თუმცა აქ ერთი საფრთხეა გასათვალისწინებელი – ეპიგრაფი არ უნდა იყოს იმდენად ბანალური, რომ ზოგადად ცნობილი იყოს ყველასთვის ზუსტად ამ კონტექსტში. მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სტატიისათვის ეპიგრაფად *პომპონიუსის* ცნობილი ფრაზის წამძღვარება „არავის აქვს უფლება, საფუძვლის გარეშე გამდიდრდეს სხვის ხარჯზე,<sup>125</sup>“ – ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ავტორმა ახლახან მოკრეყური იმას, რაც სხვებისთვის უკვე კარგა ხანია ცნობილია.

### *ზ) კონკრეტული მითითებები წერასთან დაკავშირებით*

ავტორმა სტატიაზე, ისევე როგორც სხვა ნაშრომზე, მუშაობა უნდა დაიწყოს მაქსიმალურად ადრე, არა მხოლოდ

---

<sup>125</sup> D. 12.6.14.

დროის დეფიციტის გამო, არამედ იმიტომ, რომ აზრს მომნიჭება სჭირდება. ერთი კვირის განმავლობაში გადაბმით რვა საათიან წერაზე უფრო ნაყოფიერია მთელი თვე ორსაათიანი მუშაობა. ეს ეხება, როგორც უშუალოდ წერის პროცესს, ისე სხვისი ნააზრევის გაგებას – ის, რაც მკითხველს არ ესმის წინა ლამეს, თავისთავად ცხადად ეჩვენება მეორე დღეს. ამის საპირისპიროდ, ნაჩქარევად შესრულებული პუბლიკაციები იდეებს მხოლოდ ფრაგმენტულად გადმოსცემენ. აუცილებელია დრო მთავარი იდეის გამოსაკვეთად და ნააზრევის მწყობრად და დახვეწილად ფორმულირებისათვის.

გარდა ამისა, ავტორი უნდა ეცადოს საწყისი ეტაპიდანვე მთავარი იდეის ერთ წინადადებაში ჩამოყალიბებას (თეზისი). ეს იდეა წარმოადგენს სტატიის სახელმძღვანელო ხაზს და მისი ყველა ნაწილი ამ იდეას უნდა ემსახურებოდეს. კონტრარგუმენტებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მათმა გაქარწყლებამ მეტი დამაჯერებლობა შესძინოს მოცემულ თეზისს.

ავტორმა უნდა ისაუბროს საკუთარი წამოწყების შესახებ თავის კოლეგებთან, მიიღოს მათგან რჩევები და გაუზიაროს მათ საკუთარი გამოცდილება. ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები სწორედ ამგვარი არაფორმალური დისკუსიისას იბადება.

## § 5 მეცნიერული მეთოდი და არგუმენტაციის სტრუქტურა

**ლიტერატურა:** ცვაიგერტი კ./კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ნაწილი I, თბილისი 2000; შვაბე ირგ., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2012; *Beaucamp G./Treder L.*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, 3. Aufl., Heidelberg 2015; *Binding K.*, Die Normen und ihre Übertretung, III, Leipzig 1918 (Nachdruck 1965); *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS 2009, 289; *Canaris C. W./Larenz K.*, Methodenlehre der Rechtswissenschaft (Studienausgabe), 3. Aufl., Heidelberg 1995; *Canaris C. W.*, Grundrechtswirkungen und Verhältnismäßigkeitsprinzip in der richterlichen Anwendung und Fortbildung des Privatrechts, JuS 1989, 161; *Canaris C. W.*, Grundrechte und Privatrecht, AcP 184 (1984), 201; *Geis M. E.*, Die pragmatische Sanktion der "verfassungskonformen Analogie": Kritische Anmerkung zur neuesten "Lebenslänglich-Entscheidung" des BVerfG, NJW 1992, 2938; *Hillgruber Chr.*, „Neue Methodik“ – Ein Beitrag zur Geschichte der richterlichen Rechtsfortbildung in Deutschland, JZ 2008, 745; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *Rainer M.*, Europäisches Privatrecht: die Rechtsvergleichung, 2. Aufl., Frankfurt 2002; *Rüthers B./Fischer Ch./Birk A.*, Rechtstheorie, 7. Aufl., München 2013; *Rüthers B.*, Fortgesetzter Blindflug oder Methodendämmerung der Justiz, JZ 2008, 446; *Schreiber*, Logik des Rechts, Berlin, Göttingen, Heidelberg 1962; *Stellhorn H.*, Das argumentum ad absurdum und seine Bedeutung in examensrelevanten Meinungsstreitigkeiten, ZJS 4/2014, 467; *Zippelius*, Juristische Methodenlehre, 10. Aufl., München 2012; *Wank*, Die Auslegung von Gesetzen, 5. Aufl., München 2011.

აკადემიური ნაშრომის შექმნის ყველა მსურველს ათვისებული უნდა ჰქონდეს სამართლის მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური არსენალი. სამწუხაროდ ამ კუთხით ქართული საუნივერსიტეტო განათლება საკმაოდ მოიკოჭლებს და არც სამეცნიერო ლიტერატურა გამოირჩევა მრავალფეროვნებით.<sup>126</sup> გამომდინარე აქედან, საჭიროდ მივიჩნით მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში მოკლედ მიმოვიხილოთ და მოვხაზოთ ზოგადი კონტურები სამართლის მეთოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ წარმოადგენს ვიწრო გაგებით აკადემიური წერის საგანს. ამ თემატიკის ფარგლებში, კანონის განმარტების წესების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი არგუმენტების განვითარების ხერხებსა და კანონის ნორმებისა და პრინციპების კონკრეტიზებას. გარდა ამისა, ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს გაბატონებულ მოსაზრებაზე აპელირებისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის გაზიარება-უარყოფის შემთხვევები. სამართლის მეთოდების აქ მოცემული მიმოხილვის მიზანი არ არის კონკრეტული პრობლემებისა და კაზუსების გადაწყვეტა, არამედ მკითხველისათვის ამ საქმიანობის საფუძვლებისა და წინაპირობების მონახაზის მიწოდება.

---

<sup>126</sup> ერთადერთ ამასთან დაკავშირებულ ნაშრომს ქართულ ენაზე წარმოადგენს *ხუბუა*, სამართლის თეორია, 148-ე და მომდევნო გვერდები.

## I. განმარტების წესები, როგორც დამხმარე არგუმენტაცია

იმის გადასაწყვეტად, ექცევა თუ არა კონკრეტული შემთხვევა აბსტრაქტულად ჩამოყალიბებული ნორმის მოქმედების სფეროში, აუცილებელია მისი არსისა და წინაპირობების გაგება. თუმცა კანონისმიერი ცნებების მნიშვნელობა ხშირად საკამათოა ხოლმე. კამათის გადაწყვეტის გზას წარმოადგენს ამ ცნებების მეტ-ნაკლებად მისაღები მნიშვნელობის დადგენა კანონის ინტერპრეტაციის, ანუ განმარტების მეშვეობით. კანონის განმარტება არ უნდა აგვერიოს სამოქალაქო სამართალში ნების გამოხატვის განმარტებაში (სკ-ის 52-ე მუხლი), რომელიც მხარეთა მიერ მასში ჩადებული შინაარსის დადგენას ემსახურება. სამართლის ნორმების განმარტება შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და განსხვავებული მიზნის კონტექსტში. ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციით, კანონის განმარტების ხერხები შეიძლება დაიყოს სუბიექტური და ობიექტური განმარტების ხერხებად. პირველ რიგში მნიშვნელოვანია კანონმდებლის სუბიექტური ნება, ხოლო მეორე შემთხვევაში – მნიშვნელობა, რომელიც შეიძინა ნორმამ დროთა განმავლობაში, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფაქტორების გავლენით.<sup>127</sup> თუმცა საბოლოო ჯამში აქ საქმე ეხება არა კანონის განმარტების ხერხებს, არამედ მის მიზანს – უნდა მოხდეს კანონმდებლის სუბიექტური ნების გამოკვლევა, თუ მას გადაწონის ის არგუმენტები, რაც ობიექტური განმარტების სასარგებლოდ მეტყველებს. ეს საკითხი საკმაოდ პრობლემურია. ერთის მხრივ,

---

<sup>127</sup> *Zippelius*, Juristische Methodenlehre, § 4; *Wank*, Die Auslegung von Gesetzen, § 3.



კანონმდებლის ნება სძენს ნორმას დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, გარდა ამისა, კანონში განსხეულებული კანონმდებლის თავდაპირველი ნება უფრო კონკრეტულია, ვიდრე მისი „ობიექტური“ გაგება. მიუხედავად ამისა, ნორმის სიცხადიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ობიექტური განმარტება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის შემფარდებლის მიერ კანონის შინაარსის აღქმა კანონის ასაკთან ერთად სულ უფრო და უფრო დაშორდებოდა მის თავდაპირველ მნიშვნელობას, რაც, საბოლოო ჯამში, მას მკვდარ ნორმად აქცევდა.<sup>128</sup>

კანონის ცნებების აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათის გამო განმარტება არ წარმოადგენს ქეშმარიტების გამორკვევის ზუსტ ხერხს. ზოგადი ნორმატიული ფორმულირების კონკრეტულ შემთხვევამდე დაყვანა მით უფრო აკარგვინებს მიღწეულ შედეგს სავალდებულო ხასიათს, რაც უფრო აბსტრაქტულად არის ჩამოყალიბებული ნორმის დისპოზიცია. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ე. წ. გენერალური დათქმების მაგალითზე, როგორც არის სკ-ის 54-ე, 8 III ან 346-ე მუხლი: ამორალური გარიგება, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი ან ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

*მაგალითი 1: მოპილური ოპერატორის სტანდარტულ პირობებში მითითებულია: „ბალანსი, რომლის შევსებთანაც ექვსი თვეა გასული, ანუღირდება, თუ არ მოხდება მისი შევსება მომდევნო ერთი თვის განმავ-*

---

<sup>128</sup> Bitter/Rauhut, JuS 2009, 292.

ლობაში დამატებითი თანხით.“ ამ შემთხვევაში სამართლის შემფარდებელს ინტუიციამ შეიძლება უკარნახოს, რომ სტანდარტული პირობის შემთხვევაში „ყველაფერი ნესრივში“ არ არის. თუმცა, არის თუ არა ის არანამდვილი, ამისათვის აუცილებელია სამართლის შემფარდებელმა ეს დათქმა სკ-ის 346 1 მუხლის საფუძველზე განსაჯოს და გადანყვიტოს, აზიანებს თუ არა ის მეორე მხარეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ და ხომ არ არის ის გამართლებული იმ გარემოებებით, რომელშიც დაიდო ხელშეკრულება ან მხარეთა ორმხრივი ინტერესით (სკ-ის 346 2 მუხლი).<sup>129</sup>

განმარტების შედეგად შეუძლებელია აბსოლუტურად ჭეშმარიტი შედეგის მიღება, თუმცა ეს შეესატყვისება სამართლის, როგორც ჰერმენევტიკული მეცნიერების ხასიათს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ტექსტების გაგება, განმარტება და ახსნა, განსხავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან, რომელთა ფარგლებშიც მიღებული შედეგების ვერიფიცირებაც აბსოლუტური კრიტერიუმების მიხედვით ხდება. აქიდან გამომდინარე, იურისტები ხშირად საუბრობენ „დამაჯერებელი“ ან „გასაზიარებელი“ და არა „სწორი“ მსჯელობის შესახებ.<sup>130</sup> „სწორი“ მსჯელობა წარმოადგენს უკეთესი, ანუ უფრო დამაჯერებელი არგუმენტების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის შედეგს.<sup>131</sup> თუმცა ეს არჩევანი წარმოშობს ლეგიტიმაციის პრობლემას, გამომდინარე იქიდან, რომ სამართლის შემფარდებელს (განსაკუთრებით კი მოსამართლეს) არ აქვს

---

<sup>129</sup> უდრ. OLG München, NJW 2006, 2416.

<sup>130</sup> Bitter/Rauhut, JuS 2009, 292.

<sup>131</sup> BVerfGE 82, 30, 38.

უფლება საკუთარ მოსაზრებას, მით უფრო სამართლიანობის სუბიექტურ აღქმას, დააფუძნოს გადაწყვეტილება. კანონში მოცემულ ობიექტურ გადაწყვეტასა და მის სუბიექტურ ინტერპრეტაციას შორის კონფლიქტი მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ მისი შერბილება მეთოდოლოგიის მეშვეობით განმარტების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის გზით.

ამ მეთოდოლოგიური განაზრებების შედეგად ჩამოყალიბდა განმარტების შემდეგი ხერხები:

- **გრამატიკული განმარტება:** ორიენტირებულია განსამარტავი სამართლებრივი შემადგენლობის სიტყვასიტყვით აღქმაზე.
- **სისტემურ-ლოგიკური განმარტება:** მის კრიტერიუმს წარმოადგენს ნორმის განსამარტავი შემადგენლობის (ცნების) ადგილი კანონის სისტემატიკაში. ნორმები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ აიგოს მწყობრი (არაურთიერთწინააღმდეგობრივი) სისტემა.
- **ისტორიულ-გენეტიკური განმარტება:** ამ შემთხვევაში გადამწყვეტია წინამორბედი ნორმა და კანონმდებლის ნება კანონშემოქმედებითი პროცესის განმავლობაში.
- **ტელეოლოგიური განმარტება:** გადამწყვეტია ნორმის მიზანი დღევანდელი პერსპექტივიდან, რომლის ფარგლებშიც გასათვალისწინებელია ნორმის კონკრეტული განმარტებიდან გამომდინარე სოციალური თანმდევი შედეგები.
- **კონსტიტუციის შესატყვისი განმარტება:** ის ავალდებულებს სამართლის შემფარდებულს განმარტოს

ნორმა ძირითადი უფლებების ქრილში. ამ დროს ყურადღება ექცევა ძირითადი უფლებების მოქმედებას სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების ფარგლებს მიღმა (მიღმური ეფექტი).<sup>132</sup>

რა თქმა უნდა, სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში არ არის აუცილებელი ყოველი განსამარტავი ცნების ინტერპრეტირებისას კონკრეტული მეთოდის შესაბამისი სახელწოდებით მოხსენიება. საკმარისია, ავტორმა მონახოს განმარტების შედეგად მიღებული რამდენიმე დამაჯერებელი არგუმენტი და ზოგადი მინიშნების ფორმით ნათელყოს, თუ რომელი მეთოდის მეშვეობითაა ისინი მოპოვებული: „ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა შემდეგ ნორმასთან (...). დანაწესის პირდაპირი გაგება მიგვანიშნებს, რომ (...). კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ (...)“.

## **1. გრამატიკული განმარტება (ნორმის სიტყვასიტყვითი გაგება)**

კანონის დანაწესის განმარტება იწყება მისი სიტყვასიტყვითი გაგებით. სიტყვასიტყვითი გაგება გულისხმობს, როგორც ყოფით ენაში დამკვიდრებულ მნიშვნელობას (როგორც ესმის კანონში გამოყენებული ცნება ნორმის არაიურისტ ადრესატს), ისე – მის ტექნიკურ მნიშვნელობას (როგორ ესმით ეს ცნება იურისტებს).

---

<sup>132</sup> *Canaris*, JuS 1989, 161; *Canaris*, AcP 184 (1984), 201, 213, 227.

ა) ტექნიკური მნიშვნელობის უპირატესობა

ნორმის გრამატიკულ განმარტებამდე აუცილებელია იმის დადგენა, ხომ არ აქვთ მასში გამოყენებულ ცნებებს ტექნიკური შინაარსი. ამ შემთხვევაში ტექნიკური მნიშვნელობა სარგებლობს უპირატესობით. ეს წესი მოქმედებს, რა თქმა უნდა, თავად კანონში მოცემული განსაზღვრების შემთხვევაში (ლეგალური დეფინიცია),<sup>133</sup> მაგრამ ასევე სასამართლო პრაქტიკასა და სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული დეფინიციების შემთხვევაში.

*მაგალითი 2: „თვისება“ ყოფითი გაგებით შეიძლება აღნიშნავდეს ამ თუ იმ საგნის ნებისმიერ მახასიათებელს, თუმცა განსხვავებულია მისი ტექნიკური გაგება. სკ-ის 74-ე მუხლის გაგებით, პიროვნებისა, თუ ნივთის თვისება „მოიცავს ბუნებრივი მახასიათებლების გარდა ფაქტობრივ და სამართლებრივ მონაცემებს და მიმართებას გარე სამყაროსთან, რამდენადაც ეს მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში ნივთის ღირებულებისა და გამოსადეგობის განსაზღვრისათვის“.<sup>134</sup> ხარისხი სკ-ის 488 I მუხლის მიხედვით მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ნიშან-თვისებებს, არამედ ასევე იმ ფაქტობრივ, ეკონომიკურ, თუ სამართლებრივ მახა-*

---

<sup>133</sup> მაგ. სკ-ის 12 I მუხლი: „ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ...“.

<sup>134</sup> *Heinrichs*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 119 Rn. 24; *დარჯანია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), მუხ. 74 მე-4 ველი.

სიათებელს, რომელიც ნივთის რეალური მდგომარეობითაა განპირობებული და არაგარდამავალია.<sup>135</sup> ამიტომაც, მშენებლობისათვის გამიზნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვერ გაიმართლებს თავს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ნაკვეთი უნაკლო მდგომარეობაშია, კერძოდ, ზუსტად შეპირებული სიდიდისაა, თუ მასზე შენობის წამომართვა შეუძლებელია სხვადასხვა სამშენებლო აკრძალვის გამო.

მაგალითი 3: „შესრულება“ სკ-ის 976 I ა) ქვეპუნქტის მიხედვით, ზოგადად დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, გულისხმობს სხვისი ქონების გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ შევსებას.<sup>136</sup> შესაბამისად ის სახეზეა, როდესაც პირი საკუთარ ღობესთან ერთად შემთხვევით მეზობლის ღობესაც შეღებავს, მიუხედავად იმისა, რომ ყოფითი (არატექნიკური) ენა ამ შემთხვევასაც „შესრულების“ ცნების ქვეშ გააერთიანებდა.<sup>137</sup>

### ბ) ცნების სამართლებრივი მნიშვნელობის გამორკვევა

ისეთი ცნების შემთხვევაში, რომლის არც კანონისმიერი დეფინიცია არსებობს და არც სასამართლო პრაქტიკასა, თუ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტექნიკური დეფინიცია, მნიშვნელობის დადგენა უნდა დაინდოს

<sup>135</sup> Putzo, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 434 Rn. 10.

<sup>136</sup> რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 91.

<sup>137</sup> თუმცა ამ შემთხვევაში მღებავს აქვს მოთხოვნის უფლება სკ-ის 987 I მუხლის (დანახარჯების კონდიქციის) მიხედვით.

მისი ყოფითი გაგებისათვის დამახასიათებელი უზუსტობების აღმოფხვრით და გამიჯვნით იმ შემთხვევებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ექცევიან ამ ცნების ქვეშ და რომლებიც უკვე მის მიღმაა, რაც იძლევა საშუალებას იმ კრიტერიუმების გამოკვეთისა, რომელთა გარშემოც ხდება მოცემული ცნების ტექნიკური გაგების ფორმირება.

*მაგალითი 4: სკ-ის 149-ე მუხლის მიხედვით მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მასთან მყარად დაკავშირებული საგნები, განსაკუთრებით კი მასზე განთავსებული შენობა. თუმცა ის, თუ რას წარმოადგენს შენობა და თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გამიჯვნა სხვა ნაგებობებისაგან, ამის შესახებ კანონი არაფერს ამბობს. აქიდან გამომდინარე, სამართლის შემფარდებელმა ჯერ ამ ცნების ზუსტი მნიშვნელობა უნდა გამოარკვიოს, სანამ გადაწყვეტს საკითხს, დასაშვებია თუ არა ამ ცნების ქვეშ ქარის ტურბინის სუბსუმცია.<sup>138</sup> ამ საკითხის გადაწყვეტა შემდგენიარად არის შესაძლებელი: არავინ უარყოფს, რომ სახლი შენობას წარმოადგენს, დამოუკიდებლად იმისა, საცხოვრებელ თუ სანარმოო ფართს ეხება საქმე. ზოგადად, შენობად უნდა ჩაითვალოს ასევე ფაბრიკაც (= ცალსახად პოზიტიური შემთხვევა). ამის საპირისპიროდ, შეუძლებელია ძალის ქოხის შენობად მოხსენიება, მაშინაც კი, როდესაც ის ქვითაა ნაშენი და ორი მეტრის სიმაღლის ლობით შემოღობილი, (= ცალსახად ნეგატიური შემთხვევები). ხიდი, სახლის*

---

<sup>138</sup> სამშენებლო სამართლში მოცემული შენობის დეფინიცია სამშენებლო სამართალში, ასეთი არსებობის შემთხვევაში, არაფრისმომცემი და არასავალდებულოა სამოქალაქო სამართლისათვის.

დარად, შეიძლება ჩაითვალოს ნაგებობად, მაგრამ არა შენობად (გამიჯვნა სხვა მსგავსი შემთხვევებისაგან). ამ სამსაფეხურიანი აზრობრივი მანიპულაციის შედეგად, როდესაც ხდება დაპირისპირებული პოლუსების გამოკვეთა (სახლი ⇔ ძაღლის ქოხი) და მათ შორის მოქცეული შემთხვევების რაღაც დონეზე ერთმანეთისაგან გამიჯვნა, უკვე შესაძლებელია მოპოვებული შედეგები განსამარტი ცნების კონკრეტული ნიშან-თვისებების ფორმით გამოიკვეთოს. მაგალითად, შენობის შემთხვევაში ეს იქნება ნაგებობა, რომელიც მოიცავს გარკვეულ სივრცეს და სთავაზობს თავშესაფარს, ადამიანებსა და ცხოველებს, ან გამოსადეგია მასში ნივთების განთავსებისათვის და ადამიანის მიერ შესაძლებელია მასში შეღწევა, რის გამოც ძაღლის ქოხი არ წარმოადგენს შენობას, განსხვავებით თავლისაგან.

ამ გამოკვეთილი ნიშან-თვისებების საფუძველზე სამართლის შემფარდებელმა უნდა გადაწყვიტოს ქარის ტურბინა შენობის ცნების ქვეშ ექცევა თუ არა. ეს უკვე არა განმარტების, არამედ სუბსუმციის საგანს წარმოადგენს.

რაც უფრო აბსტრაქტულად არის რაიმე ცნება ჩამოყალიბებული, მით უფრო რთულია მასთან მიახლოების პროცესი. ამ დროს აუცილებელია კონკრეტული სიტუაციების მოფიქრება, რომელიც ექცევა ამ აბსტრაქტული ცნების ქვეშ და შემდეგ სხვა შემთხვევებთან მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთა.



გრამატიკული განმარტება უძლურია გენერალური დათქმის ფორმით ჩამოყალიბებული ნორმების შემთხვევაში.<sup>139</sup>

*მავალითი 5: ის გარემოება, რომ ზოგადად აღიარებული მოსაზრების თანახმად, უზნეოდ ითვლება გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა კეთილგონივრულად და სამართლიანად მოაზროვნე პირის წარმოდგენას წესიერებასა და სამართლიანობაზე და ამით არღვევს გაბატონებულ სამართლებრივ და სოციალურ მორალს,<sup>140</sup> არაფრისმთქმელია იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა წლიური 30 %-იანი სესხი ამორალური. აქ სამართლის შემფარდებელი უნდა დააკვირდეს სესხის გაცემის კონკრეტულ გარემოებებს და იმსჯელოს იმასთან დაკავშირებით, თუ რა წარმოადგენს გავრცელებულ ჩვეულებას და რა სცდება უკვე მის ჩარჩოებს. ცალსახაა, რომ აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს სოციალური წანამძღვრები და ცვლილებები, რის გამოც გენერალური დათქმის შინაარსი – დამოუკიდებლად მისი სიტყვასიტყვითი გაგებისაგან – დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის ხოლმე.*

## 2. სისტემურ-ლოგიკური განმარტება

გრამატიკული განმარტების ხსენებული ნაკლოვანებების გამო, მას ავსებს ე. წ. სისტემურ-ლოგიკური განმარტება,

---

<sup>139</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 292.

<sup>140</sup> *მაისურაძე/დარჯანია/ვაპუაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 120.

რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია არა მხოლოდ ნორმის ტექსტი, არამედ ასევე მისი სისტემური ადგილი გვანვდიდეს ინფორმაციას შინაარსის მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, მინდობილ საკუთრებას გააჩნია სხვადასხვა მნიშვნელობა სამოქალაქო და საგადასახადო სამართალში. სისტემურ-ლოგიკური განმარტებისას ყურადღება ექცევა: 1. განსამარტავი დანაწესის შინაგან აგებულებას; 2. სათაურს; 3. მომიჯნავე დანაწესებს; 4. ნორმის ადგილს შესაბამის კანონში და 5. ნორმის ადგილს მთლიან მართლწესრიგში.

*მაგალითი 6: სხვისი ვალის გასტუმრება წარმოადგენს რეგრესის (სკ-ის 986-ე მუხლი) და არა დანახარჯების (სკ-ის 987-ე მუხლი) კონდიქციის საგანს, თუმცა სიტყვასიტყვითი გაგებით სხვისი ვალის დაფარვაც შეიძლება ექცეოდეს ზოგადი გაგებით „სხვის ქონებაზე განეული დანახარჯების“ ცნების (სკ-ის 987 I მუხლი) ქვეშ. ამ არასწორი დანაწესის ქვეშ სუბსუმციის საფრთხეს სამართლის შემფარდებელი მხოლოდ მაშინ აიცილებს, როდესაც ყურადღებას მიაქცევს წინარე ნორმასაც, საიდანაც ნათელი გახდება, თუ რომელი დანაწესი წარმოადგენს ამ შემთხვევაზე მორგებულ სპეციალურ ნორმას.*

*მაგალითი 7: მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სკ-ის 663 II მუხლი წარმოადგენს ამომწურავ და სპეციალურ ნებს (lex specialis) ხანდაზმულობის რეგულარულ ვადებთან, 128-ე და მომდევნო მუხლებთან, შედარებით. ტურისტს უფლება აქვს მოგზაურობის მომწყობს წარუდგინოს მოთხოვნა მოგზაურობის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის*

გვერდის ავლა არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ტური-  
სტმა მისი ამონურვის შემდეგ მიუთითოს არახანდაზ-  
მულ ზოგად მოთხოვნებზე (სკ-ის 394 I და მომდევნო,  
405-ე და მომდევნო და 129-ე მუხლებზე), რომლებიც  
სიტყვასიტყვითი გაგებით, ერთი შეხედვით, მიესადა-  
გება მოცემულ შემთხვევას.

გრამატიკული განმარტების უძღურება, როდესაც ცნების  
კონკრეტული მნიშვნელობის გამოკვეთა სხვადასხვა და-  
ნანესთა შეპირისპირების შედეგად ხდება, განსაკუთრე-  
ბით ცხადად ჩანს იმ ნორმების შეპირისპირებისას, რომ-  
ლებიც იდენტურ ცნებებს სხვადასხვა მნიშვნელობით იყე-  
ნებენ. ამის მაგალითად შესაძლებელია სკ-ის 163 II 1 და  
163 II 3 მუხლის მოყვანა.

**მუხლი 163. არაუფლებამოსი-  
ლი კეთილსინდისიერი მფ-  
ლობელის მოვალეობა**

2. კეთილსინდისიერ მფლო-  
ბელს შეუძლია უფლებამო-  
სილ პირს მოსთხოვოს იმ გა-  
უმჯობესებისა და ხარჯების  
ანაზღაურება, რაც მან გაიღო  
ნივთზე კეთილსინდისიერი  
მფლობელობის დროს და რაც  
არ არის

კომპენსირებული ამ ნივთით  
სარგებლობითა და მისგან მი-  
ღებული ნაყოფით. ...

**მუხლი 163. ...**

... იგივე ნესი ვრცელდება  
ისეთ გაუმჯობესებებზე, რო-  
მელთა შედეგადაც გაიზარდა  
ნივთის ღირებულება, თუკი  
გაზრდილი ღირებულება ნივ-  
თის დაბრუნების მომენტისა-  
თვის ჯერ კიდევ არსებობდა.

სკ-ის 163 II 1 მუხლის მიხედვით ნივთის კეთილსინდისიერ, არაუფლებამოსილ მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს მესაკუთრეს ნივთზე განუელი ხარჯებისა და მისი გაუმჯობესებისათვის კომპენსაციის მოთხოვნა. ამ დანაწესის განმარტებისას პრობლემურია, ერთი მხრივ, გამიჯვნა „ხარჯებსა“ და „გაუმჯობესებას“ შორის, ხოლო, მეორე მხრივ, სკ-ის 163 II 1 მუხლში ნახსენები ამ „გაუმჯობესების“ მიმართება სკ-ის 163 II 3 მუხლში გათვალისწინებულ იდენტურ ცნებასთან. ერთი ცნების ორი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება ერთი და იმავე კანონში და მითუმეტეს ერთი და იმავე ნორმაში, მისი ზუსტი მნიშვნელობის მოხელთებას ხშირად შეუძლებელს ხდის, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ეს ოპოზიცია სკ-ის 163 II 1 და 163 II 3 მუხლებს შორის, დამატებით სკ-ის 163 II 1 მუხლში დაფიქსირებულ შიდა ოპოზიციასთან ერთად, („ხარჯები“-„გაუმჯობესება“) ნათელს ჰფენს ამ სამივე ცნების შინაარსს.

ამ ნორმის განმარტება შეიძლება შემდეგნაირად: კანონმდებლის მიერ ხარჯებისა და გაუმჯობესების შეპირისპირების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ პირველის ქვეშ მოიაზრება მფლობელის დანახარჯები, როგორც ასეთი, ხოლო მეორეს ქვეშ კი – ის ქონებრივი მსხვერპლი, რომელიც უშუალოდ გამოიხატა ნივთის ღირებულების შენარჩუნება-ზრდაში. თუმცა ამგვარი განმარტება საბოლოო ჯამში არასწორი იქნებოდა, რადგან ან ზუსტად ვერ მონიშნავდა თითოეული ცნების მნიშვნელობასა და გამოყენების შემთხვევებს – ღირებულების შენარჩუნება-ზრდაც შეიძლება განპირობებული იყოს მფლობელის დანახარჯებით, ხოლო, თუ „ხარჯების“ ქვეშ

მხოლოდ ამო დანახარჯები მოიაზრება, მაშინ მის გამიჯვნას „გაუმჯობესებისაგან“ საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ორივე მაინც თანაბრად ანაზღაურდება და გამომდინარე აქიდან, უფრო მართებული ჩანს სხვა მოსაზრება,<sup>141</sup> რომლის მიხედვითაც, ხარჯებში იგულისხმება აუცილებელი ხარჯები, რომლებიც მესაკუთრეს უნდა გაენია (ნივთის შესანახი ფართის დაქირავება, ავტომანქანისათვის გარაჟის ქირავნობა, ჩაძირული გემის ფსკერიდან ამოღება, ცხოველის აცრა<sup>142</sup>). თუმცა ეს მოსაზრება „ხარჯების“ ქვეშ მოიაზრებს ასევე ნივთის სუბსტანციის ან ვარგისიანობის შესანარჩუნებლად განეული ხარჯებსაც,<sup>143</sup> რაც უფრო „გაუმჯობესების“ ცნების ქვეშ უნდა გაერთიანდეს. ეს უკანასკნელი გამიჯვნა გამართლებულია შემდეგი მიზეზით: სკ-ის 163 II 1 და 163 II 3 მუხლების შეპირისპირებისას იკვეთება ის გარემოება, რომ ნივთის ღირებულების ზრდა მხოლოდ ამ უკანასკნელი დანაწესის გაგებით „გაუმჯობესების“ ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, სკ-ის 163 II 1 მუხლის გაგებით „გაუმჯობესება და ხარჯები“ ანაზღაურდება ნივთის ღირებულების ზრდისაგან დამოუკიდებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ხარჯები ამ ღირებულების გამოანგარიშების გარეშეც მნიშვნელოვანია მესაკუთრისათვის. ეს კი შეიძლება სახეზე იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

---

<sup>141</sup> *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 3.12.2017, მუხ. 163 ველი 2; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნივნი II, მუხ. 162, 67.

<sup>142</sup> BGH NJW 1978, 1257; OLG Frankfurt a. M. JW 1932, 1229; BGH NJW 1955, 341; AG Bad Homburg NJW-RR 2002, 895.

<sup>143</sup> უფრო ზუსტად: საერთო არ ასხვავებს ხარჯებსა და გაუმჯობესებას შორის.

ისინი აუცილებელია ნივთის სუბსტანციისა და ეკონომიკური ფუნქციის შენარჩუნებისათვის და მესაკუთრის გასანევი იქნებოდა, ნივთი მის მფლობელობაში რომ დარჩენილიყო.<sup>144</sup>

ამგვარად, სკ-ის 163 II 1 მუხლის გაგებით ხარჯებსა და გაუმჯობესებას აერთიანებს ის გარემოება, რომ ორივე აუცილებელია ნივთის შენარჩუნებისათვის და ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ „გაუმჯობესებას“ – სკ-ის 163 II 3 გამოყენებული იდენტური ცნებებისაგან განსხვავებით – ნივთის ღირებულების ზრდა მოჰყვეს შედეგად. აქიდან გამომდინარე, სკ-ის 163 II 1 მუხლის გაგებით „გაუმჯობესების“ ამავე დანაწესში ნახსენები „ხარჯებისაგან“ განმასხვავებელი ნიშანი აპრიორი ვერ იქნება ღირებულების ზრდა. მოცემული კრიტერიუმის გარდა კი, ამ ორ ცნებას შორის ერთადერთ გამმიჯნავ გარემოებად მხოლოდ ნივთის სუბსტანციასთან კავშირი შეიძლება იქნეს მიჩნეული – „აუცილებელი ხარჯი“ უშუალოდ არ აისახება ნივთის სუბსტანციაზე (მაგ. შენახვის ხარჯი), განსხვავებით „აუცილებელი გაუმჯობესებისაგან“ (მაგ. შეკეთება). მიუხედავად ამისა, ორივე უნდა გაერთიანდეს არაუფლებამოსილი მფლობელის აუცილებელი დანახარჯების ცნების ქვეშ, რომლებიც ანაზღაურდება შედეგისაგან დამოუკიდებლად<sup>145</sup> (მაგალითად, ნაკლის გამოსწორების დანახარჯები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ამოა აღმოჩნდა<sup>146</sup>).

---

<sup>144</sup> Raff, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 994 Rn. 35.

<sup>145</sup> OLG Brandenburg BeckRS 2015, 07895 Rn. 19.

<sup>146</sup> Raff, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 994 Rn. 35.

სკ-ის 163 II 1 და 163 II 3 მუხლის, ამ ორი დანაწესის შეპირისპირებისას ნათელი ხდება, რომ გაუმჯობესება აუცილებლობის ძალით არ უკავშირდება საგნის ღირებულების ზრდას, რაც, ერთი შეხედვით, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ამ ცნების სიტყვასიტყვით გაგებასთან, თუმცა სხვაგვარად შეუძლებელია ამ დანაწესებს შორის არსებული სისტემური შეუთავსებლობის განეიტრალება. მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში გრამატიკული განმარტებიდან სისტემური განმარტების სასარგებლოდ გადახვევისა, რაიმე ნორმის სიტყვასიტყვით გაგება მაინც წარმოადგენს იმ ზოგად ჩარჩოს, რომელსაც არ უნდა გასცდეს სამართლის შემფარდებელი. დაუშვებელია, კონკრეტული ცნებისათვის ისეთი მნიშვნელობის მინიჭება, რასაც საერთოდ არანაირი კავშირი არ აქვს მის პირდაპირ გაგებასთან.

### **3. ისტორიულ-გენეტიკური განმარტება**

მთელ რიგ შემთხვევებში კონკრეტული ცნების შინაარსი ან საკანონმდებლო დათქმის ზუსტი წინაპირობები დაუდგენადია, როგორც გრამატიკული, ისე სისტემური განმარტების მეშვეობით, თუმცა მარტივად შეიძლება გაირკვეს კანონის მიღმა დარჩენილ დოკუმენტებზე მითითებით, სადაც ასახულია კანონმდებლის ცალსახა ნება. ეს შეიძლება იყოს განმარტებითი ბარათი, ან თუნდაც კონკრეტული ნორმის წინარე რედაქციიდან, არსებული ნორმის რომელთანაც შეპირისპირებისასაც იკვეთება კანონმდებლის სურვილი.

მაგალითად, ის საკითხი, თუ რა მომენტიდან მიიჩნევს კანონმდებელი, იპოთეკის შემთხვევაში, დატვირთული ნივთის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლას შესაძლებლად და რა მომენტიდან არის ამასთან დაკავშირებულ შეთანხმება ნამდვილი, ნათელი ხდება სკ-ის 300 I მუხლის ამჟამინდელი და 2013 წლამდე რედაქციების შეპირისპირებით.

**მუხლი 300. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში.**

1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით.

2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

**მუხლი 300. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში.**

1. თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუკი კრედიტორი (იპოთეკარი) და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ მარეგისტრირებელ ორგანოს.



2013 წლამდე, კანონში ცვლილების განხორციელება-  
მდე, კამათის საგანს წარმოადგენდა საკითხი, შესაძ-  
ლებელი იყო თუ არა, იპოთეკის საგნის იპოთეკარის  
საკუთრებაში გადასვლა მხოლოდ ხელშეკრულებაში  
თავდაპირველად გათვალისწინებული პირობის საფუ-  
ძველზე (ე. წ. *lex commissoria*) მესაკუთრისა და იპო-  
თეკარის მიერ რეესტრისათვის ერთობლივი განცხა-  
დებით მიმართვის გარეშე. უზენაესი სასამართლო<sup>147</sup>  
ამას დაუშვებლად მიიჩნევდა, იურიდიულ ლიტერა-  
ტურაში გამოთქმული მოსაზრება<sup>148</sup> კი – დასაშვებად.  
2013 წელს შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა  
ცალსახად დააფიქსირა თავისი ნება ამასთან დაკავში-  
რებით. ამჟამინდელი რედაქციის სკ-ის 300 I მუხლი  
გამორიცხავს ამ დათქმის გაკეთების შესაძლებლობას  
იპოთეკის ხელშეკრულებაში – იპოთეკით დატვირთუ-  
ლი საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასასვლე-  
ლად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ და იპოთეკარ-  
მა უშუალოდ იპოთეკის ვადამოსულობის შემდეგ მია-  
ღწიონ ამგვარ შეთანხმებას და მიმართონ მის საფუძ-  
ველზე საჯარო რეესტრს. ამ აკრძალვის გვერდის ავ-  
ლა არ უნდა მოხდეს, არც ხელშეკრულებაში რაიმე სხ-  
ვა დათქმის გათვალისწინებით, რომელიც თავისი არ-  
სით მისი ტოლფასი იქნებოდა. შესაბამისად, დაუშვე-  
ბელია, მაგალითად, საკუთრების პირობადებული გა-

---

<sup>147</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის  
გადაწყვეტილება № ას-1283-1538-09.

<sup>148</sup> ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი  
2012, 102.

დაცემა (უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის პირობით)<sup>149</sup> ან იპოთეკის სანივთო შინაარსის ნაწილად მესაკუთრის ვალდებულების გათვალისწინება, იპოთეკის ვადამოსულობისას გადასცეს იპოთეკარს საკუთრება.<sup>150</sup> ეს უკანასკნელი უკვე იქნებოდა იპოთეკის უფლების იმპერატიული შინაარსის დაუშვებელი მოდიფიცირება. ბათილია ასევე საჯარო რეესტრში მისამართ განცხადებაზე ხელმოწერის წინასწარი დელეგირება.<sup>151</sup> კანონმდებლის ნება ამ შემთხვევაში ნათელი ხდება მხოლოდ ნორმის წინარე რედაქციასთან შეპირისპირებისას, რადგან არსებული ფორმულირება ცალკე აღებული არ იძლევა საკუთრებაში გადასვლის დათქმის შეთანხმების მომენტთან დაკავშირებით კატეგორიული დასკვნის გაკეთების საშუალებას.

#### 4. ტელეოლოგიური განმარტება

ტელეოლოგიური განმარტების შემთხვევაში ნორმის შემფარდებელი იკვლევს ნორმის მიზანს და უდებს მას საფუძვლად საკუთარ გადაწყვეტას, რაც ემყარება ზოგად დათქმას, რომ თითოეული სამართალდებულება უნდა წარმოადგენდეს სამართლიანი და კონკრეტული ლეგიტიმუ-

---

<sup>149</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1149 Rn. 2.

<sup>150</sup> *Lieder*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 1149 Rn. 2.

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება № ას-1283-1538-09; *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, 102.

რი მიზნის მქონე წესს. შესაბამისად, ტელეოლოგიური განმარტებისას უნდა მოხდეს ინტერესთა ანონ-დანონვა და უსამართლო და ნორმის მიზნის კონტექსტში გაუმართლებელი შედეგების თავიდან აცილება. მიზნის გამორკვევისას შეიძლება საქმე ეხებოდეს კანონის კონკრეტულ მიზანს, როგორც არის *მომხმარებლის დაცვა*, ან ზოგად მიზანს: *ეფექტურობა, პრაქტიკულობა, სამართლიანობა*.<sup>152</sup> ტელეოლოგიური განმარტება, ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ზემოთ მოყვანილი განმარტების ხერხი უძლურია გამოარკვეოს ნორმის კონკრეტული შინაარსი.

*მაგალითი 8: 892 | მუხლის მიხედვით თავდებობის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფორმით დადება. ამ ნორმის მიზანს წარმოადგენს თავდების დაცვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაგან, რომლის სამართლებრივი შედეგებიც მას შეიძლება ბოლომდე არ ჰქონდეს გაცნობიერებული. გამომდინარე აქიდან, მოცემული გარიგების ფორმასავალდებულოება რესტრიქციულად უნდა განიმარტოს და თავდებობის ნამდვილობისათვის არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს მისი ტელეფაქსის<sup>153</sup> მეშვეობით ან წინასწარ ხელმოწერილი ბლანკის მეშვეობით დადება, რომელშიც სხვა პირს შეაქვს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა.*<sup>154</sup>

---

<sup>152</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 294.

<sup>153</sup> BGH NJW 1993, 1126, 1127.

<sup>154</sup> BGH NJW 1996, 1467, 1468.

ნორმის მიზანი, ჩვეულებრივ, დაფიქსირებულია განმარტებით ბარათში. გარდა ამისა, შესაძლებელია თავად კანონიდან გამომდინარეობდეს დაუნერული მიზნები. თუ სამართლის შემფარდებელი არ იზიარებს სუბიექტური განმარტების თეორიას, მას შეუძლია ეს ობიექტური მიზნები მოიშველიოს განმარტებისათვის და ცალკეულ შემთხვევებში მათ უპირატესობაც კი მიანიჭოს (იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ). როგორც ეს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშია ჩამოყალიბებული: „კანონი შეიძლება იყოს უფრო გონიერი ვიდრე მისი შემოქმედი.“<sup>155</sup>

## 5. კონსტიტუციის შესატყვისი განმარტება

კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების მიზანს წარმოადგენს კონსტიტუციურ ფასეულობათა სისტემის გადმოტანა „ჩვეულებრივი“ სამართლის სიბრტყეში. ის ემყარება ე. წ. *favor legis*<sup>156</sup> – ნორმათა იერარქიულ სისტემას და, შესაბამისად, გამოიყენება ყველა პირამიდისებურად აგებულ სამართლის სისტემაში.<sup>157</sup>

*მაგალითი 9:*<sup>158</sup> სკ-ის 532-ე მუხლის მიხედვით, გამეორავებელი მოვალეა გადასცეს დამეირავებელს გაქირავებული ნივთი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ვარგის მდგომარეობაში. თუ-

---

<sup>155</sup> BVerfG, NJW 1974, 1182.

<sup>156</sup> *Geis*, NJW 1992, 2938.

<sup>157</sup> *Löwer*, in: Isensee/Kirchhof, Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, III, § 70 Rn. 126.

<sup>158</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 295.

მცა ამ ნორმის საფუძველზე გამჭირავებლის ვალდებულება, მიენიჭებინა დამჭირავებლისათვის უფლება სახლის კედელზე სატელიტური ანტენის დამაგრებისა, წარსულში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უკუგდებული იყო, კედლის დაზიანების გამო. თუმცა ნორმათა იერარქიაში სამოქალაქო კოდექსი კონსტიტუციასთან შედარებით ქვედა საფეხურზე დგას, ხოლო კონსტიტუციით უზრუნველყოფილია მოქალაქის უფლება ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით (საქართველოს კონსტიტუციის 24 I მუხლი), რაც მოიცავს ასევე უცხოელი დამჭირავებლის უფლებას, უყუროს მშობლიურ სატელევიზიო პროგრამებს. იმისათვის, რათა მოქალაქემ, როგორც დამჭირავებელმა, საერთოდ შეძლოს ამ უფლების გამოყენება, აუცილებელია მიეცეს მას ამ სატელიტური ანტენის ინსტალირების შესაძლებლობა, რის გამოც სკ-ის 532-ე მუხლის კონსტიტუციის შესატყვისი განმარტება ავალდებულებს დამჭირავებელს ითმინოს დამჭირავებლის მიერ სახლის კედელზე ანტენის დამაგრება.<sup>159</sup>

## 6. ურთიერთმიმართება განმარტების მეთოდებს შორის

ზემოთ მოყვანილი განმარტების ხერხები, ჩვეულებრივ, ავსებენ ერთმანეთს, რის გამოც მათი გამოყენება და ამ გამოყენების შედეგად მოპოვებული შედეგების შეფასება ერთობლიობაში უნდა მოხდეს.<sup>160</sup> არასაკმარისია, იმის დადგენა, რომ ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან

---

<sup>159</sup> BGH NJW 1994, 1147; BVerfG, NJW-RR 2005, 661.

<sup>160</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 295.

კონკრეტული შინაარსი გამომდინარეობს, ან დანაწესის მიზანი, მის, ამა თუ იმ ფორმით, გაგებას მოითხოვს. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია გრამატიკული, სისტემური, ისტორიული და ტელეოლოგიური განმარტებების შედეგად მოპოვებული შედეგების ერთმანეთთან შეპირისპირება.<sup>161</sup> მთელ რიგ შემთხვევებში განმარტების კონკრეტულმა კრიტერიუმებმა შეიძლება სრულებით განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. დანაწესის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა შეიძლება გაცილებით ფართო იყოს, ვიდრე ეს მისი სისტემური ადგილიდან გამომდინარეობს – სკ-ის 987 I მუხლში ნახსენები არ არის, რომ დანახარჯების განევა უნდა მოხდეს შესაბამისი საფუძვლის გარეშე, თუმცა ეს გამომდინარეობს ამ ნორმის სისტემური ადგილიდან. გარდა ამისა, ნორმის მიზნიდან (იხ. მე-9 მაგალითი), სისტემური ადგილიდან (იხ. ზემოთ, სკ-ის 163 II 1 და 163 II 3 მუხლების შეპირისპირების მაგალითი) ან შექმნის ისტორიიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მისი ისეთი შინაარსი, რომელიც სცდება მის გრამატიკულ გაგებას. თავის მხრივ, ნორმის მიზანმა შეიძლება უკან დაიხიოს სისტემური და ისტორიული არგუმენტების (იხ. სკ-ის მე-300 მუხლის შემთხვევა) წინაშე და საბოლოო ჯამში ყოველთვის შესაძლებელი არ არის გაუმართლებელი შედეგის კორექცია კანონმდებლის ცალსახად დაფიქსირებული ნების საწინააღმდეგოდ. აქიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი ყოველ ჯერზე ყველა განმარტების ხერხის მოშველიება და არ არსებობს არც რაიმე მყარად დადგენილი წესი, თუ რა კრიტერიუმები სარგებლობენ წინააღმდეგობრივი შედეგის შემთხვევაში უპირატესობით, თუმცა მაინც

---

<sup>161</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 295.

შესაძლებელია ორი სახელმძღვანელო ხაზის გამოკვეთა:<sup>162</sup> საექვოობისას გამართლებული ჩანს კანონის მიზანზე ორიენტირება, მაგრამ მიზანზე ორიენტირებული განმარტების შესაძლებლობაც ზღვარდადებულია ცალსახა და კანონმდებლის მიერ შეგნებულად შერჩეული ფორმულირებით. ეს წესი ძალაში რჩება კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების შემთხვევაშიც.<sup>163</sup>

## II. ანალოგია და ტელეოლოგიური რედუქცია

სამოსამართლო სამართალშემოქმედების ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს ნორმის ანალოგიით გამოყენება და ტელეოლოგიური რედუქცია.

### 1. ანალოგია

ანალოგია არ არის კანონის განმარტების დამოუკიდებელ ხერხი, არამედ მხოლოდ სპეციალურ დასახელება იმ განმარტების პროცესისა, რომელიც მიმართულია კანონის მიზნის (*ratio legis*) გამორკვევისაკენ.<sup>164</sup> ამ შემთხვევაში, მართალია, ნორმატიული შემადგენლობის სამართლებრივი შედეგი შეესატყვისება კონკრეტულ ფაქტობრივ მოცემულობას, თუმცა შეუძლებელია ამ მოცემულობის სუბსუ-

---

<sup>162</sup> უდრ. ამასთან დაკავშირებით *Larenz/Canaris*, *Methodenlehre der Rechtswissenschaft*, 165-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>163</sup> BVerfGE 110, 267; BVerfGE 93, 81; BVerfGE 90, 275; BVerfGE 71, 105; BVerfGE 101, 329

<sup>164</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 89.

მცია ნორმატიული შემადგენლობის ქვეშ. ანალოგიის წინაპირობები მოწმდება სამ ეტაპად: 1. პირველ რიგში აუცილებელია იმის დადგენა, რომ შეუძლებელია კონკრეტული შემთხვევის სუბსუმცია გამოსაყენებელი ნორმის ქვეშ და ამგვარად სახეზეა „რეგულატიური ვაკუუმი“; 2. მეორე ეტაპზე საჭიროა ნორმის მიზნის გამოკვლევა; 3. გარდა ამისა, აუცილებელია მსგავსება ნორმით პირდაპირ მოწესრიგებულ და იმ შემთხვევებს შორის, რომელზეც უნდა მოხდეს მისი ანალოგიით გამოყენება, რაც ნათელყოფს, რომ ეს ვაკუუმი კანონმდებლის მიერ წინასწარ დაუგეგმავ ხასიათს ატარებს. არგუმენტების სახით დასაშვებია მსგავსების არგუმენტის (*argumentum a simile*), “მით უფრო“-არგუმენტისა (*argumentum a maiore ad minus*)<sup>165</sup> ან გვერდის ავლის<sup>166</sup> არგუმენტის მოშველიება. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ამ რეგულატიური ვაკუუმის ანალოგიის მეშვეობით ამოვსება (იხ. ამ არგუმენტებთან დაკავშირებით დეტალურად ქვევით).

*მაგალითი 11: ა და ბ ათანხმებენ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას ზეპირი ფორმით, რომელიც ორივე მხარეს ავალდებულებს შესაბამისი ფორმის დაცვით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. თუმცა ბ-ს მოგვიანებით სხვა მყიდველი გამოუჩნდება, რომელთანაც დადებას ნასყიდობას და რომელსაც გადასცემს საკუთრებას ნაკვეთზე. ა-ს აინტერესებს, ექნებოდა თუ არა ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საქართველოშიც, გერმანიის*

---

<sup>165</sup> RGZ 92, 925.

<sup>166</sup> RGZ 112, 199.



მსგავსად რომ არ არსებულიყო სპეციალური დანაწესი წინარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (სკ-ის 327 III 2 მუხლი).

ა-ს შეიძლება ჰქონდეს ბ-საგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წინარე ხელშეკრულებიდან, რომელიც მათ ბ-ს მიერ ნივთის გასხვისებამდე შეათანხმეს. თუმცა საკითხავია, არის თუ არა ეს შეთანხმება ნამდვილი 323-ე მუხლში გათვალისწინებული ფორმის დაცვის გარეშე. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ სკ-ის 323-ე მუხლი ეხება უშუალოდ მთავარ ხელშეკრულებას, რომლითაც პირი კისრულობს უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის ვალდებულებას და არა წინარეს. მიუხედავად ამისა, ეს დანაწესი შეიძლება ანალოგიით იყოს გამოყენებადი მოცემულ შემთხვევაზე, რის წინაპირობასაც წარმოადგენს:


1. რეგულატიური ვაკუუმი: წინარე ხელშეკრულება მონესრიგებული არ არის სკ-ის 323-ე მუხლით.
2. ნორმის მიზანი: სკ-ის 323-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს მყიდველისა და გამყიდველის დაცვა ნაჩქარევი გადანყვეტილებისაგან, ხელშეკრულების შინაარსის სიცხადისა და მტკიცების უზრუნველყოფა და სხვა.<sup>167</sup>
3. მსგავსება კანონით მონესრიგებულ და მოუწესრიგებელ შემთხვევებს შორის: ეს დაცვითი ფუნქცია თანაბრად უნდა იყოს ძალაში როგორც წინარე ხელშეკ-

---

<sup>167</sup> იხ. დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანჭურია (რედ.), მუხ. 68 მე-3 ველი.

რულების, რომელიც ავალდებულებს მხარეებს დადონ ნასყიდობის ხელშეკრულება მიწის ნაკვეთზე, ასევე უშუალოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დროს. თუ ფორმასავალდებულოობა არ იმოქმედებდა წინარე ხელშეკრულების შემთხვევაში, მოხდებოდა ზემოთ ხსენებული დაცვითი ფუნქციის გვერდის ავლა, რადგან გამყიდველი ვალდებული იქნებოდა აენაზლაურებინა ზიანი წინარე ხელშეკრულებიდან, რომელიც მას ამის გამო ისეთივე ეკონომიკურ ტვირთად დაანგებოდა, როგორადაც მთავარი ხელშეკრულება.<sup>168</sup>

### ნორმის ანალოგიით გავრცელების დასაბუთება



<sup>168</sup> RGZ 112, 199.

მაგალითი 12: სკ-ის 72 ბ) მუხლის მიხედვით, პირი რომელიც ცდება მის მიერ დასადები ვარიეტების შინაარსში, შეუძლია საცილოდ აქციოს ეს ვარიეტება, თუ რეალური მდგომარეობის ცოდნისა და ჯეროვნად შეფასების შემთხვევაში ის ამ ნებას არ გამოხატავდა. შემთხვევა, როდესაც პირი „ნებას გამოხატავს“ ყოველგვარი სამართლებრივი ბოჭვის ნების გარეშე (ე. წ. „ტერირის ღვინის აუქციონი“<sup>169</sup>), კანონში პირდაპირ მონესრიგებული არ არის. ერთი მოსაზრებით, ამ შემთხვევაში ნების გამოხატვის შემადგენლობა უარყოფილი, რის გარეშეც ვარიეტება საერთოდ არ იდება. თუმცა, თუ საპირისპირო მოსაზრებას გავიზიარებთ და, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, დავუშვებთ ნამდვილი ვარიეტების დადებას, მაშინ ნების გამომხატველს, სულ მცირე, სკ-ის 72 ბ) მუხლის ანლოგიით მაინც უნდა მიენიჭოს შეცილების უფლება: თუ პირს, რომელსაც აქვს სამართლებრივი ბოჭვის ნება, შეუძლია ვარიეტება საცილო გახადოს შეცდომის გამო, მით უფრო უნდა ჰქონდეს ეს შეცილების უფლება პირს, რომელსაც ჰგონია, რომ მის ქცევას საერთოდ არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობის შედეგი არ მოყვება („მით უფრო“-არგუმენტი).<sup>170</sup>

მაგალითი 13: სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც დააზიანებს სხვის აბსოლუტურ სიკეთეს, როგორც არის სხეული, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება, მფლობელობა და ა. შ., ვალდებულია აუ-

---

<sup>169</sup> *ჩაჩანიძე*, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, 16.

<sup>170</sup> BGH NJW 1984, 2279.

ნაზღაუროს მას ამით გამონვეული ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარდა კანონი მესაკუთრეს ანიჭებს სკ-ის 172 II მუხლის მიხედვით ე. წ. ნეგატივურ მოთხოვნას, რომელიც მიმართულია საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთისაკენ. დელიქტური წესით დაცული ყველა სხვა აბსოლუტური უფლების შემთხვევაში მსგავსი დანაწესი არ არსებობს, თუმცა ეს უფლებები არანაკლებ დასაცავია, ვიდრე საკუთრება, რის გამოც ამ უფლების მფლობელებს უნდა ჰქონდეთ ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა სკ-ის 172 II მუხლის ანალოგიით.

ანალოგიით დაუშვებელია კანონის სპეციალური დანაწესების გამოყენება, რადგან მათი განსაკუთრებული რეგულაციის საგანი განზოგადებაუუნაროა.

*მაგალითი 14:* სკ-ის 892 II მუხლის მიხედვით პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გაცხადებული თავდებობა ნამდვილია შესაბამისი ფორმის დაცვის გარეშე. თუმცა ამ წესის განზოგადება იმ ფორმით, რომ კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლებს ყოველთვის, დამოუკიდებლად იმისა, ექცევა თუ არა კონკრეტული გარიგება მისი პროფესიის ფარგლებში, ჰქონდეს თავდებობის ფორმის დაუცველად დადების უფლება, დაუშვებელია.<sup>171</sup>

ანალოგიისას სამართლის შემფარდებელმა უნდა მონახოს ოქროს კვეთა ლეგიტიმურ სამართალშემოქმედებასა და დაუშვებელ სამოსამართლო თვითნებობას შორის, რაც

---

<sup>171</sup> შდრ. რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 168.

აკრძალულია კონსტიტუციით გამყარებული ხელისუფლების დანაწევრების პრინციპით.<sup>172</sup> საექსტრობისას ყოველთვის უმჯობესია ნორმის სიტყვასიტყვით გაგებაზე ორიენტირება, ვიდრე თამამი ანალოგიის კონსტრუირება.

## 2. ტელეოლოგიური რედუქცია

ტელეოლოგიური რედუქციისას ანალოგიის საპირისპირო ხერხს წარმოადგენს – მიუხედავად იმისა, რომ ნორმის გამოყენების სფერო მისი სიტყვასიტყვითი გაგებისას მოცემულ შემთხვევას მოიცავს, ხდება ამ მოქმედების სფეროს დავიწროვება, რადგან ის არ შეესატყვისება ნორმის მიზანს. აქ უნდა დასაბუთდეს *განსხვავება* ჩვეულებრივ შემთხვევასა, რომელიც ყოველ მიზეზ გარეშე ექცევა ნორმის მოწესრიგების სფეროში და იმ შემთხვევას შორის, რომელიც მის მიღმა უნდა დარჩეს.<sup>173</sup> რედუქციისაგან უნდა გაიმიჯნოს ნორმის რესტრიქციული განმარტება, რადროსაც ხდება ამ ნორმის, სიტყვასიტყვითი გაგებით, მონაზული ჩარჩოს დავიწროება.<sup>174</sup>

ტელეოლოგიური რედუქციისას არგუმენტებად გამოდგება აბსურდის არგუმენტი (*argumentum ad absurdum*) ან უკუდასკვნა (*argumentum e contrario*), რომელთა მეშვეობითაც სამართლის შემფარდებელი მიდის დასკვნამდე, რომ, მართალია, ნორმის დისპოზიცია მოცემულ შემთხვევასაც მოიცავს, თუმცა მისი გამოყენება წინააღმდეგობა-

---

<sup>172</sup> Hillgruber, JZ 2008, 446; Rütters, JZ 2008, 446.

<sup>173</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 90.

<sup>174</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 90.

ში მოდის მის არსთან; აბსურდულია ამ დანაწესით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის შეფარდება კონკრეტული შემთხვევისათვის.

*მაგალითი 15.<sup>175</sup> მარტოხელა მამა გადასცემს შვილს, შესაბამისი ფორმის დაცვით, საკუთრებას მიწის ნაკვეთზე. როგორც ჩუქების, ისე საკუთრების გადაცემის გარიგების დადებისას, ნებას გამოხატავს მამა, როგორც საკუთარი, ისე შვილის სახელით. საკითხავია, არის თუ არა ეს გარიგება არანამდვილი სკ-ის 114-ე მუხლში დაფიქსირებული საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვის გამო.*

*1. ნორმის წინაპირობები, მისი სიტყვასიტყვითი გავების შემთხვევაში, სახეზეა, რადგან გარიგების ორივე მხარეზე იდგა მამა და გამოხატავდა ნებას როგორც საკუთარი, ისე მამის სახელით.*

*2. ნორმის მიზანია წარმოდგენილის დაცვა იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს წარმომადგენლისა და მისი ინტერესების კოლიზიამ, როდესაც ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, პირადი გამოორჩენის მიზნით მოქმედებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილის ინტერესების დაცვა ევალება.*

*3. თუმცა ინტერესთა კოლიზია გამორიცხებულია, თუ ისეთ გარიგებას ეხება საქმე, რომელიც წარმოდგენი-*

---

<sup>175</sup> რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 137-ე და მომდევნო გვერდები.

ლისათვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანია. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამგვარ გარიგებასთან გვაქვს საქმე.

4. სამართლებრივი შედეგი: დანანესი მოცემულ შემთხვევაზე არ გამოიყენება.

## ნორმის ტელეოლოგიური რედუქციის დასაბუთება

კანონის დონეზე

**სკ-ის 114-ე მუხლი:** წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან დადოს გარიგება.

წარმოდგენილის  
დაცვა  
ინტერესთა  
კოლიზიისაგან



მამის მიერ შვილის სახელით  
საკუთარ თავთან დადებული  
გარიგება მხოლოდ სარგებლის  
მომტანია.

### იდენტური გადაწყვეტა?

1. ნორმის წინაპირობები, მისი სიტყვასიტყვით გაგების შემთხვევაში, სახეზეა.
2. ნორმის მიზანი: დაიცვას წარმოდგენილი იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რაც შეიძლება წარმოშვას წარმომადგენლისა და მისი ინტერესების კოლიზიამ, როდესაც წარმომადგენელი, ერთი მხრივ, პირადი გამორჩენის მიზნით მოქმედებს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ინტერესების დაცვა ევალება (ტიპიური შემთხვევა).
3. არაიდენტურობა:
  - ა) ტიპიური შემთხვევა
  - ბ) აქ: ინტერესთა კოლიზია გამორიცხულია, თუ ისეთ გარიგებას ეხება საქმე, რომელიც წარმოდგენილისათვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანია.
  - გ) *argumentum ad absurdum*: მშობლებს შვილისათვის ყოველი საგნის ჩუქებისას მოუწევდათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა.
4. სამართლებრივი შედეგი: დანანესი მოცემულ შემთხვევაზე არ გამოიყენება.

### III. სამართლის ნორმების დაკონკრეტება

ზოგი განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნება და გენერალური დათქმის ფორმით ჩამოყალიბებული ნორმა იმდენად ფართოა, რომ განმარტება და მის ქვეშ კონკრეტული შემთხვევის სუბსუმცია შეუძლებელია.<sup>176</sup> კონკრეტიზაციის მეთოდის მიზანს წარმოადგენს სწორედ ცალკეული შემთხვევის განუსაზღვრელი ნორმის ქვეშ სუბსუმციის შესაძლებლად ქცევა. ეს მეთოდი განსაკუთრებით აქტუალურია ძირითადი უფლებებისა და გენერალური დათქმის ფორმით ჩამოყალიბებული ნორმების შემთხვევაში. აქ სუბსუმციისათვის აუცილებელია საერთო პრინციპებისა და შემთხვევათა ჯგუფების გამოკვეთა და ამ გზით გენერალური დათქმის კონკრეტულ შემთხვევამდე დაყვანა.

*მაგალითი 16: საკითხი – ვალდებულია თუ არა სახლის მესაკუთრე ლამის 10 საათზე განმინდოს გზა საკუთარი კერძო სახლის წინ და აგებს თუ არა ამის არგაკეთების შემთხვევაში დელიქტური წესით პასუხს (სკ-ის 992-ე მუხლი) იმ პირის წინაშე, რომელსაც გზის ამ მონაკვეთზე აუსრიალებდა თოვლზე ფეხი და თავს დაიზიანებს – უნდა გადაწყდეს გერმანული დოქტრინის<sup>177</sup> მიერ ამისათვის შემუშავებული ხუთი კრიტერიუმის საფუძველზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირს შეიძლება დაეკისროს საფრთხის კონტროლის ვალდებულება. მათი მიზანია, დაზარალებულისა*

---

<sup>176</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 91.

<sup>177</sup> Wagner, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 823 380-ე და მომდევნო პუნქტები.



და სავარაუდო დამზიანებლის ინტერესთა აწონ-დაწონვის გზით, გამართლებული შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა. ეს კრიტერიუმებია:

- საფრთხის წყაროს წარმოქმნა ან შენარჩუნება;
- საფრთხის კონტროლი;
- საფრთხის შეცნობადობა;
- საფრთხის წყაროდან მიღებული სარგებელი;
- ნდობის დაცვა.

მოცემულ შემთხვევაში უამინდობა და ამით გამოწვეული თოვლი წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, რომელიც არ გამოუწვევია სახლის მესაკუთრეს. მას არ შეიძლება მოეთხოვოს არც ამ საფრთხის კონტროლი, თოვლის გადამწმენდის მეშვეობით, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში; ხშირად შეუცნობელია, თუ ღამის რა მომენტში იწყებს თოვას. ის არ იღებს არც სარგებელს ამ საფრთხისაგან. გამვლელებს არ შეიძლება ჰქონდეს იმის იმედი, რომ გზა ღამითაც გადამწმენდილი იქნება. ამგვარად, სახლის მესაკუთრემ, ღამით არ უნდა განმინდოს წინკარი.

სხვაგვარად არის საქმე დღის განმავლობაში. ამ დროს სახლის მესაკუთრისათვის ეს საფრთხე უკვე შეცნობადი და მართვადია. მესამე პირებს, მაგალითად, ფოსტალიონს შეუძლია მიენდოს იმ გარემოებას, რომ მას შეუძლია გაიაროს მინის ნაკვეთზე დაზიანების მიღების გარეშე.

### III. გაბატონებული მოსაზრება და პრეიუდიცია

გაბატონებულ მოსაზრებაზე მითითება ვერ ჩაანაცვლებს კონკრეტულ, საგნობრივ არგუმენტაციას.<sup>178</sup> ის არ წარმოადგენს არგუმენტს. თუმცა კონკრეტული საგნობრივ არგუმენტს დამატებით ამყარებს გაბატონებულ მოსაზრებაზე მითითება. გაბატონებული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს განგრძობადი სამართლებრივი პრაქტიკა, მიმართული სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებისაკენ. აქ მტკიცების ტვირთი განაწილებულია: პირველი შთაბეჭდილების თანახმად გაბატონებული მოსაზრება სწორია. ვინც ამას ეჭვქვეშ აყენებს, ატარებს მტკიცების ტვირთს.<sup>179</sup> კარგი სადოქტორო ან სასემინარო ნაშრომი გამოირჩევა იმით, რომ გამჯდარ გაბატონებულ მოსაზრებებს დამაჯერებელი არგუმენტებით აქარწყლებს.

რაც შეეხება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, ანუ პრეიუდიციებს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მბოჭავია მხოლოდ კანონი, მაგრამ არა სამოსამართლო სამართალი, ისინი სამართლის შემფარდებლისათვის ზოგადად არამბოჭავია. გამონაკლისს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ნორმის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, პრეიუდიციის შემთხვევაში, ისევე, როგორც გაბატონებული მოსაზრებისას, აქაც მისგან გადახვევა დეტალურ დასაბუთებას საჭიროებს.<sup>180</sup>

---

<sup>178</sup> Möllers, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 93.

<sup>179</sup> Möllers, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 93.

<sup>180</sup> Larenz/Canaris, *Methodenlehre der Rechtswissenschaft*, 256.

## IV. არგუმენტაციის ხერხები

მთელი რიგი არგუმენტაციის ხერხები, რომლებიც ზემოთ გაკვრით იქნა ნახსენები, იმდენად ხშირად გვხვდება სამართლებრივი პრობლემატიკის მიმოხილვისას, რომ შესაძლებელია მათი იურიდიულ დასკვნებად მოხსენიება.<sup>181</sup> ამ ტიპის არგუმენტებს შეიძლება მივათვალოთ უკუდასკვნა (*argumentum e contrario*); „მით უფრო“-არგუმენტი (*argumentum a fortiori*); აბსურდის არგუმენტი (*argumentum ad absurdum*). არგუმენტირების ამ ფორმების ცოდნა, მათი სტრუქტურისა და წინამძღვრების გასიგრძეგანება იურისტს მისცემს არა მხოლოდ საკუთარი არგუმენტაციის სწორად გამართვის, არამედ ოპონენტის ტექსტში/მსჯელობაში შესაბამისი ხარვეზების აღმოჩენის საშუალებას.

### 1. უკუდასკვნა (*argumentum e contrario*)

ნორმის დისპოზიციის ქვეშ ექცევა გარკვეული ფაქტობრივი შემთხვევები, სხვა შემთხვევების სუბსუმცია ამ დანაწესის ქვეშ დამატებითი დათქმის გარეშე (ჩვეულებრივ: ანალოგია, რა დროსაც უკუდასკვნის საპირისპირო ხდება<sup>182</sup>) შეუძლებელია. უკუდასკვნას ეს ფაქტობრივი განსხვავება გადააქვს სამართლებრივ სიბრტყეში – თუ ერთი შე-

---

<sup>181</sup> *Beaucamp/Treder*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 299.

<sup>182</sup> *Rüthers/Fischer/Birk*, Rechtstheorie, Rn. 899.

მთხვევა მეორისაგან ფაქტობრივად განსხვავებულია, მათი სამართლებრივი გადაწყვეტაც ურთიერთსაპირისპირო უნდა იყოს.<sup>183</sup>

*მაგალითი 17: სკ-ის 989-ე და 990-ე მუხლები ითვალისწინებენ მესამე პირისაგან კონდიქციით უკუმოთხოვნის შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ქონება უსასყიდლოდ მოიპოვა, საიდანაც უკუდსკვნით გამომდინარეობს, რომ მესამე პირისაგან პირდაპირი კონდიცირება სასყიდლიანი შეძენის შემთხვევაში დაუშვებელია.*

თუმცა, ჩვეულებრივ, უკუდასკვნით მიღებული გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო და განზოგადებაუნარიანი, როდესაც, ამ შემთხვევათა შორის განსხვავების გარდა, გამყარებულია ამ განსხვავების განმაპირობებელი ნანამძღვრით.

*მაგალითი 18: ცალკეული ხელშეკრულებებისათვის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის ფორმას (მაგ. სკ-ის 323-ე, 525 III, 892 I, 1357-ე და მომდევნო მუხლები), საიდანაც გამომდინარეობს, რომ ყველა სხვა სახის გარიგება ფორმის დაუცველად ნამდვილია, ანუ სამოქალაქო სამართალში ზოგადად ფორმის თავისუფლების პრინციპი მოქმედებს. თუმცა ეს დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტია (ხშირად გამოტოვებული) ნანამძღვარი, რომ კანონი ამომწურავად აწესრიგებს ფორმასავალდებულოობის საკითხს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია*

---

<sup>183</sup> *Beaucamp/Treder, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 300.*

მართებული დასკვნა, რომ ვარიგება არაფორმასავალდებულოა კანონში შესაბამისი ჩანანერის ვარეშე.

ზემოთ მოყვანილ მე-17 მაგალითში მოყვანილი უკუდასკვნის გამყარება დამატებით შესაძლებელია სკ-ის 197 II მუხლზე მითითებით, რომელიც ასევე გამორიცხავს მესამე პირის პასუხისმგებლობას სასყიდლიანი შენაძენის შემთხვევაში და პირიქით, სკ-ის 187 II 1 მუხლის მე-3 ვარიანტი გამორიცხავს საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვებას, თუ მიმღები ნივთს უსასყიდლოდ იღებს. ამ ოთხი ნორმის (სკ-ის 989-ე, 990-ე, 187 II 1 და 197 II მუხლები) ურთიერთკავშირის საფუძველზე უკვე შესაძლებელია საუბარი სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპზე, რომლის მიხედვითაც უსასყიდლო შენაძენი გაცილებით ნაკლებად არის დაცული – და უფლებამოსილ პირს შესაბამის შემთხვევაში შეუძლია მისი უკან მოთხოვნა – ვიდრე სასყიდლიანი. მხოლოდ ეს დამატებითი წანამძღვარი აქცევს მე-17 მაგალითში მოყვანილ მსჯელობას მართებულად.

## 2. „მით უფრო“-არგუმენტები (argumentum a fortiori)

„მით უფრო“-არგუმენტების შემთხვევაში ერთმანეთისაგან მიჯნავენ მის ორ ქვეშემთხვევას, ეს არის დასკვნა „მცირედან“ „დიდისკენ“ (argumentum a minore ad maius) ან „დიდიდან“ „მცირესკენ“ (argumentum a maiore ad

minus).<sup>184</sup> ორივე მათგანი ახლოს დგას კანონის ანალოგი-  
ასთან, რადგან აქ ორი შემთხვევის შედარების გზით წყდე-  
ბა კონკრეტული დანაწესის გამოყენების საკითხი.<sup>185</sup> თუ-  
მცა „მით უფრო“-არგუმენტი უფრო ნაკლებმასშტაბურია,  
ვიდრე ანალოგია – ამ დროს არ ხდება საკანონმდებლო  
რეგულაციის მიღმა დარჩენილი შემთხვევის მოწესრიგე-  
ბა, ნორმის მოქმედების სფეროს გაფართოება, არამედ –  
ამ სფეროს დაკონკრეტება სამართლის ზოგადი პრინცი-  
პების საფუძველზე.<sup>186</sup> შესაბამისად, **argumentum a maiore  
ad minus** წარმოადგენს მხოლოდ არგუმენტირების ხერხს  
ანალოგიის დასასაბუთებლად (იხ. ზემოთ ანალოგიის და-  
წარჩენ ორ წინაპირობასთან დაკავშირებით), თუმცა ცალ-  
კე აღებული არასაკმარისია მის გასამართლებლად.

ა) დასკვნა დიდიდან მცირესკენ (*argumentum a maiore ad  
minus*)

დასკვნა დიდიდან მცირესკენ (**argumentum a maiore ad  
minus**) გულისხმობს იმას, რომ „მეტი“ მოიცავს ასევე „ნაკ-  
ლებსაც“, ანუ უფრო შორსმიმავალი სამართლებრივი შე-  
დეგების მქონე რეგულაცია მოიცავს ნაკლები ინტენსივო-  
ბის მქონესაც.<sup>187</sup>

---

<sup>184</sup> *Rüthers/Fischer/Birk*, Rechtstheorie, Rn. 897.

<sup>185</sup> *Beaucamp/Treder*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 303.

<sup>186</sup> *Schreiber*, Logik des Rechts, 56.

<sup>187</sup> *Beaucamp/Treder*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 306.

მაგალითი 19:<sup>188</sup> თუ პირს, სკ-ის 399 I 1 ან 541-ე მუხლების მიხედვით, უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება შესაბამისი ვადის დაუცველად (მეტი), მით უფრო უნდა ჰქონდეს მას ამის უფლება შესაბამისი ვადის დაცვით (მცირე), რადგან ის უფრო მცირე ტვირთად აწვება მეორე მხარეს.

მიუხედავად, ერთი შეხედვით, დამაჯერებლობისა, დასკვნა დიდიდან მცირესკენ მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, როდესაც მიმართება „დიდი“-„მცირე“ ლოგიკურად დასაბუთებადია – „დიდი“ მართლაც დიდია და „მცირე“-მცირე და ეს მიმართება არ არის თვითნებური შეფასებითი მსჯელობით განპირობებული.<sup>189</sup> მარტივად რომ ვთქვათ: თუ ჭურჭელში ეტევა ხუთი ლიტრი სითხე, მაშინ ჩაეტევა ასევე ოთხი ლიტრიც.<sup>190</sup> ამის საპირისპიროდ ზემოთ მოყვანილი მე-19 მაგალითში საბოლოო ჯამში დასკვნა, რომ ხელშეკრულების მოშლა ვადის დაცვით უფრო ნაკლებ ტვირთად აწვება მოშლის ადრესატს, ვიდრე ვადის დაუცველად მოშლა, მხოლოდ შეფასებითი მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნაა, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს დასკვნა სავალდებულოა, რადგან შეუძლებელია მისი უარყოფა. ამიტომაც, ვადიან და უვადო მოშლას შორის მიმართება ახლოს დგას „დიდსა“-„მცირეს“ შორის ლოგიკურ გრადაციასთან. „დიდისა“ და „მცირეს“ კატეგორიზაცია, რომელიც მხოლოდ შეფასებითი მსჯელობის ნაყოფია, სახეზეა შემდეგ შემთხვევაში:

---

<sup>188</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 297.

<sup>189</sup> *Bitter/Rauhut*, JuS 2009, 297.

<sup>190</sup> *Beaucamp/Treder*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 306.

მაგალითი 20: ბ-ს მიწის ნაკვეთზე დატვირთულია ა-ს მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ გზის სერვიტუტით, რომელიც ამ უკანასკნელს ბ-ს ნაკვეთზე ტრაქტორით გადაადგილების უფლებას ანიჭებს. ა-ს მიაჩნია, რომ ის უფლებამოსილია გადაკვეთოს ნაკვეთი ასევე მსუბუქი ავტომანქანით, მოტოციკლით და მით უმეტეს ფეხით. აქ ა-ს მიერ ვაკეთებული დასკვნა არ არის სავალდებულო. მართალია, ტრაქტორი, როგორც მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალება მოცულობითა და წონით არის „მეტი“, ვიდრე ყველა სხვა ზემოთ ხსენებული საშუალება, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ტრაქტორით გადაადგილების უფლება მოიცავს ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია ტრაქტორით გადაადგილების უფლების მინიჭება მოხდა სწორედ იმის გამო, რომ ა-ს ნაკვეთამდე მიმავალი ტრაქტორის ალტერნატიული გზა არ არსებობდა, მაშინ, როდესაც, მსუბუქი ავტომანქანით, მოტოციკლითა და მით უმეტეს ფეხით მას საკუთარ ნაკვეთამდე სხვაგვარადაც შეუძლია მიაღწიოს. მოცემულ შემთხვევაში გზის უფლების სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე გავრცელება იქნებოდა არა *argumentum a maiore ad minus* მეშვეობით მოპოვებული დასკვნა, არამედ შეფარული ანალოგია შესაბამისი წინაპირობების გარეშე, რაც დაუშვებელია.



ბ) დასკვნა მცირედან დიდისკენ (*argumentum a minore ad maius*)

„მცირედან“ „დიდისკენ“ დასკვნის მიხედვით, სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონში განერილია უფრო უმნიშვნელო შემთხვევისათვის, მით უფრო უნდა იყოს ძალაში უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევისათვის, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მას პირდაპირ არ აწესრიგებს.<sup>191</sup> თუ აკრძალულია საერთო საცხოვრებელში კატებისა და ძაღლების ყოლა მით უფრო უნდა იყოს აკრძალული სხვა გარეულის ცხოველების აყვანა.<sup>192</sup>

*მაგალითი 21: თუ თაღლითობა დიდი ოდენობით სისხლის სამართლის კოდექსის 180 III გ) მუხლის მიხედვით ითვლება 50 000 ლარის მითვისება, მით უფრო უნდა ჩაითვალოს თაღლითობად 80 000 ლარის მითვისება.*

თუმცა მოცემული არგუმენტი საბოლოო ჯამში ლოგიკურად სავალდებულოა მხოლოდ ნეგატიური გამონათქვამების შემთხვევაში:

*მაგალითი 22: მჩუქებელი, გამნათხოვრებელი და დავალებული პასუხს აგებენ მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (სკ-ის 527-ე, 616-ე და 719-ე მუხლები). ეს სამივე ურთიერთობა განეკუთვნება ე. წ. თავაზიანობის ხელშეკრულებებს. მიუხედავად ამისა, a minore ad maius-არგუმენტის მეშვეობით იმის თქმა, რომ ვალდებული პირი თავაზიანობის*

---

<sup>191</sup> Rüthers/Fischer/Birk, Rechtstheorie, Rn. 898.

<sup>192</sup> *Beaucamp/Treder*, Methoden und Technik der Rechtsanwendung, Rn. 304.

ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ამ მასშტაბით აგებს პასუხს, არასწორია, რადგან სამოქალაქო კოდექსში მოიძებნება თავაზიანობის ხელშეკრულება, რომელიც სხვაგვარ პასუხისმგებლობის მასშტაბს ითვალისწინებს, კერძოდ მიბარება (სკ-ის 765-ე მუხლი). სწორედ ამიტომ, შესაძლებელია მხოლოდ ნეგატიური განზოგადება – პასუხისმგებლობის შემოსაზღვრა განზრახვით და უხეში გაუფრთხილებლობით არ წარმოადგენს თავაზიანობის ხელშეკრულების ნიშან-თვისებას.<sup>193</sup>

### გ) აბსურდის არგუმენტი (*argumentum ad absurdum*)

აბსურდის არგუმენტი (*argumentum ad absurdum*) ამტკიცებს რაიმე მოსაზრების სისწორეს მისი კონტრადიქტორული გამონათქვამის უარყოფის – აბსურდამდე დაყვანის – მეშვეობით.<sup>194</sup> ეს უარყოფა შეიძლება სავალდებულო ხასიათის იყოს,

*მაგალითი 23: სკ-ის 163 | 2 და 979 | მუხლების გამოყენების სფერო ნაწილობრივ იკვეთება. ორივე დანაწესი აწესრიგებს არაუფლებამოსილი პირის – ერთ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი მფლობელის, მეორე შემთხვევაში, კონდიქციის მოვალის – სარგებლის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა სრულებით განსხვავებულად. მაშინ, როდესაც კეთილსინდისიერი არაუფლებამოსილი მფლობელი არ უბრუნებს მესაკუთრეს სარგებელს, კონდიქციის კეთილსინდისიერი*

<sup>193</sup> შდრ. *Schreiber*, *Logik des Rechts*, 55.

<sup>194</sup> *Bitter/Rauhut*, *JuS* 2009, 296.

მოვალე ვალდებულია სრული მოცულობით აანაზღაუროს ის. ერთი მოსაზრების მიხედვით,<sup>195</sup> ამ კონკურენციისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სკ-ის 163 I 2 მუხლს და არა შესაბამის კონდიქციურ დანანესს, თუმცა ამ დაშვებას აბსურდულ შედეგამდე მივყავართ – თუ პირი მოიპოვებს საკუთრებას უსაფუძვლოდ მიღებულ საგანზე, მაშინ ის პასუხს აგებს მხოლოდ კონდიქციური დანანესის მიხედვით, ანუ უფრო მკაცრად, ვიდრე მარტოოდენ მფლობელობის მოპოვების შემთხვევაში, როდესაც მის სასარგებლოდ მოქმედებს სკ-ის 163 I 2 მუხლი. ეს შედეგი აბსურდულია, რადგან მესაკუთრე უფრო მკაცრად აგებს პასუხს ვიდრე არაუფლებამოსილი მფლობელი.

საბოლოო ჯამში აბსურდის არგუმენტით საკუთარი მოსაზრების გამყარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც აბსურდული შედეგი საწინააღმდეგო პოზიციიდან აუცილებლობის ძალით გამომდინარეობს და ეს ორი მოსაზრება უალტერნატივოა – წინააღმდეგ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოსაზრების აბსურდამდე დაყვანა არ ამართლებს საკუთარ მოსაზრებას, რადგან შესაძლებელია საერთოდ მესამე მოსაზრება იყოს სწორი.<sup>196</sup> გარდა ამისა, საკუთარი მოსაზრება იმავე აბსურდული შედეგის დადგომას სრულებით უნდა გამორიცხავდეს.<sup>197</sup>

---

<sup>195</sup> შდრ. მოცემული ნორმების კონკურენციასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, 118-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>196</sup> *Stellhorn*, ZJS 4/2014, 467-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>197</sup> *Stellhorn*, ZJS 4/2014, 468.

მაგალითი 24.<sup>198</sup> ავთო ავალეებს მერაბს გელას მოკვლას. შებინდებისას მერაბი სახლთან ჩაუსაფრდება თავის მსხვერპლს და როდესაც მისკენ მომავალ მამაკაცს დაინახავს, მიიჩნევს რა მას გელად, სიცოცხლეს გამოასალმებს. სინამდვილეში მოკლული არის არა გელა, არამედ მისი მეზობელი.

ავთოს ამ შემთხვევაში მოუვიდა უმნიშვნელო შეცდომა პიროვნებაში (*error in persona*) და ის დასჯადია მკვლელობისათვის, თუმცა საკითხავია მერაბს შეერაცხება დასრულებული ნაქეზება, თუ მისი მხოლოდ მომზადება, რადგან მას მეზობლის მოკვლა არ უნდოდა. ერთი მოსაზრების თანახმად,<sup>199</sup> ამსრულებლის შეცდომა უმნიშვნელოა ამის საწინააღმდეგოდ მოყვანილი შემდეგი არგუმენტი:<sup>200</sup> რა მოხდება მაშინ, თუ მერაბი აღმოაჩენს რა საკუთარ შეცდომას, კიდევ რამდენიმე პირს გამოასალმებს სიცოცხლეს, ყოველ ჯერზე იმ რწმენით, რომ გელას ეხება საქმე – უნდა შეერაცხოს მერაბს რამდენიმე პირის მკვლელობისაკენ ნაქეზება, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ერთი პირის მოკვლა უნდოდა?

ეს არგუმენტი სხვა არაფერია, თუ არა საწინააღმდეგო პოზიციის აბსურდამდე დაყვანა. ეს აბსურდული შედეგი ასევე თანმიმდევრულად გამომდინარეობს თავდაპირველად მოყვანილი მოსაზრებიდან. მიუხედავად ამისა, მეორე მოსაზრება პირველის აბსურდა-

---

<sup>198</sup> Preußisches Obertribunal GA 7 (1859), 322.

<sup>199</sup> Obertribunal GA 7 (1859), 336.

<sup>200</sup> *Binding*, Die Normen und ihre Übertretung, 214 სქ. 9.

მდე დაყვანით ვერ ამტკიცებს საკუთარ მართებულობას, რადგან თავადაც სრულებით არ გამოორიცხავს იმავე აბსურდული შედეგის მიღებას.<sup>201</sup> იგივე აბსურდული შედეგი დგება ასევე მაშინაც, როდესაც მერაბი ესვრის გელას, როგორც ეს დაგეგმილი იყო, თუმცა ტყვია ხვდება გვერდზე მდგომ ერთ ან რამდენიმე პირს. ამ შემთხვევაში სხვა პირების მკვლელობა გამომდინარეობს ავთოს დავალებიდან და წამქეზებელი პასუხისმგებელია რამდენიმე პირის ამოხოცვისათვის.<sup>202</sup> ამგვარად, მეორე მოსაზრება თავადაც ვერ ახერხებს აბსურდული შედეგის თავიდან აცილებას და შესაბამისად ვერ დაემყარება აბსურდის არგუმენტს.

## V. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი

სამართლის შედარება – სხვადასხვა მართლწესრიგთა შეპირისპირებიდან კონკრეტული დასკვნების გამოტანა – და მისი შემსწავლელი მეცნიერება (შედარებითი სამართალმცოდნეობა) არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ „დარგს“, არამედ სამართლის შემეცნების მეთოდს, რის გამოც მიზანშეწონილია მისი მიმოხილვა იმ მეთოდოლოგიური არსენალის ფარგლებში, რომელსაც სავალდებულოდ უნდა ფლობდეს ყველა იურისტი. სამართლის შედარება არ არის ტოლფასი ამა თუ იმ მართლწესრიგის შესახებ ანგარიშისა. მისი მიზანია არა მხოლოდ სხვადასხვა

---

<sup>201</sup> *Stellhorn*, ZJS 4/2014, 468.

<sup>202</sup> *Dehne-Niemann/Weber*, Jura 2009, 377.

ქვეყნებში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა, არამედ „სოციალური კონფლიქტების აცილებისა და მოგვარების მოდელების გამოკვლევა“<sup>203</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ შედარებითი სამართალმცოდნეობა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა მეცნიერებაა, კამათის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა მართლწესრიგთა შედარების ფორმების კატეგორიზაცია, მაშინ, როდესაც რაინერი<sup>204</sup> ერთმანეთისაგან მიჯნავს ინსტიტუციურ, სისტემურ და გლობალურ შედარებებს, ცვაიგერტი/კოტცი<sup>205</sup> მხოლოდ მაკრო და მიკრო შედარებებს ასხვავებს, რაც უკვე დამკვიდრებულ კატეგორიებად უნდა ჩაითვალოს.

## 1. ინსტიტუციური, სისტემური და გლობალური შედარება

რაინერის ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მიხედვით სამართლის შედარება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე:

ა) **ინსტიტუციონალური** ანუ პირველადი შედარება ახდენს სხვადასხვა მართლწესრიგებში არსებული ინსტიტუტების განსაზღვრას, შესწავლას, შედარებით დაპირისპირებასა და ახსნას. ამ კონტექსტში ინსტიტუტების მაგალითებია – საკუთრება, მფლობელობა, ხელშეკრულება, როგორც ზოგადი კატეგორია, ხელშეკრულების ცალკეული ტიპები,

---

<sup>203</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, 20.

<sup>204</sup> Rainer, *Europäisches Privatrecht*, 22-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>205</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, მე-10 და მომდევნო გვერდები.

დელიქტური სამართალი და ა. შ. ინსტიტუტების ერთმანეთთან შედარება უნდა მოხდეს ისტორიული, სოციალური და დოგმატური ასპექტების გათვალისწინებით.

ბ) ინსტიტუციონალური შედარებისაგან თავისი მასშტაბურობით განსხვავდება **სისტემური შედარება**. ის ადარებს რამდენიმე სამართლის ინსტიტუტს სხვადასხვა მართლწესრიგებიდან და მიზნად ისახავს, სულ მცირე, სამოქალაქო (სისხლის ან საჯარო) სამართლის ერთ-ერთი დარგის მოცვას. სისტემური შედარების მეშვეობით უნდა მოხდეს ერთი სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ტიპური ინსტიტუტებისა და მათ შორის ურთიერთკავშირის გამოკვეთა. მხოლოდ სისტემური შედარება იძლევა ცალკეული სისტემების მთლიანობაში შემეცნების საშუალებას, მათთვის დამახასიათებელი თავისებურების გამოკვეთის მიზნით.

გ) **გლობალური შედარება** წარმოადგენს შედარებით-სამართლებრივი განაზრებებისა და კვლევის დაგვირგვინებას. ის მიზნად ისახავს რამდენიმე მართლწესრიგის სრულ მოცვას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისტორიული და საზოგადოებრივი რეალობა, სამართლის წყაროები, ცალკეული ინსტიტუტების შინაარსი, მართმსაჯულების სისტემა, სამართლის განხორციელება, იურიდიული პროფესიები, იურიდიული განათლება, სამართლის მეცნიერება. მხოლოდ გლობალური შედარების საფუძველზე შესაძლებელი მართლწესრიგების ამომწურავად შემეცნება და ზოგადად სამართლის ფუნქციის გამოკვეთა.

აა) *სამართლის წყაროები*. გლობალური შედარება უნდა დაიწყოს შესაპირისპირებელი მართლწესრიგებში სამარ-

თლის წყაროების წარმოშობისა და მათი არსებობის ფორმების გათვალისწინებით: წარმოადგენს თუ არა სამართლის წყაროს მხოლოდ ნორმატიული აქტები, თუ ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებები (პრეცედენტული სამართალი); რა როლს თამაშობს მეცნიერთა ნაშრომები ამ წყაროს ჩამოყალიბების პროცესში; რა მნიშვნელობა ენიჭება ადათებსა და ჩვეულებებს.

ბბ) *მართლმსაჯულების სისტემა*. გლობალური შედარების შემდეგ ეტაპს მართლმსაჯულების სისტემის თავისებურებების გამორკვევა წარმოადგენს. აქ მნიშვნელობა ენიჭება: მართლმსაჯულების ორგანოები მოწყობას, ორგანიზაციასა და ფუნქციას; საპროცესო სამართალსა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკას; უმაღლესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციურ დატვირთვას – აქვს თუ არა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა და ა. შ.

გგ) *ისტორიული განზომილება*. გლობალური შედარებისას მკვლევარმა ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს არც ისტორიული განზომილება. სამართალი არის ისტორიული ფენომენი, რის გამოც მისი ისტორიულ ჭრილში მიმოხილვა იძლევა მართლწესრიგისათვის დამახასიათებელი თავისებურებების დანახვის საშუალებას, რაც შეუძლებელია მხოლოდ მშრალი დოგმატიკის ანალიზის მეშვეობით.

დდ) *იდეოლოგიური ნანამძღვრები*. გლობალური შედარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის იდეოლოგიური



კონტექსტი, რომლის ფონზეც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა კონკრეტული მართლწესრიგი. მაგალითად, განსხვავებით საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისა და ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი ვერსიისაგან, რომლებიც ბუნებითი სამართლის იდეებს ემყარებოდნენ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სწორედ ბუნებით სამართალთან დაპირისპირების კონტექსტში ჩამოყალიბდა, რომლის წანამძღვართაგანაც შესაძლებელია სამართლის, როგორც ყოვლისმომცველი და აბსტრაქტული მეცნიერების იდეის დასახელება.

ეე) *სოციალური განზომილება*. სამართალს, როგორც ადამიანური თანაცხოვრების ფორმას ღრმად აქვს გამჭვდარი ფესვები საზოგადოებრივ რეალობაში. სამართლის სოციალური ასპექტების გაანალიზების ქვეშ ექცევა მაგ. კერძო სამართლის როლისა და მისი გავლენის გამოკვეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ევ) *სამართლის მეცნიერება*. კონკრეტული მართლწესრიგის შემეცნებისათვის გადამწყვეტი და აუცილებელია ამ მართლწესრიგში სამართლის მეცნიერების ფუნქციასა და მნიშვნელობაში გარკვევა.

ზზ) *იურიდიული განათლება*. საკითხი თუ როგორ ყალიბდებიან მომავალი იურისტები, იძენენ ისინი ძირითად განათლებას უნივერსიტეტებში თუ პროფესიულ სკოლებში, წარმოადგენს გლობალური შედარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

ზემოთ მოყვანილი ეს კრიტერიუმები ზუსტი და ამომწურავია, თუმცა საბოლოო ჯამში პერფექციონისტული მისწრაფების ნაყოფს წარმოადგენს და რეალურად რთულად

თუ იქნება ერთი ნაშრომის, ან თუნდაც რაიმე ერთიანი კვლევის ფარგლებში განხორციელებადი. რთული წარმოსადგენია ნაშრომი, რომელიც ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებდა და რომლის ფარგლებშიც ავტორი ისევე სიღრმისეულად გამოიკვლევდა სოციალურ ასპექტებს, როგორც დოქტრინალურს. გარდა ამისა, არ არსებობს იერარქიული დამოკიდებულება შედარების სხვადასხვა ფორმებს შორის – სხვადასხვა მართლწესრიგებიდან ცალკეული ინსტიტუტებისა და თუნდაც ნორმების შედარება არ არის მოკლებული დამოუკიდებელ მნიშვნელობას და არ წარმოადგენს მხოლოდ მოსამზადებელ სტადიას სხვა დონეზე შედარებისათვის – ყოველი შედარებით-სამართლებრივი კვლევა არ უნდა დაგვირგვინდეს გლობალური შედარებით. ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებული მატერიალური ბაზისა და ქართველ იურისტთა უცხოურ სამართალში მომზადების დონის გათვალისწინებით გლობალური შედარების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, არ გამორიცხავს შედარებითი სამართალმცოდნეობის სხვა დონეებზე განვითარებას. გარდა ამისა, მთელი რიგი კრიტერიუმები, რომლებიც გლობალური შედარებისათვის დამახასიათებლად მოიხსენიება, გამოიყენება უკვე ე. წ. ინსტიტუციონალური შედარების შემთხვევაში (იხ. ქვემოთ).

## 2. მაკრო და მიკრო შედარება

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უფრო მოსახერხებელი ჩანს *ცვაიგერტი/კოტციის*<sup>206</sup> მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც ასხვავებს მხოლოდ მაკრო- და მიკრო შედარებას:

**ა) მაკრო შედარების** შემთხვევაში ხდება არა კონკრეტული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის შეპირისპირება, არამედ მის საგანს წარმოადგენს ზოგადად სამართლის ნორმატიულ მოცემულობასთან მუშაობის მეთოდი, დავების გადაწყვეტის გზები პრაქტიკაში და პრაქტიკოს იურისტთა მუშაობის სტილი. ჩვეულებრივ, მაკრო დონეზე შედარების საგანია ხოლმე: კოდიფიკაციის სტილი, კანონის განმარტების მეთოდები, პრეცედენტების სისტემა, დოქტრინა და სამოსამართლო სამართალშემოქმედება, გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების სტილი, მართლმსაჯულების განხორციელების პროცედურა, სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**ბ) მიკრო შედარების** შემთხვევაში შედარების საგანს წარმოადგენს სამართლის ცალკეული ინსტიტუტები ან პრობლემები. ამგვარად, მიკრო შედარება ეხება ცალკეული პრობლემებისა თუ ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტას სხვადასხვა მართლწესრიგებში.

---

<sup>206</sup> *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, მე-10 და მომდევნო გვერდები.

მიუხედავად ფორმალური გამიჯვნისა, მაკრო და მიკრო შედარებებს შორის ზღვრის გავლება რთულია და არასავალდებულო. მხარეთა ქცევა სასამართლოს წინაშე წარმოადგენს, ჩვეულებრივ, მაკრო შედარების საგანს, თუმცა მას შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს მიკრო შედარების ფარგლებშიც, ისევე როგორც კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის განმაპირობებელ სოციალურ თუ სხვა ფაქტორებს.

*მაგალითი 1: კლიენტის მიერ მისი ყოფილი ადვოკატის წინააღმდეგ წარმოებულ პროცესში ადვოკატის პასუხისმგებლობის მასშტაბის განსაზღვრისას გერმანელი მოსამართლის გადაწყვეტილება განპირობებულია იმ ვარემოებით, რომ გერმანიაში პასუხისმგებლობისაგან დაზღვევა ყველა ადვოკატისათვის სავალდებულოა. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ხარჯებსაც დამზღვევი ფარავს და ადვოკატს გაკოტრების რისკი არ ემუქრება. იმავე ფაქტობრივი და ნორმატიული წანამძღვრების მიუხედავად ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის მასშტაბი შეიძლება სრულებით განსხვავებული იყოს საქართველოში, სადაც პასუხისმგებლობისაგან სავალდებულო დაზღვევა არ მოქმედებს.*

*მაგალითი 2: ექიმის მიერ პაციენტის მკურნალობის ან ოპერირებისას დაშვებული შეცდომის გამო პასუხისმგებლობისას ყოველთვის პრობლემურია ექიმის ჩარევასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა. ამ პრობლემის გადაწყვეტის განალიზება გერმანული და ამერიკული სამართლის მი-*

ხედვით შეუძლებელია მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივ დანაწესებზე ყურადღების გამახვილებით. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გერმანიაში ექიმის ბრალეულობის დასადგენად სასამართლო იბარებს ექსპერტს, მაშინ<sup>207</sup> როდესაც, ამერიკული სამართლის მიხედვით, მხარეებმა თავად უნდა მოძებნონ ექსპერტები, რომელიც წარუდგენს სასამართლოს საკუთარ მოსაზრებას, არა როგორც მიუკერძოებელი, არამედ როგორც ერთ-ერთი მხარის ექსპერტი.<sup>208</sup> მხოლოდ ამ კონტექსტის გათვალისწინებით ხდება ნათელი, თუ რატომ არის გერმანულ და ამერიკულ სამართალში ექიმის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნორმები განსხვავებული შინაარსის.

### 3. ფუნქციურობის პრინციპი

სამართლის შედარების ძირითადი მეთოდური პრინციპი, საიდანაც წარმოსდგება ყველა სხვა ქვეპრინციპი – შესაძარებელი მართლწესრიგების შერჩევა, კვლევის მასშტაბი, სისტემის გამოკვეთა და ა. შ. – არის *ფუნქციურობა*.<sup>209</sup> კერძოდ: შეუძლებელია ორი სრულებით განსხვავებული ფენომენის შედარება და შესაძარებლად გამოდგება მხოლოდ ის ინსტიტუტები (ან სამართლის სისტემები), რომ-

---

<sup>207</sup> *Ulsenheimer*, *Arztsrafrecht in der Praxis*, 45.

<sup>208</sup> *Sage/Kersh*, *Medical Malpractice and the U.S. Health Care System*, 175.

<sup>209</sup> *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, 36.

ლებიც იდენტურ ფუნქციას ატარებს. ამ მეთოდური ძირითადი პრინციპის მიხედვით სამართლის შედარება შეიძლება პირობითად ხუთ სტადიად დაიყოს:

- საკითხის დასმა
- შესაპირისპირებელი მართლწესრიგების შერჩევა
- საკითხის ფუნქციური გადანწყვეტის ძიება
- სისტემის ჩამოყალიბება
- შედარების შედეგად გამოკვეთილი მსგავსებისა და განსხვავებების კრიტიკული ანალიზი.

#### *ა) საკითხის დასმა*

შედარებით-სამართლებრივი კვლევის პირველ ეტაპს წარმოადგენს საკითხის ზუსტი დასმა. ანუ, შესადარებელი პრობლემის ან პრობლემათა წრის განსაზღვრა.

სამართალს, როგორც სოციალურ ფენომენს თითოეულ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად მსგავსი პრობლემების გადაჭრა უწევს. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა მართლწესრიგები ერთი და იმავე პრობლემის გადანწყვეტის განსხვავებულ ხერხს ირჩევენ ხოლმე, მაშინაც კი, როდესაც საბოლოო შედეგი იდენტურია. აქედან გამომდინარე, შედარებით ჭრილში გამოსაკვლევი საკითხი უნდა დაისვას ფუნქციურად და არა საკუთარი სამართლის მიერ წინასწარ მოცემული სისტემური ჩარჩოს მიხედვით.<sup>210</sup> მაგალითად, მკვლევარმა არ უნდა დასვას საკითხი შემდეგნაირად: რა ფორმასავალდებულოობის

---

<sup>210</sup> ცვაიგერტი/კოტცი, *შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი*, I, 36.

განმსაზღვრელ დანაწესებს იცნობს უცხოური სამართალი ნასყიდობისას? არამედ: როგორ იცავს უცხოური სამართალი მხარეებს ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან და უზრუნველყოფს მტკიცებას?

*ბ) შესაპირისპირებელი მართლწესრიგების შერჩევა*

შედარებით-სამართლებრივი კვლევის მომდევნო ეტაპს წამოადგენს შესადარებელი მართლწესრიგების შერჩევა. შედარებითი სამართალმცოდნეობისათვის საჭიროა, სულ მცირე, ორი მართლწესრიგი. ერთ-ერთი მათგანი უნდა წარმოადგენდეს ე. წ. ამოსავალ მართლწესრიგს, რომელზეც ორიენტირებულია კვლევა როგორც შინაარსის, ისე ცნებების მიხედვით.<sup>211</sup> ამ მართლწესრიგს, როგორც წესი, მკვლევარის მშობლიური სამართალი წარმოადგენს, რომელსაც ის ყველაზე უკეთ იცნობს.

არ არსებობს შესადარებელი სამართლის შერჩევის რაიმე მყარად დადგენილი წესი: მთელ რიგ შემთხვევებში შედარებითი კვლევის ხიბლი შეიძლება განპირობებული იყოს შესადარებელ მართლწესრიგთა შორის მსგავსებით, სხვა შემთხვევაში კი – განსხვავებით. გარდა ამისა, მართლწესრიგის თავისებურებებს განაპირობებს არა მხოლოდ დაწერილი კანონი, არამედ მისი გაგებისა და გამოყენების გზები სასამართლო პრაქტიკაში და საბოლოო ჯამში ასევე სამართლის მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ორიგინალური გადაწყვეტა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა,

---

<sup>211</sup> *Rainer*, *Europäisches Privatrecht*, 22.

რომ სსკ-ის ნორმები გსკ-ის რეცეფციის შედეგს წარმოადგენს, ქართული და გერმანული მართლწესრიგების შეპირისპირება არ არის წინასწარვე ყოველგვარ ინტერესს მოკლებული და პირიქით, გარკვეულ შემთხვევაში მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა.

შესაძარებელი მართლწესრიგების შერჩევის შემდეგ მოქმედებს პრინციპი, რომ მკვლევარი უნდა შეეცადოს მაქსიმალურად სიღრმისეულად და ყოვლისმომცველად მიმოიხილოს კონკრეტული პრობლემა – მოიშველიოს არა მხოლოდ ამასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, არამედ ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებები და ყურადღება გაამახვილოს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემატიკის უკან მდგომ სოციალურ ურთიერთობებზე. ამის საპირისპიროდ, შესაძარებელი მართლწესრიგების შერჩევისას აუცილებელია გონივრული შემოსაზღვრის პრინციპით ხელმძღვანელობა.<sup>212</sup> ეს განპირობებულია არა მხოლოდ ყველაფრის მოცვის შეუძლებლობით, არამედ მიღებული შედეგისა და განუხილავი შრომის არაადეკვატურობით – მკვლევარს შეიძლება მოუწიოს მასშტაბური სამუშაოების ჩატარება (მაგ. ენის შესწავლა, უცხო ქვეყნის ნორმატიული აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის გამოკვლევა და ა. შ.), მიღებული შედეგი კი უმნიშვნელო აღმოჩნდეს. აქიდან გამომდინარე, აუცილებელია კვლევის საგნის მხოლოდ ცალკეული მართლწესრიგებით შემოსაზღვრა. თითოეული სამართლის ოჯახის<sup>213</sup> ცენტრში დგას კო-

---

<sup>212</sup> ცვაიგერტი/კოტცი, *შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი*, I, 44-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>213</sup> შდრ. სამართლის ოჯახებთან დაკავშირებით *Rainer, Europäisches Privatrecht*, 49-ე და მომდევნო გვერდები.



დიფიკაცია ან სამართლის სისტემა, რომელიც არქექტიპულ ხასიათს ატარებს ამ ოჯახის სხვა მართლწესრიგებისათვის. რომანული სამართლის ოჯახისათვის არქექტიპულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, გერმანული სამართლის ოჯახისათვის – გსკ. არქექტიპული კოდიფიკაციის მიბაძვით შექმნილ მართლწესრიგს სხვაგვარად „შვილობილ“ მართლწესრიგსაც უწოდებენ.<sup>214</sup> ეს შვილობილი მართლწესრიგი, ჩვეულებრივ, ბევრად ჩამოუვარდება არქექტიპულს სამართლებრივი ფიგურების ორიგინალურობისა და მათი სიღრმისეულად დამუშავების კუთხით, რის გამოც აუცილებელი, მაგრამ ამავედროულად საკმარისია ხოლმე შესადარებლად სწორედ ამ პირველადი მართლწესრიგის შერჩევა. საწინააღმდეგო მიდგომა, როგორც წესი, რთულად დასაბუთებადია: გაურკვეველი იქნება, თუ რატომ ადარებს მკვლევარი ქართულ მართლწესრიგს რუმინულს და არა პირდაპირ ფრანგულს. თუმცა გამონაკლისის სახით დასაშვებია შესადარებლად შვილობილი სამართლის შერჩევა, როდესაც მან მოახერხა დედობილი მართლწესრიგისაგან ემანსიპაცია და შეიძინა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. ამგვარი ემანსიპირებული სამართლის მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი ინგლისურ მართლწესრიგთან მიმართებით. გარდა ამისა, გამონაკლისის სახით შესაძლებელია სწორედ მეორეულ, ანუ შვილობილ მართლწესრიგთან შედარება იყოს მნიშვნელოვანი კვლევით დასახული მიზნის კონტექსტში. თუ საქმე ეხება გსკ-დან კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტების გადმოღებასა და სხვა სამართლებრივი რეალობისათვის

---

<sup>214</sup> *ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი*, I, 45.

მორგებას; აქ შესაძლებელია ბერძნული გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ამ ინსტიტუტების როლი და ფუნქცია ავთენტურ გარემოში (გერმანიაში).

*გ) დასმული საკითხის ადგილისა და მისი ფუნქციური გა-  
დანწყვეტის ძიება*

მკვლევარმა მის მიერ განსახილველი პრობლემა უცხო მართლწესრიგში არ უნდა ეძებოს მხოლოდ იმ ადგილას, რა ადგილიც ამ პრობლემას მისი საკუთარი მართლწესრიგის ფარგლებში აქვს მიჩენილი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანული რეცეფციის ნაყოფია და ამ გაგებით ქართული სამართალი ე. წ. „შვილობილ“ მართლწესრიგს წარმოადგენს, სკ-ში ოფერტი და აქცეპტი (სკ-ის 327-335-ე მუხლები) სულ სხვა ადგილას არის მოწესრიგებული ვიდრე გსკ-ში (გსკ-ის 145-154-ე პარაგრაფები), ისევე როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი (სკ-ის 8 III მუხლი, გსკ-ის 242-ე პარაგრაფი). ამ ინსტიტუტებს თითქოს გაცვლილი აქვთ ადგილები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შედარებით-სამართლებრივი კვლევისას, პრობლემის განსაზღვრის ეტაპზე, მკვლევარმა შეინარჩუნოს კონკრეტული ნაციონალური მართლწესრიგის სისტემატიკისაგან „დაუბინდავი“ მზერა – თუ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით უცხოურ სამართალში „არაფერი იძებნება“, ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული ურთიერთობა რეალურად მოწესრიგების გარეშეა დატოვებული, არამედ იმას, რომ საკითხი არასწორად იქნა დასმული და მისი გადააზრებაა აუცილებელი.

პრობლემის გადაწყვეტის ძებნისას აუცილებელია ფუნქციურ ექვივალენტზე და არა მხოლოდ სამართლის კონკრეტული ინსტიტუტის დასახელებასა თუ სისტემურ ადგილზე ორიენტირება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ვინდიკაცია და ნეგატორული მოთხოვნა დელიქტური სამართლის გვერდით თანაარსებობს თითქმის ყველა კონტინენტურევეროპულ მართლწესრიგში, მართლწესრიგისა და მიხედვით, შესაძლებელია ერთი მეორის ფუნქციას ითავსებდეს.<sup>215</sup> შემთხვევა, რომელიც საფრანგეთში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნის მეშვეობით წყდება, გერმანიაში უსაფუძვლო გამდიდრების სამართლითაა მოწესრიგებული.

მხოლოდ კონკრეტული ნორმისა თუ პრინციპის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შემთხვევის რეალური გადაწყვეტა ორ სამართლის სისტემაში იდენტური ან სრულეობით განსხვავებული იქნება – მართლწესრიგები შეიძლება მიდიოდნენ იდენტური წანამძღვრების შემთხვევაში სრულებით განსხვავებულ შედეგებამდე და პირიქით. მართალია, ანგლო-ამერიკულ სამართალში, გერმანული სამართლის ოჯახის მართლწესრიგებისაგან განსხვავებით, ოფერტი თავისუფლად არის გამოხმობადი, თუმცა ე. წ. „საფოსტო დანანესის“ მეშვეობით ეს მართლწესრიგები მთელ რიგ შემთხვევებში გერმანულთან შედარებით „გადაჭარბებულ“ ეფექტსაც კი აღწევენ – ოფერენტი იბოჭება აქცეპტის შესახებ შეტყობის მომენტამდე.<sup>216</sup>

---

<sup>215</sup> *ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი*, I, 36.

<sup>216</sup> იხ. *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 54-ე და მომდევნო გვერდები.

საბოლოო ჯამში მოცემულ ეტაპზე მკვლევარი ადგენს მხოლოდ კატალოგს ერთი და იმავე რეალური ხდომილების სხვადასხვა მართლწესრიგების მიხედვით გადაწყვეტისა, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისია დასრულებული შედარებით-სამართლებრივი კვლევისათვის.

#### *დ) სისტემის ჩამოყალიბება*

შედარების პროცესის (პირობითად) მეოთხე ეტაპზე აუცილებელია კვლევისათვის აუცილებელი სისტემატიკის გამოკვეთა. მთელი შედარებით-სამართლებრივი სისტემის შექმნა, ისევე როგორც კონკრეტული კვლევა ამ მიმართულებით შეუძლებელია შესაბამისი სისტემატიკისა და სისტემური ცნებების გამოკვეთის გარეშე,<sup>217</sup> რაც იძლევა კონკრეტული, ნაციონალური სამართლის სისტემისაგან აბსტრაჰირების საშუალებას და ამზადებს საკვლევ მასალას იმ კრიტიკული ანალიზისათვის, რომლითაც უნდა დაგვირგვინდეს ყოველი შედარებით-სამართლებრივი კვლევა.

*მაგალითად.<sup>218</sup> ყველა მართლწესრიგი იცნობს ქონების უსაფუძვლოდ გადადინების უკუქცევის პრინციპს – „ის, რაც ერთი პირის ქონებიდან შესაბამისი საფუძვლის გარეშე მოხვდება სხვა პირის ქონებაში, უკან უნდა დაბრუნდეს“, თუმცა განსხვავებულია უკუქცე-*

---

<sup>217</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, 49.

<sup>218</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი, I, 49.

ვის მექანიზმი. ერთ მართლწესრიგში ამ რესტიტუციის ფუნქციას შეიძლება ითავსებდეს კონდიციური მოთხოვნა, მეორე შემთხვევაში დელიქტური, ხოლო მესამე მართლწესრიგში იმავე ფუნქციით შეიძლება გასვლის დანაწესები იყოს აღჭურვილი. აქედან გამომდინარე, შედარებით-სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უნდა მოხდეს იდენტური ფუნქციის მექანე სამართლებრივი მექანიზმების ერთიანი გვაროვნული ცნების ან ცნებების ქვეშ გაერთიანება, რომლებიც მოიცავენ როგორც კონდიციურ მოთხოვნებს, ისე მათ ფუნქციურ ექვივალენტს სხვა მოთხოვნების სახით: „ჩაშლილი შესრულების უკუმოთხოვნა“, „მითვისებულის დაბრუნება“, „კომპენსაცია სხვისთვის სასარგებლო საქმიანობისათვის“ და ა. შ.<sup>219</sup>

#### ე) კრიტიკული ანალიზი

ნებისმიერი მასშტაბის შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვის მიზანია შეგროვებული და კატალოგიზირებული მასალის – სხვადასხვა მართლწესრიგებში არსებული ფუნქციურად იდენტური გადაწყვეტების – კრიტიკული ანალიზი და დასკვნების გამოტანა საკუთარი მართლწესრიგისათვის. ამ ანალიზისათვის გამოიყენება იგივე კრიტერიუმები, რაც პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი მართლწესრიგის მიხედვით შეფასებისას: მნიშვნელოვანია, თუ რამდენად სამართლიანად და ამომწურავად ახერ-

---

<sup>219</sup> შდრ. v. Caemmerer, Bereicherung und unerlaubte Handlung, FS Rabel (1954), 333.

ხებს ცალკეული გადაწყვეტა ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების მორიგებას, არის თუ არა ის მარტივად აღქმადი და გამოსაყენებელი, თანმიმდევრულია თუ არა კონკრეტული სისტემის ფარგლებში და ა. შ. ნაციონალური სამართლის კონტექსტში პრობლემის ამ ფორმით გადაწყვეტის გამართლებულობის შეფასების გარდა, აუცილებელია ამის შეფასება ამ კონტექსტისაგან მოწყვეტილად და შემდეგ კი სხვა მართლწესრიგის კონტექსტში – მაგალითად, ზოგადად მიზანშეწონილია თუ არა ხელშეკრულების უკუქცევა ვინდიკაციის მეშვეობით? მიზანშეწონილია თუ არა ის ქართულ სამართალში, სადაც ამ უკუქცევის უფრო დახვეწილი მექანიზმები არსებობს?<sup>220</sup> ამ მიდგომის მიზანია ფაქტობრივი ხდომილების რეგულირების სამართლებრივი ხერხის, კონკრეტული ნაციონალური სამართლისა და კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისაგან, როგორც ბალასტისაგან, განმეცნა. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმის შეფასება, თუ რამდენად იძლევა ის განზოგადების საშუალებას, გამოდგება სამართლებრივი აზროვნების უნივერსალურ მოდელად და ღირს თუ არა ამ გადაწყვეტის გაზიარება საკუთარ მართლწესრიგში.

---

<sup>220</sup> შდრ. *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I, 249-ე და მომდევნო გვერდები.

## § 6 იურიდიული სტილი

ლიტერატურა: *Diederichsen U./Wagner G.*, Die BGB-Klausur, 9. Aufl., München 1997; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *Rüthers B.*, Rechtstheorie, 3. Aufl., München 2007; *Vogel J.*, Juristische Methodik, Berlin, New York 1998; *ეკო უ.*, როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბილისი 2014.

### I. იურიდიული ენა, როგორც პრობლემა

ნოვალისის მეტაფორა, რომ როგორც მიწა ასაზრდოებს ყვავილს, ისე ასაზრდოებს ენა პოეზიას, ძალაშია არა მხოლოდ პოეტური, არამედ ნებისმიერი მეცნიერული და მათ შორის, იურიდიული ენისათვისაც. თუ იურისტი ენას არ ფლობს, ის ვერ იტყვის ამ ენაზე რაიმე ორიგინალურსა და საქმის არსის სრულად გამომხატველს. იურისტების ენას სტილისტური კუთხით ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე და ეს კრიტიკა, როგორც წესი, სამართლიანია. იურიდიული ენა ითვლება მოუხეშავ, მშრალ, ბუნდოვან და ბიუროკრატიულ ენად: „იურისტივით საუბარი“ გაუგებრად საუბრის სინონიმია – „იურისტები ყმანვილობიდანვე მიჩვეულნი არიან აბსურდმეტყველებას“.<sup>221</sup> ეს პრობლემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბევრად უფრო განვითარებული სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნებშიც, თუმცა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ქარ-

---

<sup>221</sup> *Goethe*, Dichtung und Wahrheit, 199.

თულ საუნივერსიტეტო სივრცესა თუ პროფესიულ პრაქტიკაში იურისტთა პროფესიული ენის სწავლება-დახვეწის მიზნით არაფერი კეთდება. ამ ენის სრულყოფილი ფლობა თითქოს თავისთავად იგულისხმება სწავლების საწყისი საფეხურიდანვე, რის შედეგადაც უკვე სტუდენტობისას შექმნილი ჩვევა ჩახლართული და არაფრისმთქმელი ფრაზებით საუბრისა, პრაქტიკაში მოგვიანებით მხოლოდ „პროგრესს“ განიცდის და ყალიბდება თითქმის სრულებით გაუგებარი მონოლოგის ჩამოყალიბების უნარად. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იურისტებს ავინწყდებათ რომ საუბრობენ ქართულად და არა იურიდიულად.<sup>222</sup>

მოცემული პრობლემის დასაძლევად გერმანიაში არსებობს სპეციალური კურსები, დასახელებით – „გერმანული იურისტებისათვის“.<sup>223</sup> ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნებში საუნივერსიტეტო სწავლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დისციპლინები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი ეზიარება გამართული პროფესიული ენის თავისებურებებს და იაზრებს მის მნიშვნელობას სამომავლო საქმიანობისათვის. გარდა ამისა, ანგლო-ამერიკული სამართლის სივრცეში იურიდიული ენის დახვეწას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ე. წ. „მოძრაობა გასაგები ენისათვის“ (**Plain language movement**), რისი წყალობითაც, მაგალითად, შეერთებული შტატების კაპიტალური ბაზრის სამართალში უკვე არსებობს კანონით

---

<sup>222</sup> შდრ. *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 101.

<sup>223</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 101.



გათვალისწინებული გასაგები ენის წესი,<sup>224</sup> რომელიც ნორმის ადრესატს ავალდებულებს გამოიყენოს: *მოკლე წინადადებები; განსაზღვრული, კონკრეტული და ყოფითი ენის ფორმულირებები; მოქმედებითი გვარი; ცხრილი ან ჩამონათვალის ფორმა რთულად გადმოსაცემი ინფორმაციისათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია; ასევე თავი აარიდოს: ლეგალურ ჟარგონს, ღრმად ტექნიკურ ბიზნეს ტერმინოლოგიასა და მრავლობით უარყოფას.*<sup>225</sup> ეს წესი საბოლოო ჯამში გამოდგება გამართული იურიდიული ენის თავისებურ მანიფესტად, რომლის პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელება არც თუ ისე მარტივია. თუმცა ამას საბოლოო ჯამში ალტერნატივა არ გააჩნია. გამართული იურიდიული ენა პირდაპირ კავშირშია სამართლის ფუნქციებთან და მიზანთან: *„მართლწესრიგი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი, როდესაც მოქალაქეები აცნობიერებენ მის ფუნქციონირებას პრინციპებს. ... ამ შემთხვევაში კი იურისტების უნარს, გასაგებად ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები და ხედვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. რთული სამართლებრივი პრობლემების გადმოცემაც შეიძლება იმგვარად, რომ არაიურისტი მკითხველისათვის გასაგები იყოს კონკრეტული ვადანყვეტა.“*<sup>226</sup>

იურისტის მიზანს წარმოადგენს დარწმუნება: ის წერს სხვებისათვის და უნდა გამოიყენოს მათთვის გასაგები

---

<sup>224</sup> 17 CFR 230.421.

<sup>225</sup> 2010 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაშია „გასაგებად წერის შესახებ კანონი“ (Plain Writing Act of 2010), რომელიც ავალდებულებს ფედერალურ აღმასრულებელ ორგანოებს, შეადგინონ დოკუმენტები გასაგები ენით.

<sup>226</sup> *Rüthers, Rechtstheorie, Rn. 209.*

ენა.<sup>227</sup> იურისტი, რომელიც არ ცდილობს ისაუბროს და ნეროს გამართული სტილით და არ ფლობს სრულყოფილად ქართულს, საბოლოო ჯამში, ვერ შეძლებს საკუთარი აუდიტორიის დარწმუნებას.

ქვემოთ გაანალიზებული იქნება ცუდი ენობრივი სტილი და მისი განმაპირობებელი ფაქტორები, კრიტერიუმები, რაც განასხვავებს ერთმანეთისაგან კარგ და ცუდ იურიდიულ ენას და გარდა ამისა, ნაშრომის გადამუშავებისა და შემოკლების სტადია, რომელიც იძლევა მთელი რიგი ენობრივი ხარვეზების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

## **II. ცუდი ენობრივი სტილი და მისი საფუძვლები**

თუ აუცილებელია განზოგადება იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც იურისტების ენას არამიმზიდველი ენის რეპუტაციით სარგებლობს, ესენი იქნებოდა: 1. ტექსტის დახუნძვლა რთული თანწყობილი და ქვენწყობილი წინადადებით; 2. ცარიელი ფორმულები, კალკი, მრავალსიტყვიანი ფორმულირებები; 3. ვნებითი გვარის ხშირი და უადგილო გამოყენება; 4. გადაჭარბებული აბსტრაქცია და მითითებები.

### **1. რთული თანწყობილი და ქვენწყობილი წინადადება**

მსოფლიო ლიტერატურა სავსეა მაგალითებით იმ სიგრძის წინადადებებისა, რომელთანაც ახლოსაც კი ვერ მივა იუ-

---

<sup>227</sup> *Diederichsen/Wagner, Die BGB-Klausur, 205.*

რისტების ნახევარგვერდიანი ფორმულირებები. მაგალითად, *ჯეიმს ჯოისის* „ულისეში“ მოლი ბლუმის ორწინადადებიანი მონოლოგი რამდენიმე ათეულ გვერდს მოიცავს და *ვიქტორ ჰიუგოს* „საბრალონის“ ერთ-ერთი წინადადება რვაასზე მეტ სტრიქონზეა განელილი. თუმცა ყველა ვერ ჩამოაყალიბებს საკუთარ სათქმელს ისე ოსტატურად, როგორც *ჯოისი* ან *ჰიუგო*. გარდა ამისა, ლიტერატურული ტექსტისაგან განსხვავებით, იურიდიულ ტექსტს სრულეზბით განსხვავებული მიზანი და შეფასების კრიტერიუმები აქვს. ამ მიზნის კონტექსტში კი, ტექსტის გადატვირთვა რთული თანწყობილი და ქვენწყობილი წინადადეგებით გაუმართლებელია. პირველ რიგში, იმის გამო, რომ იურიდიული ტექსტის მიზანს, მკითხველის ესთეტიკურ ტკბობაზე მეტად, შინაარსის ცხადად და ამომწურავად გადმოცემა წარმოადგენს. ადამიანს კი შეუძლია ერთდროულად მხოლოდ შვიდი ცნების მონიშვნა და 25 სიტყვის აღქმა.<sup>228</sup> თუ ავტორს სურს თავიდან აიცილოს ის მდგომარეობა, როდესაც მკითხველს ვეღარ გამოაქვს აზრი ნაკითხულიდან და მხოლოდ მექანიკურად ავლებს თვალს სტრიქონებს, წინადადება ხუთ სტრიქონზე გრძელი არ უნდა იყოს.<sup>229</sup> თუ ტექსტში მოსაზრებები მოყვანილია არა თანმიმდევრულად, არამედ ერთმანეთშია ჩანწყობილი, ამით ბუნდოვანი ხდება აზრობრივი სტრუქტურა, იკარგება ე. წ. სახელმძღვანელო ხაზი, რამაც შეიძლება მკითხველისათვის საერთოდ გაუგებარი გახადოს მთლიანი წინადადება.

---

<sup>228</sup> *Miller*, *Psychological Review* 63 (1956), 81-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>229</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 103.

რთულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ქვემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ერთი წაკითხვით აზრის გამოტანა:

*„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ” მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ან მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.<sup>230</sup>*

*„შესაბამისად, თუ ე. ფ.-ს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მიხედვით, წარმოდგენილი მოთხოვნის ჩათვლა ან გამორიცხვა სურდა, ასეთ შემთხვევაში მას სარჩელისაგან თავის დაცვის სხვა საპროცესო საშუალება უნდა აერჩია, კერძოდ, მას ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შესამცირებლად შეგებებული სარჩელი უნდა აღეძრა, რასაც იგი აპირებდა კიდევ, თუმცა, შესაგებლის ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერვე განხი-*

---

<sup>230</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 იანვრის № ა-1446-შ-52-06 გადაწყვეტილება.

რციელებული აღნიშვნა (მითითება) (ტ. 1, ს.ფ. 77) სისრულეში არ მოიყვანა და შეგებებული სარჩელი არ აღძრა, რითაც, მოპასუხემ, პალატის მოსაზრებით, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შემცირების უფლება, წინამდებარე საქმეზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, დაკარგა.<sup>231</sup>

თუ უზენაესი სასამართლოს მსჯელობისაგან აზრის გამოტანა მხოლოდ რთულია, ეს სრულების შეუძლებელია რაიხის სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ამონარიდიდან, რომელშიც ორთქმავალის დეფინიციაა მოცემული:

*„ ... მონყობილობა, რომელიც მიმართულია ადამიანთა ან ნივთების მრავალჯერადი გადაადგილებისათვის მნიშვნელოვან მანძილებზე მეტალის ფუძეზე, რომელიც მისი კონსისტენციის, კონსტრუქციისა და მასზე სრიალის შესაძლებლობის წყალობით დიდი წონის მქონე მასიური ტრანსპორტისათვის, ამასთან ტრანსპორტის გადაადგილების შედარებით დიდი სიჩქარის მიღწევისათვის არის გამიზნული და მისი ამ თავისებურების ურთიერთკავშირს ტრანსპორტის გადაადგილებისათვის გამოყენებული ბუნების ძალებთან (ორთქლი, ელექტროობა, ცხოველის ან ადამიანის კუნთოვანი ძალა, რკინიგზის დახრილ ზედაპირზე სატრანსპორტო საშუალების საკუთარი და მისი ტვირთის წონის ძალით სრიალი და ა. შ.) მონყობილობის მოძრაობაში მოყვანისას საკამოდ მნიშვნელოვანი*

---

<sup>231</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის № 2ბ/223-14 განჩინება.

*(კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მხოლოდ ამგვარი გამოყენებისას სარგებლის მომტანი, თუმცა, სხვა შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლის გამანადგურებელი ან ჯანმრთელობის დამაზიანებელი) ზემოქმედების განხორციელების უნარი შესწევს.<sup>232</sup>*

## 2. ცარიელი ფორმულები და მრავალსიტყვიანი ფორმულირებები

### ა) ცარიელი ფორმულები

სშირად კანონმდებელი ან მოსამართლე თავის მოსაზრებებს შეგნებულად აბსტრაქტულად აყალიბებს. „სამართლიანობა“, „ნდობა და კეთილსინდისიერება“ „მართებულობა“, „ზნეობა“, „ხელშეკრულების საფუძვლის მოშლა“ წარმოადგენენ **ცარიელ (არაფრისმთქმელ) სამართლებრივ ფორმულებს**, ატარებენ რა ძალზე ზოგად ხასიათს იმისათვის, რომ მათ საფუძველზე კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა მოხერხდეს.<sup>233</sup> კონკრეტული შემთხვევის სუბსუმცია ამ ცნებების ქვეშ მხოლოდ მათი სათანადოდ დაკონკრეტების შემდეგ არის შესაძლებელი. გაუმართლებელია ამ აბსტრაქტული ცნებების დაკონკრეტება არანაკლებ ზოგადი კატეგორიების მეშვეობით. მაგალითის სა-

---

<sup>232</sup> RGZ 1, 252.

<sup>233</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 104.

ნით შესაძლებელია უხეში გაუფრთხილებლობის ორი დეფინიციის მოყვანა, ერთ-ერთი ქართულენოვანი იურიდიული ლექსიკონიდან და სასამართლო პრაქტიკიდან:

1. „ამ შემთხვევაში, პირის ბრალეულობის წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მის მიერ სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობა განსაკუთრებით უხეშად არის დარღვეული.“<sup>234</sup>

2. „უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც გარკვეულ ვითარებებში და გარემოებებში პირისაგან მოსალოდნელია გამოიჩინოს კეთილსინდისიერება, რაც ყველასათვის ნათელია და ასეთ შემთხვევაში პირი არ იჩენს კეთილსინდისიერებას - უჩვეულოდ დიდი მასშტაბით, არ ითვალისწინებს და არღვევს მას. ჩვეულებრივი გაუფრთხილებლებისაგან განსხვავებით, უხეში გაუფრთხილებლობა წარმოადგენს უპატივებელ შეცდომას სუბიექტური თვალსაზრისითაც კი.“<sup>235</sup>

პირველი დეფინიციის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი წინდახედულობა“ – გარდა იმისა, რომ ბრუნვას წინდახედულობა არ შეიძლება „ახასიათებდეს“ – არ არის უფრო კონკრეტული, ვიდრე თავად „გაუფრთხილებლობა“ და ამ უკანასკნელის „უხეშად დარღვევით“ პირველის განმარტების მცდელობა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ტავტოლოგია და არაფრისმომცემი შედარებაა. მარ-

---

<sup>234</sup> განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, *ს. V. ბრალეულობა*, 80.

<sup>235</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის № ას-237-223-2010 განჩინება.

თალია, გერმანული დოქტრინაც უხეში გაუფრთხილებლობის განმარტებისას სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენ ნინდახედულობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა თავად ამ დეფინიციამივე აკონკრეტებს მის მნიშვნელობას: *უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც უგულვებელყოფს სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენი ნინდახედულობის ელემენტარულ მოთხოვნებს, ანუ არ ითვალისწინებს იმას, რასაც მის ადგილზე ნებისმიერი სხვა პირი გაითვალისწინებდა.*<sup>236</sup> ზემოთ მოყვანილი დეფინიცია, იმეორებს რა გერმანული განმარტების მხოლოდ ნახევარს, არასრულ ხასიათს ატარებს და არაფრისმომცემია უხეში გაუფრთხილებლობის დაკონკრეტებისათვის.

უფრო ხარვეზიანი და მოუქნელია უხეში გაუფრთხილებლობის დეფინირების მეორე მცდელობა სასამართლო პრაქტიკიდან, რომლის მიხედვითაც უხეში გაუფრთხილებლობა განმარტებულია, როგორც არაკეთილსინდისიერი ქცევა. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: პირველ რიგში, კეთილსინდისიერება თავად არის სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე განუსაზღვრელი ცნება, რომელზე მითითებაც დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველგვარი სხვა კონკრეტული ნორმა ან ნორმათა კომპლექსი ვერ აღწევს თავის მიზანს. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის მასშტაბის კეთილსინდისიერების მეშვეობით განმარტება იმიტომაც არის აბსურდული, რომ, მთელ რიგ შემთხვევებში, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე საპირისპირო კავშირია დაფიქსირებული: კეთილსინდისიერება დგინდება ბრალის ფორმის (არარსე-

---

<sup>236</sup> *Heinrichs*, in *Palandt*, 73. Aufl. 2014, § 277 Rn. 2.



ბობის) მიხედვით. მაგალითად, საკუთრების შემძენი კეთილსინდისიერია, თუ არ იცის, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე და ეს არცოდნა უხეში გაუფრთხილებლობით არ არის გამოწვეული (სკ-ის 187 | 2 მუხლი). თუ უხეშ გაუფრთხილებლობას თავის მხრივ კეთილსინდისიერებით განემარტავთ, მივიღებთ მის საკმაოდ კომპაქტურ დეფინიციას – „პირი მაშინ არის კეთილსინდისიერი, როდესაც კეთილსინდისიერია.“ დეფინიციასში ისეთი ცნებების გამოყენება, როგორც არის *უჩვეულო* ან *უპატიებელი*, რომელთაც არც ტექნიკური მნიშვნელობა გააჩნიათ და მათი არატექნიკური შინაარსიც არანაკლებ ზოგადია, ვიდრე თავად განსამარტავი ცნება, ასევე გაუმართლებელია.

ამ ორი წარუმატებელი განსაზღვრების ფონზე უფრო გამართლებული ჩანს ისევე სასამართლო პრაქტიკის მიერ შემოთავაზებული მესამე დეფინიცია, მიუხედავად, მისი ენობრივი არასრულყოფილებისა:

*„უხეში გაუფრთხილებლობა მოიცავს იმ მითითებების დარღვევას ან უგულვებელყოფას, რომელიც სავალდებულოდ უნდა იცოდეს მსგავსი შინაარსის ოპერაციის განმახორციელებელმა ნებისმიერმა პირმა.“<sup>237</sup>*

### ბ) კალკი და უცხოენოვანი ტერმინები

ცალკეა გამოსაყოფი ენობრივი კალკისა და უცხოენოვანი ტერმინების პრობლემა. კალკი, წარმოადგენს რა უცხო

---

<sup>237</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის №2ბ/1882-14 გადაწყვეტილება.

ენისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური კონსტრუქციის პირდაპირ გადმოტანას საკუთარ ენაში, ქართული იურიდიული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის სიმწირის გათვალისწინებით, მთელ რიგ შემთხვევებში, გარდაუვალი და სასარგებლოც კი არის. მაგალითად, ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორცაა: *ნების გამოვლენა, საცილო გარიგება, მერყევად ბათილი გარიგება, გარიგებიდან გასვლა, უსაფუძვლო გამდიდრება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება* და ა. შ., სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენიდან (ძირითადად გერმანულიდან) ნასესხებ ლექსიკურ მასალას წარმოადგენს, რომელთაც ქართული ავთენტური შესატყვისი არ მოეძებნებოდათ. თუმცა პირდაპირი კალკითა და უცხოენოვანი ტერმინებით იურიდიული ტექნიკური (თუ არატექნიკური) ლექსიკის გამდიდრება ყოველთვის ვერ ჩაითვლება გამართლებულად. ტერმინ „*რეციპირების*“ ან „*მფლობელობის კონსტიტუტის*“<sup>238</sup> გამოყენება-დამკვიდრების მცდელობა, უკუსაგდებაა. პირველ შემთხვევაში არსებობს ამ უცხოური სიტყვის სრულფასოვანი ქართული შესატყვისი (*გადმოღება*), ხოლო მეორე შემთხვევაში, მართალია, ქართულში ამგვარი შესატყვისი არ მოიპოვება, თუმცა მოცემული სიტყვათშეთანხმება ამ ფორმით ჯერ არ არის გამჟღადარი იურიდიულ ენაში

---

<sup>238</sup> **Besitzkonstitut** – გსკ-ის 930-ე პარაგრაფში და სკ-ის 186 II მუხლის მე-2 ვარიანტში მოწესრიგებული შემთხვევა, როდესაც საკუთრების გამსხვისებლის მიერ შემძენისათვის პირდაპირი მფლობელობის გადაცემის მაგივრად მხარეები ათანხმებენ მფლობელობის მინიჭების ურთიერთობას (მაგ. ქირავნობა, თხოვება, მიბარება), რომლის ფარგლებშიც გამსხვისებელი რჩება პირდაპირ მფლობელად და ფლობს ნივთს შემძენისათვის, როგორც არაპირდაპირი მფლობელისათვის. (არაპირდაპირი) მფლობელობის გადაცემის ეს ფორმა ანაცვლებს პირდაპირი მფლობელობის გადაცემას, იხ. *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, [gccc.ge](http://gccc.ge), 10.09.2016, მუხ. 186 ველი 17.

და სასურველია მისი გადმოქართულებული ნეოლოგიზმის სახით დამკვიდრება, როგორც იქნებოდა, მაგალითად, „მფლობელობის დადგენა შეთანხმებით“.<sup>239</sup>

ამის საპირისპიროდ, ისეთი ტერმინების ჩანაცვლება ან განდევნა იურიდიული ენიდან, როგორცაა, მაგალითად, *სუროგატი*, *კონდიქცია*, *სინლაგმა* და ა. შ. შეუძლებელი და საბოლოო ჯამში, არამიზანშენონილია. მართალია, მათ მოექცნებათ ქართული შესატყვისები, თუმცა თითოეული ეს ტერმინი ამ ქართულ შესატყვისთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ფლობს: 1. *შემცვლელი* ან *ჩამნაცვლებელი*, განსხვავებით *სუროგატისაგან*, არ წარმოადგენს ტექნიკურ სამართლებრივ ტერმინს, კერძოდ, არ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ აქ ხდება, არა მხოლოდ ფაქტობრივი ჩანაცვლება ერთი საგნისა მეორის მეშვეობით, არამედ აუცილებელია ეს ჩანაცვლება წარმოადგენდეს სამართლებრივი სუროგაციის შედეგს; მაგალითად, ნივთის გაყიდვის შედეგად მიღებული სასყიდელი ვერ ჩაითვლება სუროგატად. 2. *კონდიქცია* თავის ალტერნატიულ ფორმასთან – *უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოთხოვნა* – შედარებით, სიმოკლის გამო გაცილებით უფრო მარტივად გამოსაყენებელია სხვადასხვა ენობრივ კონსტრუქციებში. 3. *სინლაგმის* ჩანაცვლება *ორმხრივადმავალდებულებლით* არასასურველია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელიც ტექნიკური ტერმინია. ამ შემთხვევაში არსე-

---

<sup>239</sup> ეს ხაზს გაუსვამს იმ გარემოებას, რომ აქ მფლობელობის მოპოვება ხდება არა ნივთის გადაცემის, არამედ მხარეთა შეთანხმებით (ლათ. *constituere*, საიდანაც არის ნაწარმოები თავად გერმანული ტერმინიც).

ბოხს ორმხრივადმავალდებულებელი გარიგების ზოგადად ორმხრივ (არასინალაგმატურ) გარიგებასთან<sup>240</sup> გაიგივების საფრთხე, რაც არასწორი იქნებოდა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, დაუშვებელია უცხოენოვანი ტერმინის ან კალკის გამოყენება, როდესაც მას არანაირი პრაქტიკული უპირატესობა არ გააჩნია:

*„საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე მოპასუხის იმ შედავებას, რომელიც ხანდაზმულობას შეეხება და იმდენად არსებითია, რომ დამტკიცების შემთხვევაში სარჩელის წარმატებას აფერხებს.“<sup>241</sup>*

სარჩელის წარმატების შეფერხება, რაც, სავარაუდოდ, გერმანული სიტყვათშეთანხმების კალკს წარმოადგენს – *hindert den Klageerfolg*,<sup>242</sup> არ არის შინაარსობრივი თვალსაზრისით უფრო გამომხატველი, ვიდრე უკვე დამკვიდრებული ტერმინები, როგორც არის *სარჩელის დასაბუთებულობა/დაუსაბუთებლობა* ან *სასარჩელო მოთხოვნის განხორციელება/განუხორციელებლობა*. გარდა ამისა, შეფერხება შეიძლება გარკვეული პროცესის და არა „წარმატების“. მართალია, ქართული იურიდიული ლექსიკა საკმაოდ ღარიბია, თუმცა ამ ტიპის არაფრისმომცემი კალკით მისი გამდიდრება შეუძლებელია.

---

<sup>240</sup> მაგ. ჩუქება.

<sup>241</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ოქტომბრის № ას-1092-1121-2011 გადაწყვეტილება.

<sup>242</sup> თუმცა გამორიცხული არ არის, ეს კონსტრუქცია ინგლისური „unsuccessful claim“-ისა თუ რუსული „нешаэт успеху“-ს კალკი იყოს.

*გ) ჩართული და მრავალსიტყვიანი ფორმულირებები*

სამართლებრივ აკადემიურ ტექსტში, ჩვეულებრივ, უადგილოა ჩართული სიტყვები, თუ გამონათქვამები, მაგალითად: *თავისთავად გულისხმობს/ცხადია/ნათელია; ყოველგვარ/ყოველ მიზეზ გარეშე; ეჭვგარეშეა; ცალსახაა, ნათელია; არ საჭიროებს შემდგომ დასაბუთებას; კანონის არსი გვიბიძგებს ამ დასკვნისაკენ; სინამდვილეში; რა თქმა უნდა; დეტალური დაკვირვებისას; საკმაოდ; ძალზედ; ნიშნდობლივია* და ა. შ. ჩართული გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმულ ძირითად აზრთან, აფასებს ამ გამონათქვამს. შესაბამისად, ის იურიდიულ ტექსტში, ჩვეულებრივ, სრულებით ზედმეტია ხოლმე, რადგან ეს დამოკიდებულება თუ შეფასება ისედაც ცხადია კონკრეტული წინადადების შინაარსიდან ან კონტექსტიდან. მართალია, აკადემიური ტექსტის შექმნისას იურისტს არ მოეთხოვება კანონის ტექსტისათვის დამახასიათებელი სიმშრალე და სწორხაზოვნება, თუმცა გარკვეული გაგებით კანონის ენა მაინც რჩება საორიენტაციო ენობრივ პარადიგმად აკადემიური ტექსტისათვის (თუმცა შდრ. ქვევით). შესაბამისად, ყველა ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი, ზედმეტი იქნებოდა რა კანონში, ზედმეტია ასევე აკადემიური ნაშრომში. მაგალითად:

*„... შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა. ეს საფუძველი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ შეუძ-*

ლებელია ლეგიტიმურად ჩათვალოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა ამ საფუძვლით.<sup>243</sup>

„... ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ინტერესთა კონფლიქტი ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის სასიკეთოდ უნდა გადაწყვეტილიყო, რაც ეჭვგარეშეა აპელანტისთვისაც მისი ფუნქციებიდან გამომდინარე უპირველესი ზრუნვის საგანია.“<sup>244</sup>

თუ კონკრეტული გარემოება თავისთავად ცხადი ან ეჭვგარეშეა, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ხაზგასმის გარეშეც ცხადი და ნათელია.<sup>245</sup>

ჩართულის – „შეიძლება ითქვას“ – უადგილო გამოყენების მაგალითად, რომელიც, საბოლოო ჯამში, მთლიან წინადადებას აკარგვინებს მნიშვნელობას და, ამგვარად, არა მარტო სტილისტურ გაუმართაობას წარმოადგენს, არამედ

---

<sup>243</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის № ას-1251-1191-2014 განჩინება.

<sup>244</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ოქტომბრის № ას-1092-1121-2011 გადაწყვეტილება.

<sup>245</sup> შდრ. ამის საპირისპიროდ: „... შესაბამისად, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული, როგორც დამეირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის № ას-1327-1265-2014 განჩინება).“ აქ სიტყვა ყოველგვარი წარმოადგენს არა ჩართულს, არამედ საფუძვლის განსაზღვრებას, რომელიც ამ წინადადებაში შეუცვლელია – მხოლოდ „საფუძვლის გარეშე“-ს ხსენება არ იქნება საკმარისი, რადგან საფუძვლი შეიძლება მრავალგვარი იყოს – მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო – და მკითხველს გაუჩნდეს ეჭვი, რომ მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის მითითების გარეშე გაათავისუფლებაა ნაგულისხმები.

უბრალოდ არასწორია, გამოდგება ქვემოთ მოყვანილი ორი პასაჟი ისევე ქართული სასამართლო პრაქტიკიდან:

1. *„მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 1994 წელს შედგენილი ანდერძით გაუქმდა 1984 წლის ანდერძი იმ ნაწილში, რომლითაც მთელი ქონება კასატორს ეანდერძა.“<sup>246</sup>*

2. *„შეიძლება ითქვას, რომ შესრულება ჯეროვანია, როცა შესრულება ხდება დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, უფლებამოსილი პირის მიმართ, ვალდებულები და უფლებამოსილი პირის მიერ და ვალდებულების შესრულების საგნით ანუ, ვალდებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საგნისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, შეთანხმებული ხარისხის ნივთის გადაცემით, მომსახურების განწევით, სამუშაოს შესრულებით და სხვა“<sup>247</sup>*

ამ ნაწყვეტებში, ერთ შემთხვევაში, საქმე ეხება სამართლებრივი ნორმის საფუძველზე ანდერძის გაუქმებას, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ჯეროვანი შესრულების დეფინიციას. აქ ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი და სამართლებრივი ცნების შინაარსი ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს – ანდერძი ან გაუქმდა ან არა, ისევე როგორც ჯეროვანი შესრულების დეფინიცია ან ამომწურავია ან საერთოდ – არასწორი. „შეიძლება ითქვას“მეშვეობით, რო-

---

<sup>246</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის № ას-62-60-2016 განჩინება.

<sup>247</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 განჩინება.

გორც ერთი, ისე მეორე გამონათქვამის კატეგორიულობის შერბილება აკარგვინებს მათ სავალდებულო ხასიათს და მასთან ერთად ყოველგვარ აზრს.

შემდეგი ამონარიდი სასამართლო პრაქტიკიდან წარმოადგენს ჩართულისა და მრავალსიტყვიანი ფორმულირების გამოყენების მაგალითს, რომელთა გარეშეც, ტექსტის შინაარსობრივი მხარე არაფერს დაკარგავდა და თავად ტექსტი კი, პირიქით, გაცილებით გასაგები გახდებოდა:

*„ ... 1.5.1. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს, უპირველესად, უნდა შემოწმდეს რამდენადაა შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს კონდიქციური ვალდებულების ფარგლებს, ხოლო მე-2 ნაწილით რეგულირებულია უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების კომპენსაციის გადახდის ვალდებულება თუკი თავად გადაცემული სიკეთის დაბრუნების შეუძლებლობაა სახეზე, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების*



მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედ-  
ვით.<sup>248</sup>“

აქ არა მხოლოდ „შეიძლება ითქვას“, რომ სკ-ის 979 II მუხ-  
ლი აწესრიგებს ღირებულების ანაზღაურების ვალდებუ-  
ლებას მიღებულის ნატურით დაბრუნების შეუძლებლო-  
ბის შემთხვევაში, არამედ ეს ზუსტად ასეა. შესაბამისად,  
სრულებით ზედმეტია ამ „გაუბედავი“ ფორმულირების შე-  
რჩევა. გარდა ამისა, კრედიტორი, შეიძლება იყოს მხო-  
ლოდ მოთხოვნის კრედიტორი და არა „გამდიდრების კრე-  
დიტორი“. ტექსტის ამ და კიდევ სხვა უსაგნო სიტყვებისა-  
გან გაცხრილვის შემდეგ შეიძლება მისი საკმაოდ მოკლე  
წინადადებაში ჩატევა:

ორიგინალური ვერსია	გადამუშავებული
<p><u>„როგორც ზემოთ უკვე აღინი- შნა, შესრულების კონდიქციი- დან გამომდინარე, გამდიდ- რების კრედიტორის მოთხოვ- ნა უსაფუძვლოდ გადაცემუ- ლის უკან დაბრუნება შეიძ- ლება იყოს, უპირველესად, უნდა შემონმდეს რამდენადაა შესაძლებელი ამ ნივთის და- ბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხ- ლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა</u></p>	<p><i>თუ გადაცემული საგნის დაბ- რუნება შეუძლებელია მისი მდგომარეობის ან სხვა მიზე- ზის გამო, 979 II მუხლის მი- ხედვით უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება, რომელიც განისაზღვრება ანაზღაურე- ბის მოთხოვნის წარმოშობის მომენტის მიხედვით.</i></p>

<sup>248</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბერის  
№ ას-710-680-2016 განჩინება.

<p>მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს კონდიქციური ვალდებულების ფარგლებს, ხოლო მე-2 ნაწილით რეგულირებულია უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების კომპენსაციის გადახდის ვალდებულება თუკი თავად გადაცემული სიკეთის დაბრუნების შეუძლებლობაა სახეზე, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.“</p>	
---	--

ეს მოკლე წინადადება კი სკ-ის 979 II მუხლის იდენტურია, რაც ნიშნავს იმას, რომ მკითხველს კანონის ტექსტის მოშველიება სჭირდება სასამართლოს მიერ მოცემული განმარტების გასაგებად. განმარტება, რომლის „განსამარტავადაც“ კანონის ამოსავალ ტექსტზე მითითებაა საჭირო, ნამდვილად ვერ ჩაითვლება წარმატებულად. ამგვარ მრავალსიტყვიან ფორმულირებებს აკადემიური ნაშრომის ავტორი მაქსიმალურად უნდა ერიდოს.

## დ) გადაჭარბებული კრიტიკა

**გადაჭარბებული კრიტიკა, სარკასტული თუ ქედმაღლური გამონათქვამები** ოპონენტის მისამართით სამეცნიერო ნაშრომში, ჩვეულებრივ, ყოვლად უადგილოა. დამაჯერებელი უნდა იყოს არგუმენტები და არა მონინაალმდეგის ლანძღვა. მაგალითად:

*„ხისთავა, უსულო, საძაგლად გულის ამრევი, არაფრისმცოდნე შარლატანი, რომელიც სამაგალითოდ უტიფრად, უგუნურად და სულელურად თხაპნის...“<sup>249</sup>*

ეს ეპითეტები, რომლითაც *შოპენჰაუერი ჰეგელს* ამკობდა, აკადემიური პოლემიკის კულტურის მიღმა და უკვე პასკვილის ჟანრს განეკუთვნება. ამის საპირისპიროდ, ქვემოთ მოცემული კრიტიკა ჯერ კიდევ რჩება სამეცნიერო დისკუსიის კულტურის ფარგლებში:

*„იშვიათად არის ხოლმე ამგვარი პრეტენზიულობით ვაცხადებული მოსაზრება ასე დაუსაბუთებელი.“<sup>250</sup>*

თუ სანინაალმდეგო მოსაზრება აშკარად მცდარი არ არის, არ ღირს მისი მოხსენიება *არასწორად*.

### 3. ვნებითი გვარის ხშირი და უადგილო გამოყენება

ქართულ იურიდიულ სინტაქსში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება **ვნებითი გვარი** (პასივი). ეს პრობლემა აქტუალურია სხვა ქვეყნებშიც, თუმცა ქართული იურიდიული

---

<sup>249</sup> *Schopenhauer*, Parerga und Paralipomena, 104.

<sup>250</sup> *Hirschfeld*, Die Kaiserlichen Verwaltungsbeamten bis auf Diocletian, 24.

ენის შემთხვევაში მას დამატებით ამძაფრებს ის გარემოება, რომ ქართული სამეცყველო თუ სამწერლობო ენისათვის ვნებითი გვარი, განსხვავებით სხვადასხვა ევროპულ ენებისაგან, ზოგადად მიუღებელია. ქართულში აზრის გადმოცემა გაცილებით უფრო მარტივად და გამართულად შეიძლება მოქმედებითი გვარის ზმნით: *შეცილება განაცხადა* და არა *შეცილება გაცხადებულ იქნა*, *შეასრულა* და არა *შესრულება განხორციელებულ იქნა*. თუ ავტორს სხვადასხვა მიზეზის გამო შეგნებულად აქვს შერჩეული იმპერსონალური სტილი, ვნებითი გვარის წარმოება შეიძლება ზმნის ე. წ. დონიანი ან ინიანი ფორმების მეშვეობით – *შეცილება გაცხადდა*, *შესრულება განხორციელდა*. მიუხედავად, ამ საკმაროდ არამწირი ალტერნატიული ლექსიკური არსენალისა, დღესდღეობით ალბათ რთულად თუ იტყვის რომელიმე იურისტი ქვემოთ მოყვანილ პასაჟებზე, რომ ის დახვეწას საჭიროებს, თუმცა სინამდვილეში ეს ასეა. წინადადება – *მხარემ უნდა განახორციელოს საპასუხო დოკუმენტის გაგზავნა კონტრაჰენტისადმი, რათა მოთხოვნა, წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისა, დაცულად ჩაითვალოს* – იმდენად ჩვეულ მოვლენად იქცა იურიდიულ ტექსტებში, რომ ალბათ ცოტას თუ მოხვდება თვალში. თუმცა მოცემული წინადადება ნამდვილად „უნაკლოა“ სტილისტური კუთხით იმ პასაჟებთან შედარებით ქართული სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც ქვემოთ იქნება მოყვანილი.

ორიგინალური ვერსია	გადამუშავებული
„ ... შენობის კედელზე არსებული ბზარები და დაზიანებები შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდენის შედეგია და რომ საკვლევი ორსართულიანი შენობა განიცდის ჯდენით დეფორმაციებს.“ <sup>251</sup>	.... ბზარები და დაზიანებები შენობის კედელზე, მისი არათანაბარი ჯდენით არის გამოწვეული, რის შედეგადაც შენობა დეფორმირდა ....

ორიგინალური ვერსია	გადამუშავებული
„კერძო საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მომჩივანს არ აქვს შემოსავალი და განიცდის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, ...“ <sup>252</sup>	.... მომჩივანს არ აქვს შემოსავალი და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია ....

ორიგინალური ვერსია	გადამუშავებული
„სააპელაციო სასამართლომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტის მართლზომიერება შეაფასა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ თითქოსდა მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა	.... ულტიმატუმი წაუყენა და უარი თქვა მუშაობაზე .... .

<sup>251</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბერის № ას-646-617-2016 განჩინება.

<sup>252</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 მარტის № ას-56-54-2016 განჩინება.

<u>ულტიმატუმის ფორმით მოვალეობის შეუსრულებლობას, ...</u> <sup>253</sup>	
---	--

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვნებითი გვარი ითვლება ფორმალური ენის ნიშნად. თუმცა ეს სინამდვილეში ასე არ არის. მისი ხშირი და უადგილო გამოყენება წარმოადგენს არა ფორმალური, არამედ ცუდი სტილის ნიშანს. ავტორი ამ დროს, ჩვეულებრივ, უარს ამბობს პიროვნულ სუბიექტზე, რასაც არ შემოაქვს სიცხადე და მხოლოდ დამატებითი მიზეზია იურიდიული ენის კრიტიკისა და მისი ქილიკის საგნად ქცევისა.<sup>254</sup> ეს კრიტიკა თავის დროზე ხატოვნად შეაჯამა პრუსიის ვაჭრობის სამინისტროს მოხელემ ხელქვეითებისადმი გაკეთებულ მითითებაში:

*„თავს ვალდებულად მივიჩნევ მივუთითო იმ გარემოებაზე, რომ ბიბლია არ იწყება სიტყვებით: თავდაპირველად ღმერთის მხრიდან შექმნილ იქნა ცა და მიწა და მიწა იყო უსახური, ანუ, შესაბამისად, საკმაოდ უდაბნო.“*<sup>255</sup>

---

<sup>253</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის № ას-602-577-2016 განჩინება.

<sup>254</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 106.

<sup>255</sup> ციტი.: Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 106.

#### 4. გადაჭარბებული აბსტრაქცია და მითითებები

კანონის, სასამართლო გადანაცვლებებისა და ხელშეკრულებების კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის განდობილთა ვინრო წრეზეა ორიენტირებული, ხოლო გაიგებენ თუ არა მის შინაარსს “უბრალო მოკვდავნი”, ავტორს არ აინტერესებს.<sup>256</sup> ეს არასწორია. მართალია, კანონმდებელი გვერდს ვერ აუვლის ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას, თუმცა კანონი, რომლის ადრესატსაც არა მხოლოდ იურისტები, არამედ ყველა მოქალაქე წარმოადგენს, საყოველთაოდ გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული, რათა ამ ადრესატებმა შეძლონ მისი გაგება და გამოყენება.<sup>257</sup> გადაჭარბებული მითითებები ნორმიდან ნორმაზე და უსაგნო აბსტრაქცია ამ მიზნის განხორციელებას ყოველმხრივ ხელს უშლის. მაგალითის სახით შესაძლებელია სკ-ის 301 III მუხლის მოყვანა:

*.... 3. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ აუქციონის ჩატარების სხვა წესზე მხოლოდ ამ კოდექსის 302-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 306<sup>1</sup>-306<sup>3</sup> მუხლებით, 306<sup>5</sup> მუხლის პირველი ნაწილითა და 307-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.<sup>258</sup>*

<sup>256</sup> Vogel, Juristische Methodik, 204.

<sup>257</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 106.

<sup>258</sup> გერმანულ სამართალში ამ ტიპის დანაწესთან დაკავშირებით თავის დროზე ზაიბერტი (Seibert, in Palandt, 10. Aufl. 1952, § 2013 Rn. 1)

გადაჭარბებული მითითებების მაგალითად გამოდგება ასევე სკ-ის 267 III მუხლიც. აბსტრაქტულობა, რომელიც სკ-ის 346-ე მუხლს ახასიათებს, შეუძლებელს ხდის მის ქვეშ კონკრეტული შემთხვევის სუბსუმციას. გერმანიაში დღესდღეობით საუბრობენ იმის შესახებ, რომ გსკ-ის შექმნისას, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნებოდა მასში ისეთი ტექნიკური და აბსტრაქტული ცნების გამოტოვება, როგორც არის „გარიგება“ და მის ნაცვლად ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით გამოყენება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერობებზე.<sup>259</sup> ამ მოსაზრების ქვეყნარსებება-სიმცდარეზე მეტად მნიშვნელოვანია აბსტრაქტული ცნებებისა და ფორმულირებებისათვის თავის არიდების ტენდენცია, რომელიც მასშია გამოსატყული. ამ თავისებური იურიდიული „აბსტრაქციონიზმისაგან“ თავის დახსნას უნდა ეცადოს აგრეთვე აკადემიური ნაშრომის ავტორიც.

სამართლებრივი მსჯელობის განვითარება შესაძლებელია ისეთი ნაცვალსახელების გარეშეც როგორცაა „პირველი“, „ეს უკანასკნელი“, „იგივე“, „ერთი და იგივე“ ან ზმნიზედა „ამასთან“, „ამასთან დაკავშირებით“, „პირველ რიგში“ და ა. შ.:

---

წერდა: „სამაგალითო ნიმუში გადაჭარბებული მითითების ტექნიკისა – ისე გაუგებარი და ხელოვნურია, რომ განდობილთათვისაც მხოლოდ განსაკუთრებით ბედნიერ მომენტშია ხოლმე გასაგები.“

<sup>259</sup> მაგალითისათვის იხ. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:216 მუხლი; ასევე *Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung*, 145.



*„სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს პირველი მოპასუხის შესაგებელს, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ფარული მიყურადება—მომენა მოსამართლის ნებართვას საჭიროებს.“<sup>260</sup>*

აქ სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება ის გარემოება, რომ „იქნებიან უკანასკნელნი - პირველნი, და პირველნი - უკანასკნელნი“, მხოლოდ ცათა სასუფეველს ეხება, მოსარჩელე კი არ შეიძლება ერთდროულად პირველიც იყოს და უკანასკნელიც.

*„სასამართლომ განმარტა, რომ გამსესხებლის მტკიცება, რომ ეს უკანასკნელი, სესხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, მოცემულ პროცენტში აუცილებლად ისევ გასცემდა თანხას, ...“<sup>261</sup>*

აქაც მოსამართლე არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მსესხებელი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს უკანასკნელი, როდესაც სხვა რომელიმე პირია პირველი.

*„გ. კ.-ეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ მიიჩნევა.“<sup>262</sup>*

---

<sup>260</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის № ას-842-786-2017 განჩინება (9.2.1.).

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის № ას-821-769-2017 განჩინება (12.4).

<sup>262</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

მოცემულ წინადადებას „მასთან დაკავშირებით“ გამოტოვება შინაარსობრივად არაფერს დააკლებდა, სტილისტურად კი უფრო გამართულად აქცევდა.

*„შესაბამისად, მითითებულ ნაწილში კრედიტორის სასარგებლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება, პირველ რიგში, კრედიტორის სააპელაციო საჩივრის არარსებობის გამო, ხოლო, მეორე რიგში, აპელანტის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობის გამო (ერთი აპელაციის ფარგლებში აპელანტის მდგომარეობის გაუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა).“<sup>263</sup>*

„პირველ რიგში“-ს არ მოსდევს „მეორე რიგში“ და აქ აზრის გადმოცემა გაცილებით უფრო მარტივად იქნებოდა შესაძლებელი „და“ კავშირის მეშვეობით:

ორიგინალური ვერსია	გადამუშავებული
<p><i>„შესაბამისად, მითითებულ ნაწილში კრედიტორის სასარგებლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება, <u>პირველ რიგში</u>, კრედიტორის სააპელაციო საჩივრის არარსებობის გამო, ხოლო, <u>მეორე რიგში</u>, აპელანტის საპროცესო-სამართლებ-</i></p>	<p><i>.... სააპელაციო საჩივრის შეცვლა გამორიცხულია, კრედიტორის სააპელაციო საჩივრის არარსებობისა და აპელანტის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობის გამო ...</i></p>

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის № ას-1127-1047-2017 განჩინება (24).

<p>რივი მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობის გამო ...“</p>	
---	--

## § 7 სწორი ციტირება და პლაგიატი

ლიტერატურა: *Borgwardt A.*, Plagiatsfälle in der Wissenschaft Wie lässt sich Qualitätssicherung an Hochschulen verbessern? Berlin 2012; *Haft F.*, Juristische Rethorik, 6. Aufl. München 1999; *Harnack A.*, Über Anmerkungen in Büchern, in: Aus Wissenschaft und Leben, I, Giessen 1911; *Kirchner H./Butz C.*, Abkürzungsverzeichnis der Rechtssprache, 5. Aufl., Berlin 2003; *Lahusen B.*, Goldene Zeiten. Anmerkungen zu Hans-Peter Schwintowski, Kritische Justiz 39 (2006), 398; *Möllers Th. M. J.*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 4. Aufl., München 2008; *Zuck H.*, Das Anfertigen von Übungsarbeiten – Praktische Hinweise für Anfänger-, Fortgeschrittenen- und Examensarbeiten, JuS 1990, 905; *Prince M. M. (ed.)*, Prince's Bieber Dictionary of Legal Abbreviations, 8th ed., Buffalo, N.Y. 2009; *Theisen M.*, Wissenschaftliches Arbeiten, 11. Aufl., München 2002; *Thieme W.*, Die Anfertigung von rechtswissenschaftlichen Doktorarbeiten, 2. Aufl., Göttingen 1963; *ბაქრაძე ლ./ბრევეკაძე თ./გურჩიანი ე./ლორთქიფანიძე თ./ურუშაძე ნ./ლლონტი ლ./ჯანაშია ს.*, პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში (2016), [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat\\_-\\_ge\\_-\\_2016.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf) (ვიზიტის დრო: 24.01.2018); *გეგენავა დ./ბურჯანაძე გ.*, მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში, თბილისი 2013 (<http://nccl.ge/m/u/ck/files/Bluebook%20PDIL.pdf>); *დოლიძე ა.*, აკადემიური წერა სამართალში, თბილისი 2017; *მეიშვილი ზ./კალანდაძე ლ./კვიციანი ნ./ნონიაშვილი გ./წაქაძე ს./ჩიფჩიური გ.*, სამართლებრივი წერა, თბილისი 2017 ([http://lawlibrary.info/ge/books/GIZ2017-GE\\_-\\_Samartlebrivi\\_Cera.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/GIZ2017-GE_-_Samartlebrivi_Cera.pdf)); *ნულაძე ნ.*, აკადემიური წერა, თბილისი 2006; *ჯანაშია ს./გაბრიჩიძე ნ./ყვანია ნ./ფრუიძე ნ./ტატიშვილი ე./გულიაშვილი ნ.*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის, თბილისი 2011 (<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2588.pdf>).

## I. ციტირების მნიშვნელობა

### 1. პლაგიატი

პლაგიატის, ანუ სხვისი ინტელექტუალური შრომის მითვისების, პრობლემა არაახალია. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ დებდნენ რომაელ პოეტს *ვირგილიუსს* ბრალს *ჰომეროსისაგან* პოეტური სახეების მოპარვაში, რასაც ის არც უარყოფდა, თუმცა ამასაც თავის, როგორც პოეტის, ღირსებად მიითვლიდა – უფრო მარტივია ჰერაკლესათვის მისი კომბლის მოპარვა, ვიდრე ჰომეროსისათვის ერთი სტრიქონისა.<sup>264</sup> (ინტელექტუალური) ქურდობის ბრალდებას ყველა ვერ აიცილებს თავიდან ამგვარი ელეგანტური პასუხით. გარდა ამისა, განსხვავებით მაღალი პოეზიისაგან სამეცნიერო ლიტერატურაში პლაგიატის ბრალდების გაქარწყლება შეუძლებელია მის ოსტატურად შესრულებაზე მითითებით. არც თუ ისე დიდი ხნის წინ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისას ჩადენილი პლაგიატის გამო დასრულდა გერმანიის თავდაცვის მინისტრის, *გუტენბერგის*, პოლიტიკური კარიერა,<sup>265</sup> რის შემდეგაც დაწყებულმა “პლაგიატზე ნადირობის” ტალღამ კიდევ არაერთი პოლიტიკოსის კარიერა იმსხვერპლა.<sup>266</sup>

---

<sup>264</sup> *Morgan*, *Patterns of Redemption in Virgil's Georgics*, 31.

<sup>265</sup> <http://www.zeit.de/politik/deutschland/2011-03/gutenberg-chronologie-plagiatsaffaere>; *Die Zeit* online (14.01.2018); შდრ. ასევე *Borgwardt*, *Plagiatsfälle in der Wissenschaft*, 14-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>266</sup>

[https://www.welt.de/print/welt\\_kompakt/article118541308/Plagiatsfaelle-seit-2011-in-Deutschland.html](https://www.welt.de/print/welt_kompakt/article118541308/Plagiatsfaelle-seit-2011-in-Deutschland.html); *Welt Kompakt* (14.01.2018).

პლაგიატი პოპულარულია ასევე აკადემიური სფეროს დამსახურებულ წარმომადგენლებს შორის<sup>267</sup> და მით უფრო ხშირად მიმართავენ მას დამწყები მეცნიერები თუ სტუდენტები, რის გამოც უცხოური უნივერსიტეტები იყენებენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს სხვა ავტორის ნაშრომებიდან მითითების გარეშე „ნასესხები“ პასაჟების აღმოსაჩენად.<sup>268</sup>

ამერიკულ უნივერსიტეტში პლაგიატი, ჩვეულებრივ, უნივერსიტეტიდან გარიცხვით ისჯება. გერმანიაშიც, პლაგიატი წარმოადგენს კონკრეტული ნაშრომის „არადადამაყოფილებელი“ ქულით შეფასების, შეფასების გაუქმების ან მინიჭებული ხარისხის ჩამორთმევის საფუძველს.<sup>269</sup> საქართველოში ინტელექტუალურ ქურდობა აკადემიურ სფეროში დისციპლინარულ გადაცდომად ითვლება,<sup>270</sup> თუმცა კონკრეტული სანქცია განსხვავებულია ცალკეული უნივერსიტეტისა და მიხედვით.<sup>271</sup> ზოგ შემთხვევებში ის

---

<sup>267</sup> <http://www.thecrimson.com/article/2004/9/27/prof-admits-to-misusing-source-harvard/>; The harvard Crimson (14.01.2018); *Lahusen*, *Goldene Zeiten. Anmerkungen zu Hans-Peter Schwintowski*, *Kritische Justiz* (39) 2006, 398-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>268</sup> შდრ. მაგალითისათვის [www.plagiarism.org](http://www.plagiarism.org); [www.turnitin.com](http://www.turnitin.com); იხ. ამ ტიპის პროგრამების ვრცელი ჩამონათვალი პლაგიატის პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარებულ კვლევაში „პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში“ ([https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat\\_-\\_ge\\_-\\_2016.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf)), 139-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>269</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 122.

<sup>270</sup> იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბერის №130/ნ ბრძანების 34 1 ა) მუხლი.

<sup>271</sup> შდრ. „პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში“ ([https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat\\_-\\_ge\\_-\\_2016.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf)), 17-ე და მომდევნო გვერდები.

მონესრიგებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში<sup>272</sup>, ზოგ შემთხვევაში კი – წესდებაში. პლაგიატის სანქციონირების ერთიანი სისტემის არარსებობა და ის ფაქტი, რომ მისი აღმოჩენა მეტ-ნაკლებად „ბედნიერ“ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ნამდვილად არ აისახება დადებითად სტუდენტთა და დამწყებ მეცნიერთა აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე.

აკადემიურ სფეროში პლაგიატთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომისა და რეგულაციების არარსებობის მიუხედავად, ამ პრობლემის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმატიული ჩარჩო იდენტიურია ყველა შემთხვევისათვის. პლაგიატი წარმოადგენს არა მხოლოდ არაკეთილსინდისიერ ქცევას, არამედ ამავდროულად მართლსაწინააღმდეგო ქმედებასაც. ვინც სხვის თეზისებსა და არგუმენტებს იყენებს, უნდა აცტიროს ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იდენს ამით „ინტელექტუალურ ქურდობას“, რაც აკრძალულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 21 I მუხლის მიხედვით. ციტირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ამავე კანონის 23 ა) მუხლი, რომლის მიხედვითაც სხვისი ნააზრევის გადმოღება იზღუდება ციტირების მიზნითა და გადმოღებული პასაჟის მოცულობით.

---

<sup>272</sup> იხ. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების 2 I მუხლი ([https://www.tsu.ge/data/file\\_db/iuridiuli\\_cnobari/46-2014-danarti1.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/46-2014-danarti1.pdf)).

## 2. გამართული ციტირება

ზემოთ მოყვანილი ზოგადი წესი ციტირების აუცილებლობასთან დაკავშირებით უცვლელად ვრცელდება აკადემიურ ნაშრომზე სამართლის სფეროში. ვისაც მოჰყავს დებულება, რომელიც უკვე სხვა ავტორთან (ან რომელიმე სასამართლოს გადაწყვეტილებაში) არის გამოთქმული, უნდა აციტიროს ის, ანუ მიუთითოს მის პირველწყაროზე გარკვეული ფორმალური კრიტერიუმების დაცვით. ტექნიკურად გამართული და შინაარსობრივად ზუსტი ციტირება წარმოადგენს კარგად შესრულებული აკადემიური ნაშრომის აუცილებელ მახასიათებელს და საბოლოო ჯამში გამართული იურიდიული სტილის ნაწილს. ციტირების მიზანია მკითხველს მისცეს მოსაზრების ავტორის, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი, იდენტიფიცირებისა და იმ ორიგინალი წყაროს მარტივად მოძიების შესაძლებლობა, სადაც ის პირველად დაფიქსირდა. პირველწყაროზე მითითების ვალდებულება წარმოადგენს არა მხოლოდ დამატებით ტვირთს აკადემიური ნაშრომის ავტორისათვის, არამედ გარკვეულ უპირატესობასაც: ავტორის მტკიცება იძენს დამატებით წონას, როდესაც ის ასევე სხვისი მოსაზრებით ან სასამართლო პრაქტიკით არის გამყარებული. გარდა ამისა, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის ამომწურავად ან მეტ-ნაკლებად სრულად შესწავლა ზრდის აკადემიური ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. ამ ღირებულების გამომხატველ ფორმალურ ნიშანს ციტირებული ლიტერატურის რაოდენობა წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, არაზუსტი კრიტერიუმია – ავტორმა შეიძლება სხვადასხვა დასაშვები, თუ დაუშვებელი ხერხის (მაგ. ბრმად ციტირება, იხ. ქვევით) გამოყენე-



ბით გაზარდოს სქოლიოების რაოდენობა – თუმცა პირველ დადებით (თუ უარყოფით) შთაბეჭდილებას მაინც ეს გარემოება განაპირობებს.

საქართველოში უკვე არსებობს პუბლიკაციები,<sup>273</sup> შექმნილი ამერიკული ე. წ. „ბლუბუქის“ ყაიდაზე, რომელიც კონკრეტულად ციტირების ხერხებს ეძღვნება და შეიცავს ამასთან დაკავშირებულ მრავლობით მაგალითს, რასაც აუცილებლად უნდა გაეცნოს ავტორი საკუთარი ნაშრომისათვის დასრულებული სახის მიცემამდე. მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში შევეხებით არა მხოლოდ ციტირების ტექნიკას, არამედ ზოგადად ციტირების აუცილებლობას და იმ ძირითად წესებს, რითიც უნდა იხელმძღვანელოს ავტორმა სხვის ნააზრევზე მითითებისა, თუ ზოგადად გამოყენებისას. ციტირების წესები შეიძლება დაიყოს სავალდებულო წესებად და წესებად, რომელთა დაცვაც მეტ-ნაკლებად ნებაყოფლობითია.

---

<sup>273</sup> *ჯანაშია/ვაბრიჩიძე/ყვანია/ფრუიძე/ტატიშვილი/გულიაშვილი*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი (<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2588.pdf>), 105-ე და მოდევნო გვერდი; *გეგენავა/ბურჯანაძე*, მითითებისა და აღნიშვნის სტანდარტი სამართალში, თბილისი 2013 (<http://nccl.ge/m/u/ck/files/Bluebook%20PDIL.pdf>); ციტირებასთან დაკავშირებით იხ. ასევე *დოლიძე*, აკადემიური წერა სამართალში, 89-ე და მომდევნო გვერდი; *მეიშვილი/კალანდაძე/გიგაშვილი/ნონიაშვილი/ნაქაძე/ჩიფჩიური*, სამართლებრივი წერა, 35-ე და მომდევნო გვერდები ([http://lawlibrary.info/ge/books/GIZ2017-GE-\\_Samartlebrivi\\_Cera.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/GIZ2017-GE-_Samartlebrivi_Cera.pdf)); *წულაძე*, აკადემიური წერა, 37-ე და მომდევნო გვერდი.

## II. ციტირების სავალდებულო წესები

იურისტებისათვის, განსხვავებით, მაგალითად, სოციოლოგებისა ან ფსიქოლოგებისაგან,<sup>274</sup> არ არსებობს ციტირების ერთიანი სისტემა, რომელიც იქნებოდა ზოგადად სავალდებულო. ციტირების მთელი რიგი წესების სავალდებულოება განპირობებულია იმით, რომ ისინი ან ლოგიკურად სავალდებულოა, ან ეს სავალდებულოება კეთილსინდისიერი მეცნიერული მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კეთილსინდისიერი მეცნიერული მიდგომა ავტორს ავალდებულებს ცალსახად გამიჯნოს საკუთარი მოსაზრებები სხვისი მოსაზრებებისაგან და სხვისი აზრები გააფორმოს შესაბამისი სქოლიოს მეშვეობით. ავტორმა არ უნდა „გაასაღოს“ ესა თუ ის მოსაზრება საკუთარ ორიგინალურ იდეად, თუ ის უკვე სხვის მიერ არის გამოთქმული. ხშირად ავტორისათვის გულდასაწყვეტია ხოლმე საკუთარ ორიგინალურ ნააზრევთან გამოთხოვება და მათ ქვეშ სქოლიოს დასმა, როდესაც დამოუკიდებლად მივიდა ამ აზრამდე და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა ის სხვის ნაშრომში, თუმცა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი ამას სავალდებულოდ მიიჩნევს. რადგან შეუძლებელია იმის გადამოწმება ავტორმა თავისით მოიფიქრა ეს გადაწყვეტა, თუ სხვას დაესესხა, მოქმედებს გაუქარწყლებელი ვარაუდი, რომ სახეზეა ეს

---

<sup>274</sup> სოციოლოგებისათვის და ფსიქოლოგებისათვის მოქმედებს ე. წ. **ASA style** და **APA style**-სისტემა, სქოლიოებისა და ბიბლიოგრაფიის გამართვის წესები, რომელსაც ადგენს ამერიკის სოციოლოგთა/ფსიქოლოგთა ასოციაცია.

უკანასკნელი შემთხვევა და აუცილებელია ამ მოსაზრების ქვეშ სქოლიოს დასმა.<sup>275</sup>

## 1. ბრმად ციტირება

თუ სხვისი იდეების მითვისება არაკეთილსინდისიერ ქცევას წარმოადგენს, არაგულისხმიერი მეცნიერული დამოკიდებულების ნიშანია სხვისი სქოლიოების „მოპარვა“, ე. წ. „ბრმად ციტირება“, სხვაგვარად: „მეორეული ციტირება“. ამ შემთხვევაში ავტორი უბრალოდ იწერს სხვის ნაშრომში მითითებულ ლიტერატურას ისე, რომ პირადად არ ეცნობა მას. მართალია, ეს პრაქტიკა ფართოდ გავრცელებულია, თუმცა, სწორედ ამის გამო, ხანდახან მოყვანილი სქოლიოების 50 %-მდე არასწორია ხოლმე.<sup>276</sup> ბრმად ციტირებისას არსებობს საფრთხე იმისა, რომ ავტორმა გადმოიღოს, თავის მხრივ, სხვის მიერ ბრმად გადმოტანილი (არასწორი) ციტატა<sup>277</sup> და ტექსტის შინაარსი სრულებით ასცდეს სქოლიოს, ან, სხვისი ტექსტიდან გადაუმონმებელი სქოლიოს გადმოღებისას, ავტორს გამორჩეს ის აზრობრივი ნიუანსი, რომლის ხაზგასასმელადაც იყო მოშველებული სქოლიო. ამ შემთხვევაშიც იდენტური შედეგი დგება: ტექსტი და სქოლიო სრულებით შეუსაბამოა.

ბრმად ციტირება არ ითვლება პლაგიატად, თუმცა, როგორც მეცნიერული გულისხმიერების წესების დარღვევას, შეიძლება იდენტური შედეგი მოჰყვეს. გარდა ამისა,

---

<sup>275</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 123.

<sup>276</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 124.

<sup>277</sup> Zuck, JuS 1990, 911; Theisen, Wissenschaftliches Arbeiten, 154.

ბრმად ციტირება, როგორც წესი, წარმოადგენდეს მითითებას პლაგიატზე ან მის წინაპირობას – ჩვეულებრივ, ტექსტში არა მხოლოდ სქოლიოებია გადმოღებული პირველწყაროს გადამონმების გარეშე, არამედ მთლიანი ნაწყვეტები. ვინც სქოლიოების მოპარვით იწყებს, ამთავრებს მთლიანი ფორმულირებების მითვისებით. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც პირველწყარო სრულებით მიუწვდომელია, ავტორი არ ფლობს შესაბამის ენას და ა. შ., დასაშვებია ბრმად ციტირება, თუმცა მხოლოდ შესაბამისი მითითებით: „ციტირებულია/მითითებულია: ...“ ან „ციტირებულია/მითითებულია .... მიხედვით“:

*სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 3/2001, გვ. 226. მითითებულია: ჭანტურია/ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი 2002, 209.*

## 2. სიზუსტე

როგორც კანონის, ისე სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ სხვა ლიტერატურის ციტირებისას აუცილებელია პირველწყაროს ზუსტი მითითება, რათა მკითხველს ჰქონდეს შესაძლებლობა მარტივად იპოვოს პასაჟი, საიდანაც არის აღებული შესაბამისი თეზისი თუ არგუმენტი. კანონის ნორმა შესაძლებელია 70-ზე მეტ სტრიქონზე იყოს განელილი,<sup>278</sup> ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტი

---

<sup>278</sup> მაგ. საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-2 მუხლი.

კი – ორას გვერდზე მეტი მოცულობის.<sup>279</sup> თუ ავტორი ზუსტად არ უთითებს ციტირებულ პასაჟს, მართალია, ეს საკმარისია პლაგიატის ბრალდების თავიდან ასაცილებლად, თუმცა მითითება საბოლოო ჯამში მკითხველისათვის ყოველად უსარგებლოა ხოლმე – შეუძლებელია ასი ან ორასი გვერდის გადაკითხვა ერთი კონკრეტული იდეის მოძიების მიზნით.

*მაგალითი: 1. გასვლის შემდეგ ფულადი ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა სკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ) ქვეპუნქტის, ან შემოკლებულად: 352 IV გ) მუხლის მიხედვით და არა: ფულადი ანაზღაურების გამორიცხვა გასვლის „გამო“ ან 352-ე მუხლის მიხედვით.*

*2. მოთხოვნა 976 I ა) მუხლის მიხედვით და არა: კონდიციური მოთხოვნა.*

გადაწყვეტილების თუ განჩინების ციტირებისას, მთელ რიგ შემთხვევებში, გადმოღებული პასაჟის ზუსტ მითითებას შეუძლებელს ხდის ის გარემოება, რომ არ არსებობს აბზაცების ნუმერაცია, ხოლო ვებგვერდიდან ჩამოტვირთული ელექტრონული დოკუმენტის (word, pdf) გვერდების მითითება აკადემიურ ნაშრომში შეუძლებელია. ამის გამო, თუ გადაწყვეტილება გამოქვეყნებული არ არის რომელიმე ბეჭდურ გამოცემაში, ზუსტი მითითება შესაბამის გვერდზე და მითუმეტეს, აბზაცზე შეუძლებელია. ეს პრობლემა გადაჭრილია ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებ-

---

<sup>279</sup> იხ. მაგ. „რუსთავი 2“-ის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება № ას-664-635-2016.

ში, სადაც უკვე არსებობს ველების ნუმერაცია, რომელსაც აკეთებს თავად მოსამართლე ან სასამართლოს გამომქვეყნებელი ორგანო. ველის ნომერი ამ შემთხვევაში უნდა მიეთითოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღისა და ნომრის შემდეგ:

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის № 2ბ/3883-14 გადაწყვეტილება (4.7.).<sup>280</sup>*

ველის ნომრის მითითება შეუძლებელია აბზაცების ნუმერაციის პრაქტიკის შემოღებამდე გამოქვეყნებული სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რის გამოც აუცილებელია ავტორმა ისინი აციტიროს არა ვებგვერდზე მოძიებული ელექტრონული დოკუმენტიდან, არამედ პერიოდული ბეჭდური გამოცემიდან,<sup>281</sup> როგორც არის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული “გადაწყვეტილებათა კრებული”,<sup>282</sup> „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის კრებულები“<sup>283</sup> ან სხვა რომელიმე არაპერიოდული გამოცემიდან.<sup>284</sup> მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება საქმე, ან უზენაესი სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ვერ მოხ-

---

<sup>280</sup> დამატებით გადაწყვეტილების ციტირების წესთან დაკავშირებით იხილე ქვევით § 7.

<sup>281</sup> რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში დასაშვებია ბეჭდური გამოცემის ელექტრონული ვერსიით სარგებლობა, რომელიც ჩვეულებრივ თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ინტერნეტსივრცეში.

<sup>282</sup> <http://www.supremecourt.ge/court-decisions/civil-cases/>.

<sup>283</sup> მაგ. <http://www.supremecourt.ge/news/id/1422>.

<sup>284</sup> მაგ. ნაჭყებია, სამოქალაქო სასამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) (<http://lawlibrary.info/ge/books/giz2013-ge-civil-law-practice.pdf>).

ვდა ბექდურ გამოცემაში, დასაშვებია ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ვერსიის გამოყენება, თუმცა ამ შემთხვევაშიც ავტორი უნდა ეცადოს მაქსიმალურად დააკონკრეტოს ციტირებული პასაჟის ადგილი გადანყვეტილებაში და თან დაურთოს მას ელექტრონული მისამართი.

გადანყვეტილების ბექდური გამოცემის გვერდების მიხედვით ციტირებისას, სასურველია, თუ, გერმანიის მსგავსად, საქართველოშიც დამკვიდრდება აკადემიური სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მიეთითება *პირველი გვერდი* და *გვერდი*, *სადაც უშუალოდ მდებარეობს ციტირებული პასაჟი*. იგივე წესი უნდა დამკვიდრდეს სტატიების ციტირების შემთხვევაშიც.

*საქ. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის № ას-1048-988-2015 გადანყვეტილება = სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 4/2016, 3, 6.*

*ჯორბენაძე ს., გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი № 4 (2011), 77, 81.*

უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებათა კრებულზე მითითება ვერ ჩაანაცვლებს გადანყვეტილების ნომრისა და მიღების თარიღის აღნიშვნას, რადგან მკითხველს შეიძლება ხელი მხოლოდ ელექტრონულ საძიებო სისტემაზე მიუწვდებოდეს, სადაც გადანყვეტილების მოძიება მხოლოდ ამ რეკვიზიტების მეშვეობით არის შესაძლებელი. ამგვარად, არასასურველია:

*სუსგ სამოქ. 1/2008, 21 ან სუსგ სამოქალაქო, სამენარმო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 9/2005, 46.*

### 3. ერთგვარი ციტირება

დახვეწილი აკადემიური სტილის ნაწილს წარმოადგენს წყაროების ყოველთვის ერთგვარად ციტირება. მაგალითად, თუ ავტორი აციტირებს სასამართლოს გადაწყვეტილებებს „გადაწყვეტილების კრებულის“ მიხედვით, მაშინ იგივე გადაწყვეტილება და არც სხვა რომელიმე გადაწყვეტილება, თუ მისი ციტირება შესაძლებელია იმავე კრებულების მეშვეობით, არ უნდა მიუთითოს სხვა წყაროდან. შემოკლება ყველა სქოლიოში უნდა იყოს ერთგვარი (*სუსგ სამოქ. ან სუსგ სამოქალაქო, სამენარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე*). ავტორმა ან ყოველ ჯერზე უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების რეკვიზიტებში მისი გამოტანის თარიღი ან საერთოდ არ უნდა გააკეთოს ეს. ასევე სახელის ინიციალებიც: ან ყოველთვის გამოიყენოს ან არასოდეს.<sup>285</sup> კანონის ან კომენტარის დასახელების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ცნების შემოკლება მთლიანი ნაშრომის ფარგლებში ერთგვარად უნდა მოხდეს (*სკ ან სსკ; ინდ. აქტი ან ინდ. სამართლებრივი აქტი*).<sup>286</sup>

თუ წინაპირობები ან სამართლებრივი შედეგები ცხადად იკითხება პირდაპირ კანონიდან, მაშინ მხოლოდ მისი ციტირებაა აუცილებელი. სქოლიოთი გამყარებას არ საჭიროებს არც სუბსუმცია.

---

<sup>285</sup> გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე გვარის რამდენიმე ავტორი არსებობს. ამ შემთხვევაში დასაშვებია მათი ერთმანეთში არევის რისკის თავიდან ასაცილებლად სახელის ინიციალის ერთჯერადად გამოყენება.

<sup>286</sup> *Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 124.



*კონდიქციის მოვალე 976 I ა), 979 I მუხლების მიხედვით აბრუნებს მიღებულს, სუროგატსა და სარგებელს. ამ სამართლებრივი გადაწყვეტის „ავტორი“ არის სკ-ის კანონმდებელი. აქ ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების ან კომენტარის მითითება ზედმეტია, მაშინაც კი, როდესაც ეს ფორმულირება იქ სიტყვასიტყვით არის მოყვანილი.*

*კაზუსის ამოხსნის საბოლოო შედეგში/სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არაუფლებამოსილი მიმღები ვალდებულია დააბრუნოს მიღებული 976 I ა) მუხლის და არა „ჭანტურიას მიხედვით“.*

განსხვავებული მოსაზრებები ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს ცალსახად. თუ ავტორი კონკრეტულ მოსაზრებას გაბატონებულად მოიხსენიებს, უნდა არსებობდეს ასევე მისი საპირისპირო, არაგაბატონებული, მოსაზრებაც. გაბატონებულად ითვლება მოსაზრება, თუ ის, სულ მცირე, ორი ავტორის მიერ არის გაზიარებული, ხოლო ოპონირებას მხოლოდ ერთი ავტორი უწევს. ამასთან, თავად მიმთითებელი ავტორის აზრი სათვალავში არ მიიღება. მოსაზრება, რომელიც ერთხმად აღიარებულია, ითვლება აბსოლუტურად გაბატონებულ მოსაზრებად.

#### **4. წყაროების გაცხრილვა**

სამეცნიერო პუბლიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მკითხველის ინფორმირება კონკრეტულ პრობლემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. განვითარებული სამართლის კულტურის

ქვეყნებში, ინფორმაციის მოზღვავეების გამო უარს ამბობენ წარსულში მოქმედ ე. წ. ამომწურავობის პრინციპზე, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო ავტორს ნაშრომში ეციტირებინა ყველა სხვა ავტორი, ვისაც კი მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით აზრი ჰქონდა გამოთქმული.<sup>287</sup> დღესდღეობით, მაგალითად, გერმანიაში საკმარისია მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსაგან გამიჯვნა და მხოლოდ მნიშვნელოვანი ავტორების ციტირება. ამის საპირისპიროდ, ქართულ იურიდიული ლიტერატურა კონკრეტული პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებისა და სტატიების სიუხვით არ გამოირჩევა და ჩვეულებრივ, აუცილებელია მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ყველა წყაროს მითითება.<sup>288</sup> თუმცა ეს წესი არ მოქმედებს გამონაკლისის გარეშე:

1. ქვედა ინსტანციის *სასამართლოს გადაწყვეტილების* ციტირება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იმავე საქმეზე არ არსებობს ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ ამ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობაზე მითითება, მაშინაც კი, როდესაც მან მხოლოდ გაიზიარა ქვემდგომის მსჯელობა. გამონაკლისის სახით დასაშვებია საქალაქო ან სააპელაციო სასამართლოების მოსაზრების მოყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე საქმეზე ასევე უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა, თუ ამ უკანასკნელის მსჯელობა ავტორის აზრით გაუმართავია, ხოლო ქვედა ინსტანციისა კი – გამართული. საპირისპირო შემთხვევაში – როდესაც

---

<sup>287</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 124.

<sup>288</sup> რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება საბჭოთა პერიოდის სამართლის ლიტერატურა.

უზენაესმა სასამართლომ გადააკეთა ქვედა ინსტანცი-  
(ებ)ის მცდარი თეზისები, ან ყველა ინსტანცია ცდება, სა-  
კმარისია მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსაზრებაზე  
მითითება და მისი კრიტიკა.

ქართული და უცხოური სასამართლოს გადანყვეტილების  
ერთ სქოლიოში მითითებისას პირველ ადგილზე ქართული  
წყაროს დაყენებაა მიზანშეწონილი. მაშინაც კი, როდესაც  
უცხო ქვეყნის სასამართლოს მსჯელობა უფრო ზუსტი და  
დახვეწილია, ქართველი მკითხველისათვის პირველ რიგში  
ქართული სასამართლო პრაქტიკის შესახებ ცნობაა მნიშ-  
ვნელოვანი. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია შედარე-  
ბით-სამართლებრივი კვლევის შემთხვევაში.

2. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრე-  
ბის პირველ ადგილზე დაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შე-  
მთხვევაში, როდესაც ეს საკითხი საერთოდ არ არის ან არ  
არის ამ ფორმით გადანყვეტილი სასამართლოს მიერ. ჩვე-  
ულებრივ, *სასამართლო პრაქტიკა უფრო მნიშვნელოვა-  
ნია*, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურა, რადგან სასამარ-  
თლო რეალურად წყვეტს შემთხვევებს და არ იძლევა მხო-  
ლოდ არამბოჭავ რეკომენდაციებს. ეს წესი მოქმედებს იმ  
შემთხვევაშიც, როდესაც რაიმე დებულება ჯერ სამეცნი-  
ერო სტატიის ან მონოგრაფიის გვერდებზე გამოითქვა და  
მხოლოდ ამის შემდეგ გაიზიარა ის სასამართლომ. აქიდან  
გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურის სასამართლო  
პრაქტიკის წინ ციტირება, ჩვეულებრივ, არასწორია<sup>289</sup> –  
ავტორმა ჯერ უნდა აციტიროს სასამართლო პრაქტიკა და

---

<sup>289</sup> თუ ეს, რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული რაიმე  
განსაკუთრებული საფუძვლით, მაგალითად, ავტორის მიზანს  
წარმოადგენს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზების  
წარმოჩენა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

მხოლოდ მას შემდეგ კომენტარები, მონოგრაფიები, სტატიები და ა. შ.

*ზიანის ანაზღაურების მოცულობა დაზარალებული-სათვის რეალურად მიყენებული ზიანით უნდა შემოიფარგლოს (ე. წ. გამდიდრების აკრძალვა). აქ ავტორმა თავდაპირველად უნდა აცხადოს გადანყვეტილებები, სადაც ეს პრინციპია გამოთქმული და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა მეორადი ლიტერატურა, ანუ, მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადანყვეტილება (8.13); 2011 წლის 24 ოქტომბრის № ას-307-291-2011 გადანყვეტილება; 2002 წლის 18 იანვრის № 3კ/1184-01 განჩინება = ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 158-ე და მომდევნო გვერდი; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ადვოკატი № 2/2013, 32; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (2012), 110.*

ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია ჯერ სახელმძღვანელოზე ან სტატიაზე მითითება და მხოლოდ ამის შემდეგ გადანყვეტილებზე, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ ფრაგმენტულად ეხება პრობლემას, რომელიც სტატიაში დეტალურად არის დამუშავებული.

*მაგალითად, ნების გამოვლენის თავისუფლების შეზღუდვის მომენტი ერთმანეთს ამსგავსებს შეცდომით*

და მოტყუებით დადებულ გარიგებებს, თუმცა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოტყუების შემთხვევაში ხელყოფა მეორე მხარის განზრახი მოქმედებით ხდება. მაშინ, როდესაც, ეს პრინციპი ცალსახად არის დაფიქსირებული ქვემოთ მოყვანილ სახელმძღვანელოში და სტატიაში, მისი ამოკითხვა გადანყვეტილებაში მხოლოდ სტრიქონებს შორის შეიძლება: ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 376; კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის № ას-198-186-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1214-1156-2014 გადანყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის № ას-1350-1275-2012 გადანყვეტილება.

3. რაც შეეხება თავად სამეცნიერო ლიტერატურიდან სხვადასხვა წყაროებს შორის მიმართებასა და მათ ციტირებას, აქ აუცილებელია შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობა: მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვს კონკრეტული მოსაზრების, გადანყვეტის და სახელმძღვანელო პრინციპის *პირველწყაროს*, ანუ იმ ავტორის მითითებას, რომელთანაც მოსაზრება პირველად იქნა გამოთქმული. *მეორეული წყარო*, ანუ ავტორი, რომელმაც პირველწყაროდან გადაიღო ეს მოსაზრება, ჩვეულებრივ, მხოლოდ პირველწყაროს შემდეგ უნდა იქნეს მოყვანილი.<sup>290</sup>

---

<sup>290</sup> Thieme, Die Anfertigung von rechtswissenschaftlichen Doktorarbeiten, 38.

თუ მეორეულ წყაროს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილება, აქ ზემოთ მოყვანილი თანმიმდევრობის – ჯერ გადაწყვეტილება და შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურა – დარღვევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორის სურვილს სწორედ პირველწყაროს მნიშვნელობის ხაზგასმა წარმოადგენს.

წყაროს მითითება ყოველთვის სავალდებულო არ არის. გერმანელ თეოლოგს ადოლფ ჰარნაკს<sup>291</sup> ეკუთვნის გამართული ციტირების „ათი მცნება“, საიდანაც დღესაც შესაძლებელია რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპის ამოკრეფა:

- დებულება, რომელიც თავისთავად ცხადი, ან ზოგადად ცნობილია სქოლიოს არ საჭიროებს.

*დებულება – „შესრულების კონდიქცია წარმოადგენს არანამდვილი გარიგების უკუქცევის ინსტრუმენტს“, არ უნდა გამყარდეს სქოლიოთი, მიუხედავად იმისა, რომ ის არაერთ სახელმძღვანელოსა თუ კომენტარშია გამოთქმული.*

*ამის საპირისპიროდ, შესრულების კონდიქციის დეფინიცია – სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება – საქართველოში სქოლიოს მეშვეობით უნდა გამყარდეს, განსხვავებით გერმანიისაგან, სადაც ის უკვე დამკვიდრებულ განსაზღვრებად ითვლება და ამგვარად წყაროს მითითებას არ საჭიროებს.<sup>292</sup>*

---

<sup>291</sup> Harnack, *Aus Wissenschaft und Leben*, I, 161-ე და მომდევნო გვერდი.

<sup>292</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს პირველწყარო დადგენადია – *Kötter, AcP* 153 (1954), 195.

- წყაროების მითითების მიზანს არ წარმოადგენს ავტორის ნაკითხობის დემონსტრირება. ყველაფერი, რასაც ის დასამუშავებელი თემის გარშემო კითხულობს არ უნდა დაილექოს სქოლიოში.

*გამონაკლისის სახით დასაშვებია ზოგადი ხასიათის მითითება თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე კომენტარის ან კომპენდიუმის ტიპის ნაშრომში, მაგალითად:*

იხ. 408-ე და მომდევნო მუხლებთან დაკავშირებით *ზოიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე-ჯორბენაძე (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 451-ე და მომდევნო გვერდები; *ცერცვაძე*, ძლიერი-შვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, 645-ე და მომდევნო გვერდები; ....

- სქოლიო წარმოადგენს მოყვანილი თეზისებისა და არგუმენტების წყაროზე მითითებას და არა ნააზრვის განვრცობის ან ადგილის მოგების საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექნიკა ფართოდ დამკვიდრებულია, არასასურველია ტექსტში მოყვანილი მსჯელობის შუაზე განწყვეტა და დარჩენილი ნაწილის სქოლიოში გადამისამართება. მსჯელობა უნდა იყოს მწყობრი და ტექსტიდან აზრის გამოტანა – სქოლიოსათვის თვალის შევლების გარეშეც შესაძლებელი.

*მაგალითად, თუ ავტორი ეხება ხელშეკრულებას მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით, მისი წინაპირობები მთავარ ტექსტში უნდა იყოს ჩამოთვლილი და არა სქოლიოში, თუ ტექსტის მომდევნო ნაწილში სწორედ ამ წინაპირობების შესახებ გრძელდება საუბარი.*

*ამის საპირისპიროდ, დასაშვებია როგორც ამ ხელშეკრულების, ისე მის წინაპირობებზე მითითების სქოლიოში გადამისამართება, თუ ის მოცემულ კონტექსტში მხოლოდ უმნიშვნელო მაგალითს წარმოადგენს და ავტორის მსჯელობის ალქმისათვის გადამწყვეტი არ არის.*

- სხვის ავტორიტეტზე მითითება ვერ ჩაანაცვლებს საკუთარი მსჯელობის განვითარებისა და ავტორის მიერ სწორად მიჩნეული თეზისის კონკრეტული არგუმენტებით გამყარების აუცილებლობას, მაშინაც კი, როდესაც ეს არგუმენტები სხვისგანაა ნასესხები.<sup>293</sup>
- თუ ათი ავტორი თანმიმდევრობით, ყოველგვარი განვრცობა-გადააზრების გარეშე, იწერს *პირველწყაროდან*, სადაც პირველად არის გამოთქმული კონკრეტული მოსაზრება, არ არის აუცილებელი ათივეს მითითება, არამედ საკმარისია მხოლოდ პირველწყაროდან.

---

<sup>293</sup> *Thieme*, Die Anfertigung von rechtswissenschaftlichen Doktorarbeiten, 37.



როს დაფიქსირება. ეს წესი მოქმედებს როგორც სამეცნიერო ლიტერატურის, ისე სასამართლო პრაქტიკის შემთხვევაში.

როდესაც ავტორი ყოყმანობს მიუთითოს თუ არა წყარო, ამ ყოყმანის დასაძლევად გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი გონებამახვილური მაგალითი გამოდგება:<sup>294</sup> „განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორიტეტის გამოყენების ტოპოსური ფიგურა. იურისტები ავტორიტეტის მოყვარული ხალხია. ვინც კი გერმანიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ან გაბატონებულ მოსაზრებაზე უთითებს, მიიჩნევს, რომ უკვე არგუმენტები უჭირავს ხელში, მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ბევრი არაფრის მთქმელ ციტატებს იშველიებს. ისეთი წინადადება, როგორიცაა „ორშაბათი მოსდევს კვირას“ იურისტისათვის ძალზე მშრალი და ტრივიალურია. თუმცა იგივე წინადადება წყაროების მითითების შედეგად იურიდიულ კეთილშობილებას იძენს. მაგალითად: ორშაბათი (ამასთან დაკავშირებით RGSt 7, 14, 18; BGHZ 48, 32-ე და მომდევნო გვერდი; BVerfGE 17, 8) მოსდევს (განსხვავებულ აზრზეა Müller-Seibermann, NJW 1977, 1788, არა მოსდევს, არამედ „მოჰყვება“ – ამის საპირისპიროდ სწორად მსჯელობს AG Deitzenbach, in: Kritische Justiz 1978, 55) კვირას (ეს წარმოადგენს გაბატონებული მოსაზრებას, რომელიც უკუაგდება კვირა დღის წინსწრების თეორიას, რაც *სავინის* სახელს უკავშირდება, მაგრამ უკვე *იერიנגმა* გააქარწყლა თავის ნაშრომში „ბრძოლა ორშაბათისათვის“, ლაიპციგი 1859. შეჯამებისათ-

---

<sup>294</sup> *Haft*, Juristische Rethorik, 118.

ვის ასევე *ბაუმანი*: კვირა, ორშაბათი და რა იქნება შემდეგი? კრიტიკული განაზრებები ორშაბათთან დაკავშირებით, ბერლინი 1977; შეუძლებელია *ბენდერლინგის* (JZ 1953, 66-ე და მომდევნო გვერდები) მოსაზრების გაზიარება, რომელიც ზოგადად კვირების სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებს).“

### III. ციტირების არასავალდებულო წესები

ციტირების სავალდებულო წესების გარდა არსებობს მთელი რიგი სხვა, არასავალდებულო წესები. ამ შემთხვევაში არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ ციტირება, არამედ ავტორს შეუძლია თავისუფლად გააკეთოს არჩევანი წყაროების მითითების მისთვის მისაღები ფორმის სასარგებლოდ.<sup>295</sup> ამ წესების არასავალდებულოება ცხადი ხდება იმ გარემოებიდანაც, რომ მთელი რიგი ავტორიტეტული იურიდიული ჟურნალები თუ კომენტარები, ციტირების ხან ერთი და ხან მეორე ხერხის სასარგებლოდ აკეთებენ არჩევანს. თუმცა იმისათვის, რომ მკითხველმა მარტივად შეძლოს მითითებული წყაროს მოძიება, სასურველია, ავტორმა ნებაყოფლობით გაითვალისწინოს ქვემოთ მოყვანილი არასავალდებულო წესები.

---

<sup>295</sup> *Möllers*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 127.

## 1. სქოლიოების განლაგება

სქოლიო კეთდება ყოველი გვერდის და არა ცალკეული თავისა თუ მთლიანი ნაშრომის ბოლოში. ავტორმა მკითხველს თავიდან უნდა აარიდოს გადაფურცვლა-გადმოფურცვლასთან დაკავშირებული ამაო გარჯა. სქოლიო ცალკეული სიტყვის შემდეგ ეხება მხოლოდ ამ სიტყვას; ხოლო წინადადების ბოლოში – მასში გადმოცემულ მთლიან აზრს. თუ ერთ წინადადებაში რამდენიმე დამოუკიდებელი დებულებაა გაერთიანებული, სქოლიო უნდა დაისვას თითოეული დებულების შემდეგ და არა წინადადების ბოლოს ერთიანი სქოლიოს სახით:

*... ამ დროს ანაზღაურების მოთხოვნა, არამატერიალური ზიანის გამოსწორების გარდა, მიზნად ისახავს დაზარალებულის დაკმაყოფილებას,<sup>5</sup> თუმცა გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე გამოსწორების ფუნქცია დგას.<sup>6</sup>*

ამ წესის მკაცრად დაცვა მნიშვნელოვანია სხვადასხვა მოსაზრებების შეპირისპირებისას.

*ერთი მოსაზრების მიხედვით<sup>24</sup> ....., რომლის საწინააღმდეგოდაც მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი<sup>25</sup> .....*

სქოლიოს ტექსტის ბოლოში აუცილებელი წერტილის დასმა. დასაშვებია სქოლიოში მითითებული წყაროს განმარტება ერთი ან ორსიტყვიანი მოკლე მითითებით: „იხ.“, „მაგ.“, „ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე“, „ამის საწინააღმ-

დეგოდ“, „სხვა აზრზეა“. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრების<sup>296</sup> მიხედვით, მითითება „შდრ.“ არადახვეწილი აკადემიური სტილის ნიშანია, რადგან ღიად ტოვებს საკითხს, ამყარებს თუ უარყოფს სქოლიოში მოყვანილი ლიტერატურა ავტორის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას. მოცემული მოსაზრების გაზიარება ამგვარი კატეგორიულობით შეუძლებელი ჩანს. მთელ რიგ შემთხვევებში ავტორის მსჯელობას სხვა ავტორის მოსაზრება ნაწილობრივ ამყარებს, ამყარებს მხოლოდ მის ნაწილს ან, საბოლოო ჯამში, გაუგებარია, თუ ზუსტად რა პოზიციას იკავებს ეს სხვა ავტორი, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეუძლებელია მისთვის გვერდის ავლა. ყველა ამ შემთხვევაში გამოწვევის სახით დასაშვები უნდა იყოს „შდრ.“-მითითების გამოყენება.<sup>297</sup>

## 2. მითითებული წყაროს სრული რეკვიზიტები

მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კომპენდიუმებისა და კომენტარების შემთხვევაში, მითითებული წყარო, თავისი სრული რეკვიზიტებით მოცემულია ხოლმე ბიბლიოგრაფიაში. ეს სრული რეკვიზიტებია: ავტორის სახელი და გვარი (სახელისათვის საკმარისია მხოლოდ ინიციალის მითითება), ნაშრომის სათაური და ქვესათაური, ტომი, გამოცემა, გამოცემის ადგილი და წელი.

---

<sup>296</sup> იხ. *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 127.

<sup>297</sup> „შდრ.“-მითითების გამოყენება საშინაო დავალების კაზუსის ამოხსნისას გაუმართლებელია, იხ. ამასთან დაკავშირებით ... .

*შმიტი შ./რიჰტერი ჰ.*, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი (სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით), თბილისი 2013.

ამ შემთხვევაში სქოლიოში იგივე წყარო უკვე შემოკლებულად მიეთითება, ავტორის სახელის, გამოცემის ადგილის, წლისა და ქვესათაურის გამოტოვებით.

*შმიტი/რიჰტერი*, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, 21.

სტატიის ან სხვა ისეთი პუბლიკაციის შემთხვევაში, რომელსაც ბიბლიოგრაფია არ გააჩნია, აუცილებელია თავად სქოლიოში მითითებული წყაროს სრული რეკვიზიტების დაფიქსირება, თუმცა ჩვეულებრივ საკმარისია ამის გაკეთება პირველი ციტირებისას შესაბამის სქოლიოში, ხოლო ყოველ მომდევნო სქოლიოში ამ სქოლიოზე მითითება – „იხ. სქ.“

<sup>14</sup> *ჭანტურია ლ.*, *კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი*, თბილისი 2012

<sup>32</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (იხ. სქ. 14), 21.

დასაშვებია თავად სათაურის შემოკლებაც, თუმცა ამ შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ან პირველ სქოლიოში, სრულად მითითებულ რეკვიზიტებთან ერთად უნდა დაფიქსირდეს, თუ რა ფორმით მოკლდება ეს სათაური.

- *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011.  
(ციტ. *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი)

<sup>32</sup> *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი, 21.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ დროს სათაურის დანაწევრება ხდება, მისი შემოკლება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ნაშრომის სათაური ძალზე გრძელია.<sup>298</sup>

არასასურველია მხოლოდ ზემოთ მოყვანილ წყაროზე სრულად მითითება, მაგალითად: *ჭანტურია*, *ibid/passim*. ადგილის დანაზოგი უმნიშვნელოა, ხოლო მკითხველის განაწყენება – მნიშვნელოვანი, უწევს რა ნაშრომის უკანაფურცვლა და შესაბამისი სქოლიოს ძებნა.<sup>299</sup>

### 3. მითითებული წყაროს შინაარსის გადმოცემა

ჩვეულებრივ, სხვისი მოსაზრების გადმოცემა ხდება არა სიტყვასიტყვით, პირდაპირი ციტატის ფორმით, არამედ საკუთარი სიტყვებით (პარაფრაზირება). სხვისი ნაშრომიდან მოზრდილი ნაწყვეტის ციტატის ფორმით მოყვანა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც აზრის კონკრეტული

---

<sup>298</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 128.

<sup>299</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 128.

ფორმულირებაა გადამწყვეტი, მაგალითად მისი სიზუსტისა ან გონებამახვილობის გამო.<sup>300</sup> მიუხედავად ამისა, დაუშვებელია პირდაპირი ციტატების უხვად მოყვანა; სხვების ნაშრომებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტების კომპილაცია არ ქმნის აკადემიურ ნაშრომს.

აუცილებელია პირდაპირი ციტატის ბრჭყალებში ჩასმა. ცალკეული მნიშვნელოვანი ტერმინი თუ წინადადების ნაწილი შესაძლებელია გამოიყოს კურსივი შრიფტის მეშვეობით, ციტატის დასასრულს ფრჩხილებში შესაბამისი მითითების თანდართვით – „ავტორის ხაზგასმა“ ან „ორიგინალში ხაზგასმული არ არის“. ციტატის მომყვანს შეუძლია მასში ჩართოს საკუთარი კომენტარები ან მითითებები კვადრატული ფრჩხილების მეშვეობით. ნაწილის გამოტოვება აუცილებელია აღინიშნოს სამი წერტილით. სხვა მხრივ აუცილებელია ციტატის ავტორის ფორმულირებისა და სტილის დაცვა სასვენი ნიშნების ჩათვლით. ორიგინალის დასაშვები მოდიფიკაციის მაგალითია:

ორიგინალი	მოდიფიცირებული ციტატა
კონტრაჰენტის პიროვნებასა ან მის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომა მნიშვნელოვანი ხდება ისეთ გარიგებებში, სადაც მკაცრად მოით-	“კონტრაჰენტის პიროვნებასა ან მის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომა მნიშვნელოვანი ხდება ისეთ გარიგებებში, სადაც მკაცრად მოით-

<sup>300</sup> *Thieme*, Die Anfertigung von rechtswissenschaftlichen Doktorarbeiten, 39; მაგალითისათვის იხილე ზემოთ მოყვანილი პასაჟი „კვირას მოსდევს ორშაბათი“.

<p>ხოვება პიროვნული და პირადი თვისებების არსებობა (მაგ. სანდოობის გამო, ან იქ, სადაც მხარეების პირადი ჩართულობა მოითხოვება). როგორც ზემოთ აღინიშნა, 74   ნაწილის ფარგლებში „პირადი თვისებები“ განიმარტება ფართოდ და მოიცავს სქესს, ასაკს, პროფესიონალიზმს და ა.შ. პირად თვისებებში მოიაზრება ასევე პირის პატიოსნება და სანდოობა.</p>	<p>ხოვება პიროვნული და პირადი თვისებების არსებობა .... ... 74   ნაწილის ფარგლებში „პირადი თვისებები“ განიმარტება ფართოდ და მოიცავს სქესს, ასაკს, პროფესიონალიზმს და ა.შ. პირად თვისებებში მოიაზრება ასევე პირის პატიოსნება და სანდოობა.”<sup>1</sup></p> <p><sup>1</sup> დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), მუხ. 74 მე-9 ველი (ორიგინალში ხაზგასმული არ არის).</p>
--	--

ორიგინალი	შემოკლებული ციტატა
<p>ზოგიერთ შემთხვევაში გარიგების დასადებად შეიძლება გათვალისწინებული იყოს თანხმობის აუცილებლობა. თანხმობის არარსებობის სამართლებრივი შედეგი აქაც შესაძლოა განსხვავებული იყოს. მაგალითად, თუკი გარიგების დადებას სჭირდება სახელმწიფო ორგანოს ნებართვა, მაშინ ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. მაგალითად, სამე-</p>	<p>“... თუკი გარიგების დადებას სჭირდება სახელმწიფო ორგანოს ნებართვა, მაშინ ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგება ბათილია [განსხვავებით კერძოსამართლებრივი თანხმობის გარეშე დადებული გარიგებისაგან]. მაგალითად, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება არის ბათილი, რადგან ის კანონსაწინააღმდეგოა.”<sup>23</sup></p>



<p>დიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება არის ბათილი, რადგან ის კანონსაწინააღმდეგოა. თუ გარიგების დადებას სჭირდება კერძოსამართლებრივი თანხმობა, ასეთი გარიგება, როგორც წესი, არ იქნება ბათილი.</p>	<p><sup>23</sup> <i>ჭანტურია</i>, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, <i>ჭანტურია</i> (რედ.), მუხ. 54 მე-17 ველი.</p>
--	---

მოდუფიკაცია, რომელიც ციტატის ავტორის აზრს ამახინჯებს, დაუშვებელია.<sup>301</sup> ორიგინალში დაშვებულ შეცდომას ციტატის მომყვანმა შესაბამისი აღნიშვნა უნდა დაურთოს თან, რათა გააქარწყლოს ეჭვი, რომ ეს შეცდომა მას მოუვიდა ტექსტის ორიგინალიდან გადმოღებისას. ამის გაკეთება შესაძლებელია *sic erat scriptum*-ის შემოკლებით [sic], თუმცა უმჯობესია ქართველი მკითხველისათვის გასაგები ფორმულირების [ამგვარად ორიგინალში] შერჩევა:

*1999 წლის 25 ნოემბერს [ამგვარად ორიგინალში] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლისას ...*

უცხოენოვანი ციტატების გამოყენება, ჩვეულებრივ, არამიზანშენონილია და არ ემსახურება ავტორის განათლების დონის დემონსტრირებას.<sup>302</sup> ამგვარი ციტატები გამართლებულია მხოლოდ ნაშრომის ვინრო სპეციფიკიდან გა-

<sup>301</sup> *Möllers*, *Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten*, 128.

<sup>302</sup> *Theisen*, *Wissenschaftliches Arbeiten*, 151.

მომდინარე. მაგალითად, რომის სამართლის სახელმძღვანელოში დასაშვებია ლათინურენოვანი ციტატები დიგესტებიდან, თუმცა სასურველია მათი თარგმნა ციტატისათვის თანდართულ სქოლიოში.

#### 4. კანონის ციტირება

ყველა ქართულ თუ უცხოურ კანონს აქვს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული ოფიციალური დასახელება, თუმცა ის იმდენად გრძელია ხოლმე, რომ მას ავტორი ყოველთვის შემოკლებულ არაოფიციალურ დასახელებას ამჯობინებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მაგივრად გამოიყენება სკ.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მაგივრად გამოიყენება ზაკ.

თუმცა, ჩვეულებრივ, არსებობს ერთი და იმავე კანონის არა ერთი, არამედ რამდენიმე აბრევიატურა. იგივე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოიხსენიება ასევე „სსკ“-ად და „სამოქ. კოდექსად“. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მაგივრად იყენებენ ასევე „სზაკ“-ს. საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს სამართლებრივ ტერმინთა შემოკლებების რაიმე ერთიანი კატალოგი,<sup>303</sup> ამიტომაც აუცილებელია ორიენტირება შემოკლებების იმ წესზე, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება და

---

<sup>303</sup> როგორც არის მაგალითად ამერიკაში: *Prince, Prince's Bieber Dictionary of Legal Abbreviations*, ან გერმანიაში: *Kirchner/Butz, Abkürzungsverzeichnis der Rechtssprache*.

უფრო ავტორიტეტულ გამოცემებში. გარდა ამისა, დასახელების შემოკლება უნდა მოხდეს ყოველთვის ერთგვარად და აღინიშნოს ნაშრომის საწყის გვერდებზე გამოტანილ „აბრევიატურების საძიებელში“/ „შემოკლებან“-ში.

რაც შეეხება უცხო ქვეყნების ნორმატიულ აქტებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ა. შ., აქ ავტორი საერთოდ უნდა ერიდოს უცხოენოვანი აბრევიატურის გამოყენებას. პირველ რიგში იმის გამო, რომ ერთი და იმავე ნორმატიული აქტი სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად მოკლდება. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის – **Bürgerliches Gesetzbuch** – დამკვიდრებული აბრევიატურაა **BGB**, თუმცა ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში არც თუ ისე იშვიათია მისი ინგლისური დასახელებიდან (**German Civil Code**) წარმომდგარი შემოკლება – **GCC**. ამ შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება ორიგინალის ენისათვის შეუძლებელია, რადგან მკითხველი შეიძლება არ ფლობდეს შესაბამის ენას. გასათვალისწინებელია, რომ მკითხველს არ მოეთხოვება არც ერთი უცხო ენის ცოდნა და მით უმეტეს ამ ენაზე გაკეთებული აბრევიატურის მნიშვნელობის გამორკვევა. შესაბამისად, დასაშვებია მხოლოდ უცხო ქვეყნის კანონის აღსანიშნად ქართულში დამკვიდრებული აბრევიატურის, როგორც არის „გსკ“, გამოყენება. სხვა შემთხვევაში კანონის დასახელება სრულად უნდა მიეთითოს: „შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი“. იგივე წესი მოქმედებს ევროკავშირის ხელშეკრულებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ აქტების შემთხვევაში. ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების ინგლისური აბრევიატურა არის **TEU**, ხოლო გერმანული: **EGV** ან **EG**. ქართულ ტექსტში როგორც ერთის, ისე მეორის გამოყენება გაუმართლებელია, ისევე როგორც თვითნებური

შემოკლების მოფიქრების მცდელობა: *ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (შემდგომში - ეკღხ); ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება (ეეგღხ); ევროპის ატომური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება (ეაგღხ); ევროპის ფოლადისა და ნახშირის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება (ეფგღხ).* გარდა იმისა, რომ ეს შემოკლებები უბრალოდ არასერიოზულად ჟღერს, მათი დამახსოვრება თითქმის შეუძლებელია, რის გამოც აუცილებელია ყოველ ჯერზე მთლიანი დასახელების მითითება. თუმცა, თუ ერთ წინადადებაში, აბზაცსა ან ტექსტის მომცრო მონაკვეთში რამდენჯერმე არის ნახსენები ერთი და იგივე ხელშეკრულება ან ნორმატიული აქტი, დასაშვებია მითითება – *ხსენებული კანონის ან ზემოთ მოყვანილი კანონის 24-ე მუხლის მიხედვით.*

სათაურისაგან განსხვავებით, რომელიც ქართულად მიეთითება, ევროკავშირის კანონმდებლობის ციტირებისას უნდა მიეთითოს დადგენილებისა თუ დირექტივის მიღების თარიღი და ნომერი, უცვლელი ინგლისური აბრევიატურით. ნომრის პირველი რიცხვი აღნიშნავს დირექტივის გამოცემის წელს, ხოლო მომდევნო რიცხვი კი იმას, თუ მერამდენე დირექტივას ეხება საქმე წლის დასაწყისიდან. დადგენილებების შემთხვევაში რიცხვებს საპირისპირო დატვირთვა აქვთ. პირველი რიცხვი წარმოადგენს დადგენილების ნომერს, ხოლო მომდევნო – მიღების წელს. სამართლებრივი აქტის ნომრის მითითება აუცილებელია, რადგან ოფიციალური დასახელება ძალზე გრძელია ხოლმე, ხოლო შემოკლებული დასახელება კი არაერთგვარი. გარდა ამისა, ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ციტი-

რებისას აუცილებელია ოფიციალური ჟურნალის (ინგლისურენოვანი აბრევიატურა – OJ და არა, მაგალითად, გერმანული: ABl.), შესაბამისი ნომრისა და პირველი გვერდის მითითება.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/35EU განსაზღვრული ვოლტაჟის ლიმიტების ფარგლებში გამოყენებისათვის შექმნილი ელექტრომონწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ნევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ, OJ L 96/358, შემოკლებით: ელექტრომონწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობის დირექტივა-2014/35EU.

კანონის ციტირება ხდება მუხლის, ნაწილის/პუნქტის, წინადადებისა და ქვეპუნქტის მიხედვით:

სკ-ის 258-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადების ა) ქვეპუნქტი.

საკმაოდ მოსახერხებელია სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარებში გამოყენებული კანონის შემოკლებული ციტირების ტექნიკა, რა შემთხვევაშიც მუხლის აღსანიშნად გამოიყენება არაბული ციფრი, თუმცა რიგობითობის გამომხატველი თავსართ-ბოლოსართის გარეშე, შემდეგ რომაული ციფრი ნაწილის/პუნქტის აღსანიშნად და ისევ არაბული ციფრი – წინადადებისათვის:

*სკ-ის 258 IV 2 ა) მუხლი*

კანონის ციტირების ეს მეთოდი ლაკონურობის გამო მოსახერხებელია როგორც თავად ავტორისათვის, როდესაც ის აკადემიური ტექსტის ფარგლებში უთითებს კანონზე, ასევე მარტივად აღქმადია მკითხველისათვისაც. სასურველია, თუ ქართველი იურისტები მომავალში უფრო აქტიურად გამოიყენებენ ციტირების ამ ხერხს და ის ზემოთ მოყვანილი სრული მითითების ერთ-ერთ ალტერნატივად დამკვიდრდება.<sup>304</sup>

გარდა ამისა, კანონის ციტირების ტექნიკა დასახვეწია სხვა მიმართულებითაც. მთელ რიგ შემთხვევებში ნორმის ციტირებისას არ ხდება მისი შემადგენლობის სრულად დანაწევრება, რაც არასწორია. მაგალითად, სკ-ის 54-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წინადადებისგან შედგება, სამ ვარიანტს შეიცავს – კანონსაწინააღმდეგობა, საჯარო წესრიგის დარღვევა, ამორალურობა, რომელთაგან თითოეულის მონესრიგების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე მთელი რიგი სხვა მთლიანი ინსტიტუტებისა. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი მითითება, რომ გარიგება არანამდვილია 54-ე მუხლის მიხედვით, არაფრისმთქმელია. არანამდვილობის საფუძვლის ზუსტად აღნიშვნისათვის აუცილებელია ნორმის ვარიანტებად დანაწევრება:

*გარიგება არანამდვილია ამორალურობის გამო სკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის მიხედვით.*

---

<sup>304</sup> კანონის შემოკლებული მითითების ტექნიკა დამკვიდრებულია გერმანულ ტრადიციაში (გერმანიაში და გერმანული სამართლის ოჯახის სხვა ქვეყნებში), მაგალითად, § 346 III Nr. 2 Alt. 1 BGB.

## 5. სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირება

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირების ერთიანი სტანდარტი არ არსებობს. ზოგადად, სასამართლოს გადაწყვეტილების ზუსტად მითითებისათვის აუცილებელია თარიღის, საქმის ნომრისა და მხარეების მითითება. სწორედ ამგვარია ევროპის კავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირების ტექნიკა. ამ შემთხვევაში ეთითება გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი, ინდექსი და საქმის ნომერი, მხარეები,<sup>305</sup> ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, სადაც გამოქვეყნებულია ეს გადაწყვეტილება და მისი პირველი გვერდი. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, უთითებენ ასევე საკვანძო სიტყვასაც. გერმანულ ტრადიციაში თითქმის სავალდებულოდ მიიჩნევა ოფიციალურ ბეჭდურ გამოცემასთან ერთად ყველა პარალელური მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჟურნალის აღნიშვნა, სადაც იგივე გადაწყვეტილებაა მოყვანილი. ეს სხვადასხვა წყაროები ერთმანეთს ებმის ტოლობის ნიშნის მეშვეობით:

*EuGH, Urt. v. 11.07.2002, Rs. C-62/00, Marks & Spencer plc gegen Commissioners of Customs & Excise, Slg. 2002, I-6325 = DVBI 2002, 1364 = DB 2002, 1486 = BB 2002, 808 - Sechste Mehrwertsteuerrichtlinie.*

*ECJ 11 Jul. 2002, Case C-62/00, Marks & Spencer plc v Commissioners of Customs & Excise [2002], ECR I-6325.*

---

<sup>305</sup> რისი მეშვეობითაც ეს გადაწყვეტილება უფრო მარტივად არის მოძიებადი უცხოურ ჟურნალში, თუ ინტერნეტში, მაგალითად, <https://curia.europa.eu/>.

*ევროპული სასამართლოს 2002 წლის 11 გადაწყვეტილება, საქმეზე C-62/00, Marks & Spencer plc v Commissioners of Customs & Excise [2002], ECR I-6325.*

ყველა ამ რეკვიზიტის დაფიქსირების შემდეგ მითითება ძალზე მოცულობითი ხდება და, ჩვეულებრივ, ინფორმაციის ნაწილი მკითხველისათვის არაფრისმთქმელი და უსარგებლოა. გარდა ამისა, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში – განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისაგან – მხარეების სახელები დაშიფრულია და მათზე მითითება შეუძლებელია. არ არსებობს საერთო თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სხვადასხვა სამართლებრივ ჟურნალებში გამოქვეყნების ტრადიცია, რის გამოც პარალელურ ბექდურ თუ ელექტრონულ პუბლიკაციაზე მითითება, თითქმის შეუძლებელია, ისევე, როგორც ციტირებაში საკვანძო სიტყვის ჩართვა. მიუხედავად ამისა, სასურველია გადაწყვეტილების ზემოთ მოყვანილი ციტირების სტანდარტის შეძლებისდაგვარად დაცვა, რის გამოც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა მიეთითოს:

- გადაწყვეტილების/განჩინების გამომტანი სასამართლო;
- გამომტანის თარიღი;
- საქმის ნომერი;
- გადაწყვეტილებიდან მითითებული პასაჟის ველის ნომერი<sup>306</sup> (თუ შედარებით ახალ გადაწყვეტილებას

---

<sup>306</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით ზევით.



- ეხება საქმე, რომელსაც ეს ველის ნომერი თანდართული აქვს);
- ოფიციალურ ბეჭდურ გამოცემაში (მაგალითად, *სუსგ სამოქალაქო საქმეებზე ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა*) გადანყვეტილების/განჩინების პირველი გვერდი, ხოლო მძიმის შემდეგ მითითებული პასაჟის გვერდი;
  - ტოლობის ნიშნის შემდეგ იგივე ყველა სხვა პარალელურ პუბლიკაციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის № ას-465-435-2010 გადანყვეტილება = სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 1/2012, 53, 55 = ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 85, 87.

სასამართლო გადანყვეტილების ამ ფორმის ციტირება საკმაოდ შრომატევადია, თუმცა მნიშვნელოვნად უადვილებს საქმეს მკითხველს, რომელსაც შეუძლია მოიძიოს გადანყვეტილება მისთვის ყველაზე მარტივად ხელმისაწვდომ კრებულში ან ელექტრონულ საძიებო სისტემაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ როგორც სააპელაციო, ისე უზენაესი სასამართლოების ვებგვერდები ხარვეზებით ფუნქციონირებს და მათზე განთავსებული ინფორმაცია გარკვეული დროის განმავლობაში – ჩვეულებრივ, მაშინ, როდესაც მძებნელს ყველაზე მეტად სჭირდება – უბრალოდ მიუწვდომელია ხოლმე, ალტერნატიული წყა-

როების მითითება დიდი დახმარება იქნებოდა მკითხველი-სათვის. მხოლოდ ოფიციალურ თუ სხვა ბეჭდურ გამოცე-მაზე მითითება არასაკმარისია, რადგან ყველაზე მარტი-ვად ხელმისაწვდომ წყაროდ მაინც ინტერნეტრესურსი რჩება.

რაც შეეხება საკვანძო სიტყვის მითითებას, ამის ტრადი-ცია საქართველოში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, არ არსებობს და ამ საკვანძო სიტყვის თვითნებურად აღნიშ-ვნა, ჩვეულებრივ, არაფრისმომცემია. თუმცა გამონაკლი-სის სახით, თუ ეს მკითხველს რეალურად მისცემს საშუა-ლებას ერთი თვალის შევლებით აღიქვას, რომელ გადაწყ-ვეტილებას ეხება საქმე, სასურველია ამ საკვანძო სიტყ-ვის მითითება. მაგალითად:

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის № ას-664-635-2016 გადაწყვეტილება – „რუს-თავი 2-ის საქმე“.*

გადაწყვეტილების ციტირებისას მხარეების მითითება შე-საძლებელია მაშინ, როდესაც მათი სახელები არ არის და-შტრიხული, ასეთი შემთხვევა კი სახეზე გვაქვს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დე-კემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მო-ქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მე-მარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდე-გ“.

გერმანიაშიც სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირება ხდება ზემოთ მოყვანილი სტანდარტის მიხედვით: სასამართლო, თარიღი, საქმის ნომერი, ოფიციალური გამოცემის (მაგ. BGHZ,<sup>307</sup> BGHSt,<sup>308</sup> BverwGE,<sup>309</sup> BVerfGE<sup>310</sup>) ნომერი, მოცემულ გამოცემაში გადაწყვეტილების სანყისი და უშუალოდ მითითებული პასაჟის გვერდი, პარალელური პუბლიკაციები (მაგ. NJW) იმავე წესის მიხედვით, საკვანძო სიტყვა.

BGH Urt. v. 27.10.2008 - II ZR 158/06, BGHZ 178, 192, 193 = NJW 2009, 289, 290 – Trabrennbahn.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართველ ავტორს გერმანულ პერიოდულ გამოცემებზე მხოლოდ შეზღუდული წვდომა აქვს, დასაშვებია, ოფიციალური გამოცემის მითითების გარეშე, მხოლოდ ერთი იურიდიული ჟურნალიდან ციტირება, თუმცა აუცილებელია ეს იყოს ავტორიტეტული ჟურნალი (მაგ. NJW ან JZ და არა Life & Law ან RÜ).<sup>311</sup> იგივე წესი გამოიყენება ავსტრიული და შვეიცარული სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას:

<sup>307</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

<sup>308</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე.

<sup>309</sup> გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

<sup>310</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

<sup>311</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 131.

OGH v. 23.2.2009, 8 Ob 150/08d = EvBI 2009/97.

ან:

OGH EvBI 1970, 278.

BGer v. 22.1.1969, BGE 95 I 33 –  
Staubentwicklung.

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების გადაწყვეტილებების მითითება ხდება საქმის დასახელების, ოფიციალურ და ერთ-ერთ არაოფიციალურ კრებულში გადაწყვეტილების ადგილის, გამომტანი სასამართლოსა და გამომტანის წლის (თვე და რიცხვი არ ეთითება), მიხედვით. სახელი აღინიშნება კურსივში.

*Barbara Grutter, Petitioner v. Lee Bollinger, et al.*,  
539 U.S. 306, 123 S.Ct. 2325; 156 L. Ed. 2d 304  
(2003).

ან:

*Baker v. Carr*, 369 U.S. 186 (1962).

დიდი ბრიტანეთი სასამართლოების გადაწყვეტილებების ციტირებისასაც, პირველ რიგში საქმის დასახელება ეთითება, ხოლო შემდეგ მას უშუალოდ მოსდევს გამოტანის წელი.

*Barker v Corus (UK) plc, (2006) UKHL 20.*

ფრანგული სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევაში ჯერ მისი გამომტანი სასამართლო მიეთითება:

*Cass. civ. 15 December 1976, Bull.civ. III 465.*

## **6. სამეცნიერო ლიტერატურა**

სამეცნიერო ლიტერატურის ციტირების წესი განსხვავდება იმისდა მიხედვით, ის სქოლიოშია მოყვანილი თუ ბიბლიოგრაფიაში. ბიბლიოგრაფიაში მითითებისას უნდა დაფიქსირდეს თითოეული წყაროს სრული მონაცემები, ხოლო სქოლიოში – შემოკლებული. იმ ნაშრომების შემთხვევაში, რომლებსაც ბიბლიოგრაფია არ გააჩნიათ, მის ფუნქციას პირველი სქოლიო ითავსებს. იხ. ამასთან დაკავშირებით ზევით III.2.

ჩვეულებრივ, კურისვად მიეთითება მხოლოდ ავტორის გვარი და სახელის ინიციალი. სტატიების შემთხვევაში სქოლიოში ფიქსირდება სტატიის პირველი გვერდი, შესაბამის კრებულსა თუ ჟურნალში და ციტირებული ნაწყვეტის გვერდი, ბიბლიოგრაფიაში – მხოლოდ პირველი გვერ-

დი, ან პირველი და უკანასკნელი გვერდი, რათა მკითხველს ჰქონდეს სტატიის მოცულობის ზუსტად შეფასების საშუალება. კომენტარების შემთხვევაში სქოლიოში უნდა მიეთითოს ავტორი, რომელსაც ეკუთვნის კონკრეტული ნაწყვეტი და არა მხოლოდ კომენტარის რედაქტორი. თანაავტორების გვარები ერთმანეთს ებმის დრობის (/) და არა დეფიზის (-) მეშვეობით, როგორც სქოლიოში, ისე ბიბლიოგრაფიაში. დეფიზი გამოიყენება მხოლოდ გაერთიანებული გვარების შემთხვევაში (მაგ. *ბავრაციონ-მუხრანელი*).

თუ სტატიის რეკვიზიტები, მათ შორის მისი სრული სათაური, დაფიქსირებულია ბიბლიოგრაფიაში, ცალკეულ სქოლიოში შესაძლებელია მისი გამოტოვება და მხოლოდ ავტორის გვარისა და ჟურნალის მითითება, რაც გამართლებულია ადგილის დაზოგვისა და აღქმადობის გაუმჯობესების მიზეზით.

ჩვეულებრივ, იურიდიული ჟურნალიდან ციტირება ხდება გამოცემის წლისა და ჟურნალის ნომრის მითითებით. გვერდის წინ შემოკლების, „გვ.“-ის დასმა, არასასურველია. ამ შემთხვევაში ციტირების ერთგვარი სტილის დასაცავად აუცილებელი იქნება უცხოური წყაროების გასწვრივაც გვერდის შესაბამისი აბრევიატურის აღნიშვნა (ინგლისურენოვანი პუბლიკაციებისას – p., ხოლო გერმანულენოვანის შემთხვევაში – S.), რასაც არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია და მხოლოდ აბნევს მკითხველს, ამიტომაც სასურველია ამ აბრევიატურის საერთოდ გამოტოვება.

ბიბლიოგრაფია	სქოლიო
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>კვანტალიანი ნ.</i>, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 5.</li> </ul>	<p><sup>24</sup> <i>კვანტალიანი</i>, მართლმსაჯულება და კანონი № 2(33)/2012, 5.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ბიჭია მ.</i>, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, № 3(51)/2016, 98-107.</li> </ul>	<p><sup>54</sup> <i>ბიჭია</i>, № 3(51)/2016, 98-ე და მომდევნო გვერდები.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ქოჩაშვილი ქ.</i>, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, რომან შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი 2012, 279.</li> </ul>	<p><sup>22</sup> <i>ქოჩაშვილი</i>, რომან შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 286.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ჭანტურია ლ./ახვლედიანი ზ./ზოიძე ბ./ჯორბენაძე ს. (რედ.)</i>, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი 2001.</li> </ul>	<p><sup>11</sup> <i>ზოიძე</i>, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III, 451-ე და მომდევნო გვერდები.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.</i>, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014.</li> </ul>	<sup>121</sup> <i>ცერცვაძე</i> , ძლიერი-შვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 645-ე და მომდევნო გვერდები.
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ჭანტურია ლ.</i> (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი 2017.</li> </ul>	<sup>27</sup> <i>დარჯანია</i> , სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, <i>ჭანტურია</i> (რედ.), მუხ. 74 მე-4 ველი.
<ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ჭანტურია ლ.</i>, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2011. (ციტ. <i>ჭანტურია</i>, ზოგადი ნაწილი).</li> </ul>	<sup>32</sup> <i>ჭანტურია</i> , ზოგადი ნაწილი, 21.

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული წესის თანახმად, ჟურნალისა თუ კრებულის ნომერი ფიქსირდება მის დასახელებამდე, ხოლო ფრჩხილებში მოთავსებული წელი კრავს წყაროს მითითებას. ავტორისა თუ გამომცემლის სახელისა და გვარის, ისევე როგორც ნაშრომის სათაურის, გამოცემის ან სხვა რაიმე დეტალის გადმოქართულება არ ხდება, რადგან მეტ-ნაკლებად თვითნებური თარგმანი (რაც გარდაუვალია ხოლმე) მითითებული წყაროს მოძიებას შეუძლებელს გახდის.



*Posner, Law and Economics in Common-Law, Civil-Law, and Developing Nations, 17 Ratio Juris, 66 (2004).*

*Treitel, The law of contract, 11rd ed., 2003, 151.*

## **7. არაიურიდიული ჟურნალ-გაზეთები და რუხი ლიტერატურა**

შესაძლებელია ასევე ციტირება არაიურიდიული ნაშრომებიდან, სტატიათა კრებულებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან, როგორც არის, მაგალითად, „კვირის პალიტრა“, „ბანკები და ფინანსები“ და ა. შ., თუ ეს გაზეთები შეიცავენ სამართლებრივად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც მისი სიახლის გამო ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალებში. დასაშვებია მათი ციტირება თარიღისა და გვერდების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სტატიას აქვს შესაბამისი სათაური და ჰყავს ავტორი, ორივეს მითითებით.

*კაპანაძე, ონლაინ სესხების კომპანიები მოსახლეობის ძარცვას აგრძელებენ, ბანკები და ფინანსები 11.12.2017, 8.*

გარდა აღნიშნულისა, ციტირებადია ასევე ე. წ. „რუხი ლიტერატურა“.<sup>312</sup> ესენია სასამართლოს გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული ორგანოს დოკუმენტები, მეცნიერთა მოხსენებები და ა. შ. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებამდე არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათი ციტირება სრულებით შეუძლებელია. ამგვარი წყაროების მოყვანა აკადემიურ ტექსტში დასაშვებია, თუ მას სხვა გამოქვეყნებულ წყაროებში ალტერნატივა არ მოეძებნება და მოცემული ნაშრომის ფარგლებში რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მატარებელია. წყარო უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური ნაშრომისათვის წაყენებულ სტანდარტებს (სასემინარო ნაშრომისა, თუ სტუდენტური მოხსენების ციტირება შეუძლებელია). გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში აუცილებელია მისი გამომტანი სასამართლოს, თარიღისა და საქმის ნომრის გარდა ასევე სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემის მითითება (სააქტო, ან საარქივო ნომერი და ა. შ.), რისი მეშვეობითაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს ის შესაბამის არქივსა თუ მონაცემთა ბაზაში. სასურველია, ამ ტიპის გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, მთლიანად ან ამონარიდის სახით, თან დაერთოს ნაშრომს მის ბოლო ფურცლებზე, თუმცა აქ გასათვალისწინებელი საავტორო სამართლით დაწესებული შეზღუდვები (იხ. ამასთან დაკავშირებით ზევით). აბსოლუტური გამონაკლისი სახით, დასაშვებია პირად საუბარსა თუ არასაჯარო მოხსენების ფარგლებში ამოთქმულ მოსაზრებებზე მითითებაც:

---

<sup>312</sup> *Möllers*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 133.

*... ამის საპირისპიროდ, პირად საუბარში პროფესორი ზოიძე უარყოფს სანივთო გარიგების კონცეპტის აუცილებლობას ქართულ სანივთო სამართალში, შემდეგი არგუმენტებით: ... .*

მიუხედავად ზოგადი დასაშვებობისა, გამომდინარე იქიდან, რომ მითითებულ წყარო მკითხველისათვის სრულე-ბით მიუწვდომელია, ამ ტიპის მითითებას მხოლოდ ერთი ფუნქცია გააჩნია: სხვა მეცნიერი, რომელსაც რეალურად ეკუთვნის ეს აზრი, არ შემოედავოს ავტორს, მისი იდეის უნებართვოდ გამოყენებისდა გამო (რაც, ესეც რომ ყოფი-ლიყო, პლაგიატად მაინც არ ჩაითვლებოდა). ციტირების სხვა ფუნქციებს (იხ. ამასთან დაკავშირებით 1.2), ამგვარი მითითება ვერ ასრულებს და საბოლოო ჯამში, უმჯობე-სია, თუ ავტორი უარს იტყვის მასზე და საერთოდ არ გა-მოიყენებს სხვის არგუმენტებსა თუ თეზისებს, მათ გამო-ქვეყნებამდე.

#### IV. ციტირება ინტერნეტწყაროებიდან

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის დიგიტალიზაცი-ის მზარდი ტემპებიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრობლემურია ინტერნეტრესურსებიდან ციტირების პრობლემა. ინტერნეტწყაროს ქვეშ არ იგული-სხმება ბეჭდური გამოცემის ე. წ. სკანირებული ვერსიები, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული (მაგ. **Google Books**<sup>313</sup> ან **Internet Archive**<sup>314</sup>). ამ წყაროდან ციტირება

---

<sup>313</sup> <https://books.google.com/>.

<sup>314</sup> <https://archive.org/>.

ხდება ისე, როგორც ბეჭდური გამოცემიდან, ინტერნეტ-მისამართისა და სხვა რეკვიზიტების გარეშე. ინტერნეტ-წყაროს ქვეშ იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც ამ ფორმით მხოლოდ ონლაინ სივრცეში არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ, დღეს-დღეობით, კონკრეტული საკითხით და-ინტერესებული პირი, ბიბლიოთეკის მაგივრად პირველ რიგში ინტერნეტში ეძებს მასთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას, არ არსებობს ერთიანი, მყარად დადგენილი წესები ინტერნეტიდან ციტირებასთან დაკავშირებით.<sup>315</sup> ქვემოთ მოყვანილი იქნება ინტერნეტრესურსის მითითებისას გასათვალისწინებელი სარეკომენდაციო ხასიათის წესები.

## 1. რეპროდუცირების პრობლემა

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ინტერნეტწყაროდან მოპოვებული ინფორმაციის სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებისას, უკავშირდება, მთელ რიგ შემთხვევებში, მისი რეპროდუცირების შეუძლებლობას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მის შემქმნელს შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეცვალოს ან წაშალოს, ისევე როგორც თავად ვებგვერდი. ამგვარად, წყარო არამდგრადი ხასიათისაა. გარდა ამისა, ჩვეულებრივ, ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია არ გადის ხარისხის კონტროლს. ონლაინ-სივრცე სავსეა მოძველებული და ანონიმური ავტორის მიერ შექმნილი ინფორმაციით – ინფორმაცია, რომელიც გაურკვეველი დროის წინ, გაურკვეველმა ავტორმა შექმნა და

---

<sup>315</sup> *Möllers*, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 133.

მას შემდეგ მისი აქტუალიზება არ მომხდარა. ამისგან განსხვავდება ინფორმაცია, რომელიც, მართალია, აქტუალურია, თუმცა ვერანაირ სამეცნიერო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა *ფორუმზე* არსებული ინფორმაცია, ან რომელიმე *იურიდიული კომპანიის ვებგვერდზე* განთავსებული მოკლე და ზედაპირული ცნობა ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, *ვიკიპედია* და სხვადასხვა *ონლაინ-ლექსიკონები*. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებამდე არავის მიერ არ მოწმდება და დაუდგენელია მისი ავტორი. თუმცა ამ ტიპის არასანდო და შესაბამისად არაციტირებადი ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა ოფიციალური ორგანოს საიტზეც იყოს განთავსებული. მაგალითად, „მნიშვნელოვანი განმარტებები“,<sup>316</sup> რომელსაც უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი სთავაზობს მომხმარებელს, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს ციტირებად წყაროს და აუცილებელია მისი შესაბამისი კონტექსტიდან (გადაწყვეტილებიდან) ციტირება. ამ კონტექსტის გარეშე ეს ინფორმაცია დაუდგენელი ავტორის დაუდგენელი სამეცნიერო ღირებულების კომპილაციად რჩება.<sup>317</sup>

---

<sup>316</sup> <http://www.supremecourt.ge/muz.html>.

<sup>317</sup> იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საკუთარ ვებგვერდზე შემოთავაზებულ განმარტებით ბარათზეც ([http://nbe.gov.ge/?sec\\_id=648&lang\\_id=GEO](http://nbe.gov.ge/?sec_id=648&lang_id=GEO); [http://nbe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=32&info\\_id=7586](http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=7586)).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ინსტრუქციები ცალკეულ შემთხვევებში ძალზე მოსახერხებელია პირველი შთაბეჭდილების შექმნისათვის, სამეცნიერო ნაშრომში მოცემული ინფორმაციის მოყვანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამის კანონებსა თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით და არა მხოლოდ ვებგვერდზე მითითების მეშვეობით.

გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტრესურსის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში ან მხოლოდ შემდგომი გადამონმების შემდეგ არის ციტირებაუნარიანი, უმჯობესია, თუ სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მსურველი თავიდანვე ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს ამ საეჭვო წყაროებს და ცოდნის დეფიციტს პირდაპირ ავტორიტეტული წყაროდან შეივსებს. ერთხელ შექმნილ მცდარ წარმოდგენასთან გამომშვიდობება გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე სანდო ლიტერატურის მეშვეობით გადამონმებული ინფორმაციის მოპოვება.

## 2. ინტერნეტწყაროს მითითების არასავალდებულოება

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მხოლოდ ის გარემოება, რომ რაიმე ტიპის ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტის მეშვეობით ხდება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ ინტერნეტწყაროსთან გვაქვს საქმე. ამა თუ იმ ნაშრომის სკანირებული ვერსიიდან ციტირება ხდება ზუსტად ისე, როგორც ბეჭდურიდან.<sup>318</sup> გარდა ამისა, მთელი რიგი ონლაინ მონაცემთა ბაზები, როგორც არის, მაგალითად, **Beck-Online**,<sup>319</sup> **Juris**,<sup>320</sup> **Lexisnexis**<sup>321</sup> ან **Westlaw**,<sup>322</sup> მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავენ სკანირებულ დოკუმენტებს, გამოირჩევა დიგიტალიზაციის იმგვარი ფორმით,

---

<sup>318</sup> მაგ. <http://www.library.court.ge/upload/ge-gtz-rezeption-des-europaeischen-privatrechts-in-georgien-2005.pdf>.

<sup>319</sup> <https://beck-online.beck.de/Home>.

<sup>320</sup> <https://www.juris.de/jportal/index.jsp>.

<sup>321</sup> <https://www.lexisnexis.com/en-us/gateway.page>.

<sup>322</sup> <http://legalsolutions.thomsonreuters.com/law-products/westlaw-legal-research/>.

რომელიც ზუსტად მიყვება ჟურნალისა თუ კომენტარის ბეჭდური ვერსიის გვერდებს. ამ შემთხვევაშიც დასაშვებია ელექტრონული დოკუმენტიდან, როგორც ბეჭდურიდან, ციტირება, ინტერნეტწყაროს დაფიქსირების გარეშე.

იმ ნაშრომიდან ციტირებისას, რომელიც pdf-ფორმატით არის განთავსებული ინტერნეტში, თუმცა არ წარმოადგენს ორიგინალის სკანირებულ ვერსიას, პირველ რიგში უნდა გადამოწმდეს, არის თუ არა ნაშრომი ბეჭდური ფორმით გამოცემული და ემთხვევა თუ არა ბეჭდური და ელექტრონული გამოცემის გვერდები ერთმანეთს. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაშია ნაშრომის ციტირება ვებგვერდის მითითების გარეშე შესაძლებელი.

რაც შეეხება სხვადასხვა სასამართლოების ვებგვერდებზე განთავსებულ გადაწყვეტილებებს. აქ დასაცავია შემდეგ წესი: მაგალითად, უზენაესი სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილების ციტირება, რომელიც სხვადასხვა ბეჭდურ კრებულებშია გამოქვეყნებული, ხდება არა მხოლოდ გამოტანის თარიღისა და საქმის ნომრის მიხედვით, არამედ ბეჭდური გამოცემის გვერდის მითითებით. ელექტრონული მისამართი აქ დამატებით აღარ მიეთითება. ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია ამ ელექტრონული მისამართის მითითება ქვემოთ მოყვანილი წესის მიხედვით.

### **3. ინტერნეტმისამართის დასახელება**

ბეჭდური წყარო, იქნება ეს მონოგრაფია, კომპენდიუმი თუ სტატია ჟურნალიდან, ინტერნეტწყაროსთან შედარებით ყოველთვის უპირატესობით სარგებლობს, რადგან ამ

უკანასკნელისაგან განსხვავებით არ ატარებს მალცვალე-  
ბად ხასიათს. თუმცა ხშირად, ესა თუ ის ინფორმაცია მხო-  
ლოდ ინტერნეტრესურსის სახით არის ხელმისაწვდომი. აქ  
ავტორმა ინტერნეტწყაროდან ციტირებისას უნდა დაიც-  
ვას შემდეგი ოთხი წესი:<sup>323</sup>

1. მთელი რიგი გადაწყვეტილებები მათი გამოტანიდან და  
ინტერნეტსივრცეში განთავსებიდან საკმაო დროის გასვ-  
ლის შემდეგ ხვდება ხოლმე ბექდურ კრებულებში. ამ კრე-  
ბულებში საერთო ვერ ხვდება ქვედა ინსტანციის სასამა-  
რთლოების გადაწყვეტილებები და ისინიც მხოლოდ ონ-  
ლაინ-სივრცეშია ხელმისაწვდომი, მაგალითად, სასამართ-  
ლოს ვებგვერდზე, რაიმე სხვა საჯარო დაწესებულებისა  
თუ კერძო საადვოკატო კომპანიის ვებგვერდზე. თუ ეს ვე-  
ბგვერდი ფლობს არქივს, რომელიც უზრუნველყოფს მას-  
ზე განთავსებული ინფორმაციის ხანგრძლივი დროის გან-  
მავლობაში რეპროდუცირებას, დასაშვებია ამ ვებგვერდი-  
დან ციტირება. ამ დროს აუცილებელია საქმის ნომრისა  
და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღის გარდა, ასევე  
იმ ელექტრონული მისამართის (ბმულის) მითითება, რო-  
მელზეც იძებნება ეს გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის  
18 ნოემბრის გადაწყვეტილება № 3/3935-11,  
[http://old.opendata.ge/userfiles/files/გადაწყვეტი-  
ლება\(2\).pdf](http://old.opendata.ge/userfiles/files/გადაწყვეტი-<br/>ლება(2).pdf).

---

<sup>323</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten,  
134.



ჩვეულებრივ, რაც უფრო გრძელია ბმული, მით უფრო რთულია ვებგვერდის მონახვა, ამიტომაც სასურველია, კონკრეტული დოკუმენტის ელექტრონული მისამართის გარდა, ასევე ამოსავალი ვებგვერდის მისამართის დაფიქსირება. მაგალითად:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება № 3/3935-11, [www.old.opendata.ge/](http://www.old.opendata.ge/), იხ. ბმულზე: [http://old.opendata.ge/userfiles/files/გადაწყვეტილება\(2\).pdf](http://old.opendata.ge/userfiles/files/გადაწყვეტილება(2).pdf).

2. თუ ამოსავალი ვებგვერდი მოსახერხებელი საძებნი ფუნქციითაა აღჭურვილი, მაგალითად, *სეპი*,<sup>324</sup> საკმარისია მხოლოდ მისი მითითება, კონკრეტული ფაილის ელექტრონული მისამართის გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება № 2ბ/7243-15, [library.court.ge](http://library.court.ge).

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინება № ას-819-767-2017, [prg.supremecourt.ge](http://prg.supremecourt.ge).

---

<sup>324</sup> <http://library.court.ge/index.php>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან გადანაცვეტილების ციტირებისას ამ კონკრეტული გადანაცვეტილების ელექტრონული მისამართის მითითება აზრს მოკლებულია, რადგან ბმული რამდენიმე წუთის შემდეგ მიუწვდომელი ხდება და საჭიროა გადანაცვეტილების თავიდან მოძებნა საძებნი სისტემის მეშვეობით.

3. ისეთი ვებგვერდების შემთხვევაში, რომელთა ინფორმაციული შემადგენელიც მუდმივად იცვლება, აუცილებელია ზუსტი მითითება იმისა, თუ როდის მოხდა კონკრეტული ტექსტის ჩამოტვირთვა თუ ზოგადად საიტის მონახულება.<sup>325</sup>

ლ. ბაქრაძე/ბრეგვაძე თ./გურჩიანი ე./ლორთქიფანიძე თ./ურუშაძე ნ./ღლონტი ლ./ჯანაშია ს., პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში (2016), [https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat\\_-\\_ge\\_-\\_2016.pdf](https://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf) (ვიზიტის დრო: 24.01.2018).

შპს ონლაინკრედიტის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული სტანდარტული პირობები, [https://onlinecredit.ge/gui/web/pdf/regulation\\_agreement.pdf](https://onlinecredit.ge/gui/web/pdf/regulation_agreement.pdf) (ვიზიტის დრო: 24.01.2018),

---

<sup>325</sup> Möllers, Juristische Arbeitstechnik und wissenschaftliches Arbeiten, 135.

*Hasselbach S.*, Elektronische Signatur,  
[www.jurawelt.com/anwaelte/internetrecht/aufsaetze](http://www.jurawelt.com/anwaelte/internetrecht/aufsaetze)  
e (ვიზიტის დრო: 24.12.2018).

4. თუ დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ ონლაინ-სივრცეშია ხელმისაწვდომი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ნაშრომისათვის, ავტორს შეუძლია ის თან დაურთოს საკუთარ ტექსტს დანართის სახით.<sup>326</sup> ნებისმიერ შემთხვევაში ავტორს უნდა შეეძლოს დაინტერესებულ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, მიანოდოს ეს ინფორმაცია. თუ საქმე ეხება დისერტაციას, სამაგისტრო ნაშრომს ან ნებისმიერ სხვა ნაშრომს, რომელიც მოგვიანებით ავტორმა უნდა დაიცვას შესაბამისი აკადემიური პროცედურის ფარგლებში, აქ ავტორს ეკისრება ვალდებულება მიანოდოს კომისიას ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მისი ნაშრომის გაგებისათვის, შეფასებისათვის, პლაგიატზე გადამოწმებისათვის და ა. შ. აქიდან გამომდინარე აუცილებელია ინტერნეტწყაროდან მოპოვებული დოკუმენტის ბეჭდური თუ ელექტრონული ასლის შექმნა,<sup>327</sup> რათა, ვებგვერდიდან გაქრობის შემთხვევაშიც, გადამოწმებადი იყოს მისი შინაარსი და წყარო.

---

<sup>326</sup> იხ. საავტორო უფლებებთან დაკავშირებით გვ. 266.

<sup>327</sup> *Theisen*, *Wissenschaftliches Arbeiten*, 69.